განათლება

GANATLEBA

საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი 2011 №3

Georgia Technical University



თბილისი 2011
Tbilisi

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University
Грузинский технический университет

განათლება №3

Ganatleba №3

Ганатлеба №3

თბილისი Tbilisi Тбилиси
2011

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით (ოქმი №7)

სარედაქციო საბჭო:
ბორის იმნაძე – სრ. პროფესორი, მთავარი რედაქტორი
თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი – სრ. პროფესორი, რედაქტორის მოადგილე
ელისაბედ კოზლოვა - ასოც. პროფესორი, პასუხისმგებელი მდივანი
ჟანეტა ვარძელაშვილი – თსუ, პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ჩინგიზ ბედალოვი – პროფესორი
კონსტანტინე რამიშვილი – პროფესორი, სგმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
გოჩა მიქიაშვილი – პროფესორი, სტუ არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი
ანზორ შავგულიძე – სრ. პროფესორი
ზურაბ ჩაჩხიანი – სრ. პროფესორი
ელისაბედ ხახუტაშვილი – ასოც. პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რედაქციის მისამართია: 0175, თბილისი, კოსტავას ქ. 77
e-mail: boris151132@rambler.ru
web-გვერდის მისამართი: http://newsletters.gtu.ge

ფასი სახელშეკრულებო
ტირაჟი 500

ISSN №1512-102X

სარჩევი/ Content /Оглавление

პედაგოგიკა – Pedagogics – Педагогика

ქეთევან ვარდანაშვილი. კრიტერიალურ-მაორიენტირებელი ტესტი: განმარტება, სახეები, გამოყენება 8
Ketevan Vardanashvili. Criteria-Orientating Test: Explanation, Types, Usage . . . . . .
Кетеван Варданашвили. Критериально-ориентированный тест: определение, виды, использование . . . . . .

თ. ბონდარენკო. კულტურათაშორისო კომუნიკაცია რუსული ენის სწავლების პროცესში 11
T. Bondarenko. Intercultural Communication in the teaching of Russian language . . . .
Бондаренко Т. А. Межкультурная коммуникация в процессе преподавания русского языка . . . . . .

ბ. იმნაძე. მეტყველების ტიპიური ერთეულები და სასწავლო-პროფესიული (პროფესიონალური) ურთიერთობა 14
B.Imnadze. Typical Units of Speech and Professional Teaching relations . . . . . .
Б.Имнадзе. Типовые речевые единицы и учебно-профессиональное общение . . .

ოლღა კალანდარიშვილი. ქართულ აუდიტორიაში რიცხვითი სახელის სწავლების ზოგიერთი თავისებურებანი 18
Olga Kalandarishvili. Some features of studying of Russian numeral in the Georgian audience . . . . . .
Ольга Каландаришвили. Некоторые особенности изучения русского числительного в грузинской аудитории . . . . . .

ნინო ქაჯაია. სქესობრივი სტერეოტიპებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის განცდის ურთიერთდამოკიდებულება 21
Nino kadjaia. Relationship between gender stereotypes and health condition . . . . . .
Нино Каджаиа. Вопрос взаймоотнашения стереотипов пола с состоянием здоровья, связанный с ощущением переживания в социальной психологии . . . . .

კორნელი ოდიშარია, თინიკო კაიშაური, ნინო წიკლაური. პენიტენციალური სამსახურის პერსონალის მზადყოფნისა და საქმიანობის ავტომატიზებული მონიტორინგის კონცეპტუალური მოდელი 26
Odisharia Korneli, Kaishauri Tinatin, Tsiklauri Nino. The conceptual model of readiness and duty of penitential system personnel automatized monitoring . . . . . .
Одишария Корнели, Каишаури Тинатин, Циклаури Нино. Концептуальная модель автоматизированного мониторинга, деятельности и готовности персонала пенитенциальной службы . . . . . .

ფილოლოგია – Филология – Philology

მარიამ ბერიძე. ფრაზეოლოგიური ველის სტრუქტურირების პრობლემა . . 34
Mariam Beridze. The Problem of Structuring Phraseological Field . . . . . .
Беридзе Мариам Тамазиевна. Проблема Структурирования
Фразеологического Поля . . . . . .
ROBERT DENSMORE BRILL, M. A., J. D. "Is Wealth of Value?
What Would Edgar Allan Poe Say?" 39
წარმოადგენს სიმდიდრე ღირებულებას? რას იტყოდა ედგარ ალან პო? . .
Ценно ли богатство? Что бы сказал Эдгар Аллан По? . . . . . .

ასმათ ევსაია. დიალოგი – ახსნა-განმარტება მხატვრულ ნაწარმოებში . . . 45
Asmat Evsaya. Dialogue-Explantation im an Art Work . . . . . .
Асмат Евсаиа. Диалог – объяснение в художественном произведении . . . . . .

ნანა კუპრაძე. ვაჟა-ფშაველას პროზა ქართველ კრიტიკოსთა და
ლიტერატურის ისტორიკოსთა თვალთახედვით 48
Nana Kupradze. The prose Vaja - Pshavela of Georgian literary critics
and historians point of view . . . . . .
Нана Купрадзе. Проза Важа – Пшавела точки зрении Грузинских
литературных критиков и историков . . . . . .

თამარ მებუკე. ინტერტექსტუალურობის მაგალითები თომას
ელიოტის პოეზიაში 55
Tamar mebuke. Examples of Intertextuality in the Poems by T.S.Eliot . . . . . .
Тамар Мебуке. Примеры интертекстуальности в поэмах Томаса Элиота . . . . . .

მაკა მურვანიძე. კიბერ სივრცე და ქართველი " ნეტიზენების"
კომუნიკაცია 63
Maka Murvanidze. Cyber Language and Georgian Netizens Communication . . . . . .
Мака Мурванидзе. Кибер пространство и коммуникация грузинских
Нетизенов (интернет пользователей) . . . . . .

ნინო ნიორაძე. ნომინაციის პრინციპები და ხერხები თანამედროვე
ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში (ადამიანი, ადამიანთა ტიპები) 66
Nino Nioradze. Principles and methods of nomination in the contemporary
Georgian youth slang (people, the types of people) . . . . . .
Нино Ниорадзе. Принципы и способы номинации в современном грузинском
молодежном жаргоне (человек, типы человека) . . . . . .

ნინო ნიორაძე. ახალგაზრდული ჟარგონის ტერმინოლოგიური
შინაარსის გააზრებანი ლინგვისტიკაში 71
Nino Nioradze. Understanding of terminology content of the term
"Youth slang in linguistics" . . . . . .
Нино Ниорадзе. Осмысления терминологического содержания
понятия«Молодежный жаргон в лингвистике» . . . . . .

ოთარ ონიანი. ბალადა ბეთქილის ახალი ვარიანტი 77
Otar Oniani. A new version of the ballad about Betkile . . . . . .
Отар Ониани. Новый вариант баллады о Беткиле . . . . . .

ოთარ ონიანი. ჯადოსნური ზღაპრის ტარადიციული ფორმულები
(დასაწყისი და დასასრული) 82
Otar Oniani. The traditional formulas of magic fairy tales (the beginning and end) . . .
Отар Ониани.Традиционные формулы вольшебной сказки (начало и конец) . . . .

ოთარ ონიანი. კულტურული გმირის პრობლემა კავკასიურ
ფოლკლორში და ქართული ამირანიანი 88
Otar Oniani. The problem of a cultural hero in the Caucasus folklore
and Georgian amiraniani . . . . . .
Отар Ониани. Проблема культурного героя в кавказском фольклоре
и грузинский амираниани . . . . . .

თ. პეტრიაშვილი. ფრეიმების აგებულების სტრუქტურული პრინციპები . . . 93
T. Petriashvili. Structural principles of the frames . . . . . .
Петриашвили Т. Структурные принципы построения фреймов . . . . . .

გ. ჩიკოიძე. სემანტიკური როლების გრამატიკული გაფორმების
ცვალებადობა ქართული ზმნური სუპერ-პარადიგმის ფარგლებში 97
G.Chikoidze. The Changeability of Semantic Roles Grammatical Features
in the Frames of Georgian Verbal Super-Paradigms . . . . . .
Г.Чикоидзе. Изменения грамматического оформления семантических ролей в
пределах грузинской глагольной супер-парадигмы . . . . . .

ეკატერინე შაკიაშვილი. გიორგი ლეონიძის პოეტური
აზროვნების ბუნებისათვის 103
E. Shakiashvili. By the nature of poetic thought George Leonidze . . . . . .
Э. Шакиашвили. К природе поэтического мышления Георгия Леонидзе . . . . . .

ივანე ჯაგოდნიშვილი. ერთი ძველი ხელნაწერის კვალდაკვალ 106
Ivane Jagodnishvili. According to a manuscript . . . . . .
Иване Джагоднишвили. По следам одной рукописи . . . . . .

ჟურნალისტიკა – Journalizm – Журналистика

ქ. გიორგობიანი. გერმანელი ძმების წარმატების საიდუმლო 113
K. Giorgobiani. German Brothers' Secret of Success . . . . . .
К. Гиоргобиани. Тайна успеха немецких братьев . . . . . .

მანანა დათუკიშვილი. რევოლუციამდელი ქართული პრესა უცხოეთში . . . 116
Manana Datukishvili. Prerevolutionary Georgian Press in Foreign Countries . . . . . .
Манана Датукишвили. Дореволюционная грузинская пресса за границей . . . . .

ე. კოზლოვა, მ. ღუდუშაური. პრესის საინფორმაციოტექსტების რუსულ ენაზე თარგმნის თავისებურება 121
Kozlova E., Gudushauri M. Translation aspects of information texts in Russian press . .
Козлова Е, Гудушаури М. Особенности перевода информационных текстов прессы на русском языке . . . . . .

საზოგადოებრივი მეცნიერებანი – Social sciences – Общественные дисциплины

ზურაბ გამეზარდაშვილი. მიხეილ თამარაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა 125
Zurab Gamezardashvili. Scientific Heritage and Public work of Michael Tamarashvili. .
Зураб Гамезардашвили. Научное наследие и общественная деятельность Михаила Тамарашвили . . . . . .

ნ. კოტეტიშვილი. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი 132
N. Kotetishvili. Human Resource Management . . . . . .
Н. Котетишвили. Менеджмент Человеческих Ресурсов . . . . . .

მზია წულუკიძე. სურსათის უვნებლობის მართვის (HACCP) სისტემის ძირითადი სისტემები 135
Tsulukidze M. L. Basic principles of food safety management system . . . . . .
Цулукидзе М.Л. Основные принципы системы управления безопасности продовольствия (HACCP) . . . . . .

ქეთევან ქევანიშვილი. კუპელჰალედ შერაცხული ვაჩნაძიანის ყველაწმინდა 141
K. Kevanishvili. Kuppelhalle monastryrya "Kvelatsminda" village Vachnadziani . . . . .
К. Кеванишвили. Купольный зал монастрыря «Квелацминда» села Вачнадзиани . .

გ.ჭყოიძე, გ.მაკასარაშვილი. სამარაგო ელემენტების ოპტიმალური განაწილება ეკონომიკური კრიტერიუმის მიხედვით 146
G. Chkoidze, G. Makasarashvili. The optimal distribution of supplay whith economic criteriums . . . . . .
Г. Чкоидзе, Г. Макасарашвили. Оптималъное распределение запасных елементов при экономических критерий . . . . . .

ელისაბედ ხახუტაშვილი მარკეტინგი და ფსიქოლოგიური ასპექტი 150
E. Khakhutashvili. Marketing and Psychological aspect . . . . . .
Е. Хахуташвили. Маркетинг и психологический аспект . . . . . .

არქიტექტურა – Architectura – Архитектура

მაია დავითაია. კონტეინერების არქიტექტურა 156
Maia Davitaia. The Container Architecture . . . . . .
Майя Давитая. Контеинерная архитектура . . . . . .

ავთანდილ დიღმელაშვილი. ძველი თბილისის ეზოების ისტორიული სახის შენარჩუნება 161
Avtandil Dighmelashvili. Preservation of the historic form of yards in old Tbilisi . . . . .
Автандил Дигмелашвили. Сохранение исторического облика дворов старого Тбилиси . . . . . .

ნანული თევზაძე, მედეა მელქაძე. საცხოვრებელი სახლების ტიპები გარემოსთან მიმართებაში 165
N.Tevzadze, M. Melkadze. Types of Residential Buildings in Relation to Environment . .
Н. Тевзадзе, М. Мелкадзе. Типы жилых домов в контексте окружающей среды . . .

ნანული თევზაძე, ვანდა მუჯირი. არქიტექტურული ობიექტების შეფასების სრულყოფისათვის 169
N. Tevzadze, V. Mujiri. Perfecting Assesment Process of Architectural Site . . . . . .
Н. Тевзадзе, В. Муджири. К усовершенствованию оценки архитектурного объекта . . . . . .

ნინო იმნაძე. სამრეწველო არქიტექტურა - "ტრანსფორმაცია" 174
Nino Imnadze. Industriai Architecter . . . . . .
Нино Имнадзе. Промышленная архитектура . . . . . .

ვანდა მუჯირი. XX საუკუნის დასაწყისის ავანგარდის იდეების რეალიზაცია არქიტექტორ-დეკონსტუქტივისტ ფრენქ გერის შემოქმედებაში 179
Vanda Mujiri. Realization of ideas of Avant-guard of the beginning of XX century in the works of Architect-Deconstructivist Frank Gehry . . . . . .
Ванда Муджири. Реализация идей Авангарда начала XX века в творчестве архитектора-деконструктивиста Фрэнка Герри . . . . . .

გივი შავდია. თბილისის სატრანსპორტო პრობლემების გადაჭრის ქალაქგეგმარებითი წინადადებები 185
Givi Shavdia. Urban proposals for solving Tbilisi transportation problems . . . . . .
Г. Шавдия. Градостроителъные предложения решения транспортных проблем Тбилиси . . . . . .

ირინე წულაძე. ნეომოდერნიზმის იდეოლოგიური ბაზა, ევროპული არქიტექტურის ტრანსფორმაცია 193
Irine Tsuladze. Ideological Basis of Neo-Modernism, Transformation of European Architecture . . . . . .
Ирине Цуладзе. Идеологическая база неомодернизма, трансформация Европейской архитектуры . . . . . .

პედაგოგიკა – Pedagogics – Педагогика

Критериально-ориентированный тест: определение, виды, использование

Кетеван Варданашвили
Телавский университет

Современная дидактика, как известно, предполагает применение различных методов контроля знаний в разнообразных формах. В последние годы широкое применение получила контрольные задания в форме тестов. Педагогические тесты, по мнению В. Аванесова, являются эффективным средством совершенствования технологий обучения, понятные всем обучающимся, избегать ошибок в восприятии и понимании смысла задач.

Педагогические тесты характеризуются своим многообразием. Анализ литературы по дидактической тестологии (А.Анастсзи, В. Аванесов, А. Майоров, Е. Михайлычев, М.Челышкова и др.) позволят выделить ряд групп тестов:

1. В зависимости от характера деятельности испитуемого;
2. По процедуре создания;
3. По средствам предьявления;
4. По характеру действий;
5. По ведущей ориентации;
6. По степени однородности задач;
7. По широте использования;
8. С точки зрения целей применения;

Обьектом детального рассмотрения и анализа мы выбрали критериально-ориентированные тесты (в вышеуказанную класификацию входят в восьмую группу). Именно они в последние годы получили самое широкое признание у нас (в странах же с высокой тестовой культурой этот вид тестов появился еще в 60-х годах века)

Термин «критериально- ориентированные тесты» был предложен Р.Гласером. Их особенность –ориентация не на усредненную порту выволнения теста всеми учениками, а индивидуальные достижения в заданной образовательной сфере.

В 60-х г. XX века Р.Ибел, Р. Гласер, А .Анастази попытались орисать процесс выполнения теста с точки зрения его содержания. С этого времени в практической педагогике начинают использовать критериально-ориентированные тести. Предполагается, что критериально-ориентировачные тесты выполняются до тех пор, пока определенный элемент компетентности не будет сформирован. Впоследние годы было установлено, что между нормативными и критериально-ориентированными тестами нет принципиальных различии. По мнению С. Сафонцева, даже нормативный тест критериально ориентирован, а если критериально-ориентированный тест стандартизировать, то он становится нормативным.

Результаты критериально-ориентированного тестирования могут быть использовани для:

- оценки итогового уровня обученности испытуемого, соответствия этого уровня государственным образовательным стандартам или программе обучения;
- отбора студентов, достигших необходимости уровня обученности;

- оценки эффеутивности программы обучения, в том числе, учебном заведении;

Результаты критериально-ориентированного тестирования могут быть использованы для сравнения между собой уровней подготовки студентов, однако в этом случае можно получить сравнительно низкую надежность, если распределение баллов однородно и имеет малую вариацию.

Главное условие отбора заданий в критериально-ориентированном тесте-это их соответствие спецификации и эпементу содержания. Статистические характеристики тестовых заданий используются для составления параллельных форм критериально-ориентированных тестов и для выбора оптимального стандарта оценивании.

Отметим, что в педагогической литературе существует много определений критериально-ориентированного теста. Авторы используют этот термин различно, поэтому необходимо однозначно определить критериально-ориентированный тест. Нам ближе определение принадлежащее О.Саенко: «Критериально-ориентированный педагогический тест представляет собой систему заданий, позволяющую измерить уровень учебных достижений относительно польного обьема знаний, умений и новыков, которые должны быть усвоены учащимися» (Организация и содержание методической работы в колледже(2008)

Каждый вид критериально-ориентированного теста составлен для того, чтобы интерпретировать результаты тестирования по отношению к определенной области содержания. Эта интерпретация может совершаться различными способами, которые зависят от цели тестирования.Определение теста должно служить базисом для установления границ данной концепции.

Критериально-ориентированный тест - это такой тест, который намеренно составлен, чтобы производить педагогические измерения и напрямую интерпретироваться в терминах точно определенного стандарта. Данные педагогического измерения производятся путем набора тестовых заданий из соответствующей области содержания.

Критериально-ориентированные тесты специально составлены таким образом, чтобы обобщить результаты индивидуальных баллов относительно определенного содержания. Причем тестовые задания могут включать как проверку содержания, так и проверку навыков и умений.

Ученые-тестологи называют областью содержания теста тот полный обьем знаний, умений и навыков, который должен быть усвоен студентами в результате определенного курса обучения и которым измеряется критериально-ориентированным тестом.

В литературе по тестологии (или педагогическим измерениям) выделяют два основных вида критериально-ориентированных тестов, отличающихся друг от друга по ряду характеристик. Установившихся названий для этих видов на русском языке(а мы ознакомились с литературой по тестологии, изданной на этом языке) пока не существует.

Критериально-ориентированные тесты намеренно составляются таким образом, чтобы аттестовать уровень индивидуальных достижений обучающихся по отношению к заранее определенности области содержания. Принципиальный интерес при их разработке представляет строгая и точная спецификация области содержания теста. Это необходимо для того, чтобы увеличить до максимального уровня обоснованность интерпретации индивидуальных баллов студентов. Именно акцентрированное внимание на области содержания (domain) внушило некоторым исследователям идею наименования таких тестов как domein-referenced. что можно перевести как тесты, ориертированные на область содержания. Этот тип критериально-ориентированных тестов предназначен для оценки доля от полного обьема учебного материала, которую усвоил

испытуемый. Предполагается, что в результате обучения учащихся должны приобрести определенную сумму знаний,умений иновыков, которая является областью содержания теста и условно принимается за 100%. Уровень учебных достижений каждого испытуемого можно выразить в проценте от полного обьема области содержания теста. Для итовогового контроля наиболее естественно применять именно этот тип тестов.

На практике существует и другой тип критериально-ориентированных тестов. Называются такие тесты mastery tests, т. е. «тесты на мастерство» или «квалификационные тесты». Они применяются для определения в группе ислытуемых квалифицированных и неквалифицированных (masters and nomasters) в какой либо области. Эмпирическая процедура анализа тестовых заданий в данном случае рекомендована для того, чтобы определить «чувствительность» тестовых заданий к различию между обученными и необученными испытуемыми. Чаще всего такие тесты используются для разделеня испытуемых на две группы: усвоивших и не усвоивших необходимый навык на базе определенной области содержания. Иногда происходит деление на большее количество групп. Например, на тех, которые полностью овладели навыкам, и на тех, которым лучше закрепить его, а также на группу цчащихся, которым надо начать изучение материала с самого начала. Для отнесения к определенной группе испытуемый должен достичь необходимого минимального стандарта образования. Этот стандарт установливается разработчиками теста и является критерием, на основании которого принимается решение относительно испытуемого. В тесте данный стандарт выражается определенным количеством правильно выполненых заданий.

Литература

1. Аванесов С.В. Композиция тестовых заданий. М.,1998
2. Майоров А. Н. Теория и практика создания тестов для образования. М.,2000
3. Саенко О. Организация и содержание методической работы в колледже. М.,2008
4. Михаилычев Е. А. Нормативные и критериальные дидактические тесты //Дидактическая Тестология. М.,2001
5. Сафонцев С.А. Критериально-ориентированное тестирование //Педдиагностика,2002, №1

კრიტერიალურ-მაორიენტირებელი ტესტი: განმარტება, სახეები, გამოყენება

ქეთევან ვარდანაშვილი

ავტორი, ეფუძნება-რა დიდაქტიკური ტესტოლოგიის სფეროში არსებულ მდიდარ გამოკვლევებს, იძლევა კრიტერიალურ-მაორიენტირებელი ტესტის საკუთარ განმარტებას, მათ დანიშნულებას მოსწავლეებში ცოდნის მოცულობისა და უნარ-ჩვევების დიაგნოსტირების პროცესში.

Criteria-Orientating Test: Explanation, Types, Usage

Ketevan Vardanashvili

The author, based on rich investigation existing in the field of didactical testing, gives private explanation about criateria-orientating test, their destinations in the process of diagnostics of volume of knowlegje and skills students.

Межкультурная коммуникация в процессе преподавания русского языка

Бондаренко Т. А.
Грузинский технический университет
Тбилиси, Костава 77

Сегодняшняя современная ситуация диктует новые требования в преподавании иностранных языков. Для изучения иностранных языков необходимо также понимание ментальности народа, культуры, прошлого и настоящего народа, чей язык мы изучаем. Для обучения студентов иностранным языкам нужно не только ознакомление с литературой и культурой изучаемого языка, но и составление таких диалогов, с которыми они будут встречаться в повседневной жизни. Изучая русский язык грузинские студенты одновременно должны знакомится и с богатой культурой прошлого и с современными реалиями, для того, чтобы лучше изучить язык. Иностранный язык объективно является общественной ценностью, поэтому его изучение в ВУЗе должно способствовать расширению не только специального, но и общего кругозора студентов. При изучении иностранного языка учащиеся овладевают новыми средствами общения для непосредственного доступа к ценностям мировой культуры, в особенности к культурным ценностям страны изучаемого языка : ее истории, географии, науке, литературе, искусству. Единственной и максимальной целью преподавания культуры в связи с языком является формировании личности на рубеже культур, а отсюда вытекает, что методисты и преподаватели должны ознакомиться с закономерностями и результатами процесса усвоения человеком новой культуры. В тесной связи с указанной проблемой стоит еще один комплекс методических вопросов, а именно социокультурный аспект при обучении иностранным языкам. Язык не может изучаться изолированно, то есть как набор лексических и грамматических правил. Это инструмент воспитания международно ориентированной личности, осознающей взаимозависимость и целостность мира, необходимость межкультурного сотрудничества в решении глобальных проблем человечества.(ELT News, 1996).

Межкультурная коммуникация – это адекватное взаимопонимание двух участников коммуникативного акта, принадлежащих к разным национальным культурам. Дело в том, что даже владея одним и тем же языком, люди не всегда могут понять друг друга, и причиной часто является именно расхождение культур. Именно поэтому цель преподавания иностранных языков – это в первую очередь обеспечение межкультурного общения и взаимопонимания между партнерами. Ознакомление студентов с межкультурным компонентом языка можно осуществлять, используя лингвострановедческие комментарии, видеофильмы, песни на изучаемом языке. Кроме этого формирование у учащихся национально-культурного компонента включает не только знакомство с историей, традициями, выдающимися людьми страны изучаемого языка, но в первую очередь должно давать знания, которые пригодятся учащемуся непосредственно в ситуациях общения, поэтому лекции должны строится так, чтобы студент знакомилсяч с ментальностью народа изучаемого языка и надо обучать языку повседневного общения. Обучение языку на продвинутом этапе должно строится как изучение феномена культуры народа, который говорит на этом языке.

В процессе обучения свободное владение языком достигается не через набор слов и даже не благодаря знанию грамматических моделей, а благодаря тому, что на их

основе обучаемый усваивает язык чужой культуры, явленный в национальных концептах.

Концепт – «термин, служащий объяснению единиц ментальных или психических ресурсов нашего сознания и той информационной структуры, которая отражает знание и опыт человека; оперативная содержательная единица памяти, концептуальной системы и языка мозга (*lingua mentalis*), всей картины мира, отраженной в человеческой психике». (Кубрякова 1996: 90 6 Кубрякова Е. С. 1996, *Концепт, Краткий словарь когнитивных терминов*, Москва, МГУ, с. 90). Еще В. Гумбольдт писал о том, что каждый язык содержит характерный для данного этноса взгляд на мир, картину мира. Язык как бы очерчивает круг вокруг социума, и выйти за его пределы возможно лишь переступив в другой языковой мир. Язык как универсальное хранилище общественного знания, приобретаемого веками коллективного опыта, «через все сказанное народами в прошлом воздействует на индивид» (Гумбольдт 1985: 3728 Гумбольдт В. 1985, *Язык и философия культуры*, Москва), поэтому содержит в себе и информацию о системе ценностных ориентаций нации, об образе жизни и мышления языковой личности.

Каждый естественный язык представляет собой определенный способ восприятия и концептуализации мира. Такая концептуализация отражает единую систему взглядов, охватывающую все стороны бытия, включая в себя человека как составную часть этого бытия. Наиболее сложным и интересным является внутренний мир человека.

Можно отметить, что, если мы хотим описать то, что стоит за тем или иным культурно значимым концептом в сознании современного человека, экскурс в прошлое лексики необходим, чтобы ответить на вопрос, почему именно этот образ сложился в сознании того или иного этноса за данным концептом. Все дело в том, что вступая в общение с представителями других культур, люди, как правило, используют модели и тактику поведения, принятые и закрепленные в их родной социокультурной среде. Но при столкновении с иной культурой собственный набор стереотипов и стандартных правил общения у коммуникантов зачастую не срабатывает, что оборачивается увеличением коммуникативных неудач и становится причиной возникновения социокультурных и межкультурных конфликтов.

Изучение межкультурного взаимодействия возможно только в единой системе координат, т. е. при наличии поля сопоставлений, поиск которого может вестись или в единой системе категорий (обычаи, нравы, образ жизни, этикет), или в единстве / кардинальном несходстве систем культурных ценностей. Достаточно перспективным представляется уровневый подход к понятию «межкультурная коммуникация» на примере русско-грузинского межкультурного взаимодействия.

Язык служит основным инструментом в познании окружающего мира и определяет тип мировосприятия. Наличие общей картины мира обеспечивает взаимопонимание участников коммуникации, поскольку именно она составляет смысловой каркас высказывания. На коммуникативном уровне возможен анализ особенностей национального коммуникативного поведения.

Так, например, говоря об особенностях национального характера грузин, исследователи отмечают такие качества, как доброта, открытость, человечность, чувство юмора, чувство собственного достоинства, гордость, гостеприимство и др. Вот почему выявление и учет наиболее значимых национальных характерологических особенностей участников межкультурного взаимодействия, соотношения в них универсального и национального позволяет выстроить национально ориентированную парадигму обучения иностранным языкам. На страноведческом уровне подвергаются анализу следующие характеристики сопоставляемых лингвокультурных общностей: а)

природный и культурный ландшафт, образы, сопоставление пространственного мышления разных народов может происходить посредством сопоставления пространственной лексики или пейзажных описаний в литературе; б) социальный мир: образование и культура, наука, социальные ценности и нормы; в) религия; г) история взаимодействия культур; д) история страны. Искусствоведческий уровень дает возможность сравнить музыкальные традиции контактируемых народов, произведений живописи и художественной литературы. Межкультурное обучение представляет собой освоение основных черт неродной культуры; процесс продвижения от этноцентрической позиции к осознанию, оцениванию и уважению незнакомой культуры. При организации работы в контексте межкультурной коммуникации особенно важным представляется формирование умения осознать явления иноязычной культуры и сделать перенос на свои национальные традиции и явления родной культуры.

კულტურათაშორისო კომუნიკაცია რუსული ენის სწავლების პროცესში

თ. ბონდარენკო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

საერთაშორისო კონტაკტებისა და კავშირების პროგრესირებადი განვითარება პოლიტიკაში, ეკონომიკასა და კულტურაში განაპირობებს თანმიმდევრულ ორიენტაციას უცხო ენების შესწავლის თანამედროვე მეთოდიკაში კომუნიკაციის რეალურ პირობებში.

მაშასადამე, უცხო ენის შესწავლის მიზანს წარმოადგენს საბაზო კურსის ფარგლებში მოსწავლეების მიერ უცხოენოვანი საუბრის ათვისება, რომლის პროცესში ხდება სტუდენტის პიროვნების აღზრდა, განვითარება და განათლება.

Intercultural Communication in the teaching of Russian language

T. Bondarenko
Georgian Technical University
Kostava Str., 77, Tbilisi, Georgia

The progressive development of international contacts and connections in politics, economy and culture and other fields causes a consistent orientation of the modern methods of teaching foreign languages in real-world communication.

Thus, the purpose of foreign language teaching in the basic course is to master thebasics of foreign language learners communicate in the process of which iseducation, personal development and education of the student. Mastering the basics of foreign language communication requires students to achieve communicative competence, which will allow them to make practical use of language in a relativelynatural conditions of communication.

Типовые речевые единицы и учебно-профессиональное общение.

Б.Имнадзе,
Грузинский технический университет
Тбилиси,Костава, 77.

Конечное обучение языку предполагает реализацию коммуникативной цели. Для чего необходим такой подбор учебного материала, который сможет способствовать развитию различных видов речевой деятельности. Между тем. представленный в программах и в других учебных пособиях материал. отнюдь не способствует постановке при обучении коммуникативных задач. Следовательно возникает необходимость создания материалов,обеспечивающих коммуникативные потребности, а для этого нам нужно располагать для обучения практически актуальными фрагментами реальной речевой действительности. В статье предпринята попытка функционально-лингвистического исследования устной учебно-профессиональной речи, направленной на овладение языком специальности. Подобное описание позволяет создать для обучающихся базу коммуникативного минимума, учебные аудиотексты и пособия по обучению научного диалога. Между тем, хотя в последние годы интерес к устным формам коммуникации ощутимо возрос. Следует признать, что в основном преимущественно исследовались лишь отдельные лингвистические параметры устной научной речи. Тогда как всестороннее изучение социально-речевых разновидностей как целостных объектов несомненно более важно и с теоретической и с практической точек зрения. Традиционные пять функциональных стилей не покрывают функционально-стилистического многообразия современного русского языка и не отражают специфики стилистических особенностей его отдельных функциональных разновидностей.

Согласно принципу активной коммуникативности обучающиеся должны включаться в с оциально-речевую реальность, которая может проявляться лишь в определенных ситуациях общения. обладающих конструктивным и языковым своеобразием.

Отобранный коммуникативный материал должен быть адекватен конкретным коммуникативным потребностям нашего контингента обучаемых. Тогда он составит базу для научно обоснованной программы обучения. Необходимо, чтобы программа эта учитывала типовые речевые единицы. Отражающие структуру речевого поведения в конкретных сферах общения и видах речевой деятельности, которые будут соответствовать целям обучения. Такие коммуникативные единицы должны носить комплексны характер, выражаемый в усвоении разных аспектов языка (фонетика, морфология, синтаксис, лексика) и содержать важнейшие языковые характеристики текста определенной коммуникативной направленности.

В настоящее время, при обучении языку специальности мало внимания уделяется таким коммуникативным ситуациям, которые важны для обучающихся в ходе их учебно-производственной деятельности постолько, посколько, учебно-профессиональное общение есть составная часть учебно-научного общения с собственным кругом типовых учебно-производственных ситуаций (это все виды обучающей деятельности - лекции, практическо-семинарские занятия, операционные действия с с различными объектами,зачеты, колоквиумы, экзамены и прочее).

Обратим внимание для исследования на наиболее типичные ситуативно-речевые разновидности: **б е с е д а (устное** или письменное практическое занятие по преимуществу вопросно-ответного типа и **о п р о с** (разновидность экзамена). Материалы речевого общения преподавателя были студентами записаны и затем проанализированы. Длина речевого массива примерно составила более 100 тысяч

словоупотреблений, при этом анализ расшифрованных записей речевогообщения в отобранных ситуациях показал, что общение преподавателя и обучающегося есть не только социально установленные сферы и формы общения, но и своеобразные речевые ценности с собственными динамическими структурами, определенным набором активных речевых функций и особыми языковыми характеристиками. Речь при этом не собственно н а у ч н ы й с т и л ь, а стилистическое качество – в которой при общей научно-речевой основе чувствительную активность проявляют элементы разговорной и порой обиходно-деловой речи. Системные особенности данных целостных объектов мы условно назвали ситуативно-речевыми ценностностями, и они проявляются в единстве только трех планов: содержательно-композиционном, функционально-смысловом и формально-языковом.

Наиболее ярко выраженной в своей специфике является ситуативно-речевая целостность в рамках общения (беседы) по общенаучной дисциплине. Особенности системы коммуникации при этом несут определенную страноведческую информацию, а знакомство с этой системой достигается путем использования на занятиях различных ситуаций общения.

В результате участия обучающихся в реальных коммуникативных ситуациях достигается их знакомство с особенностями поведения носителей языка, формулами речевого этикета, овладевают навыками адекватного речевого поведения в естественных условиях.Однако знакомство студентов с практически актуальными для них ситуациями общения предполагает не только профилактику лингвострановедческой интерференции, но и, в первую очередь, овладение конкретным языково-речевым инвентарем, необходимом для общения в определенных сферах коммуникации, в нашем случае учебно-профессиональной.

Беседа представляет собой прямой и контактный вид коммуникации, структура речи преподавателя и студента зависит от динамического соотношения их ролевых функций и личного отношения друг к другу и предмету речи. Будучи лидером общения, преподаватель сам выбирает деятельность в зависимости от того, каков адресат. В зависимости от этого меняется тактика преподавания и степень речевой реализации. Для решения конкретных коммуникативных задач преподаватель избирает необходимую тактику; каковы же эти задачи? Получить информацию о каком-либо явлении; выявить степень понимания того илли иного вопроса; разобрать ошибку; стимулировать обучаемых к мышлению, познавательной деятельности; поддержать коммуникацию посредством дополнительного вопроса; вмешаться в зяковое оформление т.д и т.д. Отмеченные речевые интенции теоретически возможно и практически необходимо представить в виде конечного списка, где они составят содержательную стоорону, а формальная сторона будет выражена структурно-языковыми единицами, которыми должен владеть обучаемый для общения в отобранных ситуациях.

Анализ взаимоотношений преподавателя со студентами показал, что такая коммуникация представляет собой особую разновидность диалогического текста, имеющего свою внутреннюю динамику, специфическое разветвление диалогических тактик и соответвующего, хотя и с некоторыми оговорками, всем требованиям «построенного» текста. Это подтверждает мысль, что естественный осмысленный диалог, имеющий содержательную организацию, функционально направленную на достижение определенной цели, является целостным текстом.

Концепция иерархичности языка – речи (Васильева), принятая нами в данной статье, позволяет выделить из исследуемых ситуаций учебно-профессиональной сферы общения производные от главных функций языка более «мелкие» сферы общения. В анализируемых ситуативно-речевых целостностях интенции преподавателя представляют собой набор частно-типовых функций. Которые и образуют специфическое

функциолнальное поле учебного общения, она не проявляется в подобной совокупности ни в какой другой малой системе коммуникативных единиц.[1] В речи преподавателя можно выделить примерно 10 основных частно-типовых функций речи – систематизируемых по содержанию и целенаправленности и обладают собственным набором языковых средств выражения. Наиболее актуальными среди них можно считать следующие функционально-смысловые единицы, запрас информации; сообщение информации; ввод дополнительного вопроса; провокационный вопрос; корректировка ответа; подсказка; побуждение; оценка; контакт; отраженная речь;. Разновидности, наблюдающиеся в данных единицах различаются по содержанию и оформлению. Между тем отдельные функционально-смысловые единицы представляют собой устойчивые лексико-синтаксические единства, которые обладают воспроизводимостью и повторяемостью.

Отсюда и типичной чертой речи преподавателя является активность, обладающая воспроизводимостью и повторяемостью устойчивых лексико-синтаксических единиц. Высокая стандартность и частотность ситуаций вырабатывает автоматизм речи преподавателя, связанного с запрограммированным планом высказывания и разговорными построениями, включенными в в собственный научный текст. Автоматизму при этом способствует диалогическая речь, когда участники речевого акта выступают один за другим при этом нужна одновременность восприятия речи партнера и формирование собственной речи (Кожевникова). Таким образом повышается требование к мыслительным процессам говорящего, потому что они вынуждены создавать свои высказывания непосредственно, без предварительного обдумывния, что вынуждает их пользоваться готовыми конструкциями. Подобные построения обладают свойством неормы собственными структурными особенностями. Они кратки, поэтому порой представляют собой неполные предложения, усеченные конструкции.Отсюда возникает необходимость усвоения готовых коммуникативных блоков, что способствует оптимизации обучения языку.

Реализация речевого акта связана с социально-психологическими характеристиками партнеров коммуникации, их ролевым взаимодествиям, что оказывает влияние на способы организации речи в типичных коммуникативных ситуациях. Психологическую базу участников коммуникации,влияющую на стилистическую организацию речи, представляют собой особенности межличностных отношений участников коммуникации – это использование различных экспрессивных средств с разной интенсивностью разговорной окраски. На практических занятиях наибольший удельный вес при коммуникативном общении занимает запрос информации, который представляет основную основнуюособой обобщенную функционально-смысловую единицу, реализующую рациональный компонент содержания об общения, она представлена наибольшей группой разновидностей: запрос по формулировке законов, о номинации, об уточнению информации, о степени понимания, операционный, «лингвистический» или частный запрос. Как же выражаются эти единицы? Так, запрос об определении понятий (формулировке закона) выражается в форме прямых вопросов, форме побуждений и пр. Основные способы организации являются универсальные структуры с глаголом связкой н а з ы в а т ь с я. Это соответствует письменным текстам научного стиля, где наиболее распространены структуры – что называется чем, что называют чем (Виницкая, 1981), путем использования устойчивого вопросительного сочетания ЧТО ТАКОЕ. Этот постоянный компонент может актуализироваться присоединительными, усилительно-присоединительными и модальными частицами. А что же такое то-то и то-то? Порой актуализация усиливается препозитивными

конструкциями, которые выражают апелляцию к собеседнику, желание привлечь его внимание: Вы знаете, что такое ....? Или для усиления направленности внимания собеседника на объект запроса: Скажите,что такое ....; типизированной конструкцией; побудительными предложениями – «директивными формулами» с глаголами д а т ь, сформулировать.

С помощью глаголов операционного действия, для семантики которых характерна высокая степень конкретизации. Здесь основными способами выражения являются: побудительные конвтрукции, вопросы-побуждения с модальным словом м о ж н о либо глаголом м о ч ь и т.п.

Запрос об уточнении какого то уточнения относительно объекта, образа действия, характеристики объекта ...Способами, уточняющими выражения вопросов могут быть: использование альтернативного вопроса; различных актуализаций, с помощью постоянного лексического компонента (А как узнать...).

В исследуемых ситуативно-речевых целостностях есть вспомогательные единицы, которые представляю субъективный план коммуникации, обусловленный индивидуально-психологическими особенностями коммуникантов, и помогают извлечь основную информацию. Они, названные единицы, тесно переплетаются между собой и в совокупности создают специфическую функциональную модель ситуативно- речевой деятельности. Каковы же эти единицы? 1. побуждение – прямой или косвенный стимулятор к манифестации знаний. А) к мышлению, б) к действию, в) к продолжению ответа, г) к повторению сказанного, д) вопрос-побуждение (к рассуждению). Налаживание контакта – связано с субъективным планом общения. Для этого используются речевые разновидности для привлечения внимания собеседника – Правда, что ...? Для выражения готовности к коммуникации, типа – Слушаю вас ..., Прошу вас... для поддержания коммуникации – Я понимаю, для обращения к конекретному адресату, друг, отвечай, говори, кто скажет? Для побуждения психологической реакции Не волнуйтесь..., Быстрее..., выполнение социальных норм, экзлтического характера выражения – да что вы..., подведение итога – на этом давайте зхакончим и т.д.

Особо следует отметить, что функционально-коммуникативные задачи, которые возникают в условиях устного учебно-профессионального общения, могут быть реализованы посредством взаимопроникновения функциональных и формальных аспектов, где решающая роль принадлежит функциональному аспекту, тогда как языковые средства выражения в некотором роде ограничены, особенно по сравнению с письменной формой научной речи.

Изучение этого явления показало, что одна и та же функция может обслуживаться разными формами при присутствии аолуфункциональных высказываний.

Важное знеачение в рассматриваемых интуитивно-речевых целостностях имеют средства активизации высказывания. Это разного рода лексические конкретизаторы, модальные и побудительные частицы, инверсивные построения, интонационные выделения персонификации, слова-сигналы и другие средства, которые отдельно или в различных комбинациях создают специфический тип организации, явный налет разговорности.

ЛИТЕРАТУРА

1. Васильева А.Н. Функциональное направление в лингвистике и его значение в преподавании русского языка как иностранного. М.1987.
2. Виницкая В.М. – Особенности функционирования именного сказуемого в учебно-научной литературе технического профиля. М..2009.
3. Кожевникова К.Р. Спонтанная устная речь в эпической прозе, Прага., 2005.

4. Леонтьев А.А. – Высказывание как предмет лингвистики, психолингвистики и теории коммуникации. В кн., Синтаксис текста. М, 1979.

Typical Units of Speech and Professional Teaching relations

B.Imnadze
At Georgian State Technical University.
77 Kostava st. Tbilisi.

The realization of teaching communication is determined by necessary material forcach time of studyingю
The paper deals with professional oral speech material which was developed on the basisof practical oral training.
Professional speech functional – lingvistic forms have been partially studied.

მეტყველების ტიპური ერთეულები და სასწავლო-პროფესიული (პროფესიონალური) ურთიერთობა

გ.იმნაძე,
სტუ, თბილისი,კოსტავას 77

სწავლების კომუნიკაციური მიზნის რეალიზაცია განპირობებულია მეტყველების ყველა ფორმისათვის აუცილებელი სასწავლო მასალით.

სტატიაში ზეპირ სასწავლო პროფესიული ურთიერთობისათვის საჭირო პრაქტიკულად აქტუალური სამეტყველო მასალაა დამუშავებული და წარმოდგენილი. ნაწილობრივად გამოკვლეულია სასწავლო-პროფესიული მეტყველების ფუნქციონალურ-ლინგვისტური ფორმები.

ქართულ აუდიტორიაში რიცხვითი სახელის სწავლების ზოგიერთი თავისებურებანი

ოლღა კალანდარიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას 77

ქართველებისათვის რიცხვითი სახელის შესწავლისათვის ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ქართულში დათვლა ხდება ოცეულებით, ხოლო რუსულში – ათეულებით. სკოლაში ამ საკითხის შესწავლას დიდი დრო ეთმობა და სტუდენტებისათვის იგი პრობლემა უკვე აღარ არის.

გაცილებით რთულია რიცხვითი სახელის სინტაქსური ფორმების შესწავლა, რადგან თუ რიცხვითი სახელი წინადადებაში არის განსაზღვრება, იგი მართავს არსებითი სახელის ბრუნვას. ქართულსა და რუსულში ეს ბრუნვის ფორმები ხშირად სრულიად არ ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ სტუდენტები სწორედ რიცხვითი სახელის არსებით სახელთან შეთანხმებისას უამრავ შეცდომას უშვებენ. მაგ. ქართულიდან რუსულად სიტყვასიტყვით თარგმანში იქნება: 5 მანქანა – пять машина, მამამ მოკლა ორი დათვი – папа убил два медведь; ალი-ბაბა და ორმოცი ყაჩაღი – Али-баба и сорок разбойник და ა. შ.

რუსულში რიცხვითი სახელი წინადადებაში შეიძლება იყოს:

1) ქვემდებარე – В лаборатории установили два станка – ქართველმა შეიძლება თქვას, два станок (ორი დაზგა) ვინაიდან დაზგა სახელობით ბრუნვაშია, ხოლო რუსულში რიცხვითი სახელი 2-ის შემდეგ არსებითი სახელი ყოველთვის დგას ნათესაობით ბრუნვაში.

2) შედგენილი შემასმენლის (именная часть) სახელობითი ნაწილი Во всём он был первым (Тв.п.) ის ყველაფერში პირველი იყო (სახ. ბრ.). ამიტომ ხშირია ასეთი ტიპის შეცდომა Во всём он был первый – И.п.

3) დამატება – Строители построили четыре (И.п.) дома (Р.п.) – მშენებლებმა ოთხი სახლი ააშენეს, ქართულში როგორც არსებითი სახელი, ასევე რიცხვითი სახელი სახელობით ბრუნვაში დგას, ამიტომ ხშირია ასეთი შეცდომა: построили четыре дом.

4) განსაზღვრება – студент готовился к трём экзаменам - სტუდენტი სამი გამოცდისთვის ემზადებოდა. მშობლიური ენის ზეგავლენით სტუდენტმა შეიძლება თარგმნოს შემდეგნაირად – студент готовился к три экзамену.

ქართველი სტუდენტებისათვის ძალიან ძნელია რიცხვითი სახელების два, три, четыре, оба, обе, двое, трое, пятеро – ფორმების ხმარება, რადგანაც იმის მიხედვით სულიერია, თუ უსულო არსებითი სახელი ვნებით ბრუნვაში (в.п.) იცვლება ბრუნვის ნიშანი. მაგ:

Я увидел двух охотников	მე დავინახე ორი მონადირე
Я увидел два стола	მე დავინახე ორი მაგიდა

როგორც ვხედავთ, ქართულში არანაირი ცვლილება არ აღინიშნება, ამიტომ ხშირია ასეთი შეცდომები: Я увидел два охотни და ა.შ.

ქართველ სტუდენტებს ხშირად უჭირთ რიცხვითი სახელების ორი, სამი, ოთხი-ს შეთანხმება არსებით სახელთან, რადგან რუსულში არსებითი სახელი დგას მხოლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში (Ед.ч. Р.п.). მაგ. два стола, две кошки, три портфеля, четыре окна, რაც შეეხება 5-ის ზემოთ მყოფ ციფრებს, ამ შემთხვევაში არსებითი სახელი დგას მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში (Мн.ч. Р.п.) пять, десять, пятьдесять столов, кошек, портфелей, окон და ა.შ. ქართულში კი არსებითი სახელი ყოველთვის მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში დგას. მაგ. ორი ბიჭი, ხუთი, ათი, ორმოცდაათი ბიჭი (მხ.რ. სახ.ბრ.). აქედან მოდის შეცდომები пять книга, два стол და ა.შ.

როგორც ქართულში, ასევე რუსულშიც რიცხვითი სახელები იბრუნვის. ქართულში რაოდენობითი რიცხვითი სახელი ისევე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი, ხოლო რიგობითი რიცხვითი სახელი, როგორც ზედსართავი სახელი. მაგ. ორი, ორმა, ორს და ა. შ. მეორე, მეორემ, მეორეს და ა. შ.

შედგენილი რიცხვითი სახელის შემთხვევაში იბრუნვის მხოლოდ მეორე ნაწილი: ოცდა სამი, ოცდა სამმა, ოცდა სამს და ა. შ.

სრულიად განსხვავებული სურათია რუსულში. რიცხვითი სახელის ბრუნება საკმაოდ მრავალფეროვანია. ზოგი (მაგ. один, два, три, четыре) იბრუნვის ნაცვალსახელების მსგავსად, 5-დან 20-მდე და 30 – როგორც მესამე ტიპის ბრუნების არსებითი სახელები (მდედრობითი სქესის ь ნიშნით დაბოლოებული). მაგალითად, როგორც სიტყვა кость, მილიონი და მილიარდი – როგორც მამრობითი სქესის თანხმოვანზე დაბოლოებული არსებითი სახელები, ხოლო ათასი – тысяча, როგორც а-ზე დაბოლოებული მდედრობითი სქესის არსებითი სახელები. განსაკუთრებულ ჯგუფს განეკუთვნება ისეთი რიცხვითი სახელების ბრუნება, როგორიცაა 40, 90, 100 და ერთნახევარი (полтора). აქ სახელობითი და ვნებითი ბრუნვის ნიშნები ემთხვევა, ხოლო დანარჩენ ბრუნ-

ვებში გვაქვს დაბოლოება а, რაც შეეხება რთულ რიცხვით სახელებს 11-დან 20-მდე, 30, 40, 90 და 100 იბრუნვიან მარტივად, მხოლოდ სიტყვის მეორე ნაწილი იბრუნვის. მაგ. тринадцать, тринадцати, тринадцатью და ა. შ. შედგენილ რიცხვით სახელებში კი ორივე ნაწილი იბრუნვის. მაგ. двадцать три, двадцати трёх, двадцати трём და ა. შ.

უნდა მიექცეს ყურადღება 2, 3, 4 რიცხვითი სახელების ბრუნებას. აქ ფუძე იცვლება. მაგ. два, двух, двумя…, четыре, четырёх, четырём. რიცხვითი სახელის два ფუძე ნათესაობით, მიცემით და მოქმედებით ბრუნვებში მთავრდება «у» ხმოვანზე (дву+х – ნათ.ბრ. дву+м – მიც.ბრ. двумя – მოქმ.ბრ.), ხოლო რიცხვითი სახელების 3, 4 ხმოვანზე ё, გარდა რიცხვითი სახელი 4-ის მოქმედებითი ბრუნვისა, რომელიც სახელობითი და ვნებითი ბრუნვის ფუძისაგან იწარმოება და თანხმოვნით ბოლოვდება. მაგ. ნათესაობითი ბრუნვა трё+х. четырё+х, მიც. ბრ. - трё+м, четырё+м, მოქ.ბრ. - тре+мя, ხოლო ოთხი იქნება четырь+мя.

რიცხვითი სახელის არსებით სახელთან შეთანხმების შესწავლა შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1) один, одна, одно – არსებით სახელთან
2) два, три, четыре – არსებით სახელთან
3) 5-დან 20-მდე, 30, 40 ათეულები 50-დან 80-მდე, 100 – არსებით სახელთან.
4) 21, 22, 2, 31, 32, 33, 41, 42, 51, 52 და ა. შ. – არსებით სახელთან.

სწავლების დროს უნდა იქნას დაცული თანმიმდევრობა. პირველ ჯგუფში უნდა მივაწოდოთ რიცხვითი სახელი 1 – (один, одна, одно) არსებითი სახელების სქესის შესწავლის პარალელურად. შემდეგ შემოგვაქვს რიცხვითი სახელები მამრობითი და საშუალო სქესის სახელებთან, ხოლო ამის შემდეგ მდედრობითი სქესის არსებით სახელებთან. ასეთი თანმიმდევრობა საჭიროა იმიტომ, რომ მდედრობითი სქესის არსებით სახელებს მხოლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში და მრავლობით რიცხვში ერთნაირი დაბოლოება აქვთ, რაც იწვევს სტუდენტების დაბნევას. ამასთან, თუ ჯერ რიცხვითი სახელის მდედრობითი სქესის არსებით სახელთან შეთანხმებას ვისწავლით, ხშირად მამრობითი და საშუალო სქესის არსებით სახელებთან ბრუნებისას სტუდენტები უკვე ნასწავლის ზეგავლენით შემდეგი ტიპის შეცდომებს უშვებენ: три ученики, два журналы და ა. შ.

მომავალ ეტაპზე უნდა მოხდეს იმ არსებითი სახელების მიწოდება, რომლებსაც მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანი არა აქვს. მაგ. (парт, яблок) და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს იმ არსებითი სახელების შემოტანა, რომლებსაც მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში აქვთ ов, ев,ей დაბოლოებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვაჭაძე ლ. ქართული ენა, ნაწილი I, თბ. 1961წ.
2. შანიძე ა. ქართული ენა. X გამოცემა. თბ. 1983წ.
3. Имнадзе Б.Л. Основы методики русского языка в неязыковых вузах. Тб. 1997г.

Some features of studying of Russian numeral in the Georgian audience

Olga Kalandarishvili
Georgian Technical University
Tbilisi, Kostava 77

The problems which we are discussing in this article are particularly actual for teaching methods of Russian language on Georgian faculties. As Russian and Georgian languages belong typically to different groups of languages they essentially differ from each other.

Некоторые особенности изучения русского числительного в грузинской аудитории

Ольга Каландаришвили
Грузинский Технический Университет
Тбилиси, Костава 77

Для методики обучения русскому языку на грузинских факультетах проблемы, которые мы рассматриваем, особенно актуальны, так как русский и грузинский языки принадлежат к двум типологически разным языковым группам и значительно отличаются друг от друга.

სქესობრივი სტერეოტიპებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის განცდის ურთიერთდამოკიდებულება

ნინო ქავჭაია
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ილ. ჭავჭავაძის გამზირი 2

რამდენიმე წლის წინ მიღებულად და გამართლებულად ითვლებოდა შეხედულება, რომლის თანახმად, მამრობითობა მამაკაცებში და ქალურობა ქალებში საყოველთაოდ იყო აღიარებული და ეფუძნებოდა სქესობრივი სტერეოტიპების შესახებ არსებულ ტრადიციულ შეხედულებებს, სქესობრივ ტიპიზაციას [1, 4]. სქესობრივად ტიპიზირებული პიროვნება, ტრადიციული თვალსაზრისით, პიროვნების სიჯანსაღეს ნიშნავს. მასკულინობა და ფემინურობა, მრავალი მეცნიერის აზრით, მკაცრად დიქოტომიურია და ყოველი მცირეოდენი გადახრაც კი ამ ნორმიდან აღიქმება, როგორც პათოლოგია ან და მისკენ გადადგმული ნაბიჯი. გასულ საუკუნეში დაწყებულმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა ეჭვის ქვეშ დააყენა სქესობრივი როლების დიფერენციაციის საკითხი. ფემინისტური მოძრაობის წარმომადგენლებმა მიუთითეს მასკულინობისა და ფემინურობის იმ მოძველებულ სტანდარტებზე, რომლებიც აღარ შეესატყვისება თანამედროვე ცხოვრებას.

მათი აზრით, თანამედროვე პიროვნება „ანდროგინული ტიპია", რომელიც თავის თავში მოიცავს ინსტრუმენტალურობა – ექსპრესიულობას, მასკულინობა – ფემინურობას და ახორციელებს ქცევათა იმ რიგს, რომლებიც მოცემული სიტუაციის შესატყვისია. ამ შეხედულებისგან განსხვავებით, ც. კაგანისა და ლ. კოლბერგის მიხედვით, „სქესობრივად ტიპური (ტიპიზირებული) პიროვნება მოტივირებულია, სქესობრივი როლების სოციალიზაციის პროცესში, განახორციელოს ისეთი ქცევა, რომელიც სოციალიზირებულია

სქესობრივი როლების სტანდარტების შესატყვისად. ეს ნიშნავს იმას, რომ იგი ხდება მოტივირებული, რათა შეინარჩუნოს მასკულინობის ან ფემინურობის მე-ხატი და მოახდინოს იმ ქცევების ჩახშობა, რომლებიც მისი სქესისთვის არასასურველი ან შეუფერებელია" [17, 18, 30, 31].

თანამედროვე გამოკვლევებმა, რომელთაც წინ უსწრებდა მთელი რიგი ძვრები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, ქალთა განმათავისუფლებელმა (ფემინურმა) მოძრაობებმა, ტრადიციულად არსებულ სქესობრივ სტერეოტიპებში ძირეული ცვლილებები გამოიწვია. მეცნიერთა ყურადღება გამახვილდა სოციალიზაციის პროცესების შესწავლაზე, ამიტომ მიზნად დავისახეთ, გამოგვეკვლია სქესობრივი სტერეოტიპები და შეგვესწავლა მათი გავლენა ინდივიდების მიერ საკუთარი ჯანმრთელობის განცდაზე (ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქცევებზე). ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა განპირობებულია იმ ურთიერთდამოკიდებულებების შესწავლით, რომელიც არსებობს სქესს, სქესობრივ როლს, სქესობრივ სტერეოტიპსა და ჯანმრთელობის შენარჩუნების, ან ჯანმრთელობის დარღვევის თანამედროვე ფსიქოლოგიურ პროცესებთან მიმართებაში.

ბევრ გამოკვლევაში გამოიკვეთა, სოციალურ სტატუსსა და ფიზიკური სიმპტომების ქონას შორის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება. ასევე გამოვლინდა ის, რომ სქესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე მოიცავს რა ფიზიოლოგიურ განსხვავებებს და პირველ რიგში განსხვავებებს იმ ასპექტში, თუ როგორ არიან მამაკაცები და ქალები სოციალიზირებულნი. სქესებს შორის შრომის განაწილების თანამედროვე ვარიანტმა შესატყვისი სქესობრივი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ქალები უფრო ხშირად ავადმყოფობენ და უფრო ხშირად მიმართავენ ექიმს, ვიდრე მამაკაცები, ამის მიზეზი კი უნდა ვეძებოთ იმ სტრესულ მდგომარეობაში, რაც თანამედროვე ცხოვრებამ შრომის განაწილებით მოუტანა ქალებს. აღმოჩნდა, რომ კარიერასთან დაკავშირებული პრობლემები ქალებში დიდ დაძაბვასა და სტრესს იწვევს [22, 23, 24, 25, 26].

ანალოგიური დაკვირვებები არსებობს მამაკაცებზე, რომლებიც ფაქტიურად ნეგატიურად დახასიათდა. შედეგების თანახმად აღმოჩნდა, რომ შფოთვა ასოცირდება შესატყვის მასკულინურ სქესობრივ როლთან. მამაკაცების მიერ განხორციელებული კონკურენციული ქცევები ზიანს აყენებენ ჯანმრთელობას. ასეთ შემთხვევებში აღინიშნება ძალადობის გამოვლენა, დიდი რაოდენობით თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლის ჭარბი გამოყენება, ნარკოტიკებისადმი გადამეტებული მიდრეკილება, სარისკო ქცევის ხშირი გამოვლენა [2, 3, 20].

სწორედ ამ მიზეზების გამო გადავწყვიტეთ, შეგვესწავლა კავშირი სქესობრივ სტერეოტიპებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობის განცდას შორის. არსებული ურთიერთკავშირის დასადგენად, გამოვიკვლიეთ:

ა) სქესობრივი სტერეოტიპების ერთ-ერთი სტრუქტურული მახასიათებელი (თვისებები)

<u>მეთოდი:</u> ს. ბემის სქესობრივი როლების საკვლევი ინსტრუმენტი;

ბ) იგივე შერჩევაში ცდის პირთა ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა (ზოგადი ჯანმრთელობა – ტერმინი შეთანხმებულია ექიმებთან და ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობას ნიშნავს).

<u>მეთოდი:</u> ზოგადი ჯანმრთელობის კითხვარი.

ზოგადი ჯანმრთელობის კითხვარმა საშუალება მოგვცა განგვეხილა ის ურთიერთკავშირი, რაც არსებობს ჩვენს შერჩევაში სქესობრივ სტერეოტიპებსა და ზოგად ჯანმრთელობის მდგომარეობის განცდას შორის.

გამოკვლევა ჩატარდა 312 ადამიანზე (172 ქალი და 140 მამაკაცი). იმისათვის, რათა უფრო მკვეთრად დაგვენახა სქესობრივ სტერეოტიპებში შესაძლო ცვლილებები და მათი კავშირი ჯანმრთელობის მდგომარეობის განცდასთან, ცდის პირთა კატეგორიზაცია მოვახდინეთ ასაკობრივი (I - II ასაკობრივი ჯგუფი) და ოჯახური მდგომარეობის (დაქორწინებული-დაუქორწინებელი) მიხედვით. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

ს. ბემის სქესობრივი როლების გასაზომი ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად გამოვლინდა, რომ **სქესობრივმა სტერეოტიპებმა განიცადეს ცვლილებები**, რადგან ცდის პირთა უმეტესობა სქესობრივად არატიპიზირებული აღმოჩნდა. ამის თქმის საშუალებას ჩვენ გვაძლევს ემპირიული მონაცემები: ცდის პირების სქესობრივი როლების გენდერული ტიპები არ თავსდებიან ტრადიციული ფსიქოლოგიური შეხედულებების ფარგლებში, სადაც მასკულინობა-ფემინურობა მკაცრად დიქოტომიურია. ჩვენს მიერ აღებულ შერჩევაში გამოიკვეთა ინდივიდები შემდეგი სქესობრივი როლების გენდერული ტიპებით:

- მასკულინური სქესობრივი ტიპი (ინდივიდი, რომელსაც აქვს მასკულინობის მაღალი და ფემინურობის დაბალი მაჩვენებელი);
- ფემინური სქესობრივი ტიპი (ინდივიდი, რომელსაც აქვს ფემინურობის მაღალი და მასკულინობის დაბალი მაჩვენებელი);
- ანდროგინიის მაღალი დონე (ინდივიდი, რომელსაც აქვს მასკულინობისა და ფემინურობის მაღალი მაჩვენებელი);
- ანდროგინიის დაბალი დონე (ინდივიდი, რომელსაც აქვს მასკულინობისა და ფემინურობის დაბალი მაჩვენებელი).

მიღებული ტიპების კატეგორიზაცია მოვახდინეთ ორ ჯგუფად, კერძოდ, მასკულინური და ფემინური სქესობრივი ტიპი გავაერთიანეთ სქესობრივად ტიპიზირებულ ინდივიდთა ჯგუფში, ხოლო ინდივიდები ანდროგინიის მაღალი და დაბალი დონით მივაკუთვნეთ სქესობრივად არატიპიზირებულ კატეგორიას. ცდის პირთა უმეტესობა 62,2% (194 ცდის პირი 312 ცდის პირიდან) გაერთიანდნენ სქესობრივად არატიპიზირებულ კატეგორიაში, ხოლო სქესობრივად ტიპიზირებული ინდივიდები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. მათი საერთო რაოდენობაა 312 - დან მხოლოდ 87 ცდი პირი, ანუ 27.9% (9.9% - 31 გამოტოვებული მონაცემი). ის, რომ ცდის პირთა უმეტესობა სქესობრივად არატიპიზირებულ ჯგუფში გაერთიანდა, აისახა ცდის პირების მიერ თვისებების შეფასებებზეც. მართალია, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გამოვლინდა მამაკაცური და ქალური თვისებები. ასევე გამოვლინდა ტენდენცია, რომ ცდის პირთა შეფასებები ეფუძნებოდა ზოგადად პიროვნებისათვის სასურველი თვისებების მინიჭების პრინციპს, რაც შემდეგში აისახა: მამაკაცების და ქალების სასურველი თვისებების შეფასებისას, გამოვლინდა ის, რომ მამაკაცებმა მიიღეს მაღალი საშუალო მაჩვენებლები როგორც მასკულინურ სკალაზე, ასევე ფემინურობის სკალაზე, სადაც სავარაუდოდ მათ დაბალი მაჩვენებლები უნდა მიეღოთ. ანალოგიური მონაცემები მივიღეთ ქალებისათვის სასურველი თვისებების მინიჭებისას. მსგავსი შედეგები იქნა მიღებული თითქმის ყველა ფაქტორის (სქესი, ოჯახური მდგომარეობა, სქესობრივი ტიპი) მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის შედარებითი ანალიზით.

ზოგადი ჯანმრთელობის კითხვარით ჩატარებულ კვლევამ ცხადყო, რომ კვლევაში მონაწილე ცდის პირთა უმეტესობა არ უჩივის ჯანმრთელობას (68.6%) (ამას ადასტურებს სიხშირეთა განაწილების ცხრილების X^2 კრიტე-

რიუმისა და კონტინგენციის ც კრიტერიუმი). ე.ი. ჩვენი მონაცემების თანახმად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ **მართალია ტრადიციული სქესობრივი სტერეოტიპები ცვლილებებს განიცდიან, მაგრამ ეს ცვლილებები ნეგატიურად არ აისახა ჩვენს შერჩევაში უმეტეს ინდივიდთა ზოგად ჯანმრთელობის მდგომარეობის განცდაზე.** მაშასადამე ჩვენი კვლევის შედეგად მირებულ მონაცემებში აისახა იმ თანამდეროვე გამოკვლევების სურათი, რომელთა თანახმად, **ჯანმრთელი ინდივიდის მოდელი დამყარებულია სქესობრივად არატიპიზირებულ ინდივიდებზე, ანუ ანდროგინულ ინდივიდებზე.** ჩვენი კვლევის შედეგად სწორედ ეს ტენდენცია დაფიქსირდა, რაც მსგავსია სხვა მკვლევრების მიერ ჩატარებული გამოკვლევებისა (Bernard, 1980) [17, 18, 30, 31], რომელთა თანახმად აღიარებულია ის ფაქტი, რომ "ანდროგინული ინდივიდები (androgynous არის ბერძნული ტერმინი, ანდრო ნიშნავს მამაკაცს და gyne – ქალს) სქესობრივად ტიპიზირებულ ინდივიდებთან შედარებით უპირატესობით სარგებლობენ, აქვთ რა ქცევის მოქნილობა და თვითპატივისცემის მაღალი მაჩვენებელი. ანდროგინული პიროვნება უფრო "მდიდარია", ვიდრე ის პიროვნება, რომელიც არის არაანდროგინული. ადამიანებისათვის უფრო სასარგებლო აღმოჩნდა მამარობითი და მდედრობითი თვისებების კომბინირება." ს. ბემი თვლიდა, რომ "მამაკაცური ადამიანები თავს საუკეთესოდ წარმოაჩენენ სიტუაციებში, რომელიც მოითხოვს კომპეტენციასა და აქტივობას; ქალური ადამიანები კი ემოციურად დამუხტულ სიტუაციებში, ხოლო ანდროგინული ტიპები ორივე ტიპის სიტუაციებში ეფექტურად მოქმედებენ." რა თქმა უნდა, არსებობს ამ მონაცემების დამადასტურებელი გამოკვლევებიც.

გარდა ამისა, ს. ბემი თვლიდა, რომ ქალებში ფემინურობის მაღალი მაჩვენებელი (სქესობრივად ტიპიზირებული ქალი) შეიძლება არ იყოს სასურველი, ვინაიდან ფემინურობის მაღალი მაჩვენებელი შეიძლება დაკავშირებული იყოს შფოთვის მაღალ დონესთან, თვითპატივისცემისა და სოციალური მიმღებლობის დაბალ დონესთან. შესაბამისად, მამაკაცებში მასკულინობის მაღალი მაჩვენებელი (სქესობრივად ტიპიზირებული მამაკაცი), განსაკუთრებით მოზარდობის პერიოდში დაკავშირებულია შფოთვის, ნევროტიზმის მაღალ და თვითმიმღებლობის დაბალ მაჩვენებელთან (Jose and McCarthy., 1988) [30, 31]. საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ ინტელექტუალური განვითარების მაღალი დონე კორელაციაშია გოგონებში მასკულინობის და ბიჭებში ფემინურობის მაღალ მაჩვენებელთან (Maccoby,1966) [31]. "კარგად ყოფნა, ე.ი. საკუთარ თავზე დადებითი (კარგი) წარმოდგენის ქონა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს გონებრივი (მენტალური) ჯანმრთელობისა და სწორედ ინდივიდის ანდროგინული მოდელი პასუხობს ამ მოდელს." მსგავსი ტენდენციები მივიღეთ ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Burr, Vivien. (1999). Gender and Social Psychology. London
2. Archer, John., Lloyd, Barbara., (1982). Sex and Gender. London
3. Doyle, James A., Palude, Michele A. (1998). Sex and Gender The Human Experience. London.
4. Taylor, Peplau, Sears (1997) . Social Psychology. Ninth Editor
5. Baker, T. (1980). Sex differences in Social Behavior
6. Janet T. Spence Kay Deaux and Robert L. Helmereich(1990). Sex roles in Contemporary American Society
7. Edited by David J. Hargreaves., Colley Ann M. (1950). The Psychology of Sex Roles. London University of Leicester
8. Oakley, Ann. (1972). Sex Gender and Society. London

9. Myers, David G. (1993). Social Psychology. Fourth Edition
10. Shaver, Phillip., Hendrick, Clyde. (1995). Sex and Gender. London SAGE
11. Kando, (1974) .Sexual bahavior and family life in Transition.
12. Rosenberg, Morris., Kaplan, Haward B. Social Psychology of the Self-concept.
13. Masters, William H., Johnson Virginia E., Koloday, Robert C., (1985) . Sex and Human Loving.
14. Stoller, Robert J. Sex and Gender.
15. Edited by Rosental, Robert . Skill in nonverbal communication individual differences. Harvard University OG &H Cambridge, Massachusetts.
16. Hinton, Perry R. Statistics Explained. (1995). London and New York.
17. Pagano, Robert R. (1994). Study guide to accompany understanding statistics in behavioral sciences.
18. Rodin, J., Salovey, P. (1989). Health Psychology. New Haven
19. Edited by David J. Hargreaves and Ann M. Colley. The psychology of sex roles. Harper and Row, Publishers. London
20. Jones, Linda J. The social context of health and health work. Macmillan
21. Travis, Cheryl Brown.(1988). Women and Health Psychology. LEA
22. Alder, B.(1995).Psychology of Health. h.ap
23. Fridman,Howard S., Dimatteo, M.Robin. Health Psychology. New Jersey
24. Baum, A., Singer, J. E. (1987).Handbook of Psychology and Health. London
25. Senior, M., Viveash,B. Health and Illness. Macmillan.
26. Edited by Black,N., Boswell, D., Gray, A., Murphy, S., Popay, J.(1984). Health and Disease. Open University Press
27. Edited by Fridman, Howard S. (1990). Personality and disease. John Wiley and Sons
28. Bem, S.L. Sex role adaptability: One consequence of psychological androgyny. Journal of Consulting and Clinical Psychology, 1977,45, 196-205.
29. Elazar J. Pephazur, Toby J. Tetenbaum. Bem Sex Role Inventory. Journal of Consulting and Clinical Psychology, 1973.
30. Advances in Experimental Social Psychology Ed.by Mark P.Zanne vol.25.1992.Academic Press
31. Roes, M., Schwarts, S.H.,Surkiss,S. Basic Individual Values and the Meaning of work Applied Psychology: An International Review, Volume 48, Issue 1,January 1999

Relationship between gender stereotypes and health condition

Research on androgyny and traditionally gender-typed persons has raised important questions about how psychological masculinity and femininity affect well-being, health condition. Newer androgyny model of well-being argues that it is better for people to combine both masculine and feminine traits. Androgynous individuals surpass traditionally sex-typed individuals in having greater behavioral flexibility and higher self-esteem.

Вопрос взаймоотнашения стереотипов пола с состоянием здоровья, связанный с ощущением переживания в социальной психологии

Согласно нашим данным, можем отметить, что несмотря на то, что традиционные половые стереотипы меняются, однако эти изменения не отразились негативно на ощущении состояния общего здоровья большинства индивидов нашей выборки. Таким образом, в полученных посредством нашего исследования данных отразилась та картина современных исследовании, согласно которым модель здорового индивида основана на нетипизированных в половом аспекте индивидах, то есть на андрогинных индивидах.

პენიტენციალური სამსახურის პერსონალის მზადყოფნისა და საქმიანობის ავტომატიზებული მონიტორინგის კონცეპტუალური მოდელი

კორნელი ოდიშარია, თინიკო კაიშაური, ნინო წიკლაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77.

პერსონალის მუშაობის საიმედოობის და მისი მაკორექტირებელი უნარის შესაფასებლად აუცილებელია სტატისტიკური სიდიდეების $e(t)$ და $C_R(t)$ ცოდნა.

საამისოდ უნდა შეიქმნას მონიტორინგის კომპიუტერული სისტემა სხვადასხვა ტიპის მონაცემთა ბაზებით. მონაცემთა ბაზების ფორმირება უფრო ადვილია (იაფი ჯდება) ექსპერტების მონაწილეობით – ესაა ექსპერიმენტული ანუ სუბიექტური მონაცემთა ბაზები (სმბ) და ამ პროცესში შეიძლება ჩართული იქნას კო-ს მონიტორინგის კომისია. მონაცემები, რომლებიც ეფუძნება სუბიექტურ შეფასებებს, მიიღება დელფის მეთოდის გამოყენებით.

ამრიგად, ხდება პერსონალის, მისი ცალკეული წევრების შერჩევის და მათი ყოველდღიური საქმიანობის მონიტორინგის მნიშვნელობა და ამ პროცესში კო-ს მონიტორინგის კომისიის დატვირთვის გამოკვეთა.


აღნიშნული სისტემა საშუალებას აძლევს მონიტორინგის კომისიას სწრაფად გაერკვეს კონკრეტულ ობიექტზე არსებულ სიტუაციაში, მისი თითოეული წევრის დაკავებულ თანამდებობასთან შესატყვისობა-არშესატყვისობაზე. თუ წევრი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას უნდა გაირკვეს მიზეზი ან მიზეზები და მიღებული იქნას გადაწყვეტილება: მისი თანამდებობაზე დატოვების შესახებ; კატეგორირებაზე ატესტირების გავლის აუცილებლობაზე; ტრენაჟორებზე დამატებით (ან მორიგი) სწავლების გავლაზე; მისი თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ და ა.შ.

სასჯელაღსრულების სისტემის კატეგორირებული ობიექტების ეფექტური, საერთაშორისო ნორმატივების მოთხოვნათა დონეზე ფუნქციონირებას, პირველ რიგში, განაპირობებს თანამდებობის პირების მიერ (ვუწოდოთ მათ შემდეგში «პერსომალი») მათზე დაკისრებული მოვალეობების დროულად და დადგენილი ნორმების გათვალისწინებით შესრულება. პერსონალს უხდება ურთიერთობა პატიმრებთან, ერთმანეთთან, საკომუნიკაციო, უსაფრთხოების და სხვა ტექნიკურ საშუალებებთან. ამდენად მათმა არამართლზომიერმა, შეუგნებელმა თუ წინასწარგანზრახულმა ქმედებებმა, ასეთი მაგალითები კი პრაქტიკაში უამრავია, შეიძლება გამოიწვიონ ობიექტზე სიტუაციის დაძაბვა და გახდნენ რეალური მუქარის წყარო.

პერსონალის შეცდომა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც დასმული ამოცანის შეუსრულებლობა, რომელიც შეიძლება გახდეს მიზეზი კატეგორირებულ ობიექტზე სიტუაციის დაძაბვისა ან დაგეგმილი ოპერაციის (ოპერაციების) მსვლელობის დარღვევისას.

პერსონალის შეცდომების საერთო მიზეებიდან შეიძლება გამოვყოთ ისეთები, როგორებიცაა (ნახ. 1):

- მომსახურე პერსონალის არადამაკმაყოფილებელი მომზადება ან დაბალი კვალიფიკაცია;
- მომსახურე პერსონალი მიყვება დღის განაწესის, აგრეთვე ტექნიკური მომსახურების არადამაკმაყოფილებელ პროცედურებს;
- მუშაობის ცუდი პირობები;
- არასაკმარისი აღჭურვილობა საჭირო აუცილებელი აპარატურით და ინსტრუმენტებით;
- მომსახურე პერსონალის და ტექნიკური მომსხურების სპეციალისტების არასაკმარისი სტიმულირება.



ნახ. 1. *ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერსონალის საქმიანობაზე.*

პერსონალის მოქმედებათა შესაფასებლად ერთ-ერთ მაჩვენებლად შეიძლება გამოვიყენოთ დრო, რაც მას დასჭირდება აღნიშნული ამოცანის კანონიერების ფარგლებში გადასაწყვეტად. ეს მაჩვენებელი ასახავს მთელი კო-ს სამსახურის მოქნილობას კრიზისულ სიტუაციებში, და საერთოდ, ნებისმიერი ამოცანის, დღის განაწესის შესრულების დროულობას:

$$T_{დგშ} = T_{ჰამ} \sum_{i=1}^{n} tმi$$

სადაც $T_{ჰამ}$ – არის პერსონალის მიერ კონკრეტული ამოცანის კანონიერების ფარგლებში შესრულებისათვის საჭირო დრო; n – არის კატეგორირებულ ობიექტებზე იმ სამსახურებრივი რგოლების (დანაყოფების) რაოდენობა, რომლებიც აუცილებელ მონაწილეობას ღებულობენ სიტუაციის შეფასებისა და პერსონალისათვის ამოცანის დასმაში; $tმi$ – არის თითოეული i-

ური რგოლის მუშაობის დრო კონკრეტული სიტუაციის შეფასებისა და ამოცანის დასმისას. აუცილებელია პერსონალის ოპერატიულობა აკმაყოფილებდეს პირობებს:

$$T_{ჯამ} \le T_{დგშ} - \sum_{i=1}^{n} t_{ტ} i = ST \qquad (2)$$

სადაც St – არის დროის ნორმატიული მნიშვნელობა, რომელიც პერსონალმა შეიძლება დახარჯოს წამოჭრილი ამოცანების გადასაწყვეტად.

თუ ცნობიოლია ხდომილება E – პერსონალი უშეცდომოდ მუშაობდა t დროის განმავლობაში, ანუ როგორია იმის ალბათობა, რომ პერსონალი აღნიშნულ სიტუაციაში დაუშვებს შეცდომას:

$$P(E_2 / E_1) = e(t)St$$

სადაც $e(t)$ – არის პერსონალის მიზეზით შეცდომათა წარმოქმნის სიხშირე დროის t მომენტში (ეს მაჩვენებელი ანალოგიურია მტყუნებათა ინტენსივობისა საიმედოობის კლასიკურ თეორიაში). E_2 – არის ხდომილება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მოხდა პერსონალის მიზეზით შეცდომა დროის ინტერვალებში $[t, t+St]$.

კრიზისული სიტუაციის ჩათვლით უშეცდომო მუშაობის ალბათობა შეიძლება ასეთი წარმოვადგინოთ:

$$P(E_2 / E_1).P(E_1) = P(E_1) - P(E_2 / E_1).\ P(E_1) \qquad (4)$$

სადაც E_2 – არის ხდომილება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დროის $[t, t+St]$. ინტერვალებში შეცდომა არ იქნება დაშვებული. აღნიშნული გამოსახულება შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:

$$R_{ჩ}(t) - R_{ჩ}(t) \cdot P(E_2 / E_1) = R_{ჩ}(t+St) \qquad (5)$$

სადაც $R_{ჩ}(t)$ – არის პერსონალის უშეცდომოდ მუშაობის ალბათობა. ამ გამოსახულებით შეიძლება ვიანგარიშოთ პერსონალის უშეცდომოდ მუშაობის ალბათობა დროის ინტერვალში $[0, t]$ (კრიზისული სიტუაციის წარმოქმნამდე), და $[t+St]$ (კრიზისული სიტუაციის წარმოქმნის შემდეგ) და (3) გამოსახულების გათვალისწინებით გვექნება:

$$\frac{R_a(t+St) - Rr(t)}{st} = -e(t)Rჩ(t) \qquad (6)$$

როცა $St \to 0$, გვექნება

$$dR_{ჩ}(t)/dt = -e(t)R_{ჩ}(t) \qquad (7)$$

საიდანაც $$R_{ჩ}(t) = e - te(t)dt \qquad (8)$$


პერსონალის დიდი დატვირთვის ქვეშ მუშაობისას (ნახ. 2) (რასაც ადგილი აქვს ვთქვათ კრიზისულ სიტუაციებში) არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მის უნარს, სწრაფად აღმოაჩინოს დაშვებული შეცდომა და შეეძლოს მისი გამოსწორება t დროის განმავლობაში.

აღნიშნული ალბათობა შეიძლება განვსაზღვროთ, თუ ცნობილია პერსონალის მიერ შეცდომათა გასწორების მყისიერი სიხშირე $C_R(t)$ შემდეგი გამოსახულებით:

$$C_R(t) = 1 - e - \int_0^+ CR(t)\,dt \qquad (10)$$

ამრიგად, პერსონალის მუშაობის საიმედოობის და მისი მაკორექტირებელი უნარის, მოახდინოს საკუთარი შეცდომების აღმოჩენა და შეძლოს მისი გამოსწორება, შესაფასებლად აუცილებელია სტატისტიკური სიდიდეების $e(t)$ და $C_R(t)$ ცოდნა, რომლებიც დაკავშირებული არიან უამრავ ფაქტორთან და საჭიროებენ საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაციის პერსონალის სხვადასხვა სიტუაციაში მოქმედების შესახებ.

$$C_h(t) = P\left\{\begin{array}{c}\text{შეცდომის გასწორება } t \text{ დროის მომენტში}\\ \text{არსებული დატვირთვისას}\end{array}\right\} \qquad (9)$$



ნახ. 2. *პერსონალის მუშაობის ეფექტურობის ჰიპოთეზური დამოკიდებულება დატვირთვაზე*


ძალზე მნიშვნელოვანია დღის განაწესით განხორციელებული მოქმედებების ბაზების (ვუწოდოთ მათ სამუშაო ბაზები) ფორმირება.
ექსპერტული შეფასებით პერსონალის და მისი წევრების შეცდომათა სიხსირის e (t) პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მეთოდი *THERP* (Technique for Homan Error Rate Prediction). გარკვეული მოდიფიკაციით, აღნიშნული მეთოდი ემყარება კლასიკურ ანალიზს და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- კატეგორირებულ ობიექტებზე სიტუაციათა მონიტორინგის საშუალებების (ტიპიური) მტყუნებათა ჩამონათვალის შედგენა;
- პერსონალის, მისი წევრების დღის განაწესის ანალიზი.
- პერსონალის, მისი წევრების შეცდომების სიხშირის გავლენის განსაზღვრა კო-ს საერთო სიტუაციაზე, კრიზისულ სიტუაციათა წარმოქმნის ინტენსივობაზე;
- რეკომენდაციების გამომუშავება, ცვლილებების სეტანა მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებში, საკანონმდებლო წინადადებების წარდგენა.
- ამ დროს აუცილებელია გათვალისწინებულიო იყოს: პირველ რიგში, შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

მონიტორინგის წარმოდგენილი კონცეფციით ავტომატიზებული სისტემის შემადგენლობაში უნდა იყოს გათვალისწინებული პერსონალის შემადგენლობის ფსიქო-ფიზიოლოგიური შემოწმების ქვესისტემა (ნახ. 3), რომელიც საჭიროებს ფსიქოლოგი ექსპერტის (ან ექსპერტების) მონაწილეობას.

აუცილებელია პერიოდულად მოხდეს მთლიანად პერსონალის და მისი ცალკეული წევრების პრაქტიკული მოღვაწეობის, ყოველდღიური განაწესის შესრულების შედეგები. ამ დროს შესაძლებელია გამოვლინდეს ის შეცდომა ან შეცდომები, რომლებმაც გავლენა იქონიეს ობიექტებზე სიტუაციის დაძაბვაზე.


დაშვებული შეცდომების, დარღვევების (დღის განაწესისა) კატეგორირება – შეფასებაში მონაწილეობენ, პერსონალის წევრების სოციალური მდგომარეობის, ადრე ჩატარებული ფსიქო-ფიზიოლოგიური შემოწმებების მონაცემთა ბაზებით,




ნახ. 3. *«პირადი ფაქტორის" რისკის მინიმიზაციის კონცეპტუალური მოდელი*

შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით, მონიტორინგის კომისიების შემადგენლობაში შემავალი ექსპერტები. ამერიკელი მფრინავის ბარეტ ბრედისეულის ცნობილ გამონათქვამს თუ დავიმოწმებთ, რომ საჭიროა სისწრაფე ავარიული პროცედურების გადაწყვეტისა მიიღწევა მხოლოდ ვარჯიშით ტრენაჟორებზე და თითოეული ფრენისათვის გულდასმით მომზადებით, ცხადი გახდება, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ პერსონალის ონიტორინგის სისტემის აუცილებელი ნაწილი უნდა იყოს პერსონალის თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების, ნიჭის, მიდრეკილებების, ფსიქო-ფიზიოლოგიური მახასიათებლების გამოვლენა-გამომუშავების ქვესისტემები: ა) პერსონალის წევრების კატეგორიაზე ატესტირების ქვესისტემა (ნახ. 4). ბ) პერსონალის წევრების შესახებ ექსპერიმენტული მონაცემების ფორმირების ქვესისტემა (ნახ. 4).

ატესტირების ქვესისტემა წევრების ტრენაჟორებზე გამოცდის ქვესისტემასთან (ნახ. 5) ერთად ქმნის ექსპერიმენტალურ მონაცემთა ბაზის ფორმირების ავტომატიზებული ქვესისტემის კონცეპტუალურ მოდელს.




ნახ. 4. *პერსონალის წევრების კატეგორიაზე ატესტირების ქვესისტემა*



ნახ. 5 *ექსპერიმენტული მონაცემების ფორმირების ქვესისტემა*

გასათვალისწინებელია, რომ კატეგორიაზე წევრების ატესტირება საკმაოდ შრომატევადი პროცესია, მონიტორინგის კომისიის ექსპერტები აფორმებენ სუბიექტური (ექსპერტული) მონაცემების ბაზებს შესაბამისი ქვესისტემის დახმარებით (ნახ. 6).

ეს ქვესისტემა აერთიანებს დანარჩენ ქვესისტემებს და მისი დახმარებით მონიტორინგის კომისიის ექსპერტები აყალიბებენ თავიანთ დასკვნას პერსონალის ქნედითუნარიანობისა და მის შესაბამისობას კო-ს ნორმალური ფუნქციონირების მოთხოვნებთან.



ნახ. 6. *ექსპერიმენტული მონაცემების ფორმირების ქვესისტემა*

ამრიგად სასჯელაღსრულების სისტემის კატეგორირებულ ობიექტებზე მომუშავე პერსონალის მონიტორინგის ავტომატიზაციის წარმოდგენილი კონცეფციის რეალიზაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნულ სისტემაში საერთაშორისო მოთხოვნებით გათვალისწინებული ნორმების გეგმაზომიერად დანერგვისა და მათი ყოველდღიური ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფას. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა ოპერატიულად შეირჩეს კო-ს პერსონალი, ამასთან ერთად მომუშავე პერსონალის სისტემაში შემავალი ატესტირების და ტრენაჟორული ქვესისტემების მეშვეობით დაეუფლონ ობიექტებზე მუშაობისათვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას.

ლიტერატურა

1. Дилон Б. , Сингх 4. Инженерные методы обеспечения надежности систем: Пер. с анг. - М.: Мир. 1984

The conceptual model of readiness and duty of penitential system personnel automatized monitoring

Odisharia Korneli, Kaishauri Tinatin, Tsiklauri Nino
Georgian Technical University, Kostava 77

The conceptual model of readiness and duty of penitential system personnel automatized monitoring is presented to improve the working quality of penitential system and to match the international requirements.
The facts which influence personnel work quality and also the hypothetic bondage on working load of the effectiveness of personnel working is shown.

Basic Words: automatized systems; informational technologies; penitential system; personnel.

Концептуальная модель автоматизированного мониторинга , деятельности и готовности персонала пенитенциальной службы

Одишария Корнели, Каишаури Тинатин, Циклаури Нино

Представлена концептуальная модель автоматизированного мониторинга деятельности и готовности персонала пенитенциальной службы, для улучшения степены работы пенитенциальной службы и удовлетворения международных требований.

Показаны факторы, которые влияют на деятельность персонала, и гипотезную зависимость эфективности работы персонала на нагрузку.

Ключевые слова: автоматизированные системы, информационные технологии, пенитенциальная система, персонал.

ფილოლოგია–Филология–Philology

ფრაზეოლოგიური ველის სტრუქტურირების პრობლემა

მარიამ ბერიძე
კავკასიის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

ძირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ სტრუქტურალიზმის იდეები არ არის მხოლოდ ენათმეცნიერების კუთვნილება. სტრუქტურის ცნება საერთოდ XX საუკუნის მეცნიერული აზრის მონაპოვარია და მისი ჩამოყალიბება წარმოადგენს მთელი რიგი დარგების – ფიზიკის (ელემენტარულ ნაწილაკთა სტრუქტურა) კიბერნეტიკის (მართვის სტრუქტურა) ბიოლოგიის (გენეტიკური კოდის სტუქტურა) სოციოლოგიის (საზოგადოების სტრუქტურა) ფსიქოლოგიის (ადამიანის ქცევის სტუქტურა) განვითარების შედეგს.

ითვლება, რომ განსაკუთრებული როლი სტრუქტურალიზმის გავრცელებაში ფსიქოლოგიამ, კერძოდ, ვეშტალტფსიქოლოგიამ შეასრულა, რომელმაც ბევრ სხვა მეცნიერებაზე ადრე ჩამოაყალიბა სტრუქტურალიზმის ძირითადი პრინციპები. მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი მ. ვერტჰაიმერი 1942 წ. წერდა: „არსებობს კავშირები, როდესაც ის, რაც ხდება მთელში, არ გამოიყვანება მისი ელემენტებიდან, რომლებიც თითქოს არსებობენ ცალკეული მონაკვეთების სახით და შემდეგ ერთიანდებიან. პირიქით, ის რაც ვლინდება მთელის ცალკეულ ნაწილებში, განისაზღვრება ამ მთელის შინაგანი კავშირებით“ [7: 9-19].

20-30-იან წლებში სტრუქტურალიზმი ენათმეცნიერებაშიც ვრცელდება. ამ ფაქტში ზოგჯერ ვეშტალტფსიქოლოგიის პირდაპირ გავლენას ხედავენ. მაგრამ ეს გავლენა მდგომარეობს ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის, როგორც მხოლოდ ლინგვისტური მიმდინარეობის, ჩამოყალიბების ფაქტში და არა სტრუქტურალიზმის მზა იდეების პირდაპირ გადმოტანაში. ესეც რომ არ იყოს, ფ. დე სოსიურის მოძღვრება ენობრივ ღირებულებათა სისტემის, ენობრივი სტრუქტურის შესახებ ჩამოყალიბდა უფრო ადრე, ვიდრე თვით ვეშტალფსიქოლოგია.

ამდენად, სოსიური ვერ დაემყარებოდა მეცნიერების სხვა დარგებში არსებულ, მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ სტრუქტურალისტურ თეორიებს. საფიქრებელია, რომ სოსიურმა დამოუკიდებლად განავითარა თავისი თვალსაზრისი.

ცნობილია, რომ სტრუქტურალიზმის იდეების დაფუძნება ენათმეცნიერებაში დაკავშირებულია ფ. დე სოსიერისა და ი. ბოდუენ დე კურტენეს სახელებთან. სწორედ მათგან იღებს სათავეს „სისტემის“ ცნების დამუშავება და ენობრივი სისტემის, როგორც ლინგვისტური კვლევის საგნის, დამკვიდრება.

ენა, როგორც სისტემა, ბოდუენთან ხასიათდება რიგი თავისებურებებით, მაგრამ ამჟამად ყურადღებას ვაჩერებთ მხოლოდ ერთზე, ჩვენი საკითხისათვის არსებითზე: ენა, როგორც სისტემა წარმოადგენს მთლიანობას, შემდგარს ნაწილებისაგან. ჯერ კიდევ 1871 წელს ი. ბოდუენ დე კურტენე წერდა: „ენა გა-

ნიხილება, როგორც შემდგარი ნაწილებისაგან, ე.ი. როგორც ჯამი განსხვავებული კატეგორიებისა, რომლებიც ერთმანეთთან იმყოფებიან მჭიდრო ორგანულ კავშირში“ [8: 63].

ენა, სოსიურის მიხედვით, არის ღირებულებათა სისტემა. ყოველი ელემენტი, როგორც ღირებულებათა სისტემის წევრი, განისაზღვრება სხვა ელემენტებით [9: 42]. ეს ნიშნავს, რომ სისტემა განსაზღვრავს მის ელემენტებს და პირიქით. „დიდი შეცდომა იქნება, – წერს სოსიური, – სიტყვები განვიხილოთ, როგორც ბგერისა და მნიშვნელობის შენაერთები. ასეთი განხილვა ნიშნავს სიტყვის იზოლირებას სისტემისაგან, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს. ეს ნიშნავს იმის დაშვებას, რომ ცალკეული სიტყვებისაგან შეიძლება ავაგოთ სისტემა, როგორც მათი ჯამი, მაშინ, როდესაც სინამდვილეში, პირიქით, უნდა ამოვიდეთ მთლიანიდან, რათა ანალიზის გზით მივაღწიოთ მის შემადგენელ ელემენტებამდე“ [10: 112].

სოსიურის კვალდაკვალ, დღევანდელი ენათმეცნიერება მიიჩნევს ენას ღირებულებათა სისტემად, რომელიც ცალკეული ქვესისტემებისაგან შედგება: ამათგან ზოგიერთი მეტად არის შესწავლილ-აღწერილი, ზოგი კი – ნაკლებად. ენის სხვა ქვესისტემებთან შედარებით, ყველაზე ძნელი გამოსაყოფი და შემოსასაზღვრია ცალკეული ქვესტრუქტურები, განსაკუთრებით სემანტიკისა და ლექსიკის სფეროში, რადგანაც ეს სფეროები ნაკლებად ექვემდებარება სისტემატიზაციას, მთლიანობაში ხელშეუვლებია გრამატიკისა და ფონოლოგიის სფეროებთან შედარებით.

შედარებით ადვილი გამოსაყოფია გრამატიკის ქვესტრუქტურები, რომლებსაც აშკარად სისტემური ხასიათი აქვთ: გრამატიკაში უფრო ცხადი და თვალსაჩინოა განზოგადების კრიტერიუმები, ლექსიკაში კი ყოველ ელემენტს, ყოველ მოვლენას უფრო ინდივიდუალური ხასიათი გააჩნია და განზოგადების ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა.

სწორედ ლექსიკურ-სემანტიკურ მოვლენათა სისტემური აღწერის საჭიროებასთან დაკავშირებით გაჩნდა ისეთი მეთოდების შექმნის აუცილებლობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ენობრივ შინაარსთა სფეროს კვლევა, როგორც ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ ელემენტთა სისტემებისა.

ენობრივ შინაარსთა სფეროს ამგვარი კვლევის საშუალებათა ძიების შედეგად შეიქმნა „ენობრივი ველის“ თეორია, რომელიც დღესაც მეტ-ნაკლებად ზოგად ხასიათს ატარებს და არ აცხადებს პრეტენზიას თავის მონაპოვართა აბსოლუტიზაციაზე.

„ველის“ ცნება, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკის კუთვნილებაა და გულისხმობს მატერიის ფორმას, რომლის ძირითადი მახასიათებელია მასში ინტენსიურობის, სიმძლავრის მიხედვით განსხვავებულ ძალთა ურთიერთქმედება. ენათმეცნიერებაში პირველად, 1924 წელს გამოიყენა ტერმინი „მნიშვნელობის ველი“ გ. იპსენმა [3: 200-237].

„ველის თეორიის“ შემქმნელების (ი. ტრირი, ლ. ვაისგერბერი, ვ. პორციგი) ძირითადი ამოსავალი მოსაზრება ეყრდნობა იმას, რომ ენობრივ შინაარსთა სფერო არის არა მექანიკური აგლომერაცია, არამედ შინაგანად ორგანიზებული, სისტემური ბუნების მქონე, რომ რეალობის ნებისმიერი სეგმენტაცია ხდება მრავალ განზომილებაში, რომელთაგან თითოეული ცალკეულ სტრუქტურას – ველს – ქმნის. თუკი ტრადიციულ სემანტიკასა და ლექსიკოლოგიაში საკვლევ ობიექტად იზოლირებული სიტყვა იყო მიჩნეული, ველის თეორიაში სიტყვა განიხილება, როგორც გარკვეული მიკროსისტემის

ნაწილი, მისი მნიშვნელოვნება შეისწავლება დანაწევრებული მთლიანობიდან ამოსვლით, ველის სხვა წევრებთან ურთიერთობის გათვალისწინებით.

ტრირის ველის მოძღვრების თეორიული საფუძველი ეყრდნობა ჰიპოთეზას, რომ ენის ლექსიკა წარმოადგენს არა სიტყვათა უბრალო გროვას, არამედ სიტყვათა ურთიერთმართობების ბადეს, რომელიც ტრირს თავდაპირველად მოზაიკური აგებულების ანალოგიურად წარმოედგინა. მიუხედავად ამ ბუნდოვანი ანალოგიისა, სწორედ ტრირის დამსახურებას წარმოადგენს „ველის“ გამოყოფა შინაარსეული განსაზღვრულობის მქონე ერთეულად, მისი დაკავშირება ენობრივი სეგმენტაციის პრინციპთან და ისტორიულ განვითარებაში შესწავლა.

უფრო ღრმა თეორიული ინტერპრეტაცია შესძინა „ველის“ ცნებას ლ. ვაისგერბერმა. თვით ი. ტრირიც საბოლოოდ ვაისგერბერისეულ გაგებას დაუახლოვდა, რის გამოც თვითონვე წერს: ველის მოძღვრება „იმთავითვე ახლოს იდგა ლ. ვაისგერბერის აზრთა მსვლელობასთან. ვაისგერბერმა დიდად შეუწყო ხელი მის აღმოცენებას და შემდგომშიც იგი უფრო მეტად, ვიდრე ვინმე სხვა, იღწვოდა მისი განვითარებისათვის. მან ველი ჩასვა სიტყვათა შინაარსეული მედეგობის განმსაზღვრელ ძალთა ერთიან ველში, რითაც ამ მოძღვრებას საიმედო მეთოდური ადგილი მიუჩინა. ახლა უკვე ველი გვესმის, როგორც შინაარსის შემანარჩუნებელ ყველა ძალთა შეთანხმებული მოქმედების თანამონაწილე“ [1: 227].

ვაისგერბერისა და ტრირის შემდგომ ლინგვისტურ ლიტერატურაში ენობრივი ველის შესახებ გაჩნდა საკმაოდ მრავალი მოსაზრება, რომელთაგან ზოგი ემთხვევა ერთმანეთს, ზოგი კი ურთიერთსაწინააღმდეგოა, მაგრამ წინააღმდეგობები ცალკეულ დეტალებს ეხება. მთლიანობაში კი ეს შეხედულებები ერთი კონცეფციის ფარგლებში თავსდება, რომელიც ი. ტრირისა და ლ. ვაისგერბერის ენობრივი ველის თეორიიდანაა აღმოცენებული.

გამოვყოფთ ველის იმ მახასიათებლებს, რომელთაც ყველა მკვლევარი აღიარებს:

1. ველის მახასიათებელია მის ელემენტთა შორის კავშირის არსებობა;
2. ველის სტრუქტურული თავისებურება – არაერთგვაროვნება, რაშიც იგულისხმება ველში ცენტრის, გარდამავალი სფეროსა და პერიფერიის არსებობა [2: 105-118; 6: 225].
3. ველის ელემენტთა ურთიერთგანმსაზღვრელობა [4: 208-223; 5: 240-262].

გამოვდივართ რა ენობრივი ველის ტრირისეული განმარტებიდან, ფრაზეოლოგიური ველი გვესმის, როგორც შინაარსული განსაზღვრულობის მქონე ერთეული, რომლის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს მასში მოქმედ ძალთა იერარქია, უფრო ზუსტად კი, ინტენსიურობის ხარისხის მიხედვით განსხვავებულ ძალთა არსებობა. ინტენსიურობის სხვადასხვა ხარისხის მქონე ძალებში იგულისხმება კონკრეტული შინაარსის შენარჩუნების უნარის მიხედვით განსხვავებული ძალები.

ფრაზეოლოგიზმთა სისტემატიზაციის პროცესში ჩვენთვის საგულისხმოა ენობრივ მნიშვნელობათა მთლიანობრივი პრინციპი და მისგან გამომდინარე შინაარსობრივი ურთიერთგანსაზღვრულობის თვალსაზრისი. ეს პრინციპები იძლევა ენობრივ მნიშვნელობათა სწორედ შინაარსეულად კვლევის საშუალებას, მითუმეტეს, რომ ეს შესაძლებლობა გამომდინარეობს თავად ენიდან, რომლის შინაარსეული სფეროც „ველის კანონით“ მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული. ამით ისიცაა ნათქვამი, რომ ეს სფერო შედგება არა იზოლირებულ სიტყვათა უბრალო ჯამისაგან, არამედ დანაწევრებული ურთიერთდამოკიდებულებებისაგან. ამაზევე მიუთითებს ადამიანის ენობრივი ალღო,

რომელიც ახდენს ენობრივ ფორმათა სწორ არჩევანს მიზეზის გაუცნობიერებლად. ენობრივი ალღოს მეშვეობით სიტყვათა სწორი შერჩევა, შეფარდება გულისხმობს მათ შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებებსა თუ სიახლოვეს. ის, რაც გაუცნობიერებლად ვლინდება ენობრივ ალღოში, ახსნას პოულობს ველის ცნებაში.

ენობრივ ველებს არსებობის საკუთარი კანონი აქვთ – მთელისაგან ორგანული გამოყოფადობის კანონი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ ერთმანეთს ორგანული მთელის წევრები თავიანთი ადგილის გათვალისწინებით ველში. ვაისგერბერისათვის ენობრივი ველის სტუქტურაზე მსჯელობისას სწორედ ორგანული გამოყოფადობის ცნებაა ფუძემდებლური.

გამოვყოფთ ველის იმ მახასიათებლებს, რომელნიც რელევანტურია ჩვენი საკვლევი მასალისათის:

ველის ელემენტთა შორის კავშირის არსებობა:

1. იგი განპირობებულია მნიშვნელობათა სემანტიკური მსგავსებით, ან სიახლოვით.

2. იგი მყარდება სხვადასხვა სახის სემანტიკური კორელაციების ხარჯზე.

3. ამ კავშირის საფუძველს ველში შემავალი ყველა ელემენტის სემანტიკურ სტრუქტურაში მნიშვნელობის საერთო კომპონენტის არსებობა წარმოადგენს.

აღნიშნული ნიშნები უზრუნველყოფს ველის მთლიანობასა და გამოყოფადობას. მთელი შედგება არა ცალკეული, დამოუკიდებელი ნაწილებისაგან, არამედ პირიქით, მნიშვნელობის მქონე განსაზღვრულობა ცალკეული სიტყვისა გამომდინარეობს მთელის აგებულების კანონზომიერებიდან.

მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ბიზნეს-კომუნიკაციისათვის რელევანტური ფრაზეოლოგიზმები ნაწილდებიან ოთხ, ძირითად ფრაზეოლოგიურ ველში:

„ბიზნესისა და მართვის“ ფრაზეოლოგიური ველი:

buck a (the) trend – საქმეში წარმატების მიღწევა იმ დროს, როცა სხვა კომპანიებს საქმე ცუდად მისდით.

Britain will buck the global recessionary trend next year with growth of around 1.1 %.

“ფინანსური ურთიერთობების” ფრაზეოლოგიური ველი:

money for jam (money for old rope) – იოლი სამუშაოს შესრულებისათვის მიღებული ფული

He is keen on easy money, but in this business he surely won’t get money for jam.

“ყიდვა-გაყიდვის” ფრაზეოლოგიური ველი:

loss leader – რაიმე, რასაც მყიდველის მისაზიდად წამგებიან ფასში, იაფად ყიდიან

Supermarkets sometimes sell bread as a loss leader to bring in customers for other, more expensive goods.

“ეკონომიკურ და სამეწარმეო ურთიერთობათა” ფრაზეოლოგიური ველი:

sail close to the wind – სარისკო ნაბიჯების გადადგმა, რასაც შედეგად მოჰყვება მძიმე პრობლემები.

He realized that he owed her more, but he was sailing rather close to the wind financially, these days.

დასკვნა

ფრაზეოლოგიური ველების შემადგენლობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ფრაზეოლოგიური ველის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს ველების გადაკ-

ვეთა. ზოგი ელემენტი წარმოადგენს რამდენიმე ველის სრულუფლებიან წევრს, მაგალითად: accept sth. at face value. იმის გამო, რომ აღნიშნულ ელემენტს გააჩნია არა ერთი მნიშვნელობა, იგი შედის როგორც "ფინანსური ურთიერთობებისა" და "ყიდვა-გაყიდვის" ფრაზეოლოგიურ ველებში, ისე "ეკონომიკურ და სამეწარმეო ურთიერთობათა" ფრაზეოლოგიურ ველშიც.

ლიტერატურა:

1. რამიშვილი გ. ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები, თბილისი, 1978. გვ. 227
2. Filipec J. Zur Innersprachlichen Konfrontation von semantischen Teilstrukturen im Lexikasischen System / Studes structurales dédieés au 6-e Congres des slavistes Academia, Prague, 1968. /Travaux linguistiques de Prague, 3/. S. 105-118
3. Ipsen G. Der Alte Orient und die Indogermanen / Stand und Aufgaben der Sprachwissenschaft: Teastschrift für Wilhelm Streitberg, Heidelberg, 1924. S. 200-237
4. Ipsen G. Der Alte Orient und die Indogermanen / Stand und Aufgaben der Sprachwissenschaft: Teastschrift für Wilhelm Streitberg, Heidelberg, 1924. pp. 208-223
5. Kandler G. "Die Lucke" im sprachlichen Wetbild, Sprache-Schlüssel zur Welt. Testschrift für L. Weisgerber, Düsseldorf, 1959. S. 240-262
6. Lehrer A. Semantic fields and lexical stucture, Amsterdam: North-Holland., 1974. p. 225
7. Rastide R. Introduction a L'étude du mot "structure", Sens et usage du terme structure, ed. par. R. Rastide, S-Cravanhague, 1962. p. 9-19
8. И.А. Бодуен де Куртанэ, Некоторые общие замечания о языковедении и языке (1871), Избранные труды по общему языкознанию, т.I, М., 1963. с. 63
9. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, М., 1933. с. 42
10. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, М., 1933. с. 112

The Problem of Structuring Phraseological Field

Mariam Beridze
Caucasus University
77 Kostava Str. Tbilisi, Georgia

The lingual fields are subject to the law of existence, through which the field elements define each other with taking into consideration their respective places therein. The field does not consist of separate and independent particles. It is an integral set having a by-content determination.

Проблема Структурирования Фразеологического Поля

Беридзе Мариам Тамазиевна
Кавказский университет
Ул. Костава, 77, 0175, Тбилиси, Грузия

У Языковых полей есть закон существования, согласно которому элементы поля определяют друг друга с учетом их места в поле. Поле состоит не из отдельных, независимых частиц, а представляют собой единство, обладающее содержательным определением.

434/433 Flr 9, View Talay Condos,
Moo 12, Trappraya Rd.,
Nongprue, Banglamung,
Chon Buri 20150 Thailand
Mobile: 011-66-827106011
E-mail: poeinscotland@aol.com
http://www.poeinscotland.com

"Is Wealth of Value? What Would Edgar Allan Poe Say?"

By

ROBERT DENSMORE BRILL, M. A., J. D.,
Independent Scholar of Edgar Allan Poe

"Two roads diverged in a yellow wood,
And sorry I could not travel both
And be one traveler, long I stood
And looked down one as far as I could
To where it bent in the undergrowth;

Robert Frost, "The Road Not Taken,"
American Poet, 1874 - 1963

Robert Frost's poem sets the questions in place of what to do with one's life? If one takes one path, but not another, what will be one's future; what would one like to do, compared with what must one do? America has at the root of its culture the concept of *freedom*. However, with freedom to choose, one is also free to fail. American democracy does not promise success. Therefore, the value of freedom puts the right to choose which path or road one takes up to each person. Nevertheless, what influences one's decision of which path to take is controlled by many forces inside and outside of one's own consciousness.

This paper is drawn solely from my manuscript, ***The Mystery of "Mar'se Eddie" in the Shire****, Edgar Allan Poe's Scottish Connections,* as it contains all that I have come to read and see on Poe's views of wealth acquisition and "development" during my research project. Consequently, I limit my examples to American or European ones. With these limits of *view* in mind, I add that the question of what road to take is decided by a person with adequate mental faculty and legal sufficiency. Both of these aspects of one's decision-making are gifts or curses of *fate*. One is born with the brains one's mother gives. Pity the *village idiot*, but we do not consider such person here. Most people are blessed by forces of fate, with brilliance and a reasonable measure of affluence, to obtain advanced education. But do you have *values*? Are *values* Wealth? Would I want to be you, like you, or even with you? Compare Shakespeare's question: "To be, or not to be?"

From the beginning, however, Edgar Allan Poe was blessed with singular and superior powers of the mind. For instance, at age 4 or 5 he was reciting his family's famous Scottish poet, Robert Burns' poetry. By age 8 Poe knew Ancient Greek, Latin, French, Italian, and mouthfuls of Spanish, and other languages. By 11 or 12, he was writing his own poetry, and so on. Moreover, by age 17, in 1826, he had finished his first year at the University of Virginia, where he excelled in mathematics. His academic records show that every course in which he was enrolled, in then retired, U. S. President Thomas Jefferson's new university in Charlottesville, Virginia, Poe was top of his class.

Now a crack in this vision of personal opportunity for great wealth occurs. Poe's adoptive father was the wealthiest slave and tobacco plantation-owner in Virginia at the time. It was presumed that his son, Master Edgar Allan Poe, addressed as "Mar'se," by his three,

personal slaves, would finish his studies and take over the family estates. Now, then, it is well documented that the only thing on which John Allan and his son agreed was their atheism. Allan did not believe in the Hebrew God, but Poe knew that was no such God, anymore than there were Greek or Roman ones. Nevertheless, at the time, *faith* in the existence of the Hebrew God controlled the minds and lives of almost all of the people in the Middle East, from Jerusalem, later to London, and then over to the English Colonies. However, these two atheists were complete aliens in a country in which everyone believed in God, and His son, Jesus Christ, as Asians believe in Siddhartha Buddha.

As a consequence of Poe's knowing that he has but one life to live, he was going to do precisely what he wanted to do with it. He announced early in his teen years that he would be a poet, a writer. Thereafter, his decisions and his life were a constant struggle to attend to writing, and the need of income for food and shelter. Concurrently with this view, he knew that the environments of the earth were fragile and limited. When new "skyscrapers" in New York rose to six (6) stories, and the first bridges of steel were constructed, Hervey Allen made this observation:

> "Poe satirizes the present from the vantage-point of the future in 'Mellonta Tauta'; and through the eyes of the ancient past, in 'Some Words with a Mummy,' he takes a sardonic view of progress, democracy, and the rule of the tyrant Mob. 'The truth is, I am heartily sick of this life and of the nineteenth century in general. I am convinced that everything is going wrong.'"[1]

Poe would write many essays and fictional pieces to articulate his views that "progress" was actually a destructive process that only advanced the bank accounts of the company or individual who promoted it.

Since the *Kyoto Protocol* has convened, it has been established, for example, that for every dollar (or any modern currency, such as the Euro) that is produced from any activity that affects the environment, the earth is cooked that much more. Our global weather, crush of world population, society, and now into the stratosphere, *space junk*, prove that every dollar that enriches, someone projects that value of damage to our earth and air. So for Poe the contest was not about taking over his families Negro slave and tobacco plantation fortune, it was how could he position himself to a life free to write.

Everyone now has some background of who Poe was. I will now give you some perspective of how he has made his reputation as the most important writer in American Literature, and its affect on literature. For one example, while there is a litany of writers who have said words of praise, Professor Cooper said it best in her paper at Stoke Newington, London, at the 100th anniversary of Poe's death in 1949: "Every subsequent American writer is indebted to him for the battle he fought to prove that America could produce its own writers of genius."[2] Moreover, Poe's work was imminently respected by some of the most important persons and families of the day--both in The United States, as well as in the two dominant countries of Great Britain, England and Scotland.[3]

On the other side of the Atlantic, in Europe, especially the French, were the established masters of expository prose, the *essay*. Add to that the now mature literary form of the novel, evolving since the time of Chaucer, in the 14th century. The Ancient Greeks had

---

1 Allen, 104.

2 Cooper, at 10. This represents but one statement of support for our opinion that Poe is "the father of American literature." Her lecture contains several other such observations and opinions, articulating voices of *The French Critics*, whom we quote later.

3 Allen reported Poe's relationship with President Tyler's son, Robert, amongst but one notably important person of the time, while Gordon's reports of John Galt's relationships with Members of Parliament at well over sixty members of Parliament, and many nobles of both Houses of The United Kingdom. In Scotland and Canada, Poe's cousins were of the renown family of Allans, shipping, land development, Government and Law. Doctor Mackenzie's relatives followed his medical career, and took it to the American South, and the Canadian northeast.

mastery of the drama. And the British, mostly English, were the established authority of poetry. Consequently, with all of the literary genre in English, the only direction was *originality*, to think differently about the human condition, and to employ a new way to express it in literature. Keep in view that Poe must be compared with most poets of the times, both American, such as Lowell, Hawthorne, Emerson, Thoreau, as well as English (British), such as Byron, Tennyson, and Keats, etc., all of whom had families with wealth which allowed their indulgence in poetry as a vocation.[4]

But most important, this paper must include a discussion of how our *American Literature* is different than our "cousins'," *The British*, literature. Jane Austin and Charles Dickens are but two representative writers of the British literary genre of Poe's era. Austin wrote romantic novels about the doings of the Duchess of Devon, while Dickens wrote of the pities of the poor. My book traces the evolution and transmigration of Poe's writing poetry and prose, from Great Britain to America. Briefly, however, Poe despised everything English, everything European, and everything religious, for reasons I have not time to discuss here. So where did he begin? He began to focus on the subjects of *death*, dying, and the "afterlife."

Professor Silverman, in his rehashed treatment of Poe, in *Mournful and Never-ending Remembrance*, stated that Poe was preoccupied with the question of whether the dead remain dead?"[5] Moreover, whether one looks to Cooper, Thackeray, Melville, Hawthorne, Thoreau, or any of America's earliest models of *American Literature*, for instance, as not only examples of *American fiction*, one can see that none took up subjects other than the day-to-day, pedestrian issues. Cooper, for instance, wrote of the cultural wars between the native American Indians and the new settlers. Hawthorne wrote of *morality* in Pilgrim New England, from whom he was the living product. Thoreau, however, wrote of creating one's own *society* if unhappy with others. Finally, Melville wrote of the search for ultimate *truth*, or *reality*. On the other hand, Edgar Allan Poe, amongst writers anywhere and everywhere, was the only one who confronted the most vital issue of the living: *Death*. He became a sort of *social outcast* because he forced Christian Americans, the growing populations of Calvinist Presbyterians, New Age American Transcendentalists, and the newer immigrants, the "Old World" Roman Catholics, to confront their *mortality*.

Writers on the other side of the Atlantic took to Poe's works like disciples and followers of Lord Buddha himself. The contradiction is that The Buddha said that he was not a god, but a teacher. The ancient Hebrew said that there is only one God, but those who also speak of Him are their ancient cousins, the Arabs. These Arabs have, since the seventh century, followed the teachings of Islam, and call themselves Muslims. In turn, followers of Islam are teaching their Hebrew and Christian adversaries that there is only one God, but He is *Allah*. All of these believers are now engaged in dreadful war all over the world about the way in which to have *faith* in a God. Poe did not subscribe to any religious' faiths, fictions, or improvable facts.

Edgar Allan Poe wrote on the subjects of mathematics and astrophysics in his longest work, *Eureka*, in 1847. In that extended work, at age thirty-eight years, Poe makes very clear how the cosmos began, where it is now, and where it is going. Almost two hundred years since, all of the great scientists and astrophysicist have proved mathematically what Poe said in his great "poem." Of course, Einstein is not known to have read Poe, but of his *Theory of Relativity* Poe had made pronouncements a hundred years earlier. Most recently, although he has not read Poe, Steven Hawking, Professor of Physics at Cambridge University, updated his earlier, *A Brief History of Time*. In this most recent work, Hawking restated principles and

[4] Brill, 303

[5] Silverman, Kenneth, ***Edgar A. Poe*** *Mournful and Never-Ending Remembrance*, Harper Collins Publishers, New York, 1991, 76.

findings in *Black Holes and Baby Universes.* That work closed the case on Western Religion, except for the most faithful followers of Western religions.[6] Buddhists know what that *case* is.

Hawking does not say that there is no God, but certainly the German philosopher Frederick Nietzsche did so. Obviously, Nietzsche was intimate with the writings of his earlier countrymen, Schopenhauer and Goethe. Schopenhauer was one of the first German philosophers to develop the concept of nihilism, but who shared a lot of Lord Buddha's beliefs that one ought to minimize natural desires. Goethe is considered the supreme genius of modern German literature. It is vital to an understanding of Poe that one knows he read the work of these two Germans. However, in turn, during his own childhood, the son of a Lutheran minister, Frederick Nietzsche, had read Poe. I investigated this upon a reading of Nietzsche's important work, *Thus Spoke Zarathustra*.

There are no examples of literature before Edgar Allan Poe took an intractable interest in writing poetry himself, in which *Gothic* subjects became the sole domain of this writer. The word itself means little more than the Germanic tribes of the fourth and fifth centuries, the Goths, who invaded the Holy Roman Empire at Constantinople and Rome itself. The word also refers to the later style of architecture, of the 13th through 15th centuries, during which time these former combatants made their peace through a common faith in their God to fight off the Arab Muslims. Edgar Allan Poe is international known as the most profound writer of the *Gothic genre*. My research in Scotland was in search of the *why*. Unfortunately, and Poe delighted in this, Americans and Europeans alike either did not understand his work, or gave up trying. Even his principle translators, Baudelaire and Mallarmé, appear to have only guessed at his meanings.

Poe's quill contained poetry that discussed *death* and *dying*, fiction that featured *murder* and *decay*, and any activity of human-kind were represented as *too hideous* for most pious readers. Whether in his poem, "The Valley of Unrest," or the gory fiction of, "The Murders in the Rue Morgue," death and misery are everywhere. But readers on both sides of the Atlantic praised his work, and the greatest of the greats said that Poe was the most original thinker and writer produced by the American experience. Edgar Allan Poe had ventured into a world of the unknown which had never before been treated by the greatest of poets and writers. Even Shakespeare's Hamlet but asked the question, and left it to each person to answer for oneself.

Most importantly, nevertheless, were Poe's concurrent explorations into the workings of the mind. *How* one thinks is as important to know as *what* to think. Consequently, many, if not all of his stories, show us such mysteries and secrets. "William Wilson," "The Black Cat," are but two examples of Poe showing how the right and left hemispheres of the brain work to solve questions. Sigmund Freud would become famous for giving us the *psychiatrists' language* of that science, but it was Poe who was first:

> "Poe was among the first to attempt the methodological investigation of the unconscious mind. If there was one thing Poe insisted upon, it was *theory*, and his psychological theories (in his *Marginalia*, essays, and reviews) are vital. By focusing on them, we transform those 'innocent' tales of mystery and imagination into working blueprints of unconscious mental processes. For what is that magnificent House of Usher, with all of its dark chambers, bizarre furnishings, vaulted ceilings, intricate passages, and its fissure running right up the center,[7] but a pre-Freudian model of the unconscious mind--just as

[6] Hawking, Stephen, ***Black Holes and Baby Universes*** *and other essays*, Bantam Books, London, © 1993

[7] The *brain* is a physical part of the body that is divided into four parts, with the two front portions called the *frontal lobes*, separated by a space called the *transverse fissure*. The *mind* is but one function of the brain that produces thought, at all levels of consciousness--"deep sleep," between "wakefulness and sleep," and

> Roderick and Madeline Usher are two halves of a single self. Although he did not scientifically formalize the complex psychopathology of hysteria or perversion, he recorded truths he discerned in his marginalia, notebook jottings which were, for Baudelaire, 'the secret chambers of his mind.'"[8]

From the entrance of Socrates (469-399) into the Ancient Greek *Lyceum*, who taught the Greeks about their history and their Gods, down the millennia to the independence of the new country of the United States, whose motto is *In God We Trust*, authors had concerned themselves with life, and how to live it. In Great Britain, for example, writers sought patronage from royalty, such as Shakespeare, with Queen Elizebeth I, and later, her cousin's son, King James I. Any student of British Literature knows that Shakespeare wrote of royal murder and intrigue, but for the common people of the realm, he wrote *comedies* and *histories.* That tradition of writing for patronage created a style and content of subject that did not offend one's patron. Poe, on the other hand, insisted on absolute truth in the tale, and became known as "the hatchet man." He would "say it" as he saw it, and most often that meant that he was so brutally honest that he offended everyone. Perhaps only Hawthorn was spared, but just.

Were it not for some understanding of Poe and his works, Baudelaire would not have translated all of Poe's fiction into French. Thirty years later, in 1880, another French poet, Marllemé, translated all of Poe's poetry into French. *But for* these two highly respected French poets' work, we in Christian America would not know Poe today. What one now also knows is that Poe chose abject poverty for the freedom of his desire to write. One has to ask: "Would I rather be a Donald Trump, or in his company at a golf game? On the other hand, would one rather have the deep, effective mind of the 19th century pauper, Edgar Allan Poe? The consequence of selecting Poe is to have an opportunity of listening to him discuss the only life that we shall ever have. Wealth or Education? Does one want religious values, capitalists' values, or esthetic values? Students of *knowledge* choose, "the road less traveled by." It was my choice, too.

"The Road Not Taken"
By
Robert Frost

Two roads diverged in a yellow wood,
And sorry I could not travel both
And be one traveler, long I stood
And looked down one as far as I could
To where it bent in the undergrowth;~
Then took the other, as just as fair,
And having perhaps the better claim
Because it was grassy and wanted wear,
Though as for that the passing there
Had worn them really about the same,~
And both that morning equally lay
In leaves no step had trodden black.
Oh, I marked the first for another day!
Yet knowing how way leads on to way
I doubted if I should ever come back.~
I shall be telling this with a sigh
Somewhere ages and ages hence:

"wakefulness." Such thought processes are allowed and limited--controlled--by a complex combination of genetics, food, culture, parenting, and so on. The "chambers," "furnishings," and other imagery in the story, are the symbolic, metaphoric, hieroglyphic representatives of the *unknown* functions of the mind, that collectively result in a romantic, fanciful representation of facts and truth as Poe saw them. See his "Between Wakefulness and Sleep," in Stern 657, and as amplified by Foye, "Preface."

[8] Foye, vii. As with many other Poe scholars, Raymond Foye and this writer are correspondents, as can be seen on our website.

Two roads diverged in a wood, and I,
I took the one less traveled by,
And that has made all the difference.~

Vitae: 18 years of university, including: **B. A.** (English), U. C. Davis, 1973; **M. A.** (Creative Writing), C. S. U. Sacramento, 1976; **California T. C**., C. S. U. Sacramento, 1978; **A. S**., (Flight Engineering), C. of Air Force, 1982; **Juris Doctor** (J. D.) U. N. C. School of Law, Sacramento, 1984. Many Post Graduate courses in Air Force Contract Negotiation, Dep't of Defense, 1984-87. See www.poeinscotland.com for Papers, Publications, and Talks, around the world.

References and Works cited:

[1] Allen, 104.

[2] Cooper, at 10. This represents but one statement of support for our opinion that Poe is "the father of American literature." Her lecture contains several other such observations and opinions, articulating voices of *The French Critics*, whom we quote later.

[3] Allen reported Poe's relationship with President Tyler's son, Robert, amongst but one notably important person of the time, while Gordon reports of John Galt's relationships with Members of Parliament at well over sixty members, and many nobles of both Houses of The United Kingdom. In Scotland and Canada, Poe's cousins were of the renown family of Allans, shipping, land development, Government, and Law. His cousin Hugh Allan was knighted by Queen Victoria, and Hugh's brother, Thomas, became the first Amassaderr to the Court of Saint James. The Scotch family he knew from Ayrshire, Doctor Mackenzie, had relatives who followed his medical career, and took it to the American South, and the Canadian northeast.

[4] Brill, 303

[5] Silverman, Kenneth, ***Edgar A. Poe*** *Mournful and Never-Ending Remembrance*, Harper Collins Publishers, New York, 1991, 76.

[6] The *brain* is a physical part of the body that is divided into four parts, with the two front portions called the *frontal lobes*, separated by a space called the *transverse fissure*. The *mind* is but one function of the brain that produces thought, at all levels of consciousness--"deep sleep," between "wakefulness and sleep," and "wakefulness." Such thought processes are allowed and limited--controlled--by a complex combination of genetics, food, culture, parenting, and so on. The "chambers," "furnishings," and other imagery in the story, are the symbolic, metaphoric, hieroglyphic representatives of the *unknown* functions of the mind, that collectively result in a romantic, fanciful representation of facts and truth as Poe saw them. See his "Between Wakefulness and Sleep," in Stern 657, and as amplified by Foye, "Preface."

[7] Foye, vii. As with many other Poe scholars, Raymond Foye and this writer are correspondents, as can be seen on our website. Foye invited Brill to join him in a visit to the former Poe Cottage, at Fordham, New York, now a national, American museum.

Ценно ли богатство? Что бы сказал Эдгар Аллан По?

Резюме:

В поэме Роберта Фроста, отрывок из которой взят в качестве эпиграфа для настоящей статьи, рассматривается вопрос о том, что человеку делать со своей жизнью. В основе американской культуры заложено понятие о свободе. Однако свобода выбора не гарантирует человека от неудач и поражений. Выбор жизненного пути определяется многими как внутренними, так и внешними факторами, находящимися за рамками сознания человека. В статье вопрос о том, что свободный выбор может являться как благословением, так и проклятием для человека, рассматривается в связи с творчеством Эдгара Аллана По.

წარმოადგენს სიმდიდრე ღირებულებას? რას იტყვოდა ედგარ ალან პო?

რ ე ზ ი უ მ ე

რობერტ ფროსტის პოემაში, რომლის ნაწყვეტი წარმოადგენს სტატიის ეპიგრაფს, განიხილება თუ რა შეუზლია ადამიანს გააკეთოს თავის ცხოვრებასთან. ამერიკის კულტურის საფუძველში ჩადებულია თავისუფლების ცნება. მაგრამ თავისუფალი არჩევანის საშუალება არ აზღვევს ადამიანს შეცდომებისაგან და წარუმატებლობისაგან. ცხოვრებისეული გზის არჩევანი განპირობებულია ბევრი შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით რომლებიც ცილდებიან ადამიანის გონებას. სტატიაში ედგარ ალან პოს შემოქმედებითი მუშაობის მაგალითზე განიხილება საკითხი იმის თაობაზე რომ თავისუფალი არჩევანი შეიზლება იქცეს როგორს ნეტარებათ, ასევე წყევლად ადამიანისათვის.

დიალოგი – ახსნა-განმარტება მხატვრულ ნაწარმოებში

ასმათ ევსაია
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
რუსთაველის №193

მხატვრული დიალოგის თავისებურებანი მნიშვნელოვანწილად გაინ-საზვრება ლიტერატურის სახეობითა და ჟანრით. დრამატული ნაწარმოების სიტყვიერ ქსოვილს მთლიანად დიალოგი შეადგენს; უმნიშვნელოა ავტორის რეპლიკა. ეპიკური თხზულება ამ კუთხით, სრულად ემიჯნება დრამას. თეორიული თვალსაზრისით, ეპიკურ თხზულებაში დიალოგის შემოტანით წმინდა ეპიკური ტონალობა ირღვევა: ეპოსის არსი ისაა, რომ მთელი ამბავი უნდა აღიქმებოდეს როგორც ერთი პიროვნების – ავტორის მონათხრობი. თუმცა ზოგჯერ ნაცვლად იმისა, რომ თვითონ გადმოგვცეს პერსონაჟთა საუბარი, ავტორი მათ ალაპარაკებს და ამით შესაბამის სუბიექტურ შეფე-რილობას ანიჭებს მონათხრობს.

დიალოგის ტიპები განისაზღვრება რეაქციის ხასიათის მიხედვით. ა.კ.სოლოვიოვის ნაშრომებში ხაზგასმულია დიალოგი-ახსნა, დიალოგი-კამათი, დიალოგი-ჩხუბი, დიალოგი-უნისონი, დიალოგი სრული ურთიერთ-აგებება, სასიყვარულო დიალოგი.

დიალოგი-ახსნა განმარტება დიალოგის ყველაზე გავრცელებული სა-ხეა მხატვრულ ნაწარმოებში. დიალოგის ეს სახე შეიძლება დაიყოს დი-ალოგი - გამორკვევად, რომელიც ახლოს დგას დიალოგი-დაკითხვასთან და დიალოგი-ახსნა-განმარტებად.

დიალოგი-გამორკვევა ეს არის გამოკითხვა, თანამოსაუბრის აზრის გაგების ან მისგან რაიმე ინფორმაციის მიღების მცდელობა. მთხრობელი კომენტარს არ უკეთებს პასუხებს, ის მშვიდად და ობიექტურად აღიქვამს მათ. როგორც წესი პასუხი ბადებს შემდგომ კითხვას. აქ დიდ როლს ასრულებენ რეპლიკა-გამეორებები, როდესაც პასუხში მეორდება კითხვის ნაწილი ან კითხვითი ინტონაციით წარმოთქმული წინა პასუხის ნაწილი გვევლინება კითხვით წინადადებად. ეს აუღელვებელი, საკმაოდ მშვიდო-ბიანი საუბარია, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ გადაიზრდება დია-ლოგ-კონფლიქტში. დიალოგის ეს სახე უფრო ხშირია, ვიდრე დიალოგი-ახსნა.

–რა გქვიან, ძმობილო? – ვკითხე მე.
–...ლელთ ღუნიას მიხმობენ, – მომიგო მან.
–სადაური ხარ?
–სადაველ? გაიბოტნიდამ, აქაივ მთაჩია, თერგ–კიდურზედ.
–ქართველი ხარ, თუ ოსი?
–ოვსი რაიდ ვიქნები?! ქართველ ვარნ, მახევე.
–კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.
–არაა გონჯაი: ჩვენ ბეჩაობას შეჰფერობს.
–ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.
–ჰმ! – ჩაიცინა მოხევემ.
–რას იცინი?
–საცინალს ვიცინი. ჩარიელ სტვამაქი მაგნით ვერ გაძლების.
–აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს?!
–რაიდ არ ეცოდინების? დგილ არაა გონჯაი, პატარ გვაქვნ: თვითვაულს კაცს ორ–ორ შაბადის ყანა არ ექმნების. ვიწროდ ვარნ.

–ეს დიდი გზა დიდ ხელს მოგცემთ.
–რაი ბედანაა გზაი? იგ მისთვის ვარგობს, ვისეც თვის ნაშვრელ–ნამუშევერ გასატან–გასასყიდ აქვნ.
–მაშ, ქირაზედ არ დადიხართ?
–რაიდ არ დავდივართ, დავდივართ.
–მაშ ქირით ფულს იშოვნით.
–ვშაულობთ. ჯიბეჩი არ რჩების: მთის კაცი მახევე სვამეხის კერძია. ჭამადი, სმადი არაა სახლჩი, ნაშოვერ დუქანჩი მიდის.
–მაშ ისევ ბარი სჯობნებია: იქ ხალხი უფრო მაძღარია
–ვინ უწყის? იქაითაც საჭირბოროტოია დარჩენა. ადგილ ჰხაშმობს. იქაველ კაცს ფერი არა აქვნ, ჯანი არა აქვნ. აქაველ ჯანმრთელნი არნ. ცარგვლის გამჩენმა განაგო იქაით – მაძღრობა, აქაით – სიმრთელე.
–რომელი ქვეყანა ჯობია, მაძღარი თუ მრთელი?
–ორივენ ერთადა. უერთურთოდ ქვეყანაი გონჯაა.
–ორში რომ ერთი ამოგარჩევინონ?
–ორჩიდა? არჩევანზედ? მ ღორღიან კლდეთ ვიჯობდი, ჯანმრთელია. ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის გაძღების, სატლივარს რაი ეყვის? (ი.ჭავჭავაძე. გზავრის წერილები).

ამ დიალოგის სქემა ასეთია: კითხვები საკმაოდ რბილი ფორმითაა დასმული და ამიტომაც პასუხებიც მშვიდი ტონით არის გაცემული. ეს სქემა ემთხვევა დიალოგი-გამოკითხვის სქემას. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ორივე მხარეს სურს დიალოგი. ამიტომ ემოციური(სამეტყველო) მდგომარეობა საკმაოდ მშვიდია. აქედან გამომდინარეობს ავტორის რემარკების სიმცირე. რეპლიკა-კითხვას თან ახლავს არა მარტო კითხვითი, არამედ მტკიცებითი წინადადებები დიალოგის სხვა მიმართულებით წასაყვანად.

-მე შენთვის ვარდები არ მითხოვია. ვარდები მოკვდა, დაჭკნა, ფული კი აქ არის, ხელი არ მიხლია და წაიღე.

-ეს ფული მკვდარია, ქაღალდისაა, ვარდები კი ცოცხალი იყო! – თქვა მურტალომ.

- მე შენი ქარაგმები არ მესმის. აიღე ფული და წადი! – თქვა ინგამ და ფული მიუჩოჩა.

-ერთი ჭიქა ღვინო დალიე, დამლოცე და წავალ! – დაპირდა მურტალო.

- შენზე ამბობენ, რომ მკვლელი, ქურდი, მორფინისტი და არამზადა ხარ!...

-ამბობენ. –სინანულით დაეთანხმა მურტალო.

- ხარ თუ არა?

- მე თავისუფალი კაცი ვარ! ვაკეთებ რაც მინდა, როდესაც მინდა და როგორც მინდა!

- რამდენი წლისა ხარ?

- ოცდაათის.

- რატომ ეშინია შენი ყველას?

- ალბათ იმიტომ, რომ მე არ მეშინია არავისი.

- ადექი და წადი ჩემი სახლიდან, გეყოფა მასხარაობა!, - უთხრა ინგამ.

- სიცოცხლეს უფრო ადვილად დავტოვებ, ვიდრე შენ, - თქვა მშვიდად გაფითრებულმა მურტალომ და ისევ დაისხა ღვინო. ინგა მიხვდა, რომ ეს კაცი სიტყვებს როყიოდ არ ისროდა.

- ვიკივლებ! – თქვა მან და წუთში მიხვდა, რომ არ იკივლებდა, - ვიკივლებ და მეზობლები შემოცვივდებიან.

- რამდენი მეზობელი გყავს? – ჰკითხა მურტალომ.

- ოცი! – ათი მიუმატა ინგამ.

- ოც მკვდარს გაიტანენ ამ ოთახიდან, - თქვა მურტალომ და ღვინო მოსვა.

- ყველა კაცი თვითონ იკლავს თავს და, ვინც მოკვდა, ყველა სიკვდილის ღირსი იყო. (ნ.დუმბაძე, კუკარაჩა).

აქ სქემა სხვაგვარია, ვიდრე დიალოგ–გამორკვევაში: რეპლიკა-რეპლიკა. თუ წინა შემთხვევაში ბევრი კითხვითი წინადადება იყო, მოცემულ შემთხვევაში მეტია თხრობითი წინადადებები. თუ ყოფითი ენით ვილაპარაკებთ, ეს გახლავთ ურთიერთობის გარკვევის კლასიკური ვარიანტი. ემოციური მდგომარეობა და ინტონაცია მეტ ყურადღებას მოითხოვს ავტორის მხრიდან, ვიდრე დიალოგ-გამორკვევაში. აქედან გამომდინარე, აქ მეტია ავტორის რემარკები. ამგვარი დიალოგი შეიძლება გადაიზარდოს დიალოგ-ჩხუბში, დიალოგ-კამათში ან დიალოგ-პაექრობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. *Винокур Г.О. О языке художественной литературы. М., 1991*
2. *Колокольцева Т.Н. Специфические коммуникативные единицы диалогической речи.*
3. *Диалогическая речь – основы и процесс. Тбилиси, 1980.*

Dialogue-Explantation im an Art Work

Asmat Evsaya
Akhaltsikhe State Teaching University

Dialogue-explanation is the most spread kind of dialogues in art works .
It can be divided into dialogue- ascevtaining which is close to dialogue-reading and dialogue-explanation.

Диалог – объяснение в художественном произведении

Асмат Евсаиа
Ахалцихский Государственный учебный университет

Диалог-объяснение является самым распространенным видом диалога в художественных произведениях. Этот вид можно подразделить на диалог-выяснение, сходный с диалогом-допросом, и диалог-объяснение. В статье рассмотрены оба этих подвида.

ვაჟა-ფშაველას პროზა ქართველ კრიტიკოსთა და ლიტერატურის ისტორიკოსთა თვალთახედვით

დოქტორანტი ნანა კუპრაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავა 77

ვაჟა-ფშაველამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში მეტად ორიგინალური მწერლის სახელი დაიმკვიდრა.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროიდან არ შენელებულა ინტერესი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მიმართ. კრიტიკოსები და ლიტერატურისმცოდნენი განსაკუთრებულ ინტერესს ძირითადად მისი ლირიკული პოეზიისა და პოემების მიმართ იჩენდნენ, პროზა კი იშვიათად ხდებოდა მათი კვლევის საგანი. ვაჟაზე ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში ქვეყნდებოდა უამრავი კრიტიკული წერილი, რომელიც მიზნად ისახავდა მწერლის შემოქმედების ან მისი ცალკეული ნაწარმოების შეფასებასა და განხილვას. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ერთხმად აღიარებდა ვაჟა-ფშაველას ნიჭის სიდიადეს, შემოქმედების თავისებურებას და ორიგინალობას.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სიღრმემ ბევრი კრიტიკოსი დააბნია და ამდენად, ბევრი უმართებულო შენიშვნაც გამოითქვა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ.

პირველი კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილი, რომელიც შეეხო ვაჟას შემოქმედებას, გამოქვეყნდა 1886 წელს გაზეთ „ივერიაში". ეს იყო ი. მანსვეტაშვილის ბიბლიოგრაფიული შენიშვნა საბავშვო ჟურნალ „ნობათის" III, IV და V ნომრების შესახებ. რეცენზენტმა ყურადღება გაამახვილა „შვლის ნუკრის ნაამბობზე". ჟურნალში ამ მოთხრობის მხოლოდ ორი თავი იყო დაბეჭდილი. თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ი. მანსვეტაშვილს ეღიარებინა: „ქართულ საყმაწვილო ლიტერატურაში მე ჯერ ამისთანა მოთხრობა არ შემხვედრიაო" [1, 4].

ი. მანსვეტაშვილის შეფასების მიხედვით, ვაჟა-ფშაველას დასახელებული მოთხრობა დიდაქტიკური მნიშვნელობისაა. ის ყმაწვილის გულში სიბრალულის და თანაგრძნობის განცდას ნერგავს, თანაც ისე შეუმჩნევლად, რომ არ შეიცავს მოსაწყენ დამოძღვრას და ქადაგებას.

ვაჟას პროზის შესახებ გამოთქმულ ამ სამართლიანი შეფასების მიუხედავად, ივ. ჯაჯანაშვილმა რადიკალურად განსხვავებული შენიშვნა გამოთქვა. წერილი დაიბეჭდა ი. კავთელის ფსევდონიმით 1886 წ. ჟურნალ „თეატრის" მე-2 ნომერში; ავტორი წერს: „ლ. რაზიკაშვილის სტატია წარმოადგენს ცარიელა სიტყვების გროვას, რომლებსაც სრულებით მნიშვნელობა აქვს დაკარგული. ერთი და იგივე აზრი სამჯერ არის გამეორებული ერთი და იგივე შთაბეჭდილება ხუთმეტჯერ არის ნაგრძობი; ისე, რომ სამის სიტყვით გამოსათქმელი უბრალო საგანი – სამასის სიტყვით არის აშენებული, მაგრამ მაინც-და-მაინც საფუძველი კი არ აქვს ამ ხუთს სართულიანს კედელს, ესე იგი როგორც რუსები ამბობენ: „С пустого в порожное переливает" [1, 95].

კრიტიკოსს ნათქვამის დასამტკიცებლად არ მოაქვს არცერთი არგუმენტი. არსებობს მოსაზრება, რომ ივ. ჯაჯანაშვილის ზემოთხსენებული წერილი ტენდენციურად იყო დაწერილი და მიმართული იყო ჟურნალ „ნობათის" რედაქტორისადმი, რითაც ავტორი გამოხატავს ქართველი საზოგადო-

ების ერთი ნაწილის აზრს ან. ღულაძის, როგორც არასასურველი რედაქტორის მიმართ.

ვაჟა-ფშაველას, როგორც საბავშვო მწერალს, მაღალი შეფასება მისცა XIX საუკუნის 90-იან წლებში გამომავალმა ერთადერთმა პერიოდულმა ორგანომ „ჯეჯილმა". ჟურნალის რეცენზენტები თ. ხუსკივაძე და ლ. ბოცვაძე, მსჯელობენ რა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე, განსაკუთრებით ხიბლავთ მწერლის მიერ ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, იშვიათი უნარი საბავშვო თემის შერჩევისა და ამასთან ერთად, სადა, ყმაწვილთათვის ადვილად გასაგები ენა. თ. ხუსკივაძე ეხებოდა 1890 წელს ჟურნალ „ჯეჯილის" პირველ ნომერში დაბეჭდილ მოთხრობას „ჩვენი მამალი" და წერდა: „რომელ ყმაწვილს მიჩვენებთ, რომ „ჩვენი მამლის" ამბავი ორჯერ-სამჯერ მაინც დიდის სიამოვნებით არ ჩაიკითხოს და სიხარულით გულგამხიარულებულმა არ გადაიკისკისოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ავტორი აგვიწერს ომს მამლისა და ინდოურებისას..."

ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ჩვენი მამალი", როგორც აღვნიშნეთ, ჟურნალ „ჯეჯილში" დაიბეჭდა. იმავე წელს გაზეთ „Новое обозрение"-ში (21. 1. №2096). ეს მოთხრობა აკაკი წერეთლის და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებთან ერთად კრიტიკულად შეაფასა ნიკო ნიკოლაძემ. კრიტიკოსმა ვაჟას ეს ნაწარმოები იმდენად სუსტად ჩათვალა, რომ ის განხილვის ღირსადაც არ მიიჩნია (ვაჟას სხვა მოთხრობებზე რეცენზენტმა შენიშვნები გამოთქვა). ნიკო ნიკოლაძის საპირისპიროდ, 1890 წელსვე გაზეთ „თეატრში" (№8; №10) გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის სტატია „წერილები ჩვენს მწერლობაზე", სადაც პოეტი უარყოფითად აფასებს ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული განხილვის მანერას.

აკაკი წერეთელი მაშინდელ ქართველ მწერალთაგან პირველია, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა მაშინ ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველას ნიჭს, კერძოდ, მოთხრობა „ჩვენს მამალს". მან აღნიშნა: „ჩვენი მამალი ისე ხელოვნურად არის დაწერილი, რომ არ შეიძლება ყმაწვილმა სიამოვნებით არ წაიკითხოს. ამიტომ, რომ ყოლიფერი ენიშნება, არ მოეწონება მხოლოდ იმ ყმაწვილს, რომელიც ქალაქში დაბადებულა, არც მამალი უნახავს და არც ინდოურები. ეს პატარა მოთხრობა ხელოვნურად არის დაწერილი და თუ არ გაზვიადებული ოცნება, ტენდენციას არც ვერავინ წარმოიდგენს" (გაზ. „თეატრი", 1890, №10, 4 მარტი).

1898 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ცალკე წიგნად გამოსცა ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობათა კრებული, რომელშიც შევიდა: „ამოდის, ნათდება", „დათვი", „უძლური ვირი" და „სვავი". ერთი წლის შემდეგ, 1899 წელს ჟურნალ „კვალის" ფურცლებზე დაიბეჭდა ივ. გომართელის ვრცელი ფელეტონი. ავტორი შეეხო ვაჟას მოთხრობების მხატვრულ-აღმზრდელობით მნიშვნელობას და აღნიშნა მისი დადებითი გავლენა მოზარდებზე.

განსხვავებული აზრი გამოთქვა კრიტიკოსმა მოთხრობა „სვავის" მიმართ – იგი „ცარიელი ესთეტიკის" ქადაგებად მიიჩნია და მიუთითა მწერალს, რომ საზოგადოებისთვის დროის შესაფერისი ნაწარმოები მიეწოდებინა, რადგან მას ჭეშმარიტი გზის ჩვენება უნდოდა და „არა ბულბულის ნაზი გალობა, ვარდისა და მზის მკობა".

1914 წელს იპ. ვართაგავამ თავის ნარკვევში „სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი", საყურადღებო მოსაზრება წარმოადგინა: „ხშირად გამუტქმულა ის აზრი, რომ ვაჟა საკმარისად არ არის მომზადებული, განათლება აკლიაო და სხვა. ასეთი შეხედულება ვაჟაზე... უსამართლო და შემცდარია.

სხვას შეიძლება მთელი წლები და მეცადინეობა დასჭირდეს იმ იდეების და აზრების გაგებისათვის, რომელსაც ვაჟა, როგორც რჩეული ადამიანი, შემთხვევით წაკითხული ციტატის ან სადმე მსჯელობის დროს გაგონილი ფრაზის წყალობით ნათლად ითვისებს და შეიგნებს ასე ძალდაუტანებლად, ანგარიშმიუცემლად და შემთხვევით მდიდრდება აზრებით ფორმალურად გაუწვრთნელი დიდი ნიჭის პატრონი" [2, 97-98].

თავისებური შეფასება მისცა კიტა აბაშიძემ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. 1906 წელს ჟურნალ „ფასკუნჯში" (№№ 8-10) გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში მკვლევარი აღნიშნავს, რომ არსებობს ერთი „საერთო „ევროპის ლიტერატურა", და ქართული ლიტერატურა „სხვა არა არის რა, თუ არა მექანიკური გამეორება ევროპის ლიტერატურულ ცხოვრებაში არსებული სხვადასხვა მიმართულებებისა..." [1, 7]. ცნიბილია, რომ ევროპაში XIX საუკუნე რომანტიზმით დაიწყო, იგი შეცვალა რეალიზმმა, მას მოჰყვა ნატურალიზმი. საუკუნის მიწურულს კი განვითარდა ნეორომანტიზმი და სიმბოლიზმი. სწორედ სიმბოლიზმის წარმომადგენლად მიიჩნია მკვლევარმა ვაჟა-ფშაველა.

კრიტიკოსის აზრით, თუ რეალისტი მწერალი ზედაპირულად ინტერესდება მოვლენით, სიმბოლისტი ცდილობს ამ „ზედაპირის" გარღვევას და მის სიღრმეში ეძებს „საიდუმლო მექანიზმს ჩვენი ცხოვრებისას".

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში უამრავი სიმბოლო გვხვდება, მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს უფლებას იმისას, რომ ვაჟა სიმბოლისტ მწერლად ვაღიაროთ – ასეთი იყო საპირისპირო მოსაზრება ამ შეხედულებაზე.

სალიტერატურო კრიტიკაში კ. აბაშიძის შემდეგ ივ. გომართელი პირველი იყო, რომელმაც ვაჟა-ფშაველა სიმბოლისტ მწერლად და „წმინდა წყლის პანთეისტად" გამოაცხადა".

ლიტერატურული პარალელების გავლება მხატვრული შემოქმედების კვლევისას უჩვეულო არ არის. ერთგვარი მსგავსება ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „დარეჯანსა" და ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივს" შორის, პირველად მკვლევარმა ივ. გომელაურმა შენიშნა თუმცა ვაჟა-ფშაველას „დარეჯანი" 1886 წელს დაიწერა, ხოლო ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი" ერთი წლით გვიან – 1887 წელს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევისას მკვლევარი ვ. კოტეტიშვილი საგანგებოდ ჩერდება მის პროზაზე. მკვლევარი ვრცლად მსჯელობს ვაჟას შემოქმედების მოტივებზე და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მისი შემოქმედების განმსაზღვრელი, ერთ-ერთი წამყვანი მოტივია პატრიოტიზმი, ეს ჩანს, როგორც ვაჟას პროზაში, ასევე მის პოეზიაში: „ვაჟა რომ მთას დაუმღერებს, ეს მთა მისი სამშობლოა. ის სახელს არ არქმევს, რადგან ეს საჭირო არ არის" [3, 612].

მკვლევარი ალ. ხახანაშვილი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ორ პერიოდად ჰყოფს. მისი აზრით, პირველი პერიოდი (1880-1884 წწ.) მწერლის შემოქმედებისა, უცხო მწერალთა გავლენით აღინიშნება, ხოლო მეორე პერიოდი, როცა ჟურნალ „ნობათში" დაიბეჭდა „შვლის ნუკრის ნაამბობი", მწერლის ორიგინალური ბუნებით ხასიათდება.

ვაჟა-ფშაველას პროზა მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიციის გამომხატველ მასალადაც იქნა ჩათვლილი. ასე, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ცხოვრების მიმწუხრზე, 1915 წელს ი. ფერაძე წერდა: „ვაჟა სდგას უმთავრესად ქართულს ნიადაგზედ... მის სხეულში მოქმედებს ქართველური სული, რომელიც თვისის მისწრაფებით და მსოფლმხედველობით შეკავშირებულია ქარ-

თველი ერის სულიერს ბუნებაში ჩამალულს, მრავალ საუკუნეში შემუშავებულს მსოფლმხედველობასთან" [4, 5].

1915 წელს გ. ქიქოძე წერდა, რომ „ფანტაზიის სიძლიერე და ნათელმხილველობა" ვაჟა-ფშაველას ნიჭის დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენდა. მისთვის არ არსებობდა არავითარი საზღვარი ლეგენდასა და სინამდვილეს, მითსა და ისტორიას შორის. მკვლევარს ვაჟას პროზა ჰქონდა მხედველობაში, როცა აღნიშნავდა, რომ განსხვავებით სხვა ქართველი კლასიკოსებისაგან, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება არ არის „გაბატონებული კლასის მორალით შეზღუდული", მისი მსოფლმხედველობა არც „ფეოდალურ-არისტოკრატულია", არც კლერიკალური ან ბურჟუაზული", მაგრამ არც იმის მტკიცება იქნება მართებული, თითქოს იგი რომელიმე ჩაგრული კლასის ან წოდების თვალსაზრისზე იდგეს.

კ. აბაშიძესა და ივ. გომართელთან ერთად გ. ქიქოძემაც აღიარა ვაჟას პანთეისტობა. მკვლევრის აზრით, ფშავ-ხევსურეთის წარმართულმა ტრადიციებმა, რომელიც დიდხანს უწევდა წინააღმდეგობას ქრისტიანობას, ბოლო დრომდე შეინარჩუნა ბუნების კულტი თავისი კოპალა-იახსარებით, ლაშარის ჯვრებით, ადგილის დედებით, მგელ-უქმეებით და შავეთის წარმოდგენით.

ვაჟას მსოფლმხედველობაზე საუბრისას ს. დანელია აღნიშნავს: „ვაჟას მსოფლმხედველობაში მოცემულია უღრმესი გენი ქართველური განცდის" [5, 27]. მკვლევრის ვარაუდით, ვაჟას შემოქმედების ფესვები სწორედ ამ წარმართულ სულში უნდა ვეძიოთ.

1957 წელს გრიგოლ კიკნაძემ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ ვრცელი ნაშრომი გამოაქვეყნა („ვაჟა-ფშაველას შემოქმედება", რომელიც წარმოადგენდა მის სადოქტორო ნაშრომს, წარმატებით დაცულს 1945 წელს). მკვლევარი შეეხო ისეთ საკვანძო საკითხებს, რომლებიც მანამდე არ განხილულა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევისას. მონოგრაფიაში საგანგებო, ვრცელი თავი ეთმობა ვაჟას პროზის ანალიზს. მეცნიერის დაკვირვებით, „ვაჟას პოეზიის ორიგინალობამ და დაძაბულობამ მისი პროზის „ჩვეულებრივი" და დინჯად მიმდინარე მეტყველება დაჩრდილა. ალბათ ამით აიხსნება, რომ ვაჟა-ფშაველას დიდება და სახელი ჯერ კიდევ არ არის დაკავშირებული მის პროზაულ თხზულებებთან. [6, 207]. იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში უფრო მეტად იქნება შესწავლილი ვაჟას პროზა და უფრო საინტერესო კუთხით წარმოჩნდება მისი შემოქმედება.

XIX საუკუნის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი იყო მორალისტური ტენდენცია, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს ხალხოსნების შემოქმედებაში მიაღწია: „ეს ტენდენცია გვხვდება თვით ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ეთიკურ პრობლემათა წრეში ტრიალებს, მის მხატვრულ შემოქმედებაში ეს საკითხები ისეა განხილული და გადმოცემული, რომ თითქმის არ ვხვდებით მორალიზების ტენდენციას, დარიგება-ჭკუისსწავლების გამომხატველ გამოთქმებს" [6, 210]. შემდეგ მკვლევარი ამ თვალსაზრისით განიხილავს ვაჟას ისეთ მოთხრობებს, როგორიცაა „შვლის ნუკრის ნაამბობი", „მთის წყარო", „ხმელი წიფელი", „ქუჩი", „ამოდის, ნათდება", „სვავი"... მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებებში უაღრესად მნიშვნელოვან ზნეობრივ პრობლემებს ასახავს მწერალი, იგი უშუალოდ არ მიგვითითებს, არ გვაძლევს მორალისტურ შენიშვნებს. მწერალი შესანიშნავად ახერხებს, რომ თვითონ ნაამბობმა ჩაგვაფიქროს და გვასწავლოს მაღალი ზნეობრივი იდეალები. „ვაჟა-ფშაველა გვასწავლის დიდაქტიკური ტონის აუღებლად და სწორედ ამაში ჩანს მისი დიდი ოსტა-ტობა" [6, 211].

მკვლევრის სიტყვით, ვაჟა-ფშაველას წერის სტილი ლაკონურია, თხრობისას ის მოვლენის არა ყველა, არამედ ერთ ან რამდენიმე მხარეს აქცევს ყურადღებას. მისი პროზისათვის „განივ ზრდა" კი არ არის დამახასიათებელი, არამედ სიღრმისეული.

ვაჟა-ფშაველას პროზის მთავარი მოტივი „სიცოცხლის სიხარულია", ეს მოტივი ასახვას ჰპოვებს ისეთ პროზაულ თხზულებებში როგორიცაა: „ია", „მთის წყარო", „ფესვები"... მის გვერდით იკვეთება იმედის მოტივი, ვაჟას „მოლოდინი მხოლოდ უკეთესის მოლოდინია, რომლის კონკრეტულ დახასიათებასაც იგი არ იძლევა... იგი უფრო საკუთრივ იმედის გრძნობას გამოხატავს, ვიდრე ამ გრძნობის სალტოლველი მიზნის შინაარსს. ამ აზრით, და მხოლოდ ამ აზრით, ვაჟა-ფშაველას პროზა ნამდვილი ლირიკული პროზაა" [6, 215].

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, მკვლევრის სიტყვით, ფაქტები და მოვლენები გაშიშვლებულია. მისი პროზა კი არ მიგვითითებს, არამედ გვიხატავს, გვისურათებს და ამაშია მისი, როგორც ხელოვანის სიდიადე.

ვაჟას შემოქმედებაში ემოცია დაოკებულია. „თავშეკავება – აი, ამოსავალი ვაჟას მიერ დახატული გრძნობებისათვის. ასეთი გზა აქვს ვაჟას არჩეული, რაც პრინციპულად მიჯნავს მის გადმოცემას სენტიმენტალური მანერისაგან" [6, 220].

დასასრულ, მკვლევარი ეხება საკითხს, თუ რამდენად უახლოვდება ვაჟას ენა ფშაურ დიალექტს, რამდენად ეყრდნობა მას და ასკვნის: „ბრწყინვალე „ქუჩი", „შვლის ნუკრის ნაამბობი", ანდა „ხმელი წიფელი" არ გვაიძულებს, რომ მის ავტორად მაინცდამაინც ფშაველი ვიგულისხმოთ. ასსეტნაირი ხილვა და გადმოცემა არაფშაველისთვისაც არაა შეუძლებელი" [6 223].

მიხეილ კვესელავა ვაჟას პროზასაც უწევს ანგარიშს, როცა ვრცლად მსჯელობს ვაჟას მიმართებაზე წარმართულ სამყაროსთან და წერს: „თემის ზნე-ჩვეულებანი, მითები თუ ლეგენდები ასახვის ობიექტი კი არ არის... არამედ მასალა დიდი, ზოგადკაცობრიული იდეების გამოსახატავად, ვაჟა ყველაფერს იყენებს იმისათვის, რომ გამოსახვის მეტი ძალა და ფერადოვნება მისცეს თავის მხატვრულ ნაწარმოებს. ამისთვის მიმართავს ის ძველ მითებს და ლეგენდებს, ეთნოგრაფიულ მასალებს, ფშაველებისა და ხევსურების ადათ-წესებსა და მთიელთა ყოფის კოლორიტულ სურათებს" [7, 113].

მიხეილ კვესელავა ლიტერატურულ კრიტიკაში პირველია, რომელიც „გოეთესებური პანთეიზმის" შემოქმედებით მიმდევრად წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას.

მკვლევარი აპ. მახარაძე შეეხო ვაჟას პროზაულ ქმნილებებში წარმოჩენილ სოციალურ საკითხს. მკვლევრის სიტყვით, ვაჟა-ფშაველა არა მხოლოდ სოციალურ სურათს ხატავს, არამედ იმ მიზეზებსაც ასახელებს, რამაც საზოგადოების ნაწილი ასეთ გაჭირვებამდე მიიყვანა. მკვლევარი ამ კუთხით განიხილავს მოთხრობა „დარეჯანს".

მკვლევართა დიდი ნაწილის ყურადღებას ვაჟა-ფშაველას მხატვრული ენა, თხრობის მანერა და მოთხრობათა ფსიქოლოგიური სიღრმე იწვევს. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე საუბრისას მკვლევარი აკაკი გაწერელია შენიშნავს: „ბუნება არასოდეს არ ალაპარაკებულა შინაგანი მონოლოგით და ისეთი გასაოცარი სიწრფელითა და სიზუსტით, როგორც ვაჟას მოთხრობებსა და პროზაულ ესკიზებში" [8, 472]. მკვლევარი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ვაჟას მოთხრობებზე: „სურათი ფშაველის ცხოვრებიდამ", „დარეჯანი", „სოფლის სურათები", „მუცელა", „გასამართლებული ჩიბუხი". დასახელებულ მოთხრობებში წარმოჩენილია სოციალური მდგომარეობა იმდროინდელი

ფშავისა, ხოლო მოთხრობები „ბაგრატ ზახრიჩის სიკვდილი" და „ავტობიოგრაფია ურიადნიკისა" იმ ბიუროკრატიულ აპარატს წარმოაჩენს, რომელიც მართავდა იმდროინდელ ქვეყანას.

ვაჟა-ფშაველას ნიჭი გამოვლინდა ბუნების იშვიათი სურათების წარმოსახვაშიც. მისი „მცენარეები, ნადირები, ფრინველები განიცდიან, გრძნობენ და ფიქრობენ თითქმის ადამიანები-ვით" [8, 478]. ეს კი პოეტის უდიდესი ნიჭის დამამტკიცებელია.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე გრიგოლ კიკნაძის შემდეგ ფუნდამენტური ნაშრომი გამოაქვეყნა მკვლევარმა იუზა ევგენიძემ, იგი მწერლის შემოქმედების სხვადასხვა მხარეს შეეხო, ნაშრომის ერთ-ერთი თავი სწორედ ვაჟა-ფშაველას პროზას ეხება. იგი ვაჟას პროზის შემოქმედების ისტორიას განიხილავს. ასევე თემატურად ალაგებს ნაწარმოებებს და გამოყოფს სოციალურ თემაზე შექმნილ თხზულებებს. მკვლევარი მიუთითებს: „ვიწრო ყოფითი ინტერესებით შემოფარგლულ თემათა გვერდით ძალზედ აფართოებს ვაჟა-ფშაველა საკუთარი მხატვრული ხედვის არეს, ახალ გზებს ეძებს სოციალურ სწრაფვათა გამოსახატავად და პოულობს კიდეც მას, როცა ბუნების წარმოქმნის ასახვას ანიჭებს თავისთავად ღირებულებას" [9, 411]. ვაჟა-ფშაველა, რომ უტყვი ბუნების ამეტყველების დიდოსტატია, არაერთხელ თქმულა ლიტერატურის კრიტიკის ისტორიაში.

მკვლევრის სიტყვით, ვაჟა-ფშაველა ცდილობს „გააცოცხლოს და აამეტყველოს ადამიანის თვალწინ გაშლილი სამყარო ისე, რომ ადამიანურ ვნებათა ღირებულებამდე აამაღლოს მათი არსებობის ფაქტი" [9, 412].

ცალკე გამოყოფს ოცნებებით, ზმანებებით, სიზმრისეული ჩვენებებით დატვირთულ მოთხრობებს და მიიჩნევს, რომ მწერლის წარმოსახვა არნახულ სიმაღლეს, სწორედ ამ ტიპის მოთხრობებში აღწევს. ასევე ამახვილებს ყურადღებას იუმორისტული განწყობით შექმნილ მოთხრობებზე.

ვაჟას შემოქმედების ინტერესები მოვლენისაკენ, ან ამბისაკენ კი არ არის მიქცეული, არამედ მწერლისთვის მთავარია აჩვენოს, რას გრძნობენ ან განიცდიან მოქმედების პროცესში მისი პერსონაჟები. „ამიტომ ვაჟას ეს მოთხრობები ფსიქოლოგიური არიან თავიანთი არსით. ლტოლვა ასეთ ნაწარმოებთა შექმნისაკენ, ვაჟას შემოქმედებითი პროცესის დამახასიათებელი ნიშანთაგანია" [9, 442].

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ვაჟა-ფშაველას პროზის შესახებ მკვლევარმა თ. კიკაჩეიშვილმა. იგი ყურადღებას ამახვილებს ვაჟას მოთხრობების პოეტურობაზე. ამ კუთხით განიხილავს იგი „ბუნების მგოსნებს", „ხმელ წიფელს" და „ქუჩს". მისი თქმით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცენტრში ადამიანი დგას, რომელიც ეძებდა თავის ადგილს სამყაროში. „ეძებდა მანამდე, სანამ არ შეიცნო სიდიადე თავისი არსებისა". ამის შემდეგ ადამიანმა ვალად იდო ბრძოლა სულიერი სრულყოფისათვის. ამ პროცესის ასხვას კი სჭირდება მხატვარი, „ვაჟა-ფშაველა ადამიანთა სულიერის მგო-სანია, მხოლოდ ვალმოხდილთა სულების მგოსანი და მეხოტბე" [10, 77].

მკვლევარს აქცენტი გადააქვს ვაჟას მოთხრობების მხატვრულ ღირებულებებზე და წერს, რომ ისევე, როგორც ვაჟას პოეზია, არც პროზაა მოკლებული „სახეობრივ აზროვნებას", პოეტური ფიგურები, ტროპული მეტყველება, მწერლის მიერ ოსტატურად გამოყენებული პოეტური მიმართვები ამაღლებს ემოციებს, აძლიერებს მხატვრულ შთაბეჭდილებას.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სიღრმემ ზოგიერთ მკვლევარს პარალელი დააძებნინა მსოფლიო კლასიკოსთა შემოქმედებასთან. ამ მხრივ აღსანიშნავია

ლ. თეთრუაშვილის ნაშრომი „ვაჟა-ფშაველასა და გოეთეს იდეურ-მსოფლმხედველობითი ურთიერთობისათვის".

წიგნში წარმოდგენილია ორი დიდი შემოქმედის მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკის ძირითადი ნაწილი: ბუნების (ღვთის) გაგებისა და „მიმეზისის" პრობლემები. ავტორის მიერ გააზრებულია ვაჟას პანთეისტობის პრობლემა, „ერესის" საკითხი. ავტორი ეყრდნობა შუასაუკუნეების ევროპული მისტიკოსების ჯ. ბროუნის, ნ. კუზანელის, ი. ბოემეს და სხვათა ნააზრევს. განიხილავს სპინოზას, ანგელუს სილეზიუსის, ლესინგის და გოეთეს შეხედულებებს და მიიჩნევს, რომ ამ ცნებათა (პანთეიზმის, „ერესის") შემოქმედებითად გააზრებული მნიშვნელობა ერთნაირად დამახასიათებელია როგორც გოეთესათვის, ისე ვაჟა-ფშაველასათვის.

„მიმეზისის" არსის განხილვისას, ნაშრომის ავტორი ეყრდნობა არისტოტელეს და შესაბამისი მასალის მოთხრობით წარმოგვიჩენს გოეთესა და ვაჟა-ფშაველას არისტოტელეს ესთეტიკური მრწამსის შემოქმედებით მემკვიდრედ.

ალბათ არ დარჩენილა არც ერთი ცნობილი მწერალი და მკვლევარი, რომ ვაჟა-ფშაველას მიმართ საკუთარი დამოკიდებულება არ გამოეხატოს. ეს დამოკიდებულება უფრო ხშირად დადებითია.

იმდენად ღრმაა ვაჟას შემოქმედება, რომ შეუძლებელია მასში საკამათო საკითხები არ წარმოიშვას. ამიტომ იმთავითვე იყო და დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მისი პროზის გარშემო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოცვაძე ი., ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, თბ., 1955;
2. ვართაგავა იპ., სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი, ჟურნ., „განათლება", 1914, №2;
3. კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები, თბ., 1965;
4. ფერაძე ი., „გოგოთურ და აფშინა", ჟურნ., „თეატრი და ცხოვრება", თბ., 1915, №20;
5. დანელია ს., ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, თბ., 1972;
6. კიკნაძე გრ., ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957;
7. კვესელავა მიხ., ფაუსტური პარადიგმები, წიგნი მეორე, თბ., 1961;
8. გაწერელია ა., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1974;
9. ევგენიძე ი., ვაჟა-ფშაველა, ცხოვრებისა და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები, თბ., 1989;
10. კიკაჩეიშვილი თ., პოეტური ნარკვევები, თბ., 1979.

The prose Vaja - Pshavela of Georgian literary critics and historians point of view

Doctoral candidate Nana Kupradze

The time has not slowed interest in the literary actors Vaja - Pshavela work towards. His creativity critical part of gaining unfair and mislead them expressed reservations about him. Some scholars are unanimously recognized the Vaja - Pshavela greatness of talent, creativity, originality and peculiarity.

Проза Важа – Пшавела точки зрении Грузинских литературных критиков и историков

докторант Нана Купрадзе

Время не замедлил интерес и стремление к литературной творчестой Важа - Пшавела. Его глубина ума в творчестве частью критиков заблуждал и неспраделивие оговорки ввестили о нем. Некоторые ученые единодушно признали величии талант Важа - Пшавела, его креативность, оригинальность и своеобразие.

Examples of Intertextuality in the Poems by T.S.Eliot.

Tamar mebuke
Georgian Technical University

In the essay "Tradition and the Individual Talent"(1920) T.S.Eliot writes: *"No poet, no artist of any art, has his complete meaning alone. His significance, his appreciation is the appreciation of his relation to the dead poets and artists."* When a really new work of art is created, the ideal order of existing monuments is modified which T.S.Eliot calls conformity between old and new when the past is altered by the present as much as the present is directed by the past as "… the historical sense compels a man to write not merely with his own generation in his bones, but with a feeling that the whole of the literature of Europe from Homer and within it, the whole of the literature of his own country has a simultaneous existence and composes a simultaneous order." (Eliot T. S. 1922,1) A new work must at the same time conform and fit in while being individual, which is a test of its value.

The question of conforming and fitting in came to be known as a problem of intertextuality which concerns the factors that make understanding of one text dependent upon knowledge of previously encountered texts. It is responsible for the evolution of text types as classes of texts with typical patterns of characteristics and is one of the central standards of text construction, which determines our perception of it.

The fact of "fitting in" indicates to a separate world of the text within a cultural system that has created its own world and has life, which though somewhat different from real life, is felt as "more real" by the people who share the same cultural tradition. The world in which we live is often perceived as disordered, lacking in system and condition – consequence relations, is structured in art and literature, reason and explanation for our being are searched for on the grounds of similar events which came to be known as archetypes or certain patterns of behaviour and situations. For European cultural tradition these archetypes are based on two main codes – Roman-Greek mythology and the Bible which have structured European consciousness and art for many centuries, and at the same time set patterns for behaviour as well as moral and ethical values. As a result, we see the repetition of events as a reflection of everlasting rotation of matter in the ever changing and yet complied to some order reality.

A text possesses definite structural features, which allow, but at the same time coordinate different interpretations, a change of perspectives. Mythologically oriented texts possess an intermediate code that represents a paradigm characterized by unity of expression and content that organizes the possibilities text reading. (Lotman Iu.1981, 3-18) As fictional texts are multi-coded messages, it is always possible to activate different aspects of text structure during the process of reading and transform nuclear structures into peripheral, and peripheral -- into nuclear. Homer`s "*Odyssey*" could be a hypertext for James Joyce's "*Ulysses*" through centuries and many intermediate works or start a famous chain of works by Virgilius ("The Aeneid") and Dante ("The Divine Comedy") that continues through romanticists and up to the modernist literature (T.S.Eliot "The Waste Land", "Ash-Wednesday", "Four Quartets") in which each author continues to develop in his own way the thematic codes from the works of his predecessors thus affirming the continuity of a single cultural tradition. These codes are based on the mysteries of antiquity and Christianity that served the function of bringing human life in accordance with the laws of the universe. T.S.Eliot called it a "mythic method", "…simply a way of controlling, of ordering, of giving a shape and a significance to the immense panorama of futility and anarchy which is contemporary history."

The initial message of descending to Underworld may be considered as an archetypal text which circulates and develops in these works. The journey to Underworld was an important part of Initiation Mysteries. In the book "Christianity as Mystical Fact and the Mysteries of Antiquity" (1902, 22-27) Dr. Rudolf Steiner describes the way of a person who tries to look behind the veneer of material reality and reaches the stage when he begins to doubt the absolute validity of his senses and to feel the existence of another, spiritual world. He reaches a stage when a soul shows to him life as death. Then he is not in the world, he is in the underworld, and makes his journey through Hell. Man either perishes in it, or reemerges completely transformed. Then a new world is born for him from spiritual fire. The same experience was described by Plato in "Phaedo" and by Pythagoreans. Mysteries showed that God, eternal universal harmony, are in the soul of man. Socrates mentioned that the strive to wisdom is common to death as in both cases bodily things lose their significance. The essence of soul is in truth that is not transient. That is why cognition is resurrection of God. Socrates considers a soul before it accepted wisdom to be a "wise wife", a maternal principle which gives birth to God Son – Logos. In the process of cognition man unites with Logos. Above Logos is only God, below it is the transient world. Man has a mission to join this chain.

The same theme of trying to find one`s real self can be found in any great work of literature based on different religious traditions; everywhere man strives to overcome his lower nature and unreasonable existence to become a higher nature, the image of God. The nature of the wisdom gained by descend to the Underworld is simple: to structure reality and to explain the nature of evil in the world. Remembering that man is a microcosm, the image of macrocosm and the image of God, one may try to analyze oneself. Surprisingly, this "esoteric" knowledge has never been hidden from man. Living according to God`s laws, or the laws of nature, or the laws that least harm man and his neighbours not only gives one satisfaction, but also raises man above all other living creatures. Man, as a social being, has his responsibilities towards his society and country. His occupation also poses responsibilities upon him. Such are the simple conclusions of descending to Hell. However, this is the knowledge each man has to gain by himself.

Returning to the themes of the poets of the past is recognition of their greatness, acceptance of the archetypal value of their works and the feeling of belonging to the same cultural tradition which each writer or poet feels the need to continue. The poet, who tried to follow Homer`s, Vergil`s Dante`s way in his quest using *"The Devine Comedy"* as a hypertext was arguably the most important English-language poet of the 20th century Thomas Stearns Eliot. Dante`s influence on Eliot` works can be constantly felt. He appreciated Dante, along with W.Shakespear, as one of the most universal poets and considered the "Devine Comedy" to represent an ideal example of a balanced system of emotions. The same theme of going down to Hell, purification from sins and errors and revival for new life unites Eliot`s poems "The Waste Land", "Ash Wednesday" and the "*Four Quartets" with "The Devine Comedy"*.

Eliot's "The Waste Land" (1922) represents a multivocal poetic sequence interweaving images and allusions around the theme of the barrenness of the modern world and the disillusionment of the post-war generation. N.Frye (1963) considered it to be the hight of Eliot`s "Infernal vision". "The Devine Comedy" is one of the sources that constitutes the hypertext of the poem. The lines from Dante state the resemblance between the Medieval Hell and modern life. The vision of people hurrying to work across London Bridge to the City resembles a line of souls of the miserable at the gate of Hell which in its turn is connected with the motive of death during life. It reminds of the third and the fourth cantos of "Hell":
Unreal City,

Under the brown fog of a winter dawn,
A crowd flowed over London Bridge, so many,
I had not thought death had undone so many.
Sighs, short and infrequent, were exhaled,
And each man fixed his eyes before his feet.

Eliot resorts to vision as one of the main poetic modes reflecting perception of the world at a given time, to describe events like in the "Devine Comedy".

The third part of "The Waste Land" and the fifth canto of "Purgatory" are connected at both thematic and philosophical levels. The final lines of "The Fire Sermon":

O Lord Thou pluckest me out
O Lord Thou pluckest
Burning

represent a combination of a prayer of St.Augustin and Buddha`s Fire Sermon". The theme of the Hell fire, which was so vividly depicted by Dante, is treated at a more philosophical level by Eliot. The repetition of the word "Burning burning burning burning" at the end of "The Fire Sermon" is associated with the inner fire which burns a sole in the fire of its own passions, desires and sins. Life itself is capable of destroying the inner world of man by its fire. The purifying fire is a sign of hope for humanity, the beginning of spiritual pilgrimage.

Examples of intertextuality are abundant. Besides such sources as Weston's book on "The Grail legend: *From Ritual to Romance" and "The Golden Bough" by J.Frazer,* they include allusions to prophets Ezekiel 2:7., Ecclesiastes 12:5., a Medieval poem *"Tristan und Isolde",*poems by Baudelaire, Dante`s *"Inferno"* and *Purgatorio,* Shakespear`s "*Antony and Cleopatra", "The Tempest",* Vergilius`s *"Aeneid",* Milton`s "*Paradise Lost",* Ovid`s "*Metamorphoses" and so on.* The whole poem represents absorption of European (and not only European) cultural tradition. It is as T.S.Eliot stated it himself: "From Homer and within it …" *The Waste Land"* suggests the possibility of salvaging the self by reconstituting culture out of its scattered parts. These parts are shown as quotations in different languages at the end of the poem that according to N.Frye can be regarded as personification of the Tower of Babel.

"*Ash Wednesday"* is the first long poem written by Eliot after his 1927 conversion to Anglicanism. This poem deals with the struggle that ensues when one who has lacked faith in the past strives to move towards God. The title of this six-part poem refers to the beginning of Lent, the most intense season of penitence and self-denial in the Christian year. In a form of an interior monologue a penitent narrates his progress praying for guidance when mounting the turning stairs toward salvation. He refers to himself as lowly, saying *'Lord I am not worthy/ Lord I am not worthy/ but speak the word only.'* After the Hell of despair of "darkened forest" of " The Waste Land" and hollow life without faith, the soul of the poet needed guidance and he chose Dante on this way. Unlike Heaven and Hell which presuppose a definite fate, Purgatory implies a possibility of self-development and self-perfection. The allusions in the poem are to Dante`s "Devine Comedy", the Bible and the Book of Prayers. The title determines the main theme of the poem – the beginning of asceticism on the way to God. A cross of ash on the forehead of the penitent is not only a sign of humbleness, it reminds of the mortal lot of man after his fall. Penitence is a personal purgatory and fire and ash are its symbols. An ash sign also correlates with Dante`s seven P-s which were drawn on his forehead at the entrance to Purgatory. "Ash Wednesday" starts with the motive of despair:

Because I do not hope to turn again
Because I do not hope
Because I do not hope to turn

The despair is strengthened by the image of an aged eagle:
I no longer strive to strive towards such things
(Why should the agèd eagle stretch its wings?)
In the essay "Dante" (1929, 267) T.S.Eliot speaks about the image of the eagle as of one of the most vivid and meaningful of Dante`s images. It is mentioned in the Bible in Psalm 103 where the eagle symbolizes finding faith and God`s grace that give eternal life, in the Book of Isaiah (40:31) the eagle symbolizes the power of faith. In "Ash Wednesday" the image of the eagle stands for the inner transformation, acquiring of faith and inner strength by the protagonist. It is also closely connected with the image of wings – the symbol of spiritual ascend. At the beginning of the poem they were not able to fly *("But merely vans to beat the air", "no longer wings to fly")*
Heavenly ladies play a key role in turning the protagonists to Vita Nuova both in Dante`s and Eliot`s poems.
Lady, three white leopards sat under a juniper-tree
In the cool of the day, having fed to sateity
On my legs my heart my liver and that which had been
contained
In the hollow round of my skull. And God said
Shall these bones live? shall these
Bones live?
The three leopards remind of the three beasts in the first canto of Inferno where they represent an allegory of lust. Transformation of sensual love into spiritual is important for both "The Devine Comedy" and "Ash Wednesday".
The image of "the dry bones" under a juniper-tree at the beginning and end of the poem serve as a frame to the image of the Lady in a white gown, "Lady of silence", "the single Rose", "blessed sister" – the image of mystical transformation of soul and return to life. Her traditional symbol is the rose.
There are many more important images which connect "Ash Wednesday" with "The Devine Comedy" such as a ladder which is also a key image for both poems as the image of connection of man with God, Jacob`s ladder – the archetype of spiritual purgation and ascent, first mentioned in the Book of Genesis (28:12). Like Dante, Eliot places his ladder in the middle of the poem. The three stairs Eliot ascends symbolize surmounting of his own self, they are the three stairs in front of Dante`s Purgatory. During his ascend the protagonist has to overcome the attraction of *"The broadbacked figure"* at the first turning of the third stair as the attraction of sensual world. The turning stairs symbolize the difficulty of the ascent. The poet`s destination is the Earthly Paradise where he meets the Lady:
Who walked between the violet and the violet
Who walked between
The various ranks of varied green
Going in white and blue, in Mary's colour,
Talking of trivial things
In ignorance and knowledge of eternal dolour…
"The silent sister veiled in white and blue" is Beatrice, or the transformed sole of Eliot who meets him in the Earthly Paradise. Eliot considered this episode to be a turning one for "The Devine Comedy" opening to the protagonist new life and love after the period of spiritual sleep. Eliot` experience of regaining Paradise is as personal as Dante`s:
And the light shone in darkness and
Against the Word the unstilled world still whirled
About the centre of the silent Word.

It describes return to God and approximation to knowing His ways: *"Our peace in His will"* – represents a direct citation of Dante.

The end of spiritual pilgrimage of the protagonist shows him at the same point, but at a different level of understanding *(Although I do not hope to turn again*). The despair of Hell is replaced by the hope to pass differently "*the time of tension between dying and birth*" having now regained "*unbroken wings*." The poem ends with the words from Psalm 102:2:

Do not hide your face from me
in the day of my distress!
Incline your ear to me;
answer me speedily in the day
when I call!

"Four Quartets" offers Eliot's philosophical and spiritual meditation on temporality and eternity. Each quartet is associated with a place connected with Eliot`s life, historical or biographical event, however together they combine into reflection over life and the poet`s theological and philosophical revelations. The main symbols are the four elements (air, earth, water, and fire) from which the material world was made as the forces generating life and belief in Higher reason that gives meaning to our existence. The basic meaning of the poem recalls the philosophy of Heraclitus who treated life as a searies of transformations or a replacement of one element by another with fire as the most fundamental element. His doctrines of change being central to the universe, the unity of opposites, stating that "the path up and down are one and the same," and that all things come to pass in accordance with *Logos*" are important for understanding the poem. Direct quotations from Heraclitus are used as an epigraph to the poem.

The element of fire is central for the Quartets. The beginning ("Houses…/Are removed, destroyed") reflects a violent everyday experience of war. *"Little Gidding*" shows the fire of war, which brings death and sufferings as the result of destructive activity of man who forgot the foundational laws of God:

Water and fire deride
The sacrifice that we denied.
Water and fire shall rot
The marred foundations we forgot,
Of sanctuary and choir.
This is the death of water and fire.

The poet chooses Dante as the guide on his way to God, realizing that many more before him had tried to accomplish the same way:

I caught the sudden look of some dead master
Whom I had known, forgotten, half recalled
Both one and many; in the brown baked features
The eyes of a familiar compound ghost
Both intimate and unidentifiable. ("Little Gidding")

This meeting was especially meaningful for T.S.Eliot where everything reminds of Dante`s meeting with Brunetto Latini and where he even tried to imitate Dante`s "terza rima" in the English language. T.S.Eliot also saw his mission as a poet in perfecting and enriching his language ("The great poets of the past all contributed to the development of their languages". ("What Dante Means to Me" (1950) The meeting at the same time reminds T.S.Eliot of the frailty of the Earthly fame.

Eliot`s destination is "*the still point of the turning world", "... surrounded/By a grace of sense".*

In Dante`s Paradiso Canto XXII "the still point" is also in the centre of the Universe, *the point from which the world evolves. In the poem this evolution is represented in the form of a*

dance – as the rhythm, energy that coming from the still point gives motion to the whole world, guides the rotation of spheres and involves the movement of all matter in a cosmic whirl.

In "East Coker" the rotation around the still point is shown as a cyclical character of terrestrial life, one manifestation of a mortal lot of everything alive. Dancing around a bonfire has always been connected with ritual dances:

In that open field
If you do not come too close, if you do not come too close,
On a summer midnight, you can hear the music
Of the weak pipe and the little drum
And see them dancing around the bonfire
The association of man and woman
In daunsinge, signifying matrimonie—

Dance in the poem is expressed in one more incarnation – as a funeral dance, as the reflection of dark forces tempting man on his path to salvation in opposition to Logos:
The Word in the desert
Is most attacked by voices of temptation,
The crying shadow in the funeral dance,
The loud lament of the disconsolate chimera.

The same gradation of dance is in *"The Devine Comedy"* --- from the whirlwind carrying sinners in Hell to the dance of the blissful and rotation of celestrial spheres in Paradise. In both cases dance is a universal image symbolising full existence with its innate order.(Ushakova O.2005, 146-147)

The still point in *"The Devine Comedy"* is the Empyrean, the tenth circle of Paradise and the dwelling of God, angels and the blessed souls that is also the source of light. Dante treats God as an absolute unity that embraces all aspects of life and creates the world by emanating love and light.

Light is inherent of the element of Fire. *"Little Gidding"* shows all aspects of fire – the destructive fire of Hell, the purifying fire of Purgatory and the fire of love in Paradise. *"A white light still and moving" in "Burnt Norton"* emanated from the still point represents the destination of a man who seeks truth.

The transfer to New Life (La Vita Nuova) comes through purification by making "the choice of pyre or pyre", from destruction to revival. It is connected with the theme of love."Pyre" and a "shirt of flame" are personifications of the flame of passion that Eliot contrasts with the flame of pure love, "expanding of love beyond desire":

We only live, only suspire
Consumed by either fire or fire.

The purifying fire of love brings man closer to God and reconciles him with himself. This is the state which may be called "terrestrial Paradise". In "Four Quartets" this state is symbolized by children playing in the rose garden.

Go, said the bird, for the leaves were full of children,
Hidden excitedly, containing laughter.

Childhood itself may be viewed as the Paradise lost, the state of happiness, innocence and full protection which we try to regain. The bird is a guide between this world and the eternity the poet tries to regain. The bird and "the unheard music hidden" are mystical symbols that bring the poet to a drained pool:

And the pool was filled with water out of sunlight,
And the lotos rose, quietly, quietly,
The surface glittered out of heart of light,

The pool of water was inherent to Paradise before the fall of man. Lotos rising from water of sunlight shows arriving at the destination of the poet`s journey. It is the symbol of sunlight, the source of life, immortality, purity, spirituality, the tree of life and the Lady. It is comparable with the rose in European cultural tradition.

A "Rose" in the third part of "Little Gidding" is also a symbol of one`s love to one`s country and its history (History may be servitude, History may be freedom.) At the same time it is the symbol of Mary, a symbol of transformed Eve. Transformed nature, saving man from the curse, serves the main purpose of the poem – a possibility of man`s transformation by getting closer to God and the Sacred Spirit that created this world to be perfect. It is the image of the Love that is in the centre of the world, it`s still point that makes the world go round (the Love that moves the sun and the other stars).

However, achievement of aspirations may turn into the feeling of vanity of everything you do after realizing the futility of all attempts, a doubtful value of acquisitions and even questioning if the ascend was worth all the trouble ("Garlic and sapphires in the mud").The taste of achievement is saddened by misunderstanding, envy or folly of the others, when "fools' approval stings, and honour stains" and at every time of our recollection of the past we must return to "refining fire" of Purgatory. And the only thing that can clear us from the fire of old passions is a new fire of purgation, the guiding force behind it is Love that balances the extremes.
"The only wisdom we can hope to acquire/ Is the wisdom of humility: humility is endless".
And *t*he only gift to man that can be "half understood" is Incarnation, the glimpse of God in His sacrifice to man, the incarnated Logos to whom we may listen and in whom "the past and future/Are conquered, and reconciled" "and the rest/Is prayer, observance, discipline, thought and action".

The Paradise of T.S.Eliot is not the Paradise of Dante with its enlightenment and spiritual ascend to the hights of comprehension of universal laws. It is the insight into life itself, return to the "hell" of life but at a different level of understanding, at the level of terrestrial wisdom and forgiveness. Going down to Hell, through purging fire and up to the Paradise are not just the stages of initiation which happens once and brings results for the rest of life. For Eliot it is a permanent process which man has to go through at every turning point of his life. It is quite a new perception of old mysteries when a mystery of going through three kingdoms is realized as an act through which each man has to pass several times in his life at each of its crucial points. The understanding obtained by a long way of search for God and Truth through renunciation and penitence. "In my beginning is my end. In my end is my beginning" with the final conclusion: "Our peace in His will"

In the context of the viewed above works, we may consider an initial message of descending to Underworld, as an archetypal text which circulates and develops in many significant works of literature and art. Intertextual relations may be seen as a dialogue among these texts. (Bakhtin, M. M. 1965) This demonstrates the dialogical nature of consciousness as such. "In order to work consciousness needs consciousness, a text - another text, culture - another culture." (Lotman Iu.1981,10) U.Eco calls it "an open text" -- an essentially complex in its meaning message, which requires a free, creative answer to it (Eco U. 2004, 10, 29). The generative meaning-making process is foundational for culture. (Lotman I. 1981, 18) It allows us to see culture as a constant process of meaning-creation.

Bibliography

Allen, Graham. 2005 Intertextuality. The Literary Encyclopedia. 24 January. http://www.litencyc.com/php/stopics.php?rec=true&UID=1229, accessed 24 May 2010.

Bakhtin, Mikhail. 1981 Discourse in the Novel (1935). In The Dialogic Imagination, ed. Michael Holquist and trans. Caryl Emerson and Michael Holquist. Austin: University of Texas Press.

Barthes, Roland. 1995 The Death of the Author. In Theories of Authorship. Ed. John Caughie. (BFI Readers in Film Studies). London: Routledge. pp. 208-13.

Barthes, Roland. 1989 From Work to Text. In Literary Criticism and Theory. Ed. R. C. Davis and L. Finke. London: Longman. pp. 712-17.

Dalgaard, R. 2001 Hypertext and the Scholarly Archive: Intertexts, Paratexts, and Metatexts at Work. In Proceedings of the 12th ACM Conference on Hypertext and Hypermedia. Aarhus, 2001 175-84.

Dante Alighieri.The Divine Comedy Translated by James Finn Cotter . Web Edition by Charles Franco Introduction to the Web Edition www.italianstudies.org/comedy

Derrida, J. 1978 Writing and Difference, trans. Alan Bass, Chicago: University of Chicago Press.

Derrida, Jacques. 1988 The New Modernism: Deconstructionist Tendencies in Art. Art & Design profile, 8. London: Academy Group; New York: St. Martin's Press.

Eco, Umberto. 1989 Opera aperta (Loose work). Translated by Anna Cancogni. Introduction by David Robey. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.

Eliot T.S. 1922 The Sacred Wood: Essays on Poetry and Criticism. Tradition and the Individual Talent. www.**bartleby.com**/200 pp.1-3

Eliot T.S. 1979 On Poetry and Poets. London-Boston: Faber And Faber Limited.

Eliot T.S. 1932 Selected Essays. London: Faber and Faber Limited.

Eliot T.S. 1982 The Critical Heritage. Vol.1,2. London and New York: Taylor &Francis e-Library.

Eliot T.S. 2006 Annotated Waste Land with Eliot`s Contemporary Prose. Ed. Lawrence Rainey. New Haven & London: Yale University Press.

Eliot T.S. 2004 The Contemporary Reviews. Ed. Jewel Spears Brooker. Cambridge University Press.

Frye N. 1963 T.S.Eliot. Edinburg; London: Oliver and Boyd.

Gardner H. 1991 The Art of T.S.Eliot. London; Boston: Faber and Faber,

Genette G.1980 Narrative Discourse: An Essay in Method, trans. Jane Lewin, Ithaca: Cornell University Press.

Kristeva, Julia 1980 Desire in Language: A Semiotic Approach to Literature and Art. New York: Columbia University Press.

Lotman, Iury. 1994 The Text within the Text. (Selection. With a presentation by Julia Kristeva). PMLA 109 (1994): 375-84.

Steiner R. 1902 Christianity as Mystical Fact and the Mysteries of Antiquity. Berlin.

Ushakova O.M. 2005 T.S.Eliot and European Cultural Tradition. Tiumen.

ინტერტექსტუალურობის მაგალითები თომას ელიოტის პოეზიაში

თამარ მებუკე

სტატიაში, ინტერტექსტუალურობის საკითხი განხილულია როგორც ერთიდაიგივე კულტურული ტრადიციების ფარგლებში მყოფ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის დიალოგის ფორმა. განიხილება თომას ელიეტის პოემები, რომლებშიც ასახულია არქეტიპები და მხატვრული ხატები, რიმელნიც დამახასიათებელია ისეთი დიდი დასავლეთევროპელი მწერლებისათვის როგორებიც არიან ჰომეროსი, ვერგილიუსი და დანტე.

Примеры интертекстуальности в поэмах Томаса Элиота

Тамар Мебуке

В статье рассматривается вопрос интертекстуальности как формы выражения диалога между художественными литературными произведениями в рамках одной культурной традиции. Рассматриваются поэмы Томаса Элиота, использовавшего в своих произведениях архетипы и образы повторяющиеся в произведениях таких великих Западноевропейских писателей как Гомер, Вергилий и Данте.

კიბერ სივრცე და ქართველი "ნეტიზენების" კომუნიკაცია

მაკა მურვანიძე
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ. № 89

„მე მჯერა, რომ 21-საუკუნეში ინტერნეტი მოხადენს უდიდეს გავლენას ინგლისურ ენაზე"- თქვა ცნობილმა ლინგვისტმა დევიდ კრისტალმა და ეს ასეც მოხდა.

კომპიუტერის მომხმარებელთა რიცხვის მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით არაერთი კვლევა განხორციელდა სხვადასხვა მეცნიერების მიერ. სტატიაში განხილულია კიბერ ენის ზეგავლენა ქართველ "ნეტიზენებზე". სტატიის სათაურშივე ყურადრებას იპყრობს ორი ტერმინი, რომელიც უკვე დამკვიდრებულია ქართულ სივრცეში. სიტყვა "Cyber" არის პრეფიქსი, რომელიც გამოიყენება ადამიანის, საგნის ან იმ იდეის აღსანიშნავად, რომელიც კომპიუტერისა და ინფორმაციული სივრცის ნაწილია. სათაურში გამოყენებული მეორე სიტყვა "Netizen" არის სიტყვების "Internet" და "Citizen"-ის შემოკლება, რომელიც აღნიშნავს ინტერნეტ სივრცეში ჩაფლულ ადამიანს.

ინტერნეტის მომხმარებლები იყენებენ განსაკუთრებულ სიტყვებს, ტერმინებს, აბრევიატურებს და აკრონიმებს, რომელთა წარმოება მეტად აქტიური თემაა თანამედროვე ლინგვისტიკაში და გამოირჩევა თავისი სალაპარაკო და არაოფიციალური თვისებებით, თუმცა ბევრი ასეთი სიტყვა უკვე შესულია ოფიციალურ სალიტერატურო ენაში. კიბერ სივრცეში არანაირი ცენზურა არ არსებობს, რაც მომხმარებელს აძლევს თვითგამოხატვის სრულ თავისუფლებას. ამ ახალ ენას ანუ ენის ქვე-კულტურას სეულის უნივერსიტეტის პროფესორი უწოდებს " Netlage"-ს, რაც წარმოადგენს ორი ინგლისური სიტყვის " Internet"-ისა და " Language"-ის ენა (კომბინაციას).

სტატიის ძირითად საკვლევ მასალად გამოყენებულია ინტერნეტ ფორუმებში არსებული ინფორმაცია, როგორიცაა: ICQ, Messenger, OOVOO, Skype, www.facebook.com, www.myspace.com, www.Twitter.com, და სხვ.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ინგლისური ნეოლოგიზმების გამოყენების სიხშირე ქართველი ნეტიზენების მიერ კომუნიკაციის დროს და ქართულ ენაში დამკვიდრების სიტყვათ-წარმოების გზების გამოვლენა.

კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაცია შეიძლება მთელი რიგი ტერმინებით განვმარტოთ, როგორიცაა: virtual communication (ვირტუალური კომუნიკაცია), online communication (კომუნიკაცია ხაზზე), electronic communication (ელექტრონული კომუნიკაცია), cyber communication (კიბერ კომუნიკაცია) ან cyber conversation (კიბერ დიალოგი). ყველა ზემოთხსენებული ტერმინი ტექნიკურად ეხება კომპიუტერულ მეტყველებას, ანუ Computer mediated Communication (CMC).

ინტერნეტის ქართველი მომხმარებლების უმეტესობა ფლობს ინგლისურ ენას საშუალო დონეზე, რაშიც გარკვეული წვლილი თავად ინტერნეტს ეკუთვნის. იმისათვის რომ ინტერნეტში კომუნიკაცია სწრაფი ტემპით წარიმართოს, ფრაზებსა და მთლიან წინადადებებს ამოკლებენ, ზოგჯერ ინიციალებამდეც კი . მსგავსი შემოკლებების შექმნაში თუ არა, გამოყენებაში ქართველი თინეიჯერები არ ჩამოუვარდებიან მათივე ასაკის ინტერნეტ საზოგადოების ევრო-

პელ და ამერიკელ წევრებს. მიუხედავად ამისა რთულია რაიმე ამტკიცო ზუსტი მონაცემებისა და ფაქტების გარეშე.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე მეწარმეობინა კვლევა ქ.ახალციხის № 1 საჯარო სკოლის მოსწავლეებში. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ 13-15 წლის თინეიჯერები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 42 მოსწავლემ, აქედან 18 გოგონა და 24 ვაჟი. სამიზნე ჯგუფს დაურიგდა ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ის ინგლისურენოვანი ტერმინები, რომლებსაც თინეიჯერები ქართულად კომუნიკაციის დროს ხშირად იყენებდნენ. კვლევა წარიმართა ორი მიმართულებით: პირველი - იცოდნენ თუ არა მოზარდებმა ინგლისურენოვანი ტერმინების ზუსტი განმარტება და მეორე-ქართულ ენაში რომელი მეტყველების ნაწილებით მკვიდრდება უფრო ხშირად ეს ტერმინები. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მათგანი.

სოციალური ქსელის "Twitter"-ის საშუალებით ძალიან ბევრი ინგლისურენოვანი აბრევიატურის შექმნა და გავრცელება მოხდა. ქართველი თინეიჯერები ხშირად იყენებენ ტრემინს "დატვიტე", როგორც ზმნა. ერთ-ერთი სამიზნე ჯგუფის თინეიჯერი ტერმინს "Twitter" ასე განსაზღვრავს: "დატვიტვა" ნიშნავს ტექსტური შეტყობინების გაგზავნას, რომელიც მომხმარებლის გვერძე ჩანს. სერვისი ძალიან მოხერხებულია მათთვის ვისაც სურს მომენტალურად გაეცნოს სიახლეებს ნაცნობებისა და უცნობი ადამიანების შესახებ.

"Twollower-Twitter Follower"- "ტვიტერ ფოლოუვერები" - ხალხი რომელიც აგედევნენ სოციალურ ქსელში და თვალყურს ადევნებენ შენს ცხოვრებას. კვლევიდან გამომდინარე არც ერთმა მონაწილემ არ იცოდა რას ნიშნავს სიტყვა " Twitter" სინამდვილეში. ეს არის სალიტერატურო სიტყვა ინგლისურ ენაში და ნიშნავს: ჭიკჭიკი, ჟღურტული, ჟივჟივი, ჟივილი, აღგზნება, აღელვება.

სოციალური ქსელი facebook-ი დიდი ყურადღების ცენტრშია მთელს მსოფლიოში და ქართულ საზოგადოებაშიც. ქართულ რეალობაში გავრცელებული ფრაზებია:

UP-Upload-ფაილის გაგზავნა ინტერნეტ სივრცეში. ქართველი ნეტიზენები იყენებენ ფრაზებს "დააფლოუდე, დამიაფლოუდა" და სხვა ზმნის ფუნქციით.

Facebooked - ფეისბუქის საშუალებით ტექსტური შეტყობინების გაგზავნა. ქართველი თინეიჯერები ამბობენ "დამიფეისბუქა" ზმნის მნიშვნელობით.

Face-to-face პირისპირ საუბარი. ხშირად შეგხვდებათ ფრაზა (ჩემს შეყვარებულს სიყვარული "ფეის თუ ფეის" ავუხსენი).

XOXO - Hugs and Kisses - ჩახუტება და კოცნა. საქართველოში ამბობენ (ჰაგები და ქისები გამოგიგზავნეს). ეს აბრევიატურა დამკვიდრებულია არსებითი სახელის ფორმით, მრავლობითი რიცხვი.

LOL - Lots of Love, Laughing out Loud. ეს არის აბრევიატურა LOL-ის ის ორი ძირითადი განმარტება იმ 90-იდან რაც მსოფლიოში არსებობს, თუმცა ქართველი ნეტიზენები კომუნიკაციის დროს მას ძირითადათ იყენებენ ფრაზაში: " როგორი ლოლი ხარ" ანუ რა საყვარელი ხარ.

ქართულ ენაში ნეტიზენები აქტიურად იყენებენ ისეთ ინგლისურ სიტყვებს როგორიცაა:

Log out - ვალოგაუთებ (ზმნა)

Save it - დამისეივე, დავასეივე, (ზმნა)

Link it – დამილინკე (ზმნა)
Skype me – დამისკაიპე (ზმნა)
Lets go - წავლეცგოვდით (ზმნა) და სხვ.

კვლევამ ცხადყო, რომ ქართველი ნეტიზენები ინგლისურენოვან ტერმინებს ფართოდ იყენებენ ქართულ ენაზე კომუნიკაციის დროს. ძირითადში მათ იციან რას ნიშნავს მოცემული ფრაზა კონტექსტში, მაგრამ ცალკე აღებული სიტყვა ხშირად გაუგებარი რჩებათ. ინგლისურენოვან აბრევიატურებს ქართულ ენაში იყენებენ ძირითადად ზმნის ფუნქციით და ქართული გრამატიკიდან გამომდინარე ურთავენ ზმნისწინებს.

ამრიგად, ქართველი ნეტიზენთა დიალოგების მონაცემთა ბაზაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართველი ნეტიზენების მეტყველება გამოირჩევა სპონტანურობით და ინგლისურ-ქართულ ენაბზე მიმდინარეობს. მათი მეტყველება ძირითადათ გაჯერებულია აბრევიატურებით, შემოკლებული გამონათქვამებით და მათი გამოყენების სიხშირე ძალიან მაღალია. მაგალითისთვის ქვემოთ მოცემულია ყოველდღიური საუბრის მცირე მონაკვეთი:

- აუ ბიჭო, გუშინ **ფეისბუქძე** ჩამომეძინა.
- რატომ? რამე ახალია?
- ხო, ვიღაც გავიცანი. მილიონი **ჰაგები და ქისები** გავუგზავნე, მერე რაგაცეები **დავუაფლოიდე**. საკმოდ ბევრი **ლინკი** გამომიგზავნა და მაგათი **დასეივებით** ხომ დავიგალე.
- რაო **ფეის თუ ფეის** არ შევხვდეთო?
- ჯერ **ვისკაიპოთ** და მერეო..

ზემოთ მოცემული დიალოგში მკვეთრად ჩანს ინგლისური ტერმინების სიმრავლე. ინტერნეტის მომხმარებლების მეტყველება ქმნის თანამედროვე რეალობას, რაც საკმაოდ საინტერესოა, ამავდროულად არაკონვენციური და მიუღებელი სალიტერატურო ენისათვის, თუმცა კვლევა ცხადყოფს, რომ ნეტიზენები ერკვევიან ყოველგვარ სიახლეში, რაც დაკავშირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს განვითარებასთან და არც ის იქნება გასაკვირი, რომ რომელიმე ზემოთხსენებული ტერმინი დამკვიდრდეს ქართულ ენაში გარკვეული ფორმით: სლენგი, ჟარგონი, აბრევიატურა და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ginsburg R.S., Khidekel S.S., Knyazeva G.Y., Sankin A.A-Course in Modern English Lexicology, M. Vishaya Shkola, 1979
2. გონაძე გ., ძაგნიძე გ.,- შემოკლებული ჩაწერის სისტემა, 1981
3. .Jakson H., E. Ze Amvela- Words, Meaning and Vocabulary, an Introduction to Modern English lexicology.
4. Marchand H.-The Categories and Types of present-day English Word-Formation, Wiesbada,1960
5. Webster's New word Dictionaries of Computer Terms, 1998

ინტერნეტ რესურსი

1. http://en.wikipedia.org/wiki/List_of_classical_abbreviations
2. http://abbriviations.com/
3. http://lnguage@internet.com
4. http://netlingo.com

Cyber Language and Georgian Netizens Communication

Maka Murvanidze
Assistant-Professor
Akhaltsikhe State Learning University

The article deals with the English words in Cyber world used by Georgian netizens in their speech. The research done by me shows that Georgian teenager netizens' talk is spontaneous. They widely use English abbreviations and acronyms in their speech which are changed according to Georgian morphology Such as: hagebi and kissebi, davuaploide, linki, peis to pesi, davuskype and so on.

Кибер пространство и коммуникация грузинских Нетизенов (интернет пользователей)

Мака Мурванидзе
ассистент-профессор Ахалцихского
Государственного Университета

Статья касается использования английской терминологии киберпространстве при беседе грузинских нетизменов.

Проведенное мною исследования показывает, что речь грузинских нетизменов отличается спонтанностью и восновном ведется на английском и грузинском языках. Их речь насыщена аббривиатурами, сокрощениями и такими словами как феисбук, "хаги"- объятия, "кисеби'- поцел уй "дауафлоиде"- прикрепить, "линки '- адрес, феис ту феис - лицом к лицу, "давускаипе"- ответить по скаипу

ნომინაციის პრინციპები და ხერხები თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ შარბონში (ადამიანი, ადამიანთა ტიპები)

ნინო ნიორაძე
სტუ დოქტორანტი

თანამედროვეობა ენობრივი ცნობიერების თვალსაზრისით მეტყველების „დემოკრატიზაციით" ხასიათდება. ეროვნული, კანონიზებული ენის სიწმინდის დაცვის მოთხოვნილებას მეტყველების სტილების, სახეობების „ამინისტიის" პროცესები ჩაენაცვლა და დღის სინათლეზე, ანუ ვერბალურ კომუნიკაციათა ნებისმიერ დონეზე, სოციოლექტების ლეგალიზაციის პროცესები დაიწყო. მართალია, ქართველი საზოგადოების მხრიდან ამ მოვლენას არაერთგვარი შეფასება მოჰყვა, მაგრამ ფაქტად რჩება სოციოლექტების ინტენსიური შეჭრის პროცესი კოდიციფირებულ ენაში.

ენობრივი დემოკრატიზაციის პროცესების გლობალურობა, ცხადია, ღირსშესანიშნავი მოვლენაა და კაცობრიობას ე. წ. რეგიონული ენების ამინისტირებით ყველაზე დიდ სასწაულს შეუნარჩუნებს, მაგრამ ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში ეროვნული ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვას რომ ეროვნულობის მოდენტიფიცირებული მარკერის მნიშვნელობა აქვს, ესეც უდავოა.

სოციოლექტების კოდიფიცირებულ ენაში ინტენსიურად შეჭრა-დამკვიდრების შედეგად, ანუ ცალკეული სოციალური ჯგუფის არაკოდიფიცირებული

ლექსიკა - ფრაზეოლოგიის სხვა სოციალური ჯგუფების წევრებისათვის გასაგებობისა და ხელმისაწვდომობის ზრდის გამო, სოციალური დიალექტების სახეობებს შორის ვერბალური საზღვრები ქრება, ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერი დონის ენობრივ კომუნიკაციებში იჩენს თავს.

ჟარგონიზმებითა და სლენგიზმებით სარგებლობის მიზეზი მოლაპარაკის მიერ საკუთარი მეტყველების შთამბეჭდობის უზრუნველყოფა და ექსპრესიულ - ემოციური შეფერილობის გამკვეთრებით „თავისიანი – სხვისიანის“ იდენტიფიცირება, ხოლო ამ ყველაფრით ენობრივი კომუნიკაციის გაადვილებაა. ამის გამო დღეს ჟარგონიზმების, სლენგიზმების (გარკვეულწილად არგოტიპებისაც) არსებობა ვერბალურ კომუნიკაციებში ჩვეულებრივი მოვლენაა. აღნიშნული განსაკუთრებით ახალგაზრდულ ჟარგონს ეხება, რომელიც ისედაც შედარებით მეტი სემანტიკური ღიაობით ხასიათდება და ამის გამო მისი ლექსიკა - ფრაზეოლოგიის მომხმარებელი ახალგაზრდების სოციალური ჯგუფების გარდა, სხვა სოციალური ჯგუფების წევრებიც არიან, ამასთან: არა მხოლოდ ქალაქის მოსახლეობის, არამედ სოფლის მოსახლეობისაც. აღნიშნულის გამო კი, ბუნებრივია, ახალგაზრდული ჟარგონის ფუნქციონირების არეალი თანდათან ფართოვდება. არეულის გაფართოება კი თავისთავად ახალგაზრდული ჟარგონის ლექსიკა - ფრაზეოლოგიის თემატურ მრავალფეროვნებას აფართოებს. ამას გარდა, ფუნქციონირების სივრცის გაფართოება განაპირობებს ახალგაზრდული ჟარგონის ფუნქციონირების ფორმობრივ სახეცვლილებებსაც - ზეპირთან ერთად ჩნდება წერილობითი ფორმაც.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ თანამედროვე ახალგაზრდული ჟარგონის ფორმირებისა და ფუნქციონირების სპეციფიკაც ლინგვისტურთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც განაპირობებს, ხოლო ამ ყველაფრის უმთავრესი პირობაა მისი გარემოს ღიაობაა, მისი ლექსიკა – ფრაზეოლოგიის გასაგებობა და მისაღებობა.

ახალგაზრდულ ჟარგონს, ისევე როგორც სოციოლექტების სხვა სახეობებს აბსოლუტურად „თავისი“ ლექსიკა - ფრაზეოლოგია არ გააჩნია, ანუ ყველა ხვდობილების, მოვლენის, ფაქტის, საგნის აღსანიშნი „საკუთანი“ სიტყვა არ მოეპოვება, ფიქსირდება მხოლოდ ცალკეული თემატურ – საგნობრივი წრის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზეოლოგიზმების არსებობა, რომლებიც მოლაპარაკეთა ინტერესებსა და მისწრაფებებს შეესაბამებიან. ჟარგონში ხომ საერთოდ მისი „დამბადი“, „შემქმნელი“ სოციალური წრის მსოფლგანცდა, მსოფლხედვა, ცხოვრების წესი, ლტოლვა - მისწრაფებები აისახება. ამით კი, ცხადია, აშკარავდება ახალგაზრდების მოცემული ჯგუფის ღირებულებითი სისტემა, გარემომცველი სამყაროს აღქმა - გააზრების თავისებურებები და ა. შ. სწორედ ამიტომაც ახალგაზრდული ჟარგონის ლექსიკა - ფრაზეოლოგიაში შედარებით მკაფიოდ და ღრმად ცალკეული სემანტიკური ველებია განვითარებული.

თანამედროვე ლინგვისტიკაში, ტრადიციულად გამოიყენებენ შემდეგ სემანტიკურ კვლევებს:

- „ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებები, ფიზიოლოგიური პროცესები;
- „მისწრაფებები, სურვილები“;
- „ლოთობა“;
- „მოტყუება“;
- „ფული“.

ამგვარი სემანტიკური ველების აქტიური ფუნქციონირებით გამოირჩევა, მაგალითად რუსული ახალგაზრდული ჟარგონი, უფრო სწორედ, სლენგი [მატიუშენკო 2007:7].[1] სხვა ენობრივ სივრცეებში სემანტიკური ველები, ბუნებრივია, განსხვავებული იქნება, ერთი მხრივ, კულტურული და ენობრივი ცნობიერების განსხვავებულობის გამო, მეორე მხრივ, ცხოვრების წესის, მსოფლმხედველობის თვალსაწიერის ენობრივი მარკერების სრულყოფის გამო. რუსული ახალგაზრდობის „კულტურულ შუბლს“ (ნიკო მარი) ჩვენ მიერ ციტირებული.

ავტორი - ე. მატიუშენკო ასე ახასიათებს: თანამედროვე საზოგადოების მთავარი საზრუნავია რაც შეიძლება ბევრი ფულის შოვნა, არანაირი ზღვარი და შეზღუდვა ამ მხრივ არ არსებობს, თუ ამერიკულ დოლარებში - ბაქსებში იქნება, კიდევ უკეთესი. მათი მოპოვების ხერხს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს (არ გამოირიცხება არც მოტყუება, არც ქურდობა). მოპოვებული სახსრები იხარჯება სიამოვნებებზე, ხოლო ამ სიამოვნებათა არე შემოფარგლულია: ან ნარკოტიკების მიღებით, ან სპირტიანი სასმელების უზომო ზომით, ან სხვაგვარი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით.

სამუშაო და სწავლა - განათლება არც ისე მნიშვნელოვანია და შესაბამისად ამ თემატიკის სლენგიზმებიც ძალიან ცოტაა (ე. მატიუშენკო, დასახელებული ნაშრომი).

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ სემანტიკური ველების გამოყოფის მკაფიო ხერხები და საყოველთაოდ მიღებული (კანონიზებული) ნუსხა ლინგვისტიკაში არ არსებობს და ეს შეუძლებელიც არის, რადგან ნებისიმერი სოციალური ჯგუფის წევრთა ინტერესები გარდა ჯგუფის შიდა კომუნიკაციური ინტერესებისა, ამ ჯგუფის წევრების ჯგუფსგარე სოციალურ რეალობასაც წვდება და ამის გამო თემატური მრავალფეროვნება ბუნებრივად წარმოიქმნება. მათი აღნუსხვაც და დაჯგუფებაც ყოველთვის შეიცავს სუბიექტურობის მომენტს და მკვლევარის ლინგვისტიკური ხედვის, ენობრივი ცნობიერების თავისებურებაზეა დამოკიდებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, თანამედროვე ქართული ჟარგონის ლექსიკონების სიტყვიერების, ნუსხების ლექსიკა - ფრაზეოლოგიური შედგენილობის ანალიზის შინაარსობრივ - თემატური კლასიფიცირების საფუძველზე შემდეგი სემანტიკური ველების არსებობა დგინდება.

• ადამიანი, ადამიანთა ტიპები: ახალგაზრდულ ჟარგონში ადამიანი წარმოდგენილია რაიმე დამახასიათებელი ნიშან - თვისების მიხედვით. ამას თან ეს ნიშან - თვისება, როგორც წესი, უარყოფითი სემანტიკის შემცველელია. აშკარად არის გამოკვეთილი დაცინვის, გაქილიკების, დამცირების ქვეტექსტურობის არსებობა. მოლაპარაკე სხვა ადამიანს, როგორც წესი, საკუთარ თავზე დაბლა მდგომად მოიაზრებს, თავის ტოლად არ მიიჩნევს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვინმეს საზოგადოებაში მოლაპარაკეზე მაღალი მდგომარეობა უკავია, იგი მაინც პოულობს გაქილიკება - გაქირდვის მიზეზს. ადამიანების ტიპებად დაყოფა კონკრეტული ნიშან - თვისების მიხედვით კი თავისი მრავალმნიშვნელობით მართლაც გასაოცარია. ადამიანი გარეგნობის მიხედვით არის: - ამბალი - „ახმახი“ (16);[2] - შკაფი - „დიდი ტანის ადამიანი“ (142); - მოხეული - „ტანად დიდი (ადამიანი), ვეებერთელა (94) - ქეთინო -

[1] Е.Е.Матюшенко – Современный молодежный сленг: Формирование и функционирование, автореферат канд. диссерт., Волгоград, 2007.

[2] ჟარგონები და მათი განმარტებები აქაც და შემდეგაც აღებულია ლ. ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონიდან (2005). არაბული ციფრები აღნიშნავს ლექსიკონის გვერდის ნომერს.

(129), იგივე ყიყლიყო (133) – „ქალური ბუნების მამაკაცი“; ფრუქტი - „ტიპი ვინმე (უარყოფითი მნიშვნელობით, აგდებულად)“ (127); ფირმა როჟა - „უცხოელი მოქალაქე“ (126); მხეცი - „ძალიან ძლიერი (ფიზიკურად ან გონებრივად)“ (95); - მოხეული, იგივე - მოტრეტილი, იგივე მოდღლეზილი ანუ - მოგლეჯილი - „ტანად დიდი კაცი, ტანად დიდი (ადამიანი), ვეებერთელა“ (89, 91);

დადებითი ადამიანი შეიძლება იყოს: ბიტი - „გამოცდილი, ცხოვრებანანახი“ (27); ბიძა - „კაცი, მამაკაცი, პროტექტორი“ (27); გალსტუკით დაბადებული - „ინტელიგენტი უხერხემლო, უხეირო ადამიანიც (37); პინგვინი - „გულუბრყვილო, ადვილად მოსატყუებელი, ადვილად დასაჩაგრი ადამიანი (101); -როჟა (107), - კლიენტი (79), - მასტი (85), - „ტიპი, ადამიანი“; ტვინიკოსი (118) – „ჭკვიანი“, ტვინიანი (უფრო ირონიული მნიშვნელობით; ირონიულ ელფერს ამ სიტყვას ანიჭებს ქართულ სიტყვას დართული უცხოური სუფიქსი)“; „ჯიგარი მასტი - „კარგი, მაგარი, გულიანი ტიპი“, იგივე „ჯიგრიანი“, განმარტებითი ლექსიკონით „ლაზათიანი“ (166);

განსაკუთრებული გაქირდვა - დამცირების ობიექტია გონებრივად, ცნობიერებით, ცხოვრების წესით ჩამორჩენილი ადამიანი. ასეთი ადამიანი შეიძლება იყოს: ბანძი - „უგემოვნო“ (26); ბოლო გოიმი - ყველაზე ჩამორჩენილი, ყველაზე გამოუსვლელი ადამიანი“ (45) გამოქლიავებული – გამოთაყვანებული, გამოშტერებული (38); გეჩე - „ხალხში გამოუსვლელი, სოფლელი ტეტია“ (43); გორსალა - „უკულტურო, უვიცი და ამავე დროს პრეტენზიული ადამიანი“ (45); მყუდრო - „ჩამორჩენილი, ცხოვრებაში გამოუსვლელი“ (94); ნოყიერი - „ძალიან ბრიყვი, სიბრიყვით მეტისმეტად გაჯერებული ადამიანი“ (98); რქიანი - „ჩამორჩენილი, ხალხში გამოუსვლელი“; უგუნურად აგრესიული - (108); ასეთ ადმამიანს ჟარგონი მოიხსენიებს აგრეთვე როგორც „ჯიხვს“ (167); „ქაჯს“ (129), „გოიმს“ (45); აგრეთვე არის „ფრაერი - „გულუბრყვილო, ადვილად მოსატყუებელი, საქმეში ჩაუხედავი, გაუთვითცნობიერებელი (127); ჩიტი - გულუბრყვილო, იოლადმოსატყუებელი“ (150); ჩმორი - „უხეირო, ჯაბანი, ბედოვლათი“ (151); ჩმორიკი - „იგივე „ჩმორი“ (151); ხისთავა/ხისთავიანი - „რეგვენი (ვისაც თითქოს ხისგან გამოთლილი თავი ადგას მხრებზე)“ (163); ხიხო - „გამოუსვლელი“ (163); ჯაგა - „უხეში, გაუნათლებელი, ველური და სასტიკი ადამიანი“ (166); ჰარიფი (არიფი) – „გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი“ (168). აღნიშნული ტიპის ანტიპოტად მოიაზრება პრაქტიკული ცხოვრებისეული გამოცდილების ტიპის ადამიანი, ოღონდ აქაც ორი კატეგორია იკვეთება. ერთია ახალგაზრდული ჟარგონის მატარებელთა წრისათვის გარეშე და ამიტომ მიუღებელი საქმის კაცი, მდიდარი, ლაღი და მედიდური, მაგალითად: ბარიგა - „სპეკულიანტი გადამყიდველი (უმთავრესად ნარკოტიკის)“ (26); გაქაჩული - „პრეტენზიის მქონე (41); გაჯეჯილებული - „გალაღებული, თავგასული“ (43); შანსავიკი - „მოხერხებული, გამრჯე, შანსის ხელიდან არგამშვები“ (134); შანსპეპელა - „გაქნილი. გამოქექილი“ (134); შებერტყილი - „ეშმაკი, ცბიერი, გაქნილი (136); ჩამწყობი - „საიდუმლო გარიგებით საქმის მომკვარახჭინებელი (147); ჩაქცეული - „ძალიან მდიადარი“ (149); წამობრინჯული - „გაბღენძით მჯდარი (158); ჯიგარი მასტი - „კარგი, მაგარი გულიანი ტიპი“ (166); ფაშისტი[3] – „ძალიან მდიდარი“.

მეორე კატეგორიას შეადგენს ჟარგონის მატარებელი ახალგაზრდებისათვის მისაღები, მოსაწონი და გარკვეული თვალსაზრისით მისაბაძი ადამიანის ტიპი. ეს ტიპი ხასიათდება პიროვნული ინიციატივიანობით, ვითარების

[3] ეს ჟარგონიზმი მოტანილია თ. ლომთაძის „ქუთაისური ჟარგონის“ მიხედვით, (გვ. 64).

გაცნობიერების ალღოს აღების ნებიმიერ სიტუაციაში გამოსავლის პოვნის უნარით. ესაა საკუთარი თავის იმედად მყოფი ადამიანის ტიპი, რომელიც თავის გადარჩენისა და მიზნის მიღწევისათვის ყველაფერს კადრულობს და ნაკლებად ფიქრობს ზნეობაზე, მორალზე და სხვისი აზრისათვის ანგარიშგაწევაზე. ასეთ ტიპს თანამებროვე ქართული ახალგაზრდული ჟარგონი შემდეგი ლექსიკური ერთეულებით მოიაზრებს: აცვენილი - „თავზეხელაღებული, ყველაფერზე წამსვლელი (21); გამხვრეტი (კლიენტი) – „მკვლელი ვისაც შეუძლია ადამიანი გახვრიტოს“ (38); გაქანებული - „თავგამოდებული“ (41); „გიმელი“ - იგივე „გოღა“ – „ქურდი (44, 45); დაქოქილი - „გაქნილი, გაიძვერა, იგივე „შებერტყილი“ (60); მიმწოლი -„მიზანსწრაფული; თავხედი“ (88); მოკაიფე - „ნარკომანი“ (89); ნასტირნი - „აბეზარი“ (96); ნაცვეთი - „გამოცდილი; გაქნილი „ (89); ნახიშტარი - „თავზეხელაღებული (ყაჩაღური) ცხოვრებით ნაცხოვრები“(98); უვერენი - „დარწმუნებული“ (122); ღობე აქვს - „შეზღუდულია (უფრო გონებრივად)“ (136); შავი მასტი - „შავი სამყაროს წარმომადგენელი, ქურდი ჯიბგირი“ (134); შავი ხალხი - „კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელნი“ (134); შარაფისტი - „მოქეიფე მსმელი“ (135); შაყირისტი - „ვისაც მასხრობა, შაყირი უყვარს“ (135); ძველი ბიჭი - „ქურდული გამოცდილების მქონე ტიპი“ (154); ჯანავიკი - „ჯანიანი, ღონიერი“ (166); ჯინსავიკი - „ჯინსების მოყვარული და მცნობი“ (167).

ახალგაზრდული ენობრივი ცნობიერება განსაკუთრებულ დაუნდობლობას გამოხატავს წამხდარი, ნამუსგარეცხილი, უპრინციპო, ცხოვრების ფსკერზე დაშვებული შერცხვენილი და თავლაფდასხმული ტიპების მიმართ: ახვარი - „ანგალი, უპატიოსნო, გამოუსადეგარი“ (22); ბალამეტა - „მოლაყბე“ (25); ბირჟავიკი - „ვინც ბირჟაზე დგას ხოლმე“ (27); ბლიყვი - „რეგვენი, სულელი (27); ბოზი - „დამსმენი“ (28); ბოღმა - „ბოღმიანი ადმიანი, გულში ბოღმის ჩამდები“ (28); ბუხოი - „მთვრალი“ (29); გამოსირებული - „გამოლენჩებული, გამოშტერებული“ (38); გოგოების მაჩალკა - „ბიჭს რომელსაც გოგოებთან ურთიერთობას არჩევს, გოგოების ბარაქაში ერევა“ (44); გნიდა - „ცუდი ტიპი“ (44); დაზეთილი - „უკმური სახის მქონე“ (54); დამპალი - „გაფუჭებული, უვარგისი, ავადსახსენებელი“ (57); დამწვარი - „გამოაშკარავებული“ (27); დარეკილი - „ჭკუაშერყეული“ (57); დარეხვილი - „სულელი, ჭკუასთან მწყრალად მყოფი“ (57); დარხეული - „ცუდ დღეში მყოფი, ანუ ის ვისაც დაერხა“ (58); დაქნეული - „სამსახურიდან განთავისუფლებული, მოხსნილი“ (60); დეფორმირებული - „გადაგვარებული“ (62); დეფექტური - „ჭკუანაკლული“ (62); კრახი - „უგვანი, უჯიშო, საძაგელი“ (80); ნაბრზარი - „გათახსირებული“ (96); პუსტაპუსტა - „პოლიციის რიგითი თანამშრომელი, რომელსაც ჯერ წოდება (ჩინი) არ მიუღია და სამხრეებზე არავითარი განმასხვავებელი ნიშანი არა აქვს-სამხრეები ცარიელი აქვს“ (103); სირისტიანი - „წამხდარი, დამპალი (ადამიანი); ქალაჩუნა (113); სტუკაჩი - „დამსმენი“(116), ფარჩაკი - „უხეირო, ბედოვლათი“ (125); ფინაჩი - უხეირო, უვარგისი, ბედოვლათი“ (126) და ა.შ.

ამდენად, ქართული ახალგაზრდული ჟარგონის მოცემული სემანტიკური ველი - ადამიანი, ადამიანთა ტიპები“ აქტუალურია და გარკვეულწილად ააშკარავებს ჟარგონული ნომინაციის ზოგად პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მატიუშენკო 2007: Е.Е.Матюшенко – Современный молодежный сленг: Формирование и функционирование, автореферат канд. диссерт., Волгоград, 2007.

2. ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბ., 2005;
3. თ. ლომთაძე, ქუთაისური ჟარგონი, ქუთაისი, 2005.

Principles and methods of nomination in the contemporary Georgian youth slang (people, the types of people)

Nino Nioradze

Summary

In this article, the methods and principles of the secondary category in modern Georgian youth slang, jargon indicates the relevance of art semantic field of "human, human types".

Принципы и способы номинации в современном грузинском молодежном жаргоне (человек, типы человека)

Нино Ниорадзе

Резюме

В статье рассматриваются вопросы способов и принципов вторичной номинации в современном грузинском молодежном жаргоне; указывается на актуальность жаргонотворчества семантического поля «человек, человеческие типы».

ახალგაზრდული ჟარგონის ტერმინოლოგიური შინაარსის გააზრებანი ლინგვისტიკაში

ნინო ნიორაძე
სტუ დოქტორანტი

თანამედროვე ახალგაზრდული ჟარგონი ლინგვისტიკის აქტუალურ პრობლემებს განეკუთვნება. განსაკუთრებული ინტენსიობით იგი უკანასკნელ წლებში შეისწავლება, რადგან ინტერესი სოციოლექტეზისადმი განსაკუთრებით იზრდება მათი ფუნქციონალური აქტივიზაციის გამო. მიუხედავად ამისა, ჟარგონის, როგორც სოციალური დიალექტის კონკრეტული სახეობის, არსის და ბუნების თაობაზე ჯერაც აზრთა დიდი სხვაობა ფიქსირდება.

ტერმინოლოგიური შინაარსის სიჭრელის მიზეზებად სახელდება ის ობიექტური სირთულეები, რომლებიც წარმოიქმნება კოდიფიცირებულ (კანონიკურ) ენასთან არაკოდიციფიცირებული ენობრივი ქვესისტემების მიმართებასა და მათი შინაარსის დიფერენციაციის პროცესში. ყურადღება მახვილდება იმ გარემოებაზედაც, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი იმდენად ტერმინების სემანტიკური სინონიმი არაა, რამდენადაც თავად ენის სოციალური დიფერენციაციის სირთულე. ეს მოვლენა მხოლოდ ქართული ლინგვისტიკის ნაკლს არ წარმოადგენს, ლინგვისტიკაში საერთო ვითარებასაც წარმოაჩენს, განსაკუთრებით კი იქ დასტურდება, სადაც ლინგვისტიკური კვლევები არ მიმართულებით განსაკუთრებით ინტენსიურია. ამის კლასიკურ მაგალითად რუსული ლინგვისტიკაც გამოდის. იქ ზოგი ლინგვისტი საერთოდ აიგივებს „ჟარგონს“ და „სლენგს“, ზოგი მათ ჟარგონსაც

გვერდი ამოუყენებს [ბორისოვა - ლუკაშენცი 2005; რამიკოვსკი, მაზუროვა 2005].

თითქმის მსგავსი ვითარებაა ქართულ ენათმეცნიერებაში. სხვაობას ქმნის ჟარგონი (და საერთოდ) სოციო ლექტების კვლევების ტრადიციები. კლასიკურ ენათმეცნიერულ გამოკვლევებში სოციოლექტებზე საკმაოდ ზოგადად არის განმარტებული და მათი მიზანი ენათმეცნიერებაში მათი ცოდნის დაფიქსირებაა. ასეთი დანიშნულებისაა არნ. ჩიქობავას [ჩიქობავა 1952:67-68], გ. ნებიერიძის [ნებიერიძე 1972:28], გარკვეული აზრით ბ. ჯორბენაძის [ჯორბენაძე 1989:49] ინფორმაციები. ბ. ჯორბენაძე წინამორბედებთან შედარებით ვრცლად აღწერს და ახასიათებს სოციოლექტებს, ოღონდ საბჭოური ენათმეცნიერების იდეოლოგიისადმი ანგარიშგაწევის კვალი მაინც აშკარად არის გამოკვეთილი. მაგალითად, ახალგაზრდული ჟარგონის წარმოქმნისა და გავრცელების პროცესებზე იგი ასეთ აზრს ავითარებს:

„ახალგაზრდობას უთოუდ აქვს თავისი, საკუთარი, სხვათაგან განსხვავებული განცდა, შეგრძნება, მსოფლგაგება, მაგრამ მის გამოსახატავად შესაფერისი სიტყვები ვერ უპოვია. მაშინ იგი იოლ გზას ირჩევს და ისევ და ისევ იმ სიტყვებს მოიხმარს, მის წრეში რომ ტრიალებს. თავდაპირველად, რათქმა უნდა, იგი გრძნობს, რომ მის აზრსა და წარმოთქმულ სიტყვას შორის დიდი ზღვარია, მაგრამ თანდათან ეჩვევა ამ სიტუაციას, ინდივიდუალობის გრძნობა უჩლუნგდება, მერე კი მისი აზროვნებაც ამ სიტყვათა თარგზე აიგება და კიდევ ერთი ინდივიდი გახდება უსახური მასის უსახური ნაწილი“ [ჯორბენაძე 1991:12].

სოციალური დიალექტების იგნორირების ქრესტომათიური ვითარებაა დაფიქსირებული ალ. ღლონტის სასწავლო დანიშნულების წიგნში „ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები“ [ღლონტი 1988]. ამ წიგნში დაწვრილებით არის განხილული ქართული ენის ლექსიკის შემადგენლობა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის თქმული სოციალურ დიალექტებზე, მათ შორის ჟარგონზეც. ამგვარი პოზიცია გასაკვირია მისგან, რადგან დიალექტოლოგია, როგორც ენათმეცნიერების დარგი, მისი მასწავლებლის – ნიკო მარის მიერ არის დამკიდრებული, ენის სოციალური როლის შესწავლის წანამძღვრებიც ნ. მარის სახელს უკავშირდება.

ჟარგონის ცნებისადმი საბჭოური დამოუკიდებლობა არის დაფიქსირებული ნ. მიქელაძის ნაშრომში [მიქელაძე 1955:45-47]. მისი აზრით, სოციალური დიალექტი და ჟარგონი ტორფარდი სიდიდის ცნებებია და განაცხადა, რომ არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგანო.

თანამედროვე ხედვით გამოირჩევა თ. გამყრელიძის შეხედულება. მისი აზრით, ჟარგონი კონკრეტული სოციალური ჯგუფის ენაა, მას „კოლექტიური თამაშის“ სახე აქვს. თ. გამყრელიძე, ფაქტობრივ, იმეორებს თავის დროის ლინგვისტიკის აზრს ჟარგონისა და სლენგის იგივეობაზე. იგი სლენტის ნიშნებს მიაწერს ჟარგონს და საერთო ნიშანთვისებებად ასახელებს ექსპრესიულობას, არამდგრადობას, მოდისამყოლობას, სინამდვილისადმი ფამილარულ, იუმორისტულ ან ირონიულ, ოდნავ უხეშ დამოკიდებულებას [გამყრელიძე 2003:385].

ჟარგონის რაობაზე საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული დ. ფანჯიკიძეს. მისი ფიქრით, ჟარგონი ეროვნული ენის „კოლორიტით აღბეჭდილი ენობრივი ელემენტია“, ხოლო მისი არსებობა განპირობებულია ენის ლექსიკის დროის დინების შესაბამისად „დაბერებითა“ და „კვდომით“ [ფანჯიკიძე 2002:18-20].

ჟარგონის „კოლორიტით აღბეჭდილ ენობრივ მოვლენად“ გამოცხადებაში აშკარაა მინიშნება ჟარგონის მხატვრული ღირებულებაზე, რაც ჩვენში განსაკუთრებული სიცხადით რ. ჩხეიძემ გამოკვეთა [ჩხეიძე 2009:24-27] მან გამოაქვეყნა ჟარგონისადმი ორი დიდი მწერლის დამოკიდებულება - მ. ჯავახიშვილისა და ო. ჩხეიძისა, რომელთაც აღიარეს „ლიტერატურაში ჟარგონის დიდი ძალა“ და მისი ფუნქცია საბჭოთა სინამდვილეში გაბატონებული სტილური გადახრების აღკვეთის ტრადიციის საპირიპირო „ქმედებაში“ დაინახეს, ანუ ჟარგონის გამოყენება კიდევ ერთი რეაქცია იყო მწერლის მხრივ გაბატონებული ნორმების, ცრუ მოთხოვნების წინააღმდეგ [ჩხეიძე 2009:27]. 2000-იანი წლების დასაწყისში აშკარად გამოიკვეთა ინტერესი ჟარგონისა და სლენგისადმი. ჟარგონი და სლენგი სინონიმურ ცნებებად და ტერმინებად გამოცხადდა [ჯამში 2003:4; ბრეგაძე 2005:5]. უფრო ზუსტად ქ. ჯაშმა არგო და ჟარგონი გააიგივა, ლ. ბრეგაძემ - ჟარგონი და სლენგი.

ჟარგონისა და საერთოდ სოციოლექტების კვლევებით ქართულ სინამდვილეში აშკარად გამოირჩევა თ. ლომთაძე. 2001 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ქალაქური მეტყველების თავისებურებები (ქ. ქუთაისის მეტყველების მაგალითზე. მან ქალაქური მეტყველების საფუძველზე სპეციალურად გამოიკვლია ქალაქური ჟარგონი, ნარკომანების არგო, ქურდების არგო, მოთამაშეების ჟარგონი და თითოეული სახეობის მცირე ლექსიკონებიც შეადგინა [ლომთაძე 2005]. თ. ლომთაძემ შემოქმედებითად გაიაზრა ფ. ფილიანის, ზ. ჯორბენაძის, რ. ქურდაძის, კ. დუმბაძის და სხვათა მოსაზრებები. ფ. ფილინის შეხედულებებიდან დაემყარა აზრს ჟარგონის პროფესიონალური და სოციალური ერთიანობის საფუძველზე წარმოქმნის შესახებ, რ. ქურდაძისაგან - ჟარგონების კვლევაში ჟარგონული სიტყვის (ჟარგონიზმის) გრამატიკული ფორმის როლის მნივშნელობის შესახებ, ბ. ლარინისაგან - ჟარგონული სიტყვის ლიტერატურულ ნორმასთან მიმართებას, კერძოდ, ამ ნორმის გარეთ არსებობის იდეა, კ. დუმბაძის მოსაზრებებიდან პროფესიული მეტყველების საფუძველზე ე.წ. „პრაქტიკული ჟარგონის“, „სალონური ჟარგონის“ წარმოქმნის და „ხელოვნების ინტერესებისათვის თავისებური საიდუმლო მეტყველების შემოღების“ იდეა.

აღნიშნული წანამძღვრებების საფუძველზე თ. ლომთაძემ განავითარა აზრი, რომ ჟარგონს, არგოს მსგავსად, საკუთარი საყრდენი არ გააჩნია. ყველა თაობა მათ თავის ყაიდაზე ცვლის; ჟარგონს არა აქვს საკუთარი ფონეტიკური და გრამატიკული სისტემა; ჟარგონი იქმნება რომელიმე ენის საფუძველზე, წარმოადგენს ამ ენის ხელოვნურად გადასაფერებულ ნაირსახეობას, რომელიც უხვად არის შეზავებული უცხოურიდან ნასესხები ლექსიკით.

თ. ლომთაძის დაკვირვებებში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჟარგონის წარმოქმნის მიზეზთა გააზრება, ჟარგონის დაკავშირება გარკვეული ინტერესებით გაერთიანებული ადამიანების მიერ სამყაროს მოვლენების ენობრივი ახსნის მცდელობასთან. ყურადღებას იქცევს თ. ლომთაძის აზრი იმის თაობაზე, რომ ჟარგონული მეტყველება ქალაქისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, რადგან სწორედ ქალაქის სივრცეში ვლინდება ერთიანი ინტერესებით გაერთიანებული სოციალური ჯგუფები, რომლებსაც ერთმანეთისაგან მეტყველებითაც განასხვავდებიან; ჟარგონი, მისი მტკიცებით, სტიქიურად იქმნება, მაგრამ ვერბალური კომუნიკაციების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადახსვა ენობრივ კონქტესებში წარმოიქმნება ე.წ. „საერთაშორისო ჟარგონები“. ამგვარ ჟარგონებში ერთი ენის ლექსიკა მეორე ენის გრამატიკულ ყალიბში ექცევა [ლომთაძე 2005:30]. ამ მსჯელობის თანახმად, ქართული ჟარგონიშმები წარმომავლობით ინტერჟარგონულია, რადგან ქართული ენობ-

რივი ცნობიერება, ერთი მხრივ, რუსულიდან ნასესხები ლექსიკით ქმნის ჟარგონს, ნასესხები, გაჟარგონებული სიტყვის საკუთარ გრამატიკულ ყალიბში ჩასმით, მეორე მხრივ, პირდაპირ რუსული ჟარგონის სესხებით და საკუთარი გრამატიკისადმი დაქვემდებარებით.

თ. ლომთაძე პირველია ქართულ ენათმეცნიერებაში, ვინც საზოგადოდ სოციალური დიალექტების რაობის წარმოქმნისა და ფუნქციონირების პრობლემათა კვლევა განახორიცელა. ამ კვლევებში მნიშვნელოვანია ჟარგონის სახეობრივი დეფინიციები და ლინგვისტიკური დახასიათებები. ახალგაზრდული ჟარგონის აღწერა-დახასიათებებში რუს ლინგვისტთა კვლევაძიებითი ტრადიციების გათვალისწინებით არის დადგენილი ახალგაზრლური ჟარგონის მომხმარებელთა ასაკობრივი ზღვარი (14 – 30 წელი), ხოლო ბ. ჯორბენაძის მოსაზრების გათვალისწინებით – ჟარგონის მომხმარებელთა არა ინტელექტუალურობა - უსწავლელობა, გაუნათლებლობა [ლომთაძე 2005:40].

თ. ლომთაძის ძიებებში საინტერესოა ჟარგონის სლენგში გადაზრდის ენობრივი ნომინაციების პროცესუალური ასპექტები, ჟარგონის სემანტიკის გასაგებობის სივრცის გაფართოება და ა.შ. ამ მკვლევარის ფიქრით, „სლენგად უნდა მივიჩნიოთ ის ლექსიკა, რომელიც ასოცირდება არაფორმალურ ან სასაუბრო სტილთან. მის გამოყენებას განაპირობებს მოდა“ [ლომთაძე 2009:55].

აშკარააბ რომ ეს დეფინიცია არაერთ ბუნდოვანებას შეიცავს: მეტ მკაფიობას მოითხოვს ცალკე არსებული ლექსიკის გაიგივება მეტყველების სტილთან. დაზუსტებას საჭიროებს „მეტყველების მოდის“ ცნებაც. მეტ გარკვეულობას ითხოვს ფრაზა: „სლენგის ზოგიერთი ერთეული შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ დროებით და ამიტომაც ასოცირდება განსაზღვრული ასაკობრივ ჯგუფებდათ, თუმცა ზოგჯერ სლენგური სიტყვები და ფრაზები შეიძლება დიდხანს დარჩეს ენაში“ [ლომთაძე 2009:55].

ლექსიკის სწრაფცვალებადობა ჟარგონისათვისაც ბუნებრივად არის დამახასიათებელი და სხვა სოციალური დიალექტებისათვისაც. ამიტომ სლენგის სპეციფიკად ლექსიკის ფუნქციონირების დროითი პარამეტრების აქცენტირება, შედეგის მომტანი ვერ იქნება.

სლენგის აღწერა-დამახასიათებაში თ. ლომთაძესთან უფრო ფასეულია მითითება იმაზე, რომ სიტყვამ შეიძლება შეიძინოს „ოფიციალური სტილისტიკური სტატუსი“ - თუმცა ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ სლენგის სპეციფიკა არ არის. არაკოდიფიცირებული სიტყვები ბუნებრივად გამოიყენება სოციოლექტების სხვადასხვა ქვესისტემებში. ასეთ შემთხვევებში მთავარი არის ერთი და იმავე სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ამ სხვადასხვა ქვესისტემებში. ამიტომ სოციოლექტების ტერმინოლოგიურ დეფინიციებში აუცილებლად უნდა ცალკე გამოიყოს მეორეული მეტაფორიზების და მეორეული ნომინიზმების ფაქტორები.

ახალგაზრდული ჟარგონის ტერმინოლოგიური სიჭრელე განსაკუთრებით ცხადი ხდება სხვადასხვა ქვეყნების ლინგვისტიკური ტრადიციების გააზრების დონეზე. მაგალითად, გერმანულ ენობრივ ცნობიერებაში ახალგაზრდული ჟარგონის ნაცვლად უფრო გამოიყენება ტერმინი „ახალგაზრდული ენა“.

ახალგაზრდული ენის არსებობა XVII საუკუნიდან დასტურდება. ინტენსიური ლინგვისტური კვლევების დასაწყისი კი XX საუკუნის 80-იან წლებზე მოდის. ქართულისაგან განსხვავებით, გერმანული ლინგვისტიკა მართლაც გასაოცარი ინტენსიურობითა და მრვალფერონებით გამოირჩევა. იმდენად ბევრი იწერება და ქვეყნდება, რომ მარტო ამ მეცნიერული ნაშრომების აღნუსხვას სჭირდება საგანგებო კვლევა.

როგორც ითქვა, გერმანული ლინგვისტიკა ახალგაზრდულ ჟარგონს, ისევე როგორც საერთოდ სოციოლექტებს, „პირობით ენას“ უწოდებს. პირობით ენაში კი ყველა ის ენობრივი ქვესისტემა მოიაზრება, რომლებსაც საერთო სოციალური, ასაკობრივი, პროფესიული ან სქესობრივი კომპონენტები აქვთ და გამიჯნულნი არიან სტანდარტული ენისაგან [ბუსმანი 1990:360]. ასაკობრივი და პროფესიული ნიშნით განსაზღვრავს ახალგაზრდულ ენას ევა ნოილანდი ნაშრომში „ენათმეცნიერების სტუდენტური ბიბილიოგრაფია“ [ნოილანდი 1999].

ახალგაზრდული ჟარგონის კვლევების ტრადიციები, პერიპეტიები, განსხვავებული მოსაზრებები მკაფიოდ არის გადმოცემული პეტერ შლობინსკის, გაბი კოლის, იმგვარად ლუდევიგტის წიგნში „ახალგაზრდების ენა: ფაქტი და სინამდვილე [შლობინსკი... 1993]. წიგნში წარმოადგენილია კუპერის, ჰ. ენგელმანის, ლამპრესტის, ჰ. ლეფლერის და სხვათა კვლევების შედეგები, რომლებიც საინტერესო შედეგებს შეიცავს. მაგალითად კუპერის მიხედვით ახალგაზრდული ენა კონკრეტული სოციალური ჯგუფის ჟარგონია, ახალგაზრდობის სხვა, მნივშნელოვანი ნაწილის მიერ „დამცირებული და შეურაცხყოფილი“. ეს მკვლევარი ახალგაზრდული ჟარგონის ძირითად მარკერად ასახელებს „გაუთლელობას“, „უხეშობასა და ძალადობას“. ამავე ნიშანს ასახელებს ჰიტმუნტ ენგელმანი, ხოლო ლამპრესტი „ენის გაველურებასა და გაუხეშებაის სურათს“ ხედავს.

ორიგინალობით გამოირჩევა ჰ. ლიფლერის შეხედულება. მისი მტკიცებით „ახალგაზრდების ენა ზოგადი ცნებააბ რომეშიც იგულისხმება სხვადასხვა პერიოდში წარმოქმნილი პირობითი გამოთქმები და ლექსიკა, რომელსაც ერთი ასაკისა და ერთი სოციალური ჯგუფის ახალგაზრდობა იყენებს. ეს ტერმინი არ არის კონკრეტული. ესაა ტრანსისტორიული ენა“ [ლოფლერი 1985:127].

გერმანულ ლინგვისტიკაში დიდ ანგარიშს უწევს ჰ. ჰენეს კვლევების შედეგებს. მისი მტკიცებით, ახალგაზრდები ამ ენით „თავიანთი იდენტიტეტის პოვნას მიელტვიან [ჰენე 1981:373]. ხალგაზრდული ჟარგონის კვლევის სისტემატურობით გამოირჩევა ჰ. ემანი. იგი ჟარგონის ფუნქციონირების დროს შემოფარგლავს ერთი თაობის, ასაკის, სოციალური ჯგუფის ამქვეყნიური არსებობის დროით. ამასთან მისი დაკვირვებით სტანდარტული ენა ორიენტირებულია აბსტრაქციასა და დესკრიფციაზე, ახალგაზრდების ენა, ანუ ჟარგონი კი „უფრო კონკრეტული და მრავალფეროვანია“ [ემანი 1996: 20-22]. ამ ფონზე იგი ასეთ აზრსაც ავითარებს: „არ არსებობს ახალგაზრდების კომპლექსური ენობრივი სისტემა. არსებობს მხოლოდ გარკვეული დროისათვის განსაზღვრული ფორმები და არამყარად ჩამობალიბებული ახალგაზრდების ენობრივი სტრუქტურა“ [ემანი 1996:23].

გერმანულზე არანაკლები აზრთა სხვადასხვაობა სუფევს სოციალური დიალექტების ქვესისტემების - არგოს, ჟარგონის, სლენგის შინაარსის განსაზღვრისას და სემანტიკური შესაბამისობების მხრივ სხვა ქვეყნებშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბორისოვა - ლუკაშენეცი 2005: Е. Г. Борисова – Лукашенец – лексические заимствования и их нормативная оценка. (на материалах молодежного жаргона 80-90-х годов)Б М., 2005;

რამიკოვსკი, გაზუროვა 2005: Л. А. Радзиховский, А. И. Мазурова – Слегка как инструмент отстранения, в кн.: Язык и когнитивная деятельность, М., 2005.
2. ჩიქობავა 1995: არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
3. ნებიერიძე 1972: ენის რაობის საკითხი, კრებულში.
4. ჯორბენაძე 1989: ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989
5. ჯორბენაძე 1991: - ბ. ჯორბენაძე, ენა, ერი, საზოგადოება, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, №1.
6. ღლონტი 1988: ალ. ღლონტი, ქართული ლექიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.
7. მიქელაძე 1957: ნ. მიქელაძე, ჟარგონიზმებისა და ვულგარიზმების ხმარების შემთვხევები, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №4, 1975
8. გამყრელიძე 2003: თ. გამყრელიძე, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ. 2003
9. ფანჯიკიძე 2002: დ. ფანჯიკიძე, ჟარგონის პრობლემა მხატვრულ თარგმანში, ჟურნ. „ქომაგი“, №8 (58), 2002.
10. ჩხეიძე 2009: რ. ჩხეიძე, ჟარგონული ქართულის ჭაშნიკი, ჟურნ. „ჩვენი მწელობა“, №8 (86), 2009.
11. ჯაში 2003: ქ. ჯაში, ფრანგული არგო, თბ., 2003.
12. ლომთაძე 2005: თ. ლომთაძე, ქუთაისური ჟარგონი, ქუთაისი, 2005.
13. ბრეგაძე 2005: ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბ., 2005.
14. ლომთაძე 2009: თ. ლომთაძე, სოციოლექტში შესავალი ერთეულთა დეფინიციისთვის, ჟურნ. „ენა და კულტურა“, №2, 2009.
15. busmani 1990: Hadumond Bumann, Lexikon der Sprachwissenschaft, Alfred Kröner Verlag, Stuttgart, 1990.
16. noilandi 1999: Eva Neuland, Studen bibliographien, Sprachwissenschaft 29, Jugendsprache, Julius Groos Verlag, Heidelberg, 1999.
17. Sloxinski, ... 1993: Peter Schlobinski, Gabi Kohl, Irmgard Ludewigt, Jugend sprache, Fiktion und Wirklichkeit, Westdeutsche Verlag, 1993.
18. lofleri 1985: Heinrich Löffler, Germaistische Soziolinguistik. Erich Schbmidt Verlag, Berlin, 1985.
19. hene 1981: Helmut Henne, Jugendsprache und Jugnd gespräche, in: Dialogforschung, hrsg. V. Peter Schröder U. Hugo Stager (Sahrbuch des Instituts für Deutsche Sprache; 1980 (Sprache der Cewenwart, Bd. 54), Düsseldorf 1981.
20. emani 1996: Hermann Ehmenn: Oberaffengeil. Neues Lexikon der Jugendsprache, (Beck'sch Reihe, Bd. 1170), München, 1996.

Understanding of terminology content of the term "Youth slang in linguistics"

Nino Nioradze
doctoral student at STU

In this article considers the problem of interpretation of the term "Youth lingo." States that in modern linguistics is not a common approach to this problem, there is a big difference in understanding of dialect what are slang, jargon, slang.

The author evaluates in detail the views of Georgian, German, and Russian linguists and creates a specific image study of the Georgian youth slang at this stage.

Осмысления терминологического содержания понятия «Молодежный жаргон в лингвистике»

Нино Ниорадзе
Докторант ГТУ

В статье рассматривается проблема осмысления содержания термина «Молодежный жаргон». Указывается, что в современной лингвистике не единного подхода к данной проблеме, наблюдается большая разница в понимании таких социолектов, какими являются арго, жаргон, сленг.

Автор статьи подробно рассматривает оценивает мнения грузинских, немецких и русских лингвистов и создает конкретную картинку изучения грузинского молодежного жаргона на данном этапе.

ბალადა ბეთქილის ახალი ვარიანტი

ოთარ ონიანი

ქალღმერთ დალიზე არსებულ მრავალრიცხოვან ლექს-სიმღერებიდან და გადმოცემებიდან ბალადა ბეთქალი გამოირჩევა თემატიკური სირთულითა და მრავალფეროვნებით. მასში მთელი სისრულით და მაღალმხატვრული ოსტატობითაა წარმოდგენილი დალის ბუნება, მონადირესთან ურთიერთობა, მაქციობა (ცხოველად გარდასახვა) სასწაულებრივი ქმედებები, კვალის დაფარვა და სხვა... მ. ჩიქოვანის აზრით, "ბეთქალი დალთან საბედისწერო სიყვარულის განსახიერებაა. მკვლევარი დასძენს, რომ მსოფლიო ფოლკლორში ჩვენ არ გვეგულება მეორე ისეთი რიტუალური ბალადა, როგორიცაა სვანური საფერხულო ლექს-დატირება ბეთქილზე. "ბექთილი და მისი ვარიანტები სინკრეტული ხასიათის კლასიკური საფერხულო ლექსებია: სინკრეტიზმი შესრულების ფორმაში მჟღავნდება: სიტყვა+სიმღერა+ცეკვა." (ქართული: 1972-45-210) დავსძენთ, რომ ბექთილზე დიდძალი ლექს-სიმღერები და გადმოცემებია შექმნილი სვანურ ზეპირსიტყვიერებაში. ბალადის შვიდი ვარანტი დაბეჭდილია ქართული ხალხური პოეზიის პირველ ტომში. თითოეული დამოკიდებული თავისთავადობაა... ამჯერად საუბარი გვექნება უცნობ ჩანაწერზე. იგი დაბეჭდილია სვანური ენის ქრისტომათიაში (სვანური 1978-215-216). პროზაულ გადმოცემას ალაგ-ალაგ თან ახლავს მთქმელის განმარტებებიც დალიზე, მის ბუნებასა და მონადირეებთან ინტიმურ ურთიერთობაზე. "ბეთქილი მუჟალიდან ყოფილა, კარგი მონადირე, უყვარდა დალი. მთქმელი აქვე იძლევა განმარტებას, რომ დალის სვანები უწოდებენ "ქამმერდას"- გარეთ მყოფს. გარეთ მყოფი ზეწოდებაა ქალღმერთ დალისა, ე. ი ნადირთა პატრონი, იმდენად საკრძალავია, რომ თვით ხალხიც ჩეულებრივ საუბრის დროს სახელთან ერთად "დიდება მისასვლელს", იტყვიან. ერთერთ სვანურ გადმოცემაში "დვიდილანთ ბიბუ" ასეთი გამოთქმაა. "ბიბუსო გარეთ მყოფი ჰყოლია მოკეთედ." გადმოცემაში სიტყვას "მოკეთე"-სპეციფიკური ადგილი უკავია და შეესატყვისება ტექსტის შინაარსა და მიზანდასახულობას. მოკეთე შეიძლება იყოს საძმოს, ოჯახის, გარეშე პიროვნება, არა სისხლით ნათესავე, რომელთანაც კეთილი მეგობრულ ურთეირთობა მყარდება. მონადირისათვის კი ასეთი

გარეთ მყოფია, ფიზიკური სამყაროს ბინადარი და არა ადამიანთა საცხოვრისისა. აქ შინასა და გარეს დაპირისპირებაცაა, მაგრამ მასზე საუბარი შორს წაგვიყვანდა... მთავარი ისაა, რომ ნადირთ პატრონის ზეწოდებით მოიხსენიება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქალღმერთი დალის კვლევის ისტორიაში." (ონაიანი 2009-212-215) განსახილველი ტექსტი ერთადერთია ბეთქილის ვარაინტებიდან, სადაც დალი პირველადაა მოხსენიებული სახელდებით. მთქმელი, გვაუწყებს, რომ "დალიო არც ანგელოზია და არც ქაჯი. ამგვარი გამარტებაც მნიშვნელოვანი ჩანს, ვინაიდან მთელ რიგ ტექსტებში დალი კლდის ანგელოზად, დედოფლად არის წოდებული. "დალი ქალია, ყველას არ ეცხადება, მხოლოდ წმინდა მონადირეს ეჩვენება, უცოლოს. სანამ მონადირეს თავი წმინადა უჭირავს, დალი მას ძალიან ეხმარება, რამდენჯერაც წავა სანადიროდ, ხელცარიელს არ გამოუშვებს. როგორც ვხედავთ, აქ საუბარია მონადირის მოვალეობაზე, კერძოდ, დალთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფს მთელი რიგი აკრძლავები აქვს დასაცავი. მთქმელიც პირადაპირ აკონკრეტებს, რომ "მონადირე, რომელიც დალის უყვარს, თუ დაქორწინდა, დაუსჯელად ტოვებს."

ბეთქილს ერთი გასათხოვარი გოგო მოეწონა და ცოლად მოიყვანა. მან იცოდა, რომ ეს დალს ეწყინებოდა, არ დატოვებდა ისე, რომ რაღაცა არ დაემართა მისთვის, ამიტომ ნადირობას თავი დაანება. ქალღმერთი დალის ასეთი დახასიათება ბეთქილის სხვა გადმოცემებში არ ჩანს. როგორც ვხედავთ, ბეთქილმა გააზრებულად უღალატა დალის. რასაკვირველია მან, როგორც გამოცდილმა მონადირემ, იგრძნო, რომ დალი ღალატს არ აპატიებდა, კონკრეტულ შემთხვევაში დალის რისხვა გასაგებია. იგი მიმტევებელი არასოდეს არაა. მონადირისადმი მოვლენილი სასჯელი დამოკიდებულია დანაშაულის რაობაზე. უნდა დავსძინოთ, რომ არაა სწორი სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრი, თითქოს დალისა და მონადირის ინტიმური ურთიერთობა ყოველთვის ტრაგედიით მთავრედებოდეს. არის მთელი რიგი გადმოცემებისა, სადაც დალისა და მონადირის ურთიერთობა ბოლომდე ინარჩუნებს დიდ სიწმინდეს და ქალღმერთიც სიცოცხლის ბოლომდეა მონადირის ერთგული და ასევე მისი ოჯახიც. ასე, მაგალითად, ერთერთ გადმოცემაში "გეგი მარგიანი და დალი", რომელიც დაბეჭდილა ელენე ვირსალაძის ნაშრომში "ქართული სამონადირეო ეპოსი" (ვირსალაძე, 1964-217), "გეგი მარგიანს ჰყვარობდა დალი. თავს არ ვაკადრებდიო, – ამბობდა გეგი, – თორემ რამდენსაც მოვთხოვდი, იმდენ ნადირს მაძლევდა ისო. "აქ საინტერესო ისაა, რომ გეგი არ ამბობს დალის სახელს... "გეგის, როგორც ეტყობა, თავი ვერ შეუკავებია და უღალატია დალისათვის. სხვა ქალთან იცხოვრა... დალი გულთმისანია, შეხვედრია გეგის და უთქვამს: "შენ ჩემთან დადებული პირობა არ შეასრულე და შენი სიკეთე დღეის იქით აღარ იქნება. ამის შემდეგ მოუვლინა ავადმყოფობა, უცნაურ კანაკლი და ნადირობა აუკრძლა" ირკვევა, რომ გეგი წმინდად იცავდა დალთან ყველა დადებულ პირობას. მას ინტიმური ურთიერთობის საიდუმლო არ გაუმჟღავნებია, სხვა ქალთან იცხოვრა, ეს არ აპატია, დაღუპვით არ დაღუპა, ავადმყოფობა მოუვლინა და ნადირობა აუკრძლა. ასე რომ, ღალატს დალი არავის აპატიებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მისი ურთიერთობა მონადირესთან ყოველთვის ტრაგედიით, მონადირის სიკვდილით არ მთავრდება. დალმა ბოლომდე არ გაწირა გეგი, სიცოცხლე შეუნარჩუნა, ასე რომ, დალის სისასტიკეზე საუბრისას მეტი სიფრთხილეა საჭირო.

ბეთქილის წინამდებარე ვარიანტი (პროზაული გადმოცემა) ორიგინალურია. არცერთ ტრადიციული ჩანაწერიებიდან, მსგავსი განამრტებები და-

ლის ბუნებასა და მონადირის ვალდებულებებზე, არ გვხდება. ამ აზრით საკვლევი ტექსტი გამონაკლისია. მთქმელი ბევრ რამეს თავად გვიხსნის და ისე გვაწოდებს შინაარსს. გადმოცემულია, რომ "ძველადო მუჭალელებს წესად ჰქონიათ და ახლაც აქვთ "აღბა ლაღრალ." ეს არისო ყველიერის კვირა. შაბათ საღამოს ზემო და ქვემო მუჭალელები ერთად იკრიბებიან და თოვლის კოშკს დგამენ, შუაში ხეს ჩაუსობენ, წვერზე დაშნას, ცოცხსა და ასეთ სათამაშოს მიაბამენ. შემდეგ იმდენი მამაკაცი ადის კოშკის თავზე, რამდენიც დაეტევა, ტკეპნიან. შემდეგ კი ზემო მუჭალელები თავისკენ ეწევიან კოშკს, ქვემო მუჭლელები თავისკენ. საიდანაც კოშკი წაიქცევა, იმ მხარეს უკეთესი მოსავალი იქნებაო. აქ იმართება ფერხული და ამ ფერხულში ჩაბმულია ბეთქილიც მას თეთრი შუნი გაუძვრა ღაჯებში. ამას ბეთქილი დაედევნება, ესო ბეთქილის მისანი იქნება.

ბალადა ასე იწყება:

"ბაილ ბეთქილ საბრალო, ბეთქილ საცოდავო,
ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
ბაილ მულახი და მუჭალი იკრიბება,
ბაილ ილბა, ილბა ბაილ
ბაილ ლენტეხის ფერხულს უვლიან."

(სვანური : (1978. 215-216)

ამ დროს გამოხტა თეთრი შუნი და ბეთქილს ლაჯებშუა გაუძვრა. მონადირემ ქალამნები გაამზადა და დაადევნა ჯიხვს. ერთერთ ვარიანტით კი მითითებულია, რომ

"ბეთქილმა კალო მიატოვა
თოფ-იარღისათვის შევიდა შინ,
რასა იქმნ დედაჩემო?
დედაჩემო, შუნი მომივიდა,
იმას ბეთქელი უკან დაედევნა."

(ქართული :1972-215-216)

დედაშვილის დიალოგი ძლაზე საინტერესოა. შვილის სიტყვები, რომ იგი ჯიხვს უნდა დაედევნოს, ავისმომსაწავლებელად ეჩვენება დედას და შეშფოთებულმა უთხრა:

"მანამდე დედას არ მოუკვდე!
წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე:
სამი კბილი ამომვარდნოდა.
– მანამდე დედა არ მომიკვდეს
დღეს ნადირობას არ დავიშლი.

წარმოდგნილ ვარიანტში ბეთქილი ბანდულებს იბადავს და დაედევნება თეთრ შუნს:

"წინ ნაკვალევი კარგად ჩანს,
უკან მოხედავს მის ნაკვალევს,
ნაკვალევი მისი არ ჩანს.
ეს ბეთქილის მისანი იქნება.
შესულან შავ კლდეში,
დალი – ფუსდას სამყოფში.
კარგი დღე დალი ფუსდას!
როგორი კარგი დღეც გექნება,
იმას მე გასწავლი."

(სვანური 1957-21ს)

დალისა და ბეთქილის ამ დიალოგში საინტერესოა მონადირის მიმართვა ქალღმერთისადმი: დალი-ფუსდა. ფუსდ ითქმის მხოლოდ მამაღმერთზე სვანეთში. სხვაზე არა და ნიშნავს ბატონს, უზენაესს, სამყაროს მეუფეს. კონკრეტულ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ ფუსდა დედოფლის ფარდი სიტყვაა. დალი მართლაც კლდის დედოფლადაა წოდებული. ამგვარი მიმართვა ნადირთ პატრონისათვის იშვიათია საანალიზო ჩანაწერი ამ აზრითაც საინტერესოა...

რატომ უღალატეს ჩემს პირობას, ჰკითხა განრისხებულმა დალმა. ჩემს ნაჩუქარ მძივს რა უყავი? სასთუმალქვეშ დამრჩაო. ცხადია ბეთქილმა იცრუა. აქაც არღვევს ბეთქილი ჭეშმარიტი მონადირის წმიდათაწმიდა წესს, დალს სიმართლე დაუმალა. დალი ქრება და მონადირე ბეთქილი კლდეზე გადმოკიდებული დარჩა უმწეოდ. კლდეზე გადმოკიდებული ბეთქილი მწარედ გოდებს. თვალი ჰკიდა მონადირეს და შეეხმიანა, რომ უამბოს მის სახლეულთ, ბეთქილი ლაკვრაშიდან ვარდება:

"მამაჩემს გადაეცი,
რანგი და ღვინო ბლომად დადგას ჩემს საკურთხად;
დედაჩემს გადაეცი,
ხაჭაპური და ჭვიშდვარი ბლომად დადოს საკურთხად;
ჩემს ძმებს გადაეცი,
დიდი წვერი მოუშვან,
ჩემს დებს გადაეცი,
თმა მოიკვეცონ;
ჩემს ცოლს გადაეცი,
ობლები კარგად გამიზარდოს;
ჩემს საყვარლებს გადაეცი,
ჩუმ-ჩუმად დამიტირონ,
ჩემს ტოლებს გადაეცი,
საკაცით წამასვენონ,
აღმართში მოთქმით ამიტანონ,
ვაკეზე ზარი მითხრან."

(ქართული 1972-213)

ერთერთ ვარიანტში (ბ) როცა ბეთქილმა დედამისის მუდარა არ ისმინა და მაინც დაედევნა თეთრ შუნს ასეთი რამ არის თქმული:

"დღეს ნადირობას არ დავიშლი
გასდგომია გზას
მისი ცოდვა არ დაელეოდეს
თამარს, მის რძალს:
უწმინდურად გამიშვა სანადიროდ!"

(ქართული 1972-216)

სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე მდგომი ბეთქილი, ფაქტიურად განწირული, წრფელად მოთქვამს. მის გოდებაში ყველაფერია გაცხადებული. იგი არ იცავს სამონადირო წესებს, აკრძალვებს. მისი შეფასება წარმავალის პოზიციებიდან შეიძლება, არ იცავს ტაბუს, მისი გოდებიდან ჩანს, რომ იგი ცოდვებითაც არის დამძიმებული, ამიტომ საკამათოა მკვლევართა პოზიცია ბეთქილის როგორც პიროვნებისა და მონადირის შეფასებაში. ასე, მაგალითად: ბეთქილის ვარიანტები ვრცლადაა განხილული ელენე ვირსალაძის ნაშრომში "ქართული სამონადირო ეპოსი". მკვლევარმა ცალკე თავი უძღვნა მას: "დალი და მის მიერ დაღუპული მონადირე მსოფლიო ეპოსის ძეგლთა ფონზე. ელ. ვირსალაძე მიიჩნევს, რომ "დალი და ბეთქილი არის ღვთური წყვილი დაკავშირებული ბუნების განახლების, გაზაფხულის დღესასწაულთან,

მსგავ-სად სუმერულ-ბაბილონურ იშტარის და თამუზისა, ფრიგიის კიბელას და ატისისა, ბერძნული აფროდიტე და ადონისისა, არტემიდესისა და აქტეონისა, ფინიკიელი ასტარტას და ეშმუნისა, კართაგენის ტანიტის და მელკარტესი. ამას მოწმობს ქართველთ ნადირთ პატრონის, ხოლო შემდგომ მონადირეობის ქალღვთაების სიყვარული მოკვდავი მონადირისადმი, მის მიერ რჩეულის დაჯილდოება და ბოლოს მონადირის ტრაგიკული სიკვდილი – დამოწმებული არა მარტო ბეთქილის დატირებაში, არამედ მრავალი სხვა სიმღერებითა და თქმულებებით. მონადირე ხან კლდეზეა მომწყვდეული ნადირთა პატრონის მიერ და აქედან გადმოვარდნილი "ნაწილ-ნაწილ ეცემა დედამიწაზე, ხან ნადირთა პატრონის შურისძიების შედეგად ირმების მიერ არის უმოწყალოდ გათელილი, ხან ზვავს მოყვება, ხან აცდენილი ისრის მსხვერპლი ხდება" (ვირსალაძე: 1964-91).

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ვარიანტს მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეაქვს დალისა და მონადირის ურთიერთობის რთული საკითხის გადაწყვეტაში. აქაც, ისე როგორც სხვა ჩანაწერებში, უმთავრესი ტაბუს დაცვა მონადირისაგან. ეს იცის ბეთქილმა. დამოწმებული ეპიზოდებით დავრწმუნდით, რომ ბეთქილმა ნადირობაზე ხელი აიღო. მან ისიც ძალიან კარგად იცის, რომ დალი ღალატს არ აპატიებდა, მაგრამ მაინც არღვევს წმინდათა წმინდა წესს. თუ მთლიანობაში გადავხედავთ დალის ციკლის მასალებს და ზოგადად ვიაზრებთ ქალღმერთი დალის მონადირესთან ურთიერთობებს, აღმოჩნდება, რომ ბეთქილის ქმედებას წმინდა ადამიანური ურთიერთობის თვალსაზრისითაც არ აქვს გამართლება. ბეთქილის რეალურ ბუნებას მთლიანად ეხდება საბურველი ქალღმერთთან ბოლო შეხვედრაში. ბეთქილი თავისი პასუხით, რომ მძივი სასთუმალ ქვეშ დამრჩა, კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც მიუტევებელ შეცდომას. ბეთქილმა იცრუა, სიმართლე დაუმალა დალს. იგი არანაირ აკრძალვებს არ იცავს, უწმინდური მიდის სანადიროდ. ე.ი. საკუთარი თავის წინააღმდეგ მოქმედებს. ცალკეულ ვარიანტებში ბეთქილი წყევლის რძალს, თამარს, რომელმაც უწმინდურად გაგზავნა სანადიროდ. რას ნიშნავს ეს? რატომ არ ჩანს ცოლის როლი? რატომ აჩუქა მონადირემ რძალს დალის მიერ ბოძებული მძივი? რასაკვირველია, კონკრეტულ შემთხვევაში არაფერია გასაშიფრავი და ამოსაცნობი. ფაქტია, რომ ბეთქილს თვით ეთიკურ სფეროშიც ღალატობს ნების სიმტკიცე. დალისაგან განწირული ბეთქილის სიტყვებში წრფელი სინანულია გამოხატული. იგი მონადირეს სთხოვს, რომ მისმა მახლობლებმა არ დაივიწყონ, საყვარლებს, რომ ჩუმად იტირონ... ბეთქილის ამგვარ გოდებაში, რომელიც ერთგვარი აღსარებასავით ჟღერს, მთლიანად იხსნება მისი შინაგანი ბუნება, რომ გრძნობების სფეროში იგი ძალზე სუსტია, მაცდუნებელი ძალების ტყვეობაშია მოქცეული. დალთან ურთიერთობისას მან ვერ შეძლო საკუთარი თავის გარდაქმნა. იგი დარჩა ჩვეულებრივ, ცოდვილიან ადამიანად. (ონიანი: 2009-283-84). თქმულიდან გამომდინარე გაჭირდებოდა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების გაზიარება, რომ დალი და ბეთქილი არის ისეთი ღვთიური წყვილი, როგორც ბაბილონური იშტარ-თამუზისა, ფრიგიის კიბელასი და ატისისა, ბერძნული აფროდეტა და ადონისისა." დალი უფრო ტომობრივ დონეზე განსახილველი ქალღმერთია. ალბათ, ოდესღაც ზოგადქართული, რომლის ბუნება და ფუნქციები სრული სახით მხოლოდ სვანურ ზეპირსიტყვიერებაშია შემონახული.

დამოწმებები:

სვანური 1978: სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქილდანმა, ზ. ჭუმბურიძემ, ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით თბ., 1978
ქართული 1972: ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, გამომცემლობა "მეცნიერება", თბ., 1972
ვირსალაძე 1964: ვირსალაძე ელენე, ქართული სამონადირო ეპოსი, გამომცემლობა "მეცნიერება", 1964წ.
ონიანი 2009: ონიანი ოთარ, კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში, გამომცემლობა "უნივერსალი", 2009.

A new version of the ballad about Betkile

Otar Oniani

The newest version of the ballad about Betkile brings more clarity and intelligibility for the correct formulation and understanding of complex issues of relationships deity Dali and the hunter. Unlike other versions in this text with the fullness and highly artistic skill there is distinguished the inner world (nature) of the host animals, werewolf (transformation into animals), magic actions. The redsearches of variations confirm that the cause of the tragedy of Bethke is a violation of a taboo, perjury, betreying the gods of hunting Daly and getting into relationship with anotherone.

Новый вариант баллады о Беткиле

Отар Ониани

Нововыявленный вариант баллады о Беткиле вносит еще большую ясность и понятность для правильной постановки и осмысления сложных вопросов взаимоотношений божества Дали и охотника. В отличии от других вариантов в данном тексте со всей полнотой и высокохудожественным мастерством вырысовывается внутренний мир (природа) хозяина зверей,оборетенство (превращение в зверя), вольшебные действия. Наблюдения над вариантами подтверждают, что причиной трагедии Беткила является нарушение табу, нарушение клятвы, предательство божествам охоты Дали, вступление в связь с другой.

ჯადოსნური ზღაპრის ტარადიციული ფორმულები (დასაწყისი და დასასრული)

ოთარ ონიანი

ჯადოსნური ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის საკითხი ზღაპართმცოდნეობის ერთერთ რთულ პრობლემადაა მიჩნეული. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია როგორც ჟანრის ბუნების, რაობის, ისე სტრუქტურის გენეზისისა და ფართო გაგებით თემატიკური სამყაროს (შინარსის) სწორად გააზრებისათვის. პრობლემა არაა ხელუხლები, მასზე მდიდარი მეცნიერული ლიტერატურა მოგვეპოვება, მათ შორის, თეორიულიც და ავტორიტეტული მოსაზრებებია გამოთქმული: (Соколов Ю: 1938-328-350), (ჩიქოვანი მ. 1956-366-373), (ვირსალაძე ე: 1949-27-30), (ვირსალაძე ე: 1960-395-399), (ღლონტი ალ: 1963-90-112), (სიხარულიძე ქს: 1976-108-118) (სიხარულიძე ქს: 1958-249-250) და სხვა... დასახელებულ მკვლევართაგან ჯადოსნური ზღაპრის მზაფორმულები ზოგადად, კონკრეტულად კი დასაწყისი და დასასრული, ყველაზე სრულად

და ამომწურავად გამოკვლეული აქვს ქსენია სიხარულიძეს. საილუსტრაციო მასალა დამოწმებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საზღაპრო ეპოსიდან და ამ გზით კარგადაა წარმოჩენილი ქართული ზღაპრის სპეციფიკურობანი, მისი კერძო და ზოგადი მნიშვნელობა. ჩვენ მთლიანად ვემყარებით ქსენია სიხარულიძის მოსაზრებებს და საკვლევად სვანური ჯადოსნური ზღაპრის დასაწყისი და დასასრული გვაინტერესებს. ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ სვანური ზღაპარი ამ საკითხის გარკვევაშიც მნიშვნელოვან სიახლეებს გვთავაზობს. დავსძენთ, რომ ზღაპრის დასაწყისი და დასასრული სერიოზული სირთულეების წინაშე გვაყენებს. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე დააფიქრა ქართული ზღაპრის დასაწყისმა: "იყო და არა იყო რა." ასეთი დასაწყისი დიდმა ილიამ ღრმად გაიაზრა და იგი ხელოვნების სასწაულად მიიჩნია წერილში "ჩვენი ახლანდელი სიბრძნე-სიცრუისა:" ჩვენი ზღაპარი ტყუილად კი არ იწყება "იყო და არ იყო-რა-თი:" "იყო" შიგ ჩასახული აზრია და აზრი ხომ ყოფილა, არის და იქმნება, "არა იყო რა" ეკუთვნის თვით ამბავს, რომლიც არც ყოფილა და არც არის, ამიტომ არაკი, რომელშიც ცოცხალად, ცხოვლად არის ჩასახული აზრი, იზიდავს ადამიანის გულისყურს იმდენად, რომ თვით არაკის სიცრუეც კი მართალი ჰგონია და სულ გვავიწყდება, რომ ყურს უგდებთ მოგონილ ამბავსა. ამ სასწაულს სჩადის ხელოვნება: (ჭავჭავაძე ილია: 1941-280). რასაკვირველია, დამოწმებული მოსაზრების მნიშვნელობა მრავალმხრივია. იგი ბევრი პრობლემის გააზრებაში გვეხმარება, მათ შორის მთქმელისა და აუდიტორიის ურთიერთობისაც, ასევე ჟანრის გენეზისის საკითხის გარკვევში. ჩვენთვის ამონარიდიდან, ზოგადად კი ზღაპრის დასაწყისიდან, საინტერესოა "იყო" ზმნის მნიშვნელობა, რომელითაც თითქმის ყველა ჯადოსნური ზღაპარი იწყება, ზღაპრის ქვეჟანრები საერთოდ. იგი არ გულისხმობს კონკრეტულ დროს, ადგილს, პერიოდს, თუნდაც რომელიმე ეპოქაში მომხდარს, არამედ მას ჟამსა, ყველგან და არა დედამიწის რომელიმე კუთხე-კუნჭულში. "იყო" ადამიანის განვითარების საწყის პერიოდს გულისხმობს, დასაბამიერს, როცა ადამიანი ბუნების ძალებთან პირდაპირ კავშირში იმყოფებოდა და იყო ამ ძალებით მართული, როცა სულიერი საუფლო მისთვის რეალობას წარმოადგენდა, საკუთარ თავს ამ სამყაროს წევრად თვლიდა, იგი მისთვის ისეთივე სინამდვილედ აღიქმებოდა, როგორც გრძნობად ფიზიკური საუფლო თავის ფლორითა და ფაუნით. ფილოსოფოსი ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი თავდაპირველად "ბუნებასთან ერთიანობაში იყო" (ჰეგელი 1979) რასაკვირველია, განვითარების საფეხურები თავის კანონზომიერებებსაა დაქვემდებარებული და იგი მეტნაკლები სისრულითა და ერთგვაროვნობით დამახასიათებელია მიწიერი საუფლოს სხვადასხვა მოდგმისა და პერიოდის ადამიანებისათვის, ამიტომ ფოლკლორული, ეთნოგრაფიული, თუ რწმენა-წარმოდგენათა მსგავსებები ბუნებრივია. იგი ყოველთვის არ ექვემდებარება და ვერც აიხსნება ფოლკლორისტიკაში არსებული სკოლებისა და თეორიების პრინციპებით, აქ არაფერია გასაკვირი...უნდა განვაცხადოთ, რომ მასალა ზოგჯერ იმდენად სპეციფიკურია, რომ სიუჟეტის მსგავსებებს ვერ ავხსნით ვერც მთოლოგიური თეორიით, ვერც სესხებითა, და ვერც თვითჩასახვის თეორიით, რომელიც ყველაზე ახლოს შეიძლება იყოს და მიესადაგებოდეს ზემოთ თქმულს, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ზღაპრის დასაწყისი "იყო" ყველაზე უფრო შეესატყვისება და წარმოაჩენს იმ თავდაპირველ სულიერ სიტუაციებს და ვითარებებს, როცა ადამიანი ბუნებასთან და ბუნების ძალებთან უშუალოდ კავშირში იყო, იმდენად, რომ საკუთარ თავს მათან მყოფად, წევრად მიიჩნევდა და მათი ქმედებათა მხილველი იყო. როგორც ამბობენ, ადამიანი თანდათან კარგავდა ამგვარ ურთიერთობას სულიერ

ძალებთან და უფრო და უფრო უკავშირდებოდა გრძნობად ფიზიკურ სა-უფლოს, რომელთანაც ცნობიერ მიმართებას ამყარებდა და იმუშავებდა, ითვისებდა ლოგიკურ აზროვნებას. ასე რომ, უძველს წარსულში ადამიანი უფრო სულიერი არსება იყო... ღვთაებრივ-სულიერი ძალებთან ამგვარ ერთიანობას უმაღლესი შემეცნება, ინდური ტერმინით რომ ვთქვათ, კრიტა იუგას, ანუ ოქროს ხანას უწოდებს, მომდევნო კი ტრეტა იუგა, ანუ ვერცხლის ხანაა, შემდგომ რკინის ხანა, დვარპა იუგა, ბოლოს კი კალ იუგა, წყვდიადის ხანა. რასაკვირველია ამ პერიოდთა დახასითება შორს წაგვიყვანდა. ჩვენთვის ზღაპრის დასაწყისი და დასასრულია საინტერესო, კონკრეტულად "იყო" ზმნის მნიშვნელობის გარკვევა. ამგვარი დასაწყისი დაუდგენელ დროს გულისხმობს, ოდესღაც ყოფილს. მისი მნიშვნელობა განსასკუთრებულია ზღაპრის გენეზისის რთული საკითხის სწორად დასმისა თუ გააზრებისათვის. "იყო"-ში ამოიკითხება მოგონება ადამიანის სულერ არსებასთან ერთგვარი თანაცხოვრებისა, რომელიც შენარჩუნებული იყო დროის დიდ მონაკვეთში. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალში საცემია, უძველესი კულტუროსანი ქვეყნის კულტურებში, კერძოდ კი ინდურ სამყაროში და საერთოდ ყველგან, რადგან ადამიანებს ფიზიკური აღქმა გარეგანი სამყაროს აღქმასთან უკვე შეძენილი ჰქონდათ, ამიტომ ზღაპრის ამგვარი დასაწყისი "იყო" ზედმიწევნით კარგად მიესადაგება ოდესღაც ყოფილს, მოგონებებში შემორჩენილს, მაგრამ იმდროინდელი ადამიანისათვის რეალურს, ამიტომ, "იყო და არ იყო", რომელითაც იწყება ყოველი ქართული ზღაპარი და არ მარტო ქართული, უძველსი წარსულის ანარეკლია გაცხადებული... იმდროინდელ ადამიანში მოთხრობილი ამბავი რეალურად აღიქმებოდა, როგორც მოგონებებად შემორჩენილი. ამიტომაცაა ზღაპრის დასაწყისი, ტრადიციულად დამკვიდრებული, "იყო და არ იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა," საერთოშორისო გავრცელების. ქს. სიხარულიძეს მოყავს სალუსტრაციო მასალა (ჩვენ მას ვემყარებით) "ანა გაბრიელოვას მიერ სალამასის ებრაელისაგან 1963 წელს ალა-ათაში ჩაწერილი ზრაპარი სათაურით "გლეხი" ასე იწყება: " იყო და არ იყო რა." თითქმის ასეთივეა სპარსული ზღაპრის დასაწყისიც: "ერთი ვინმე იყო, ერთი ვინემ არ იყო," ტაჯიკური ზღაპრის დასაწყისია: "იყო, არ იყო, " მკლევარი შენიშნავს, რომ თედო რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ზღაპრებიც ასე იწყება: "იყო და არ იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა." ასეთივე დასაწყისი სპარსულ ზღაპრებსაც აქვს: ერთი ვინმე იყო და ერთი ვინმე არ იყო, ღმერთზე უდიდესი არავინ იყო." მეორე ვარიანტი ასეთია: " იყო და არ იყო რა, ღვთის გარდა არავინ იყო." ამას ემთხვევა ბელუჯების ზღაპრების დასაწყისიც: "იყო და არ იყო, ღმერთზე უკეთესი არავინ იყო." (სიხარულიძე 1976: სიხარულიძე ქს. 1976-111-112) როგორც ვხედავთ, ქართული ზღაპრების დასაწყისის მსგავსება სხვა ხალხთა ზღაპრების დასაწყისთან აშკარაა. მაგრამ ქართულს საინტერესო გაგრძელება აქვს სწორედ აქ დგება საკითხი მთქმელისა და აუდიტორიის ურთიერთობისა. ვიცით, რომ ზღაპრის მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში საერთოდ, ამჯერად არაფერს ვამბობთ მის პედაგოგიურ მნიშვნელობაზე. მეზღაპრე ყოველთვის ცდილობდა დაეპყრო აუდიტორიის ყურადღება, შეექმნა არაჩვეულებრივი განწყობილება მსენელთათვის, იგი მთელ თავის შესაძლებლობას იყენებს, რომ მსმენელი დაინტერესოს მოსმენილი ამბით. ზღაპარი ასე იწყება:

"იყო და არ იყო რა,
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,
იყო შაშვი მგალობელი,

ღმერთი ჩენი მწყალობელი.
ღმერთს დიდება,
ჩვენ მშვიდობა
ღმერთი მაღალი
კაცი დაბალი" (ქართული 1909: თ. რაზიკაშვილი 1909.I.1909-13)

როგორც მიუთითებენ ამგავრი დასაწყისი თავიდანვე ქმნის ზღაპრის თხრობით ტონს, თვით ზღაპრის თხრობაც "საოცრად" რიტმულია...

მ. ჩიქოვანის აზრით, "ჯადოსნური ზღაპრისათვის დამახასითებელია თხრობით-რელიგიური დასაწყისი, ხოლო ცხოველთა ეპოსოსათვის კი თხრობით-რეალისტური. თხრობითი-რელიგიური ტიპის ხოტბითი დასაწყისია: "იყო და არ იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთ ქალქაში ერთი მეთევზე," ხოლო თხრობით რელიგიურ ტიპის დალოცვით დასაწყისია "იყო და არ იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი." საინტერსეოა, რომ ცალკეულ შემთხვევაში ამბის რელიგიურ-ხოტბით დასაწყისი ლირიკული ლექსით იხსნება: "ცხენი ვიყიდე ახალი, ახალი ამდგარი ჯანზედა, კაცმა რომ სიტყვა ამოსთქვას, უნდა რამ იყვეს წარზედა." რაზიკაშვილი: 1951. რაზიკაშვილი თ. 1951-51)

მ. ჩიქოვანი იმასაც გვაუწყებს, რომ "ჯადოსნური ზღაპარი ცხოველთა ეპოსის გაგრძელება ან მისი პარალელურლი მოვლენაა, ხშირად ვხვდებით ისეთ მისნური ამბავს, სადაც ეპიკური გმირი ცხოველური წარმოშობის არის და მძლეთა-მძლეა ("დათვკაცა", დათვიაშვილი, ცხვრის შვილი). ამ ტიპის სიუჟეტის ახსნა ტოტემიზმის გარეშე შეუძლებელია, იგი შემაკავშირებელ რგოლად გვევლინება ცხოველურ და ჭადოსნური ზღაპრის შორის (ჩიქოვანი. 1959-424) იქვე დასძენს, რომ ჯადოსნურ ზღაპარს საყოფაცხოვრებო ზღაპრად გადაქცევის აშკარა ტენდენციის მქონეა... ამ არასრული მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ ქართველ ფოლკლორისტთა შორის ზღაპრის დასაწყისსა და დასასრულზე აზრთა სხვადსხვაობაა. ალ. ღლონტს მიაჩნია, რომ "ხალხურ ნოველას რეალისტური დასაწყისი აქვს, რაც წინასწარ გვაგრძნობინებს, რომ საქმე ნამდვილს და არა ფანტასტიკურ ამბავს ეხება. ეს დასაწყისი ტიპობრივია: "იყო ერთი უღონო კაცი, სახელად ნასია." (ღლონტი. 1963: ღლონტი ალ. 1963-117). მკლევრის აზრით, "იყო და არ იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, შემოტანილია ჯადოსნური ზღაპრიდან, მთქმელის მიერ, რომ ჯადოსნური ზღაპრის ტრადიციული დასაწყისი გვიანდელი განვითარებაა ნოველის რეალისტური ფორმულისა და ის რეალისტური ფორმულა ყველაზე ადრინდელია და იგი ხალხურმა ნოველამ შემოინახა... მასალისა და თავალსაზრისების გაზრდა-დამოწმება კიდე შეიძლება, მაგრამ ამჯერად თქმულით დავკმაყოფილდებით. მხოლოდ დავსძენთ, რომ ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის საკითხი საკმაოდ ძველი და ამასთანავე ისევ გადასაწყვეტ საკითხად რჩება...

სვანურ ზეპირსიტყვიერებაში მოძიებულ მასალას მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეაქვს ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის რთული პრობლემის გადაწყვეტაში. მათზე დამყარებით შეიძლება სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ზღაპრის დასაწყისის გენეზისზეც. ქართული და სხვა ქვეყნების ზღაპრების მსგავსი დასაწყისი და დასასრული სვანურში არ გვხვდება. ვგულისხმობთ ჯადოსნურს. აქ ზღაპარი პირდაპირ იწყება; "არის ერთი კეისარი. კეისარს ჰყავს სამი ვაჟი" (სვანური, 1959: სვანური, 1959-67) "არის"-ზმნა აწმყო დროშია, მთქმელი ამ სიტყვებით გვაუწყებს მიმდინარე ამბავს, თითქოს თვითონაც მონაწილეა მის მიერ ზღაპარში მოთხრობილი ქმედებებისა, მისთვის ეს რეალობაა ზოგჯერ ზღაპარი ასეც იწყება: "ყოფილა,

- მე ასე გამიგონია, ტყუილია თუ მართალი არ ვიცი, – ყოფილა ერთი კეისარი." (სვანური 1959: სვანური 1953-113) გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა განვაცხადო, რომ "ყოფილა" უნდა განვასხვავოთ "იყო"-საგან. რომელიც ასე ითარგმნა "არდა", "ყოფილა" თურმე, ამით მთქმელი გვაუწყებს, რომ იგი იმეორებს სხვის ნათქვამს. ზღაპარი "ხმელიკურა" ასე იწყება: "ხელმწიფის სამი ვაჟიშვილი ჰყავდა." (სვანური 1959: სვანური 1959-125). ზღაპარი "მღვდელი და სამი ძმა" ასეთი დასაწყისი გვაქვს "ესენი არაინ ღარიბი, არაფერი აქვთ ქონება." (სვანური 1939: სვანური 1939-152) ამგვარ დასაწყისიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთქმელი გადმოგვცემს მის თვალწინ მომხდარ, უფრო ზუსტად, მიმდინარე ქმედებას, თითქოს თავადაც თანამონაწილეა სამი ძმის თავგადასავლისა. ამგვარი დასაწყისი ტიპიურია სავანური ჯადოსნური ზღაპრებისათვის "კობო" "ეს კობოა, ყოველთვის თხები დაჰყავს სამწყესავად"... სვანურ ზღაპრისათვის არაა უცხო ღმერთის ხსენება. "დაგლოცოთ ღმერთმა," ზღაპარი "ხელმწიფის შვილი და ტიტველი კაცი" ასე იწყება: "ერთი ხელმწიფის შვილი წავიდა სავაჭროდ." (სვანური 1939: სვანური 1939-225). მასალა დამოწმებულია ბალსზემოური ტექსტებიდან. სვანური ენის სხვა დიალექტის მასალებშიც ასეთივე მდგომარეობაა. ბალსქვემორ'ში კი ოდნავ თავისებურებებთან გაქვს საქმე. ზღაპარი "ელთუქვარ" "სად არიან ერთი ცოლ-ქმარი. შვილი არ ჰყავთ." ასეთი დასაწყისიც ტიპიურია ამ დიალექტებზე ჩაწერილი ზღაპრებისათვის. ამგვარ დასაწყისში ბევრი რამ იგულისხმება. სად არიან ასეთი ცოლ-ქმარი? ყველგან და არა კონკრეტულად რომელიმე ქვეყანაში. (სვანური, 1957: სვანური 1957-95). ამ დიალექტის ტექსტებში ასეთი დასაწყისია: "არიან ერთი ცოლ-ქმარი," "ყოფილა ერთი ცოლ-ქმარი ზოგჯერ დასაწყისი ბუნების აღწერით იწყება: "ერთ უდაბურ ტყეში არაინ ცოლ-ქმარი." "ამათ ჰყავთ ერთი ვაჟი." ზღაპარი "უმცროსი და" ასე იწყება: "აბა, კარგზე მარტო გვქონდეს საუბარი, სად არის ერთი კაცი." (სვანური1957: სვანური 1957-48) და სხვა. ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე ლაშხურ და ლენტეხურ კილოზე გამოქვეყნებულ ზღაპრებში... დამოწმებული მასალა გვარწმუნებს, რომ ზღაპრის დასწყისი ფორმულები მთელი თავისი არქაულობებით შემნახულია სვანურ ზეპირსიტყვიერებაში. იგივე ითქმის დასასრულზეც. რომელიც ყველა ქვეყნის ზღაპრისათვის ერთია იმ აზრით, რომ გმირის თავგადასავალი საბოლოოდ ყოველთვის კეთილად მთავრდება, მაგრამ ფორმულები განსხავევულია. ეს დამოკიდებულია იმაზეც, თუ როდის ითქმება ზღაპარი, რა პირობებში და რა ფუნქცია უნდა შეასრულოს ან რა მიზანს ისახავს. დასასრულში ზოგჯერ ასახულია მეზღაპრეთა გამსპინძლების ან დასაჩუქრების ფუნქცია,

"სამი ვაშილი მოვიტანე
ერთი-მთქმელსა,
ორი-ყურის დამგდებელსა."

ხალხური: 1952-145

ქართული ზღაპრის ყველაზე გავრცელებული დაბოლოებების ფორმულა ასეთია:

ჭირი იქა,
ლხინა აქა,
ქატო იქა,
ფქვილი აქა..."

სვანურ ზეპირსიტყვიერებაში ზღაპრის დასასრული ფორმულებიც სპეციფიკურია; ზღაპრის გმირი ათასნაირ ფათერაკების გავლის შემდეგ აღწევს გამარჯვებას დასასრულში ნათქვამია, რომ "ეს დარჩა ჩალისიმეს, ამათი

საცხოვრებელი, ქონება და ყველაფრი.” (სვანური. 1939: სვანური 1939-124) ზღაპარი “ხმელიკურა” ასე მთავრდება: “კარგი ცხოვრება აქვთ ყოველნაირად.” (სვანური 1959: სვანური 1959-15). სვანური ზღაპარი ასეც მთავრდება: “ამათ კარგი ცხოვრება შეიქმნეს.” “გამრჯვებული დაბრუნდა და დიდი ლხინი და ქორწილი გადაიხადა...” ან, “აქაური ცუდი იქ, იქაური კარგი აქ,” “სანამ ისინი ვნახოთ, მანამდე ვიყოთ.” “დალოცვილი იყავი.” სვანურ ჯადოსნური ზღაპრის ტრადიციული ფორმულები დასაწყისი და დასასრული შეუდარებლად არქაულია. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებულია ზოგადი ფოლკლორისტიკის, კერძოდ ზღაპარმცოდნეობის პრობლემურ საკითხთა გადაწყვეტისათვის, მათ შორის ჟანრის გენეზისისათვის, კონკრეტულად კი ჯადოსნური ზღაპრის. ტექსტობრივი კვლევა გვარწმუნებს, რომ რეალისტური დასაწყისი, რომელიც ტიპიური აღმოჩნდა ჯადოსნური ზღაპრისათვის, გარკვეულ პერიოდის შემდეგ, გადავიდა სხვა ჟანრებზე: ცხოველთა ეპოსსა და ხალხურ ნოველაზე.

დამოწმებანი:

Соколов 1938: Соколов Ю. Русский фольклор, М,1938.

ჩიქოვანი 1956: ჩიქოვანი მ. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.

ვირსალაძე 1949: ვირსალაძე ე. რჩეული ქართული ზღაპრები. 1949.

ვირსალაძე 1960: ვირსალაძე ე. ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, 1949.

ღლონტი 1963: ღლონტი ალ. ქართული ხალხური ნოველები, 1963.

სიხარულიძე 1976: სიხარულიძე ქს. ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები, 1976

სიხარულიძე 1958: სიხარულიძე ქს. ნარკვევები, I, 1958.

The traditional formulas of magic fairy tales (the beginning and end)

Otar Oniani

The issue of ready-made formulas (the beginning and end) of a magic fairy tale is a common problem of folklore, particular in fairy tales. Its meaning is special for the correct formulation and comprehension questions both for a genre features and structure of genesis and thematic world. There are analogues for ready-made formula of the beginning and end of the Georgian magic tales in different countries' fairy tales epic space around the world and at the same it defines specific features. The researching of Suanian material revealed that fairy tales are typical of realistic beginning and end, which are the most archaic and appeared transferring into animal folk epics and novel.

Традиционные формулы вольшебной сказки (начало и конец)

Отар Ониани

Вопрос готовых формул (начала и конца) волшебной сказки считается сложной проблемой общей фолклористики, в частности сказковедения. Ёе значение является особенным для правильной постановки и осмысления вопросов как жанровых особенностей, так и структуры, генезиса и тематического мира. Готовым формулам, началу и конца грузинской вольшебной сказки аналоги имеются в сказочном эпосе разных стран мира и вместе с тем представляется и специфически. Наблюдение над сванским материалом выявляется, что для волшебной сказки типичны реалистическое начало и конец, которые являются самыми архаичными и оказиваются перешедшими в животный эпос и народную ровеллу.

კულტურული გმირის პრობლემა კავკასიურ ფოლკლორში და ქართული ამირანიანი

ოთარ ონიანი

კულტურული გმირის პრობლემა კავკასიურ ფოლკლორში ამირანიანთან მიმართებით საგანგებოდ არავის გამოუკვლევია. ქართველ ფოლკლორისტთაგან მხოლოდ მიხეილ ჩიქოვანმა დაძებნა სიუჟეტური თუ ცალკეული სტრუქტურულ ერთეულთა პარალელები ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ეპიკურ ძეგლებთან. მიმოხილვა შორის წაგვიყვანდა. მკვლევარი ვრცლად ჩერდება ამირანის თქმულების გავრცელებაზე სომხეთში. „აქ ამ ციკლის ორგვარი ნაწარმოები მოიპოვება: ერთნი, მეტად პოპულარულნი, თავს იჟრიან არტავად-შიდარ-მჰერის ირგვლივ, მეორენი ნაკლებ პოპულარულნი, ამირანის გარშემო“ (ჩიქოვანი 1965: 188).

მკვლევარი გვაუწყებს, რომ „უნდა ვაჩვენოთ მსგავსება და შეხვედრანი, რაც შესამჩნევია მჰრესა და ამირანს შორის. ნ. მარიდან მოყოლებული მჰერი და ამირანი ერთად იხსენიები ან. ამის მიზეზი კი მათი თავგადასავლით სიახლოვეა. იქვე როსტომიანსაც იშველიებს, რომ მსგავსება აშკარად იჩენს თავს, როცა „ხმაზავთიანი ოჰანი ტყავებს შემიხვევს და ისე დასძახებს ბუმბერაზულად:

„წარჩინებულნო ერთი მისმინეთ,
გვინახავს ბევრი სანახავია
მოდი, ერთსაც ვცდი, რაც იყოს, იყოს,
შემომხვიეთ ტანზე ტყავები,
რომ დავიყვირო მე ჩემებურად
და ხმით ვეძებდე მჰერის წერასა“.
(ჩიქოვანი 1965: 191)

„ამირანის მამას საშინელი ხმა ჰქონდა, მაგრამ მამაზე ნაკლები ხმა არც მის შვილს დაჰყვა. ავიდა ამირანი ხეზე და დაიყვირა. იმის დაყვირებაზე ათწლიანი ბალღებიც კი გაწყდნენ“ (ჩიქოვანი 1965: 191).

„მჰერმა ირემს გამოქვაბულში შესდია და თავის ცხენთან ერთად სამუდამო ტყვეობაში აღმოჩნდა. ასევეა ამირანი თავისი რაშით ჭილოუს მღვიმეში მომწყვდეული. ამირანის მსგავსად, მეჰერს მწყემსი იპოვის და მოისმენს მარად ტანული გმირის ნაღვლიან აღსარებას.

„მწყემსს მიერეკა თურმე ნახირი,
და ერთი ძროხა გამოქცეოდა:
მისდევს ძროხას და იმ კლდეს მიადგა,
კლდე გადაიხსნა იმ წუთს წვერიდან
შედის მწყემსი და ხედავს სანახავს,
ერთი დევკაცი ზის იქ მდუმარე“.
(ჩიქოვანი 1965: 184)

მწყემსის ამირანთან შეხვედრა ფართოდ გავრცელებული სიუჟეტია, იგი ყველგან იჩენს თავს, სადაც კი ამირანის განთავისუფლებაში გარეგანი ძალები მონაწილეობენ. სხვა სიუჟეტურ მსგავსებასთან ერთად დასახელებულია გმირთა მარადიული სასჯელი. ამირანის მსგავსად, მჰერს

განთავისუფლება არ უწერია. იგი განგებით არის ჯურღმულში მოქცეული და ამიტომ მისი გამოხსნა მიწიერთა ძალ-ღონეს აღემატება“ (ჩიქოვანი 1965: 194).

როგორც ითქვა, მკვლევარი მხოლოდ სიუჟეტურ პარალელებზე მსჯელობს. კავკასიის ეპიკურ ძეგლთან მიმართ ამირანის კულტურულ გმირობაზე კი არაფერს გვეუბნება.

ამირანის კულტურულ გმირობაზე საინტერესო მოსაზრებებია გამუტქმული ლია ჩლაიძის ნაშრომში „კავკასიური ფოლკლორი, კავკასიური სახლი, თბ., 2006 წ. მკვლევრის დაკვირვებით: „ამირანი კულტურულ გმირად ფორმირების გზით ნელა მიდის, მაგრამ მაინც რომ მიდის, ამას მხარს უჭერს ზოგი ვარიანტი, რომელშიც ამირანმა, ვიდრე ყამარს მოიტაცებდა (მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ყამარი ციურ ცეხცლს განასახიერებს) მოკლა ტახი, რომელიც ცეცხლს სდარაჯობდა“. ცოტა ქვემოთ შრომის ავტორი საყურადღებო მოსაზრებას გვთავაზობს. „თავდაპირველად, კულტურული გმირისაგან ყამარის – ცეცხლის მოტაცება იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მისი სახელი ციურ ცეცხლსა და ციურ სინათლეს – მთვარეს უკავშირდებოდა („კამარ“ არაბულად მთვარეა)“ (ჩლაიძე 2006: 125).

ნაშრომში დამოწმებული აფხაზური ვერსიიდან ეპიზოდი: „სოსრუყოს ცეცხლის დანთება რომ დასჭირდა, ისარი სტყორცნა, ვარსკვლაი ჩამოაგდო და იმით დაანთო. ნართოლოგიურ ლიტერატურაში ეს ცეცხლის მოპოვებად და კულტურული გმირის ღვაწლად არის მიჩნეული“ (ჩლაიძე 2006: 130).

ცნობილი რუსი ფოლკლორისტი მელეტინსკიც საგანგებოდ იხილავს ამირანიანს მ. ჩიქოვანის 1947 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში გამოქვეყნებული ვარიანტების მიხედვით, სულ 69 ჩანაწერი, მაგრამ ამირანის კულტურული გმირობის დამადასტურებელი მასალა ნაშრომში არ მოიპოვება, ამიტომ მკვლევრის პოზიციაც ერთობ მოკრძალებულია... მიმოხილვისგან თავს ვიკავებთ. მხოლოდ დავსძენთ, რომ აქცენტი უმეტესად ნართაულ ეპოსთან მიმართებაზეა გადატანილი. შეიძლება ითქვას, რომ საკითხი ღიადაა დატოვებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ გამონათქვამებს. რასაკვირველია საინტერესოს. ქართულ ფოლკლორისტიკაში, როგორც ეს თავის დროზე ითქვა, არაა სრულად შესწავლილი, უფრო ზუსტად, გათვალისწინებული, ამირანის სვანური ვარიანტები, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა არა მარტო გმირის მამის ვინაობის გარკვევა, არამედ ამირანის კულტურული გმირობისაც და სხვა. მხოლოდ სვანურ ზეპირსიტყვიერებაში აღმოჩნდა ამირანის კულტურული გმირობის დამადასტურებელი ვარიანტები (ონიანი 2009: 75).

ასეთებია გურჩიანისეული, ქალდანისეული და გულედანისეული ჩანაწერები. დასახელებულ ნაშრომში ისინი ვრცლად არიან განხილული. აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სვანურ ჩანაწერებში ამირანმა ხთონურ ძალებს წარსტაცა ცეცხლი, ამოიტანა სამზეოზე და ასწავლა ადამიანებს მისი გამოყენება. სხვა ვარიანტებიდანაც ირკვევა, რომ ამირანი კულტურული გმირის ტიპს განასახიერებს. მამაშვილი ამირანების მისიაა ბოროტი ძალების განადგურება. ირკვევა, რომ უფროსი (მამა) ამირანი შეუდარებლად ძლიერია შვილზე. იგი კოსმიურ საუფლოშიც სპობს ბოროტ ძალებს და მიწიერშიც (ონიანი 2011: 18-20).

სხვა თვისობრივი ნიშნების ჩამოთვლისაგან თავს ვიკავებთ, მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტის საინტერესო ეპიზოდზე შევჩერდებით: „ძმებმა მწვერვალზე მიწას შეზრდილი ქვა ნახეს, რომლის ხვრელებიდან ცხელი ორთქლი ბოლქვებად მოედინებოდა. ახლოს მისვლა შეუძლებელი იყო. ძირი გამოუთხარეს და ისეთმა ალმა იფეთქა, რომ კინაღამ გადაწვა იქაურობა...

ამირანმა ნაბადი წყალში გაუღინთა, შემოიხვია და ხვრელში ჩაეშვა. გურჩიანისეული ვარიანტით კი ქრისტე ღმერთმა გადმოუგდო ციდან ნაბადი, რომელიც მთლიანად დაიწვა და თვითონ გადარჩა. შიგ ორომ მეფის ქალიშვილები დახვდა, მოთქვამდნენ, ისინი ცხრათავიან დევს მოუტაცია. ქვემოთ, ცეცხლის პირას დევი იყო წამოწოლილი. იქიდან ამოდიოდა ელიას ალი. ამირანი ჩაუხტა, მთელი კვირა იომეს, ბოლო დაამარცხა და თავებს ჭრიდა... დევმა ქრისტეს თავდებობა მოსთხოვა და უთხრა. ბოლო თავს ნუ მოჭრისო და ცეცხლს მისცემს მარადჟამულადო. ამ ცეცხლზე პურს გამოაცხობენ, საჭმელს მოამზადებენ დ ადამიანის საქმე ათასჯერ წინ წავაო. ცეცხლი ამ ჭურჭელში ჩადევი და აღარ ჩაგიქრებაო“ (ონიანი 2009: 31).

ეპიზოდი მცირედი სხვაობითაა აღწერილი გურჩიანისეულში, აქ ცეცხლი ადამიანური ენით ლაპარაკობს. ნაშრომში დასახელებული ეპიზოდები ვრცლადაა შეჯერებული ერთიმეორესთან. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ვარიანტები და ეპიზოდები არ დასტურდება ჩრდილო კავკასიის ხალხთა ფოლკლორში... ამჯერად დავიმოწმებთ ჩეჩნური ზეპირსიტყვიერებიდან ერთ-ერთ მითოსურ გადმოცემას „ფჭარმათი“. შესავალში საუბარი ნართ-ერთხოელებეა, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ღონიერებით. მთქმელის სიტყვებით, ესენი იყვნენ მგლებივით გულადები, ვეფხვებივით მოქნილები და მელიებივით ცბიერები... მათი ყვირილი მთებს, ძახილი კი ცას აზარზარებდა. უძლიერესნი ყოფილან, ცეცხლი არ ჰქონდათ. ღონიერი სიელა სასტიკი და შეუბრალებები ყოფილა. ის ცის მეუფე იყო, ცეცხლიც მას ჰქონდა.

ნართ ერთხოელებისათვის თავისი ძალ-ღონის საჩვენებლად სიელა მაშხალაზე შემოჯდებოდა და ცაზე ისეთ ხმაურს ატეხდა, გეგონებოდა ნამსხვრევებად ქცეული ცა საცაა ჩამოიქცეოდა... საშინელი ქარ-წვიმით ხშირად დიდ უბედურებას დაატეხდა ადამიანებს. ცასა და დედამიწას შორის მუდმივი შუღლი იყო. რაც უფრო ნეტარებდა სიელა ხალხის წამებით, მით უფრო მეტ კაეშანს ეძლეოდა სათა, რომელსაც ძალიან უნდოდა დახმარებოდა ნართერთხოელებს.

იმ დროს მთაში ცხოვრობდა ლომკაცი ნართი ფჭარმათი, თავის სამჭედლოში მუშაობდა და ხალხს ეხმარებოდა. იგი ხალხში გაბნეულ სიბრძნეს ეწაფებოდა. მას ჰყავდა კარგად გაწვრთნილი ბედაური თურფალი. ფჭარმათი ამბობდა, რომ დრო მოვა და ჩემი ცხენი ციდან ცეცხლს ჩამოიტანსო. როგორც ვხედავთ, ამ გადმოცემაში საუბარია ციდან ცეცხლის ჩამოტანაზე და არა მიწის ქვეშეთიდან, ქვესკნელიდან. ფჭარმართმა შეკაზმა თურფალი და ელვასავით გაფრინდა. იმ ჟამს ბაშლამის წვერზე დასასვენებლად ეშვებოდა თურმე მზისსხივოსანი სათა. იგი თეთრ ფრინველად იქცა, შეეგება ფჭარმათს და ადამიანის ენით დაესაუბრა: შენ ტყუილუბრალოდ არ მოხვიდოდი ბაშლამის წვერზეო... ფჭარმათმა უთხრა: ცის კერიიდან ცეცხლის მუგუზალი უნდა წავუღო ხალხსო. უამისოდ უკან ვერ დავბრუნდებიო... კეთილი საქმისთვის მოსულხარ... მე დაგეხმარებიო...

სიელა-სათამ დაარიგა ფჭარმათი რა გზით მოხვედრილიყო სიელას კერასთან და როგორ ჩაეგდო ხელში ანთებული მუგუზალი. ახლა სიელა დაძი ნებული იქნება. ეგ ქარივით სწრაფი ბედაური გააჭენე და სიელას კარზე გადააფრინე. ცეცხლს რომ წაადგები, დასწვდი, ცეცხლმოკიდებულ მუგუზალს ხელი დასტაცე, შემდეგ კი ბაშლამის მიმართულებით გაქუსლე... ფჭარმათიც ასე მოიქცა. ნაპერწკალი ცხვირში ჩაეყარა სიელას და გაიღვიძა. მან იცოდა, რომ თუ ადამიანი ცეცხლს ჩაიგდებდა ხელში, დიდი ძალა მიეცემოდა და ბოლოს მის წინააღმდეგ აღსდგებოდა. სიელას გუდაში შავი ღამე ჰყავდა გამომწყვდეული. გახსნა და დაადევნა, ფჭარმათი საკუთარი ხელის თითებს

ვერ ხედავდა, დაღუპვა ელოდა, მაგრამ მას გზას უკავალავდა ლამაზი ფრინველი სიელა-სათა მშვენიერი სიმღერით... სიელამ ქარიშხალით სავსე გუდა გახსნა, მაშინ ლამაზმა ფრინველმა – სიელმა-სათამ თავისი ფრთებით ქარიშხლისაგან დაიფარა და სიმღერით გზა გაუკვალა. გრიგალი მაინც აქრობდა ცეცხლს. ამიტომ უბეში შეინახა. მიხვდა სიელა, რომ ნართი უვნებლად უსხლტებოდა ხელიდან. გახსნა მესამე გუდა, რომელშიც ყინვა-სიცივე ჰქონდა. ცეცხლოვანი ცისარტყელიდან (მეხი) დაუშინა ნართს, მაგრამ ნართი ფჰარმათი ვერაფერმა ვერ შეაჩერა... მალე მიადგა გამოქვაბულს, სადაც ნართები ელოდებოდნენ.

– აჰაა! აი, ეს არის ცეცხლი! – უთხრა მან გაოცებულ ნართებს.

– ყოველ კოშკში, ყოველ ეხში, ყოველ სიმაგრეში დაანთეთ ცეცხლი, ავარდეს დიდი ალი! ცეცხლი ყოველ სამყოფელში უნდა იყოს! იყოს სინათლე,, ცეცხლი არ ჩაქრეს არასოდეს! თავისუფლებას გისურვებ!

სიელა იბრძოდა... სიელა მრისხანებდა!

– გაგიმარჯოთ! თქვენს მაგიელ სიელას სატანჯველში მე უნდა ჩავდგე! ბედნიერებას გისურვებთ! ჩემზე ნუ იდარდებთ!

მამაცი ნართი ფხარმათი წავიდა ბაშლამაზე. ეს რომ სიელმა დაინახა, დაიწყო ქარიშხლის, ღამის, სიცივის ნელ-ნელა გუდაში ჩალაგება... ბაშლამის წვერზე თოვლმა და ყინვამ დაისადგურა.

– შენ მიერ ციდან მოტაცებული ცეცხლის ნატრულიმც გახდე... სიელას ერთგულმა ცალთვალა უჟამ ფჰარმათი ბაშლამის წვერზე მიაბა... მასთან მიფრინავს ფრინველთა მეფე იდა და ეუბნება: თუ ნანობ შენ საქციელს, აღარ შეგაწუხებ, თუ არა, ღვიძლს ამოგკორტნი!

ფჰარმათი ყოველთვის ერთსა და იმავეს პასუხობს. არა, არ ვნანობ! მე ადამიანებს ბედნიერება მოვუტანე“ (ჩეჩნური 1996: 64).

ამონარიდი ვრცელია, მაგრამ ძეგლი იმდენად საინტერესოა, რომ მისი ამგვარად დამოწმებაც აუცილებელია. გადმოცემის მსგავსება ქართულ ამირანთან არ დასტურდება. თუ ღრმად დავაკვირდებით ჩეჩნურ გადმოცემას, შეიძლება პარალელები დაიძებნოს პრომეთესთან. „პრომეთეო, გვაუწყებს ბერძნული მითი, არ შეეპუა ზევსის გადაწყვეტილებას. მან ათენას სთხოვა, შეეშვა ოლიმპოზე „თუნდაც უკანა კარიდან“. იგი შეიპარა ღმერთების საუფლოში. ოლიმპოსის მარად მოგიზგიზე კოცონიდან ერთი მუგუზალი მოიპარა. ლერწმის ღეროში გადამალა და სწრაფად დაეშვა დედამიწაზე. ტიტანმა ცეცხლი ადამიანებს გადასცა (ბერძნული... 1998: 12).

როგორც ვხედავთ, პრომეთეს მიერ ცეცხლის მოპოვება ბერძნული მითის მიხედვით განსხვავებულია. ჩეჩნურ გადმოცემაში ფჰარმათი ადამიანთა საცხორვრისიდან ადის პირდაპირ ღვთიურ საუფლოში და სიელას ცეცხლი წარსტაცა. დამხმარე კი მზისსხივოსანი სათაა, ლამაზ ფრინველად ქცეული. ფჰარმათი მისი რჩევა-დარიგებით, დახმარებით აღწევს საწადელს, ცეცხლი ჩამოუტანა ნართ ერთხოელებს. ჩეჩნურ გადმოცემაში ფჰარმათი გააზრებულად მიდის თავგანწირვაზე ადამიანთა სასიკეთოდ: „თქვენ მაგიერ სიელას სატანჯველში მე უნდა ჩავდგე! ბედნიერებას გისურვებთ! ჩემზე ნუ იდარდებთ! რგორც ვხედავთ, არცერთ მითოსურ გადმოცემას ამირანთან მსგავსება არ აქვს. თითოეულს დამოუკიდებელი საფუძვლები აქვს. პრომეთესა და ფჰარმათს ცეცხლი ციდან მოაქვთ, განსხვავებული გზით, მაგრამ მაინც ზესკნელიდან. ამირანმა კი პირიქით, ქვესკნელურ ძალას წარსტაცა ცეცხლი, ამოიტანა სამზეოზე და ასწავლა ადამიანებს მისი გამოყენება.

დავსძენთ, რომ ცეცხლის მოტანასთან ერთად ამირანი სხვა კულტურულ ფასეულობათა დამფუძნებელიცაა ადამიანთა საცხოვრისში, კერძოდ, ცხოვ-

რების ახალი წესისა, ქორწინებისაც, ამირანს მიეწერება საკვები მარცვლეულის მოპოვება, სამკურნალოსიც.

ამირანი სპობს და ანადგურებს ბოროტ ძალებს. მათ მიერ მიტაცებული ტერიტორია დაუბრუნა ადამიანებს და სხვა. ასე რომ, ქართულ ფოლკლორში კულტურული გმირი მთელი თავისი ნიშან-თვისებებით მხოლოდ ამირანში განსახიერდა. იგი დამოუკიდებელი თავისთავადობაა, ორიგინალური, რომელსაც ანალოგი აღარ დაეძებნება არც კავკასიურ ხალხთა ფოლკლორში, არც უძველესი კულტუროსანი ქვეყნების მითოლოგიებში.

დამოწმებანი:

ბერძნული 1998: ბერძნული მითების სამყარო, პროვეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები, მისნები. თხრობა და კომენტარები რუსუდან ცანავასი. 1998.

ონიანი 2009: ონიანი ო. კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში. თბ.: „უნივერსალი“, 2009.

ჩეჩნური 1996: ჩეცნური ფოლკლორი. თბ.: კავკასიური სახლი, 1996.

ჩიქოვანი 1965: ჩიქოვანი მ. ქართული ეპოსი. წიგნი II. თბ.: „მეცნიერება“, 1965.

ჩლაიძე 2006: ჩლაიძე ლ. კავკასიური ფოლკლორი. თბ.: კავკასიური სახლი, 2006.

კულტურული გმირის პრობლემა კავკასიურ ფოლკლორში და ქართული ამირანიანი

ოთარ ონიანი

ტექსტობრივი კვლევა-ძიებით დგინდება, რომ ქართული ამირანი ნამდვილი კულტურული გმირის ტიპს განასახიერებს, მან ხთონურ ძალებს წარსტაცა ცეცხლი, ამოიტანა სამზეოზე და ასწავლა ადამიანებს მისი გამოყენება. მასვე მიეწერება ცხოვრების ახალი წესის დამყარება ადამიანთა საცხოვრისში, საკვები მარცვლეულის მოპოვება, სამკურნალო მცენარეებისაც, საბრძოლო იარაღის გამოჭედვა, ქორწინების წესის დამკვიდრება და სხვა ფასეულობებისაც. მსგავსი ნიშან-თვისებები კავკასიის ხალხთა ეპიკურ ძეგლებში არ ჩანს. აქ გმირებს ცეცხლი ზეციდან მოაქვთ. ასე რომ, ამირანი ორიგინალური მოვლენა ჩანს როგორც კავკასიურ, ასევე ზოგადად მითოლოგიაშიც.

The problem of a cultural hero in the Caucasus folklore and Georgian amiraniani

Otar Oniani

Textual research reveals that the Georgian Amirani embodies the cultural hero. He theft the flame from chthonic forces, brought it to the people and taught them how to use it. Setting the new rules of peoples'life space belongs to him, as well as the gettimg food grains, medicinal plants, forged weapons, setting the rules of marriage. There are no observed the identical features in epic monuments of Caucasian peoples. Here, the heroes get the fire from heaven. Thus , Amirani is revealed as an original phenomenon both in the Caucasus and in the general mythology.

Проблема культурного героя в кавказском фольклоре и грузинский амираниани

Отар Ониани

Текстологическими исследованиями становится ясным, что грузинский Амирани олицетворяет настоящего культурного героя. Он у хтонических сил похител огонь, принёс людям и научил их его использование. Эму-же припысивается устаровление нового правила в жизненном пространстве дюдей, добичу пищевого зерна, лекарственных растений, кование оружия, установление правила бракосочетания. Идентичные свойства в эпических памятниках народов кавказа не наблюдаются. Здесь герои огонь добивают с небес. Таким образом Амирани предстаит перед нами оригинальным явлением как в кавказской, так в общей мифологии.

ფრეიმების აგებულების სტრუქტურული პრინციპები

თ. პეტრიაშვილი
სტუ

ლინგვისტური პრაგმატიკა სხვადასხვა დონეზე ენის შესწავლის ფენომენის ახალ შესაძლებლობებს ქმნის და მჭიდროდ თანამშრომლობს კოგნიტიურ და კონტრასტულ ენათმეცნიერების მიმართულებებთან. პრაგმატიკაში წარმოდგენილია მთელი რიგი მიმართულებები, მაგრამ ის ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული სამეტყველო აქტების თეორიასთან, რომელიც შეისწავლის ენობრივ მინიმალურ ერთეულს სამეტყველო-კომუნიკაციურ პროცესში, მათ სტრუქტურას, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური კომპონენტების კონტექსტში მათ პრესუპოზიციულ მნიშვნელობასა და სპეციფიკას ლინგვისტური კონცეპტუალური თვალსაზრისით მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის საკითხებთან დაკავშირებით.

ამგვარად, ფრეიმი ტექსტისა და სამეტყველო აქატების სრული ლინგვისტურ ანალიზს მის შემეცნებით, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, სიტუაციურ პარამეტრებსა და ინდივიდუალურ მახასიათებლების ენობრივ იდენტურობას ასახავს.

ამ კომპლექსური საკითხების თანამედროვე ენათმეცნიერული მეთოდებით კვლევა დისკურსული პარადიგმით ხორციელდება, რომელიც ენას განსაზღვრავს როგორც შემეცნებითი პროცესის მიერ განხორციელებულ საკომუნიკაციო საქმიანობას, რომელსაც ისეთი რთული და უნივერსალური, მაღალ კოგნიტიური სტრუქტურები და მექანიზმები უზრუნველყოფს, როგორიცაა ადამიანის ტვინი. განსხვავებები შემეცნებით დისკურსულ პარადიგმის ცვლილებებშიც აისახება, განსაკუთრებით ენობრივი ფენომენის ანალიზის მულტივარიანტული შესწავლის თვალსაზრისით, მისი როლით კოგნიტიური და კომუნიკაციური პროცესების მიმდინარეობაში. ეს დებულება აგებულია ენის ორი ძირითადი ფუნქციის მიხედვით - შემეცნებითი რეპრეზენტაციითა და კომუნიკაციით (დისკურსით), რომ შემეცნება და ურთიერთობა თანაბარი ზომით განსაზღვრავს ენის სპეციფიკას

და მის სტრუქტურას. ამ შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ენის ფუნქცია არ შეიძლება იზოლირებულად განვიხილოთ, არამედ მხოლოდ მისი სტაბილურობითა და უწყვეტი ჰარმონიის თვალსაზრისით.

კვლევის ფარგლებში ვლინდება კონცეპტუალური ვერბალიზაციის ცნებების ის მექანიზმები და რეალური მოვლენები, რის გამოც ფრეიმული ანალიზით დაკავებულები არიან არა მხოლოდ ენათმეცნიერები, არამედ ლიტერატორები და მეცნიერების სხვა წარმომადგენლები.

სამეტყველო აქტების ლინგვისტური ანალიზის დროს ძირითად პრობლემას ქმნის ინტენციური დისკურსის მნიძნელობის კანონზომიერების დადგენა სამეტყველო აქტის ვერბალიზაციისა. მარტივი (მიკროსამეტყველო) აქტების ანალიზისას პროპოზიციული სტრუქტურის სამეტყველო ანალიზი ეფუძნება ნომინატორის სამეტყველო აქტის კომპონენტურ ანალიზს გამონათქვამის სიღრმისეული სტრუქტურის დროს. არსებობს მთელი ტიპები საკომუნიკაციო ინტენციისა და სინტაქსური სტრუქტურებისა ამ ინტენციების გამოსახატავად. ინტენციური დისკურსის სამეტყველო აქტების მნიშვნელობების ტრადიციული მეთოდები მნიშნელობის ბირთის აღსაწერად საკმარისი არ აღმოჩნდა, რომელიც იმის დემონსტრაციის საშუალებას მოგვცემდა, რომ მომხდარიყო კონვენცია რეალიზებული სამეტყველო მოქმედებისა და დისკურსში მისი ვერბალიზაციის მრავალი ვარიანტებისა.

იმის გათვალისწინებით, რომ სამეტყველო ურთიერთგაცვლა ენაში სამეტყველო აქტების კონვენციური სცენარების ვერბალიზაციის გზით ხორციელდება, სამეტყველო აქტის სისტემური კვლევა და აღწერა ენაში რეფერენტული სიტუაციური ურთიერთობებეის სპეციფიკის კონცეპტუალიზაციით და ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით, ამ ენის მატარებლის ენობრივი შეგნებით, სამეტყველო აქტების ფრეიმების გამოვლენითა და აღწერით ხორციელდება, როგორც საურთიერთო სიტუაციის კოგნიტიური ცოდნის რეპრეზენტაცია, მოცემული ენის მატარებლის ენობრივ აზროვნებაში ლინგვისტური სცენარების სახით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლექსიკურ ერთეულებს, რომელიც ეროვნულ ენაში სამეტყველო აქტის ნომინირების ფუნქციას ასრულებს. ამგვარი ლექსიკური ერთეულების სემანტიკური სტრუქტურა სამეტყველო აქტის ძირითად კონიტიურ კომპონენტებს აფიქსირებს ეროვნული ენის მატარებლის აზროვნებაში და სამეტყველო აქტის ფრეიმის ენობრივ კორელატად გვევლინება. ის თავის თავში ატარებს პოტენციას სამეტყველო ურთიერთქმედების კოგნიტიური სცენარების გაშლისა მშობლიურ ენის მატარებლებში, რომელიც სრულიად აქტუალიზდება ნებისმიერი შესაძლო ვარიანტით სამეტყველო აქტის ფრეიმის დისკურსში ვერბალური განხორციელების გზით.

ცოდნის რეპრეზენტაციის სახვადასხვა ერთეულებს შორის ფრეიმი მაქსიმალურად განზოგადოებული და უნივერსალური სისტემაა, რომელიც უმეტესწილად რეპრეზენტაციის პრინციპად წარმოგვიდგება, ვიდრე თავად რეპრეზენტაციად. მინსკის ფრეიმი წარმოუდგენია ქსელის სახით, რომელიც კვანძებისა და მათი კავშრების სახით არსებობს. თუკი ზედა, სუპერორდინატული კვანძები ყოველთის ზუსტადაა განსაზღვრული, რამეთუ ისეთი ცნებებით ყალიბდებიან, რომლებიც ყოველთვის ჭეშმარიტია სავარაუდო სიტუაციის

მიმართ, სუბორდინატულ დონეებზე მრავალი მწვერვალი-ტერმინალია („სლოტებია“), რომლებიც კერძო მონაცემებით ივსება ცნობილი სიტუაციის საფუძველზე.

კოგნიტიური ლინგვისტიკის გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ენობრივი კატეგორიზაციის ყველა პროცესი ეფუძნება ფრეიმირებას – პროცესის „ამოქმედებას“ კატეგორიული ფრეიმების სამეტყველო აქტების განხორციელებისას, როდესაც ენობრივი ერთეულის ან სტრუქტურის მნიშვნელობა „გაივლის“ განსაკუთრებულ კატეგორიულ ფილტრს და უთანხმდება ამ ერეულის ან სტრუქტტურის დანიშNულებას მის მიერ გარკვეული ფუნქციების შესასრულებლად საერთო ენობრივ კონტექსტში, რომელიც ვერბალიზებული კოგნიტიური ერთეულის შნაარსის მატერიალიზაციას ახდენს. მოცემულ შემთხვევაში უნდა ვისაუბროთ სვხადასხვა დონის კატეგიულ ფრეიმებზე, რომლებიც მთლიანობაში ენობრივ თეზაურუსს აყალიბებენ, რასაც მივყავართ ადამიანის ენობრივი ბაზის ფრეიმული ორგანიზაციამდე და აქცენტიც ამ ორგანიზაციის პრიცნიპზე კეთდება. ამ თვალსაზრისით ფრეიმი, ასე ვთქვათ, ენორბივი კატეგორიების „შეფუთვაა“ და ინტეცნიურ დისკურსში მისი მატერიალიზაციის საშუალება.

ლინგვისტები დისკურსის ფრეიმულ თვაისებურებებს ფრეიმის სტრუქტურული აგების ხუთი სახით წარმოგვიდგენენ: პირველი ესაა ფრეიმების ურთიერთგამსჭვალვის თვისება; მეორე შეეხება ფრეიმების ნებისმიერი ნაწილისადმი ადამიანის ყურადღებსი მიპყრობის სასუალება; მესამე თვისება უშუალოდ ფრეიმს სააზროვნო პროცესს განაკუთნებს; ფრეიმებსი მეოთხე თისება დაკავშრებულია მათ დინამიკურ არსთან, როგორც ცოდნის ღა სტრუქტურასთან, რომელიც წარმოდეგნას იძლევა ტიპურ ოვიექტებსა და მოვლენებზე; ფრეიმების მეხუთე თვისება მათი სტრუქტურების ფორმალურ წარმოდგენას შეეხება. ფრეიმის უმაღლესი დონეები ფიქსირებულია და შეესატყვისებიან იმ საგნებს, რომლებიც მოცემული სიტუაციისათსი ჭეშმარიტია.

ამგვარად, ფრეიმი არის მრავალასპექტიანი კოგნიტიური ფენომენი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ენობრივი კატეგორიზაციის პროცესებთან, ინფორმაციის შენახვასთნ და რეპრეზენტაციასთან, ასევე სამეტყველო აქტების წარმოქმნის პროცესებთან და დისკურსის ორგანიზაციასთან. მცოემული მრავალასპექტიანობა ამ კოგნიტიური ფენომენისა ფრეიმის მრავალგვარ ახსნა–განმარტებაში გამოიხატება. ზოგი მას მიიჩნევს ცოდნის ერთეულად, რომელიც ორგანიზაებულია გარკვეული კონცეპტის ირგვლივ და განსაზღვრული სტრუქ-ტურის ფარგლებში ხორციელდება; მეორენი სტრუქტურად, რომელიც სტერეოტიპული სიტუაციის წარმოადგენს; კოგნიტიური მოდელის ტიპად, რომელიც ცოდნასა და აზრს ისე წარმოადგენს, რომ ის დაკავშირებულია კონკრეტულ, ხშირად განმეორებად სიტუაციასთან.

ფრეიმის სტრუქტურისა და არსის ამგვარი განსხვავებული განსაზღვრების მიუხედვად, მრავალს არ შეუძლია გადალახოს გარკვეული აბსტრაქტულობა და ტერმინოლოგიური ბუნდოვანება გასაანლიზებელი კოგნიტიური ფენომენისა. ყველაზე მეტად დღესდღეობით იკვეთება ის, რომ ფრეიმის დეფინიციებში მკაცრად არაა გამოვლენილი მისი განსხვავება სხვა კოგნიტიური სტრუქტუ-რებისაგან (მაგ., კონცეპტისაგან) და არ გვაძლევენ ფრეიმის სტრუქტურის მკაფიო

წარმოდგენას, რათა ცალსახათ გამოვიყენოთ ფრეიმული ანალიზი პრაქტიკული მიზნებით.

პრაქტიკულად ყველა არსებულ განსაზღვრებებში აქცენტი გადატანილია ფრეიმზე როგროც სტრუქტურაზე სტერეოტიპული სიტუაციების წარმოსადგენად. თუმცა, მოცემულ სიტუაციაში პასუხი არაა გაცემული შეკითხვაზე, რაში მდგომარეობს ეს სტერეოტიპულობა და შეიძლება თუ არა ტოლობის ნიშანი დავსვათ სტერეოტიპულობასა და შაბლონს შორის. მრავალი ლინგვისტის მოსაზრებით ფრეიმი კოგნიტიურ სფეროს ეკუთვნის, რომელიც ასოცირდება მოცემულ ლინგვისტურ ერთეულთან. მაგრამ რაში გამოიხატება ფრეიმის თავისებურება სხვა კოგნიტიური ერეულებისაგან – კონცეპტისაგან, სახისაგან, წარმოდგენისაგან? უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრეიმი ადამიანის ცოდნის გამოცდილების კოგნიტიური რეპრეზენტაციაა, როემლიც აერთიანებს კოგნიტიურს და ენობრივს ინტენციური აზრის ვერბალიზაციის პროცესში და დაკავშრებულია შინაარსობრივი საკვანძო სქემებით სათანადო ცოდნის კომპონენტებთან და ენის სტრუქტურის სემანტიკურ/პროპოზიციულ ერთეულებთან, რომელიც აქტუალიზდება ენის მატარებლის ცნობიერებაში მის სათანადო ფრეიმთან.

ლიტერატურა:

1. Chomsky, N; Skinner, B. F. (1959). "A Review of B. F. Skinner's Verbal Behavior". Language (Linguistic Society of America) **35** (1): 26–58. doi:10.2307/411334. ISSN 0097-8507. http://jstor.org/stable/411334.
2. Packard, Jerome L (2000). "Chinese words and the lexicon." *The Morphology of Chinese: A Linguistic and Cognitive Approach*. Cambridge: Cambridge University Press. pp. 284-309.
3. Linebarger MC, Schwartz MF, Saffran EM. (1983). Sensitivity to grammatical structure in so-called agrammatic aphasics. *Cognition*, 13:361-92.
4. Rayner, K. Eye movements in reading and information processing. Psychological Bulletin, 1978, 85, 618-660
5. Tanenhaus, M. K., Spivey-Knowlton, M. J., Eberhard, K. M. & Sedivy, J. E. (1995). "Integration of visual and linguistic information in spoken language comprehension." *Science, 268*, 1632-1634.

Structural principles of the frames

T. Petriashvili

The article opisyvetsya in linguistic pragmatics phenomenon at different levels of language learning opportunities arise that are closely associated with cognitive and structural linguistics. In pragmatics presented a number of areas. However, it is most tesnosvyazana with the theory of speech acts. That study minimalnfe linguistic units. The article also discussed the phenomenon of frame and proved that he tesnosvyazan the processes of linguistic categorization.

Структурные принципы построения фреймов

Т. Петриашвили,
ГТУ докторант

В статье описывется как в лингвистической прагматике на различных уровнях феномена изучения языка возникают новые возможности, которые тесно связаны с когнитивным и конструктивным языкознанием. В прагматике представлен целый ряд направлений. Однако она наиболее тесносвязана с теорией речевых актов. Которые изучают минимальнфе языковые единицы. В статье также рассмотрен феномен фрейма и доказано,что он тесносвязан с процессами языковой категоризации.

სემანტიკური როლების გრამატიკული გაფორმების ცვალებადობა ქართული ზმნური სუპერ-პარადიგმის ფარგლებში

გ. ჩიკოიძე
მართვის სისტემების ინსტიტუტი

ქართული ზმნური სუპერ-პარადიგმის არატრადიციული ცნება პირველად გამოჩნდა (Chikoidze 2007)-ში, შემდგომ კი უფრო დეტალურად ჩამოყალიბდა (Чикоидзе 2010)-ში. ეს ცნება აერთიანებს ერთ მოწესრიგებულ სიმრავლეში ყველა ზმნურ პარადიგმას, რომელიც ნაწარმოებია ერთი და იმავე ლექსემიდან. ამ გაერთიანების ძირითად საფუძველს წარმოადგენს ის, რომ ამ სუპერ-პარადიგმის ყველა წევრს გააჩნია საერთო სემანტიკური ბირთვი და კერძოდ, ის, რომ თითოეული მათგანი (ექსპლიციტურობის ამა თუ იმ დონეზე) მიმართავს ერთი და იმავე ასახული სიტუაციის ერთსა და იმავე მონაწილეთა სიმრავლეს, რომელიც "რეგულარულ" შემთხვევაში მოიცავს: კაუზატორს (CS), აგენსს (AG), ობიექტს (OB) და ადრესატს (AD).

"რეგულარული" სუპერ-პარადიგმების ფარგლებში (რომლებიც წარმოადგენენ ამ ცნების საწყის პუნქტს და გამართლებას) ამ როლების გრამატიკული გაფორმება საკმაოდ სტაბილურია, მაგრამ ამ "რეგულარული" შემთხვევების გარდა არსებობს სუპერ-პარადიგმები, რომელთა "მეთაური" ლექსემები მოითხოვენ ამ როლების გაფორმების გარკვეულ ცვლილებებს, რაც უკვე იყო აღნიშნული ზემოთ მოხსენებულ ნაშრომებში.

ამ ნაშრომში განხილულია ის დამატებითი ცვლილებები, რომლებსაც განიცდის როლების გაფორმება ერთი და იმავე "დომინანტი" ლექსემის სუპერ-პარადიგმაშიც გვაქვს.

ასე უკვე "რეგულარულ" შემთხვევაში:

-მან მას აუშენა სახლი ↔ სახლი აშენდა მისთვის მის მიერ (1)

აქ ზმნის აქტიურ (მისამართებიან) ფორმას ენაცვლება პასიური (უმისამართო), რასაც მოჰყვება ცენტრალური კონსტრუქციის აუცილებელი ცვლილებები, კერძოდ, ორი აქტანტის (AG, AD) გრამატიკული გაფორმების ცვლილება:

AG: მან → მის მიერ, (2)

AD: მას → მისთვის (3)

პირველი მათგანი (2) საკმაოდ მდგრადია, ანუ დასაშვებია მრავალი ზმნური ლექსემის შემთხვევაში, თუმცა ზოგ მათგანთან არ "ჟღერს"

იდეალურად სტილისტიკური თვალსაზრისით; მეორე კი (3) ხშირად იცვლის თავის თანდებულიან (-თვის) ფორმას ხან უთანდებულო ნათესაობითით, ხან სხვა თანდებულებით შესაბამის ბრუნვასთან. "ადრესატის" (AD) როლის შესატყვისი აქტანტის გაფორმება უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია დომინანტი ზმნის სემანტიკაზე, განისაზღვრება ზოგი მისი მახასიათებლით.

ასე, მაგალითად, "-თვის" თანდებულით გაფორმება უმეტესად ჩნდება იმ შემთხვევაში, როცა ზმნა ასახავს რაღაც ობიექტის (OB) "შექმნის", "დამუშავების" პროცესს, რომლის შედეგი (Result) შეიძლება იყოს გამიზნული "ვიღაცისთვის":

-დახატა სურათი/მოამზადა სადილი/ შეწვა ქათამი/ გარეცხა თეთრეული/ გაათბო ოთახი /...მისთვის (4)

ეს ნიმუშები აშკარად ასახავენ "დადებით" შედეგს ადრესატისთვის; საპირისპირო "ნეგატიური" შედეგის შემთხვევაში "-თვის"-ის მაგივრად იხმარება "მისი" როგორც ობიექტის (OB) სინტაქსური განსაზღვრა:

- დაწვეს/ დაანგრიეს/ გაქურდეს/ გაძარცვეს/... მისი სახლი
- მოკლეს მისი ახლობელი/ დახოცეს მისი საქონელი/ გააპარტახეს მისი მამული/ ... (5)

ადრესატი ინარჩუნებს თავის ძირითად გაფორმებას (მიცემით ბრუნვას) ისეთი ზმნების კონტექსტში, რომლებიც ასახავენ "მზა" (და არა "შექმნილი") ობიექტის "გადაცემას", მის გადანაცვლებას AG-ისგან AD-თან:

-მან მისცა/ მიართვა/ მიაწოდა/ აჩუქა/ მიჰყიდა მას რაღაცა (6)

დამახასიათებელია, რომ ამ ზმნებს (6) საერთოდ არ გააჩნიათ "მისამართებიანი" პარადიგმები; სამაგიეროდ, "-თვის" გაფორმება ისევ იჩენს თავს ამ (და ზოგი სხვა) ზმნების III სერიის კონტექსტში:

-მიუცია/ უჩუქებია/... მას მისთვის, (7)

რაც ალბათ აიხსნება იმით, რომ ენა შესაძლებლობისდაგვარად ერიდება სხვადასხვა სემანტიკური როლების იდენტურ გრამატიკულ გაფორმებას.

ცალკე სემანტიკურ კატეგორიას ქმნიან ორმხრივი პროცესის გამომხატავი ზმნები; მრავალმხრივი პროცესი მიმდინარეობს ორ (ან მეტ) მონაწილეთა, "პარტნიორთა" შორის, თუმცა ზმნა მისი აქტანტების გაფორმების მეშვეობით მაინც ასახავს ამ "პარტნიორობას" როგორც "არასიმეტრიულს", ანუ გარკვეულ "უპირატესობას" აძლევს ერთ-ერთ მონაწილეს, რომლის "თვალსაზრისით" ეს პროცესი უპირატესად აისახება ზმნის სემანტიკაში: ეს "პრიორიტეტული" წევრი ფორმდება როგორც AG უმისამართო პარადიგმის კონტექსტში და როგორც OB – მისამართიანში; ამავე დროს "მეორადი" წევრი (AD) იძენს "-თან" თანდებულიან ფორმას პირველ კონტექსტში და ფორმდება AD-ისთვის ჩვეული მიცემითი მეორე (მისამართიან) კონტექსტში:

- მან ისაუბრა/ იკამათა/ იჩხუბა/ ითამაშა/ იცეკვა/... მასთან;
- ის ესაუბრა/ ეკამათა/ ეჩხუბა/ ეთამაშა/ ... მას (8)

კიდევ ერთ თავისებურებას იჩენენ ზმნები AD-ის გაფორმებაში, რომელთა სემანტიკა გულისხმობს პროცესს ორიენტირებულს რაღაც ზედაპირზე: ენა ანიჭებს ამ ზედაპირს "ადრესატის" (AD) ინტერპრეტაციას და აფორმებს მას "-ზე" თანდებულის საშუალებით:

- დაწერა/ დახატა / ... დაფაზე /ფურცელზე/... (რაღაცა);
- დააწერა/ დაახატა / ... დაფას/ ფურცელს/ ... (რაღაცა), (9)

ზოგი ზმნური პარადიგმა თანაბრად იგუებს ორივე ფორმას:

-დააწება/ დააჭედა/ გააკრა/ დაამაგრა/... კედელ(ს/ზე) რაღაც (10)

იმ სპეციფიკურ შემთხვევაში, როცა გამოხატული პროცესის საბოლოო მიზანს წარმოადგენს აგრეთვე პროცესი (და არამოსალოდნელი "შედეგის მფლობელი"), ეს მიზნობრივი პროცესი ხშირად ფორმდება მიმღეობის ვითარებითი ფორმით, რომელიც ზოგ შემთხვევაში მონაცვლეობს საწყისის "-თვის" თანდებულიან ფორმასთან:

- ააშენა სახლი გასაყიდად/ გაყიდვისთვის;
- მოემზადა ლაშქრობაში წასასვლელად/ წასვლისთვის;
- დაჭრა ხორცი შესაწვავად /შეწვისთვის* (11)

(უკანასკნელ მაგალითში ვარსკვლავის ნიშანი "*" მიუთითებს იმაზე, რომ ამ ფორმის ხმარების კორექტულობა მოცემულ კონტექსტში საეჭვოა).

წინადადების ცენტრალური კონსტრუქციის კვაზი-სინონიმური გარდაქმნების განხილვა ჩვენ დავიწყეთ სუპერ-პარადიგმის როლებრივი ჯაჭვის

$$CS \rightarrow AG \rightarrow OB \rightarrow AD \quad (12)$$

ბოლოდან, ანუ ადრესატის (AD) ფორმის ვარირებით. ამ (12) ჯაჭვის დანარჩენი წევრები ნაკლებადაა ცვალებადი. ვარირება ძირითადად განისაზღვრება იმ პოზიციით (12)-ის იმ ქვე-ჯაჭვში, რომელიც შეესაბამება ამა თუ იმ პარადიგმას, როგორც სუპერ-პარადიგმის წევრს.

ასე, მაგალითად, OB როლის ფორმა დამოკიდებულია მის პოზიციაზე ქვე-ჯაჭვში შემდეგნაირად: თუ OB დგას ამ ქვე-ჯაჭვის სათავეში, ის უცვლელადაა წარმოდგენილი სახელობითი ბრუნვით, საპირისპირო შემთხვევაში კი მისი I სერიის ფორმა გადადის მიცემითში.

კაუზატორის (CS) და აგენსის (AG) როლები ერთნაირად ფორმდებიან მოთავე (Head) პოზიციაში, რომელიც უკავიათ კაუზიტიურ და აქტიურ პარადიგმებში შესაბამისად: სახელობითი I, მოთხრობითი II და მიცემითი III სერიებში. სუპერ-პარადიგმის ძირითად როლებრივ სქემაში კაუზატორი ექსპლიციტურად ჩნდება მხოლოდ კაუზატიურ პარადიგმაში, რომლის როლებრივ ჯაჭვში მას სათავეში უკავია პოზიცია, ასე რომ ზემოთ ხსენებული გაფორმება ამ სქემაში წარმოადგენს მისთვის ერთადერთ შესაძლებლობას.

ამისგან განსხვავებით AG-ის როლს შეუძლია მონაწილეობა ყველა პარადიგმაში, თუმცა სხვადასხვა პოზიციაში და სათანადოდ სხვადასხვა გაფორმებით: აქტიურ პარადიგმებში მას უკავია პოზიცია ჯაჭვის სათავეში, რასაც მოჰყვება უკვე ხსენებული გაფორმება (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი – I, II, III სერიის ზმნების კონტექსტში); კაუზატიურ პარადიგმაში AG გადაინაცვლებს მე-2 პოზიციაში (CS-ის შემდეგ) და დომინანტი CS-ის გავლენით გაფორმებით ემსგავსება ადრესატს (AD): მიცემითი სამივე სერიაში, რომელსაც III სერიაში ემატება "-თვის" თანდებული; პასივის პარადიგმებთან, სადაც AG-ის ექსპლიციტური ხსენება არ არის აუცილებელი, ეს როლი შეიძლება გამოიხატოს თანდებულიანი ფორმით (ნათესაობითი + მიერ).

შეიძლება ვახსენოთ აგრეთვე არარეგულარული სუპერ-პარადიგმების ის შემთხვევა, როცა CS და AG-ს შორის შეიძლება გაჩნდეს "შუამავალი" კაუზატორი (CI), რომლის გავლენის ქვეშ AG იძენს OB როლის მსგავს ფორმას: მიცემითი – I სერიაში, სახელობითი – დანარჩენ ორში. ამის მაგალითს წარმოადგენს:

- ააყეფებინა – მან (CS) მას (CI) ის (AG) –
  ააყეფა – მან (CI) ის (AG) –
  იყეფა – მან (AG) (13)

რაც შეეხება თვით CI-ს, ის, როგორც უკვე ნაწილობრივ ჩანს (13) მაგალითიდან, ჯაჭვის საწყის პოზიციაში ფორმდება როგორც CS ან AG ამავე პოზიციაში. მის უშუალოდ მარცხნივ CS-ის გაჩენისას კი მისი ფორმა (ისევ AG-ის მსგავსად) ემსგავსება AD-ისას.

ქვემოთ შევეცდებით ავსახოთ შემაჯამებელი (14) სქემის საშუალებით AG-ის საკმაოდ რთული ქცევა სუპერ-პარადიგმის ფარგლებში. მის გასამარტივებლად მივიღებთ შემდეგ სიმბოლიკას:

სახელობითი ბრუნვა – n (nominative),
მოთხრობითი – e (ergative),
მიცემითი – d (dative),
ნათესაობითი – g (genitive);

თანაც ამ სიმბოლოთა სამეულები (X_1, X_2, X_3) გულისხმობს როლის გაფორმებას I, II, III სერიაში შესაბამისად და გამოსახულებები

$$Y \rightarrow Z$$

აღნიშნავს Y-ის სახით Z-ის იმ უშუალო მარცხენა "მეზობელს", რომელიც გავლენას ახდენს მის ფორმაზე, ანუ "დომინირებს" მასზე:

1. კაუზატივი: CS → AG (d, d, g +თვის);
   CI → AG (d, n, n);
2. აქტივი: AG (n, e, d);
3. პასივი: OB (+AD) →AG (g+მიერ,g+მიერ, g+მიერ), (14)

დამატების სახით ვახსენოთ ის შემთხვევაც, რომელიც გვესახება როგორც აქტივ-პასივის თავისებური "შერევა" (blending) და რომელიც ჩნდება იმ ზმნების კონტექსტში, რომლებიც ასახავენ ორმხრივ პროცესს ორ "პარტნიორს" შორის, რომელთაგან "წამყვანი" წარმოდგენილია სუპერ-პარადიგმის (ობიექტივით (OB) გაფორმებული) აგენსით:

- (ის (AG) ცეკვავს /მან (AG) იცეკვა /მას (AG) უცეკვია) მასთან (AD);
- ის (AG) (ეცეკვება /ეცეკვა /ცეკვებია*) მას (AD),

ანუ ამ უკანასკნელ კონტექსტში გვევლინება AG-ის გაფორმება:

(n,n,n)

ცენტრალური კონსტრუქციის აქტანტთა ფორმის ზოგი ცვლილება გამოიხატება ზოგი "პერიფერიული" როლის "შეჭრაში" და მათი როლების "ჩარევაში" ცენტრალურ კონსტრუქციაში.

ამის ერთ-ერთი მაგალითია:

-ჩაქუჩს/ ჩაქუჩით ურტყამდა, ლურსმანზე/ ლურსმანს, სანამ ბოლომდე არ ჩაჭედა. (15)

აქ ასეთი "ჩარევის" ორმაგი ვარიანტია: 1) S_{loc} ("ლურსმანზე") ენაცვლება AD-ს ("ლურსმანს"); 2) INSTR ("ჩაქუჩით") ცვლის OB-ს ("ჩაქუჩს"). მსგავსი ცვლილებები შესაძლებელია შემდეგ გამონათქვამშიც:

-მან გადაუხვია მას ბინტი (OB)/ ბინტით (INSTR) ნატკენ ხელზე (S_{loc})/ ხელი (OB). (16)

ამ ცვლილების სქემა შეიძლება გამოვხატოთ სიმბოლიკით:

$$(OB \rightarrow S_{loc}) \ / \ (INSTR \rightarrow OB).$$

უფრო მნიშვნელოვან და გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს INSTR-ის ჩანაცვლება კაუზატიურ წინადადებაში:

-თავისი ბრძანებით/ თხოვნით/ დახმარებით/ ... მან ამაშენებინა ეს ქოხი ↔ მისმა ბრძანებამ/ თხოვნამ/ დახმარებამ/...ამაშენებინა ეს ქოხი. (17)

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ INSTR როლის ჩანაცვლების გარეშე კაუზატიური წინადადების გარდაქმნა სუპერ-პარადიგმის სხვა წევრში შეუძლებელია: მხოლოდ INSTR-ის ჩარევა კაუზატიურ მარცხენა გამონათქვამში აკონკრეტებს კაუზაციის ზოგად ხასიათს, რაც იძლევა AG-ად მისი გამოყენების საშუალებას მარჯვენა (აქტიურ) გამონათქვამში.

ზოგი (იმპლიციტურად ელიპტიკური) აქტიური წინადადება შეიძლება გარდაიქმნას კვაზი-სინონიმურ პასიურში იგივე INSTR-ის "ჩარევით""

-ამ დანამ კარგად დაჭრა ხორცი↔ამ დანით ხორცი კარგად დაიჭრა (18)

ამ შემთხვევაში გვაქვს:

(AG→OB) / (INSTR→OB),

ანუ INSTR ამჯერად ენაცვლება AG-ს; თანაც (18)-ის ორივე გამონათქვამი შეიძლება იქნეს განხილული როგორც ელიფსისი, როლელიც ექსპლიციტურად არ გამოხატავს სუპერ-პარადიგმით ასახული სიტუაციის "ჭეშმარიტ" აგენსს, ანუ იმას"ვინც ჭრის " ამ "დანით".

-ვიღაცამ ამ დანით კარგად დაჭრა ხორცი (19)

მსგავსი "ჩანაცვლება" დასაშვებია შუალედური კაუზატორის (CI) კონტექსტშიც:

-ქვების სროლით და ყვირილით მანააყეფა ეზოს ძაღლები ↔ მისმა ქვების სროლამ და ყვირილმა ააყეფა ეზოს ძაღლები (20)

გარდაქმნა (20) ხდება სქემით:

AG (ag→atrr) (instr→ag),

სადაც ag და instr გამოხატავენ AG-ის და INSTR-ის გაფორმებას შესაბამისად. სემანტიკური როლების და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ (20) გარდაქმნაში პერიფერული INSTR "აგდებს" AG-ს "ცენტრიდან" პერიფერიაში და იკავებს მის ადგილს "ცენტრში".

გარდაქმნა (21) გვაძლევს INSTR-ის კაუზატორების ორივე პოზიციაში (CS, CI) "შეჭრის" ილუსტრაციას:

-ბატონმა თავისი ბრძანებით ააყეფებინა მსახურს ყვირილით და ქვების სროლით მეზობლის ძაღლები ↔ ბატონის ბრძანებამ მსახურს ააყეფებინა მეზობლის ძაღლები ყვირილით და ქვების სროლით ↔ ბატონის ბრძანებით მსახურმა ყვირილით და ქვების სროლით ააყეფა მეზობლის ძაღლები (21)

ბოლო (22) მაგალითი ნათელს ხდის მოქმედებითი ბრუნვის სემანტიკის სამივე ასპექტს: პროცესის "მამოძრავებელ ძალას" (AG), მისი განვითარების საშუალებას (INSTRT) და მის მიზეზს (CAUS)-ს.

-ყოველდღიურმა ვარჯიშმა მალე დაუბრუნა მას სპორტული ფორმა ↔ ყოველდღიური ვარჯიშით მან მალე დაიბრუნა სპორტული ფორმა ↔ ყოველდღიური ვარჯიშის წყალობით /მეშვეობით /საშუალებით მან მალე დაიბრუნა სპორტული ფორმა. (22)

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ იმ კვაზი-სინონიმების საკმაოდ ფართო სპექტრი, რომელიც ეყრდნობა სემანტიკური როლების შესაბამისი აქტანტების გაფორმების ცვლილებას და ცენტრალურ კონსტრუქციაში გარედან, ანუ "პერიფერიიდან", მეორადი სემანტიკური როლების (S_{loc}, INSTR) "შეჭრას".

ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ როლის სემანტიკა, დომინანტური მნიშვნელობის გარდა, მოიცავს ხოლმე სხვა, "მეორად", სემანტიკურ ასპექტებსაც. როლის სემანტიკის ცენტრალური ("დომინანტური") ბირთვი, უმეტეს შემთხვევაში, ვლინდება შესაბამისი აქტანტის გაფორმებაში მოთავე პოზიციაში, მაგრამ სხვაგვარ კონტექსტებში ეს გაფორმება განიცდის

გარკვეულ ცვლილებებს, რომლებიც იმეორებენ რომელიმე სხვა როლის "დომინანტურ" გაფორმებას ან ყოველ შემთხვევაში უახლოვდებიან მას.

ის გარემოება, რომ გრამატიკული ფორმის ამ ცვლილებას უმეტეს შემთხვევაში, გარკვეული სემანტიკური საფუძველი უდევს, მეტყველებს იმაზე, რომ ამ მეორად კონტექსტებში ენობრივი ინტერპრეტაცია ავლენს როლის სემანტიკის ახალ დამატებით ასპექტს, რომელიც "ფარულად", იმპლიციტურად, პოტენციურად ახლავს როლის სემანტიკის ძირითად ბირთვს.

ამ თვალსაზრისს ყველაზე ნათლად ადასტურებს მაქსიმალურად ცვლადი AG-როლის გაფორმების ქცევა: CS-ის გვერდით ის აშკარად ხდება "კაუზატორის" გავლენის ადრესატი (AD); CI სრულად გამართლებულად მიმართავს მას როგორც ობიექტს (OB);

AG-ის სემანტიკაში "ინსტრუმენტის" და "მიზეზის" ნიუანსების არსებობას ადასტურებენ მაგალითები:

-სახლი დაანგრია მიწისძვრამ → სახლი დაინგრა მიწისძვრით/ მიწისძვრის გამო ... და ა.შ.

ლიტერატურა – References – Литература

- Chikoidze 2007. The Marking of Verb_Actant Relations in Georgian. Proceedings of 6th International Tbilisi Symposium on Logic, Language and Computation. Springer-Verlag, Berlin Heidelberg.
- Чикоидзе 2010. Систематизация значений некоторых классов языковых единиц. Институт Систем Управления, Тбилиси.

The Changeability of Semantic Roles Grammatical Features in the Frames of Georgian Verbal Super-Paradigms

G.Chikoidze
Institute of Control Systems

Summary

The changes of the cases characterizing the actant corresponding to the one and same semantic role in the different contents of the super-paradigm are demonstrated on several examples. It is shown that in the most of the cases these changes have same semantic basis, and proceeding from this is concluded, that semantic of the roles includes, besides its "core" meaning, some additional semantic nuances, which in the sum create some "blend" of semantic features.

Изменения грамматического оформления семантических ролей в пределах грузинской глагольной супер-парадигмы

Г.Чикоидзе
Институт Систем Управления

Резюме

Приведен ряд примеров, демонстрирующих возможность изменения определения семантической роли в рамках набора высказываний одной и той же глагольной супер-парадигмы. Исходя из наличия изменений определенных семантических основ, делается вывод, что в этих изменениях проявляются семантические нюансы, дополнительно (к центральному значению) присутствующие в исходной семантике роли, которая, с этой точки зрения, может рассматриваться как их «смесь» (blend).

გიორგი ლეონიძის პოეტური აზროვნების ბუნებისათვის

ეკატერინე შაკიაშვილი
სტუ დოქტორანტი

გ. ლეონიძის ენობრივ სამყაროსა და მხატვრული აზროვნების თავისებურებებზე, ამასთან მათს მკვებავ წყაროებზე დაკვირვებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცნობილი მკვლევარი **სარგის ცაიშვილი.** მას არაერთხელ გამოუთქვამს აზრი გ. ლეონიძის პიროვნებისა თუ შემოქმედების შესახებ. ჩვენი აზრით, უფრო ტევადი, ყოვლისმომცველი და საინტერესო კუთხით მნიშვნელოვანი დაკვირვებებია წამოდგენილი წერილში "**გიორგი ლეონიძე**", რომელიც 1977 წელს ჟურნალ "ცისკარში" დაისტამბა [ცაიშვილი 1977: 78-88].

სარგის ცაიშვილის აზრით, **გ. ლეონიძის ხედვის ცნობიერების, სამყაროს ენობრივი ხატი მშობლიური გარემოს და საკუთარი ქვეყნის ბედთან გადაჯაჭვულობით გამოირჩევა.** "მის ლექსებში მძაფრი ვნებებით არის განცდილი მშობლიური ქვეყნის ბედ-იღბალი" (გვ. 76) ნებისმიერი ხელოვანი საერთოდ მჭიდროდაა დაკავშირებული მშობლიურ გარემოსთან. ეს, ცხადია, ს. ცაიშვილისთვისაც კარგად იყო ცნობილი, მაგრამ რაკიღა მაინც გაამახვილა ყურადღება ამგვარ "გადაჯაჭვულობაზე" უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ თვალსაზრისით რაღაც განსაკუთრებულზე მიგვანიშნა. ე. ი. გ. ლეონიძე გამორჩეულად არის დაკავშირებული მშობლიურ გარემოსთან. აქ უნებლიეთ ცნობიერების წინაპლანზე წამოიწვს მისი პოეტური თქმა "მშობელ მიწაში მიდგას ფესვები", ამ თქმაში კიდევ უფრო ღიადაა მინიშნება გ. ლეონიძის არამხოლოდ ენობრივი ცნობიერების, არამედ კულტურული ცნობიერების განუყოფლობაზე თავის საარსებო გარემოსთან.

ს. ცაიშვილი, ამ თვალსაზრისით, სავარაუდო წყაროებსაც ასახელებს. ერთი მხრივ, ესაა ქართული წიგნიერების სამყარო, სადაც განუზომლად დიდად მოჩანს წერილობითი წყაროების და ლიტერატურული წინამორბედების შოთა რუსთაველის, დ. გურამიშვილის, გრ. ორბელიანის, ვ. ბარნოვის და სხვათა ლიტერატურული რემინისცენციები და ალუზიები, მეორე მხრივ, ქართული ფოლკლორის ტრადიციებთან, ხოლო მესამე მხრივ, წარსულისა და მისი თანამედროვეობის განუყოფელი მთლიანობით (გვ. 78).

ს. ცაიშვილი ღრმადაა დარწმუნებული, რომ "გ. ლეონიძემ უმაგალითო მხნეობა გამოიჩინა და პრაქტიკულად არაერთ სასარგებლო საქმეს უმეთაურა ახალი ქართული კულტურის აღორძინებისათვის. სიჭაბუკეშივე გამოვლენილი სიყვარული სიძველეებისადმი მას არასოდეს შენელებია და დღეს შესამჩნევია გ. ლეონიძის ღვაწლი ქართული კულტურის ძეგლთა დაცვა-აღდგენაში. ლაღი და დაუოკებელი პოეტური ბუნება მას ხელს არ უშლიდა, რომ დიდი რუდუნებითა და სამაგალითო სიბეჯითით ეკვლია ძველი წიგნსაცავები და მტვრიან ფოლიანტებში გამოეჩხრიკა ძვირფასი ცნობები (გვ. 88).

ეს მკვლევარი სხვაგან ზემოაღნიშნულის საფუძველს იმაშიც ხედავს, რომ პოეტს გემოვნება უტყუარი ჰქონდა. "მისი პოეტური ხილვებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია ლეონიძისეული ინტიმური ლირიკის შედევრი "ყივჩაღის პაემანი"" (გვ. 78). აქ, თქმა იმისა, რომ გ. ლეონიძეს შემოქმედებითად ჰქონდა ათვისებული ბალადის მოტივები, რომ "ფოლკლორული პოეტიკის ხერხებით ჟონავენ ლექსის ქსოვილში... პოეტური ფრაზები", რომლებიც "პარალელურ წყვილებად ლაგდებიან" (ანუ მინიშნება სინტაქსურ

პარალელიზმზე). პოეტური მოვლენის ბოლომდე "გაუხსნელობის" ამოუკითხაობას უფრო ნიშნავს, რადგან აქ აღნიშნული აზრის საფუძველი თემატური ერთიანობაა და პოეტის მშობელი ხალხისა და მისი კულტურული ცნობიერების იდენტურობაა. აქ უფრო ხალხურ პოეტურ ცნობიერებასთან იგივეობრიობა იკვეთება, როგორც ენობრივი თეზაურუსი ანუ ენობრივი ველი, რომელიც გამოკვეთს და აყალიბებს კულტურული ღირებულების ელემენტს. აღნიშნული იდენტურობაა იმის მიზეზიც, რომ გ. ლეონიძის "ნატვრის ხის" გმირები პოეტის მიერ შექმნილ პერსონაჟებად კი არ განიცდებიან, არამედ ხალხური ყოფიდან, ფოლკლორიდან "ნატვრის ხეში" გადმოსული ხალხური ეპოსის გმირებად. ამიტომაც ღვინჯუას, ჭამპურას, ციციკორეს, ელიოზის სახეები, გ. ლეონიძის რეალური საარსებო გარემოს ბინადრები არიან, რომელთა არსებობა მწერალმა დააფიქსირა მხოლოდ და თავის მოთხრობათა სამყაროში მიუჩინა ადგილი. ასეა თუ ისე, ს. ცაიშვილის დაკვირვებებში გ. ლეონიძის პოეტური აზროვნების თავისებურება მისი ენობრივი და კულტურული ცნობიერების სპეციფიკაშია დანახული. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ცხადყოფს კვლევა-ძიების ამ მიმართულებით წარმართვის აუცილებლობას.

გ. ლეონიძის პიროვნებაც და მხატვრული შემოქმედებაც იმთავითვე საგანგებო ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ამას მისი სადაურობაც განაპირობებდა. იგი დიდი ვაჟას ნათლული ბრძანდებოდა და პოეტურ სარბიელზე გარეკახეთიდან შემოსული ხელოვანი იყო. იმ ფონზე, როდესაც სამწერლობო, პოეტური ატმოსფეროს რაგვარობას მთლიანად დასავლეთ საქართველოდან გამოსული მწერლების, განსაკუთრებით ცისფერყანწელების მხატვრული გემოვნება განსაზღვრავდა, ამას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა: ახალ პოეტურ გარემოში ძველ ტრადიციათა დამკვიდრება – ფუნქციონირების შესაძლებლობებიც უნდა წარმოეჩინა. ამიტომ, ჯერ კიდევ, სრულიად ახალგაზრდამ მიიქცია ყურადღება, ხოლო შემდეგ უკვე საკუთარი ნიჭიერების წყალობით პოეზიის მოყვარულთა და ლიტერატურის კრიტიკოსთა შეუნელებელ ინტერესს იწვევდა. მეტიც: თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ქართველი მეცნიერი (ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი), კრიტიკოსი, რომ თავისი სიტყვა არ ეთქვა გ. ლეონიძის პიროვნებასა და მის შემოქმედებაზე.

1959 წელს გ. ლეონიძე 60 წლისა შესრულდა. ამ დროს იგი უკვე არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში და პოეტ-აკადემიკოსის საპატიო წოდებას ატარებდა. დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, როგორც აღნიშნული იყო ოფიციალური ფორმულირებით "ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის" მას საქრთველოს სახლხო პოეტის წოდებაც მიენიჭა. ქართველი საზოგადოებრიობა და მეცნიერული სამყარო ამ თარიღს ფართოდ გამოეხმაურა. ლიტერატურული ინსტიტუტის ორგანოში "ლიტერატურული ძიებანი" დაიბეჭდა **გურამ კანკავას** ("ქართული ლექსის ამაგდარი"), **ალ. ბარამიძის** ("გ. ლეონიძე, როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი"), და **ი. მეგრელიძის** ("გ. ლეონიძე – ქათული კულტურის ძეგლთა შემკრებ-დამცველი"). თითქმის ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ გ. ლეონიძე მრავალმხრივად წარმოაჩენდა თავის ნაწერებში მშობლიური ერის მწერლობას, ქვეყნის სულიერ ცხოვრებას და ენობრივი სამყაროს გამორჩეულობას. ასე მაგ., **გ. კანკავა** აღნიშნავდა, რომ გ. ლეონიძეს "ღრმად სწამს, რომ პოეტის "სიტყვების ღიმილი" მის მკითხველებს ნამდვილად სიხარულის ღიმილს მოჰფენს" (გვ. 105). ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გ.

კაკნავას დაკვირვება იმის თაობაზე, რომ "გ. ლეონიძის პოეზიაში ადვილად შეიძლება კაცმა თვალი გაადევნოს საერთოდ ქართული პოეზიის, მხატვრული აზროვნებისა და ფერადოვნების პირველ საწყისებს. მის ლექსებში თითქმის ისე, როგორც არსად სხვაგან იგრძნობა მათი უშუალო კავშირი ხალხურ პოეტურ მოტივებთან, ფოლკლორის უხვ მასალებთან [კაკნავა 1959: 106].

ფოლკლორთან კავშირის მითითება თავისთავად სწორი და უტყუარია და გ. ლეონიძის პოეტური სამყაროს ენობრივი ასოციაციური ველის წარმოჩენის ცდაა, თუმცა დაკვირვების ზედაპირულობას ეს მკვლევარი საიუბილეო წერილში არ გასცდენია, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ "მისი ლექსის კედლები რაღაც უჩვეულო მასალისაგან არის ნაკეთები" (გვ. 106).

გ. ლეონიძის პოეტურ სამყაროზე ამ მკვლევარს აქ ასეთი რამაც აქვს თქმული: "მის ლექსებში ჟღარუნობს გალესილი ხმალი, ისმის ყივჩაღური ყიჟინა, მათი იერიშების ქრიშხალი და გროგალი" (გვ. 107). დაკვირვების ორიგინალურობის მიუხედავად, ცხადია, აქაც გ. ლეონიძის პოეტური სამყაროს თავისებურებებზე მინიშნებაა და არა ამ თავისებურებათა ანალიზი, თუმცა კი მიმართულება მაინც ნაჩვენებია. ამ მიმართულების მარკერად გ. კანკავა ასახელებს ხალხურ პოეტურ თემებს. ხალხური გამოთქმისათვის ყურისგდებას "გრძნობით შეფერილი სიტყვის" შემჩნევა-მოხელთებას, რაც დიდ განმაზოგადებელ მიმათულებას აძლევს.

ლიტერატურათმცოდნე **შალვა ფორჩხიძემ** თავის წერილში "გ. ლეონიძის ლირიკა", რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალ "მნათობში" 1970 წელს, ყურადღება გაამახვილა პოეტის კავშირზე მშობლიურ გარემოსთან: "ივრის ტინების ჩალურჯებული ჩქერების ემბაზში განათლული მოვიდა გ. ლეონიძე ქართულ პოეზიაში. მშობლიური სოფლის, პატარძეულის ხვართქლამორეული ორღობეებიდან მას თეთრად აფეთქებული ფშატის ხეებისა და აყვავებული ატმის ყვავილების ფერადოვნება გამოჰყვა" [ფორჩხიძე 1970: 121). "მშობლიურ პატარძეულში მიდიოდა, მამისეულ სახლში სულს მოითქვამდა, იქ გატარებულ სიყრმის ბედნიერ დღეებს გაიხსენებდა, ყველას გაუღიმებდა, ყველას – აყვავებულ ფშატის ხეებსა და ანთებულ ატმებს, მოხუცსა და ახალგაზრდას, ქალსა და კაცს, ნინოწმინდის ნანგრევებს გახედავდა, ბავშვობაში შიშველი ტერფით დათვლილ ბილიკებზე გაივლიდა, დედის საფლავს მოინახულებდა, ზედ ამოსულ ბალახებს და იებს მეტი სინაზით მოეფერებოდა (გვ. 130).

შალვა ფორჩხიძე ფიქრობს, რომ "გ. ლეონიძის ხალხური პოეტური მეტყველების წიაღიდან ამოხეთქილი ძვალმაგარი ხორციანი სიტყვა უეჭველად ჩამოჰგავს დ. გურამიშვილისა და ვაჟა-ფშაველას ეროვნულ საბურველში გახვეულ მხატვრულ სიტყვას პოეტური ფრაზის მიმოქცევითა და მოქნილობით" (გვ. 124).

წარმოდგენილი დაკვირვებები ცხადყოფს არა მხოლოდ გ. ლეონიძის მხატვრული აზროვნების თავისთავადობას, არამედ ამ აზროვნებითი სამყაროს რაობის გამომზეურებისათვის მისი მხატვრული ტექსტების სპეციალური კვლევის აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ცაიშვილი ს.,** "გიორგი ლეონიძე", ჟურნალი "ცისკარი", 1977 წ., №9, გვ. 76-88;
2. **ფორჩხიძე შ.** "გ. ლეონიძის ლირიკა", ჟურნალი"მნათობში" 1970წ., გვ. 121-130;
3. **კანკავა გ.** "ქართული ლექსის ამაგდარი", ჟურნალი "ლიტერატურული ძიებანი".

By the nature of poetic thought George Leonidze

E. Shakiashvili
Doctoral GTU

Stand the features of creative thinking Leonidze. Indicates that the linguistic and cultural consciousness of the writer, is closely connected with his living space, originally recognized in the literary texts.

К природе поэтического мышления Георгия Леонидзе

Э. Шакиашвили
докторант ГТУ

Встатье рассматриваются особенности художественного мышления Г. Леонидзе. Указывается, что языковое и культурное сознание писателя, теснейшим образом связанние с его жизненным пространством, своеобразно отражаются в его художественых текстах.

ერთი ძველი ხელნაწერის კვალდაკვალ

ივანე ჯაგოდნიშვილი
სრული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

სულიერ ფასულობათა სფეროში მიმდინარე კატაკლიზმები ახალ სახელებს აძლევს ყოფიერებას, ზოგს მეთაურის ხვედრს არგუნებს, ზოგსაც კარგი უღლის გამწევისა, ანდა უბრალო თანამოაზრისა თუ თანამდგომისა. XX საუკუნის დასწყისში ერთი ასეთი თანამდგომთაგანი ჰყავდა ე. წ. რევოლუციურ ახალთაობას, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ შიო ჩიტაძე, ეგნატე ნინოშვილი, ლადო დარჩიაშვილი, ილია აღლაძე, სერგი რობაქიძე, მოსე თოიძე და სხვები. ერთი ასეთი პიროვნება იყო შემდგომში ცნობილი მასწავლებელი ქართული ენისა და ლიტერატურისა – სპირიდონ გიორგის ძე ლეკვეიშვილი, ეგნატე ნინოშვილის დიდი მეგობარი და გულშემატკივარი.

სპირიდონ ლაკვეიშვილი დაიბადა 1872 წელს, სოფელ იანეთში (სამტრედიის რაიონი). 1887-1893 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. მოწაფეობის წლებში ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. სოციალ-დემოკრატთა მითითებით იგი მღვდლად ეკურთხა, რათა ანაფორას ამოფარებული სათავეში ჩასდგომოდა ერთ-ერთ გაზეთს, რომელიც ლეგალურად უნდა გამოსულიყო. თუმცა საქმეს ვერც მღვდლის ანაფორამ უშველა. გაზეთის პირველსავე ნომრისათვის ისეთი მწვავე, ანტირუსული პუბლიკაციები მომზადდა, რომ ხელისუფლებამ მისი გამოცემის ნებართვა არ მისცა. ს. ლეკვეიშვილი მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა. მუშათა წრეებში კითხულობდა საჯარო ლექციებს... 1905 წლის შავბნელ მოვლენათა დროს, როგორც სამტრედიის მღვდელმსახური, ქრისტეს ჯვრით ხელში დახვდა გენერალ ალიხანოვის სადამსჯელო რაზმს და აწიოკებას გადაარჩინა სოფელი იანეთი. საქართველოში მენშევიკური მმართველობის დროს მონაწილეობა მიიღო საეკლესიო ყრილობის მუშაობაში და გამოვიდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაცვის მოთხოვნით. საქართველოს

გასაბჭოების შემდეგ ს. ლეკვეიშვილი მასწავლებლად მუშაობდა. ამ სფეროში დიდი დამსახურებისათვის დანიშნული ჰქონდა პერსონალური პენსია.

ს. ლეკვეიშვილი ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ქართველ მწერლებთან და მოღვაწეებთან – ე. ნინოშვილთან, ი. ევდოშვილთან, ია ეკალაძესთან და სხვ. მან ამ ურთიერთობის ამსახველი საინტერესო მოგონებები დატოვა. ზოგი მათგანი ცნობილია, ზოგიც ს. ლეკვეიშვილის მემკვიდრეთა ოჯახებში ინახება. ეს მოგონებები სშირად სულიერი ცხოვრების არც თუ ისე შორეული წარსულის ნაკლებადცნობილ თუ უცნობ ფაქტებს შეცავს და ამიტომ არაა ინტერესსმოკლებული.

მკითხველს ვთავაზობთ ს. ლეკვეიშვილის მოგონებას, რომელშიც ეგნატე ნინოშვილის ცხოვრების საინტერესო დეტალებია შემონახული. ეს მოგონება ს. ლეკვეიშვილის ვაჟმა, საქართველოს მეცნიერების აკადემიის პრეზიდიუმის სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილების სწავლულმა მდივანმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ირაკლი ლეკვეიშვილმა გადმოგვცა.

ს. ლეკვეიშვილი

მოგონებანი ეგნატე ნინოშვილზე

დიდათ სასიამოვნოა, რომ ჩვენს საზოგადოებაში აღიძრა სურვილი ეგნატეს ცხოვრების დაწვრილებით შესწავლისა და გაშუქებისა. ასეთი გამოკვლევა ბევრის მხრით საინტერესო და საქებურიცაა. ეგნატეს ხანმოკლე სიცოცხლე, უნდა ვიცოდეთ, შეიქნება ერთნაირ კანდელად დღევანდელი მზარდი თაობისათვის, რომელიც სხვადასხვა გავლენათა წყალობით ჩამოშორებულია „იდეალისტურ" ცხოვრებას, თავის არარაობას და ფუქსავატობას ხშირად „რეალიზმის" და სხვა „მოდური" სახელებით ნათლავს. ცხადზე უცხადესია, რომ ვისაც წარსულში არაფერი მაღალი და წმინდა არ მოეპოვება, ვისაც ახალგაზრდობა ვითომდა „რეალიზმის" ტალახში ამოუსვრია და ერთი წერტილიც – კი ფაქიზი არ დარჩენია ასეთი სულიერი ცხოვრებაში, ვერ იგრძნობს ვერაფერს მაღალს და წარმტაცს და მუდამ მსხვერპლი იქნება ცხოვრების აბობოქრებულ ტალღებისა; ასეთებს მალე შეეკვეცებათ ფრთები და ყოველდღიური ვარამის მსხვერპლი შეიქნებიან. ამ მხრით სამაგალითო სწორედ სამოძღვრებო იქნება ეგნატეს ცხოვრების ყოველმხრივი გადაშლა.

ათას რვაას ოთხმოცდა თერთმეტში, როცა ჯერ კიდევ თბილისის სემინარიის მეხუთე კლასის მოწაფე ვიყავი, ეგნატეს გავეცანი ზ. ჭიჭინაძის სახლში. შემოდგომის მიწურული იყო. ეგნატე სოფლიდან ჩამოსულიყო თბილისში და რადგან, უნდა ვიფიქროთ, ზაქარიაზე გაგონილი ქონდა, რომ ის დემოკრატი იყო და შეივრდომებდა უბინადროებს, მისულიყო ზაქარიასთან. საღამოს 7 საათი იქნებოდა, მეც შევედი ზაქარიასთან და პირველად დავინახე მეტად გამხდარი ეგნატე – ძლიერ ღარიბულად ჩაცმული. ზაქარიამ შესვლისთანავე გამაცნო: „იცნობდე, „სიმონას" ავტორია, ეგნატე ნინოშვილი. სწორედ იმ ხანებში „ივერიაში" ფელეტონებად იბეჭდებოდა „სიმონა", რომელსაც დიდის ინტერესით ვკითხულობდით სემინარელები და რომლის გამო ხშირად ვკამათობდით კიდეც. მეტად გამიხარდა, მით უმეტეს, რომ ეგნატეში დავინახე ტოლი, ამხანაგი, რომელიც თუმცა მოწიწებას იწვევდა, როგორც მწერალი, მაგრამ „ზევიდან" - „ქვევით" კი არ გამოიყურებოდა, არამედ გამომეტყველებით ეძებდა თანამგრძნობს და ამხანაგს. უნდა მოგახსენოთ, რომ მანამდისაც იმავე ზაქარიას წყალობით შემიხვდა გაცნობა ერთი ძველი მოღვაწე-მწერლისა, რომლის სახელს არ დავასახელებ, რადგან შესაძლებელია ჩვენ უდროო დროში ეს „შინაურ მტრობად" ჩამეთვალოს,

მაგრამ ორი-სამი საათის ბაასის შემდეგ სამუდამოდ დავცილდი აღნიშნულ მოღვაწეს და როცა გულამღვრეული გამოვედი მისი სახლის კარებიდან, ერთი რიგიანადაც მივალანძღეთ (ჩემთან სხვა ამხანაგებიც იყვნენ) ზაქარია. რაც უნდათ – სთქვან, მაგრამ ძველი მოღვაწენი მეტად დიდი წარმოდგენისა იყვნენ თავის-თავზე და ასეთ ჭიანჭველებთან, როგორებიც ჩვენ ვიყავით, თავს არ იყადრებდნენ. ჩვენს, ახალგაზრდების, ძიებას, ყველგან კარები ჩაკეტილი ხვდებოდა. კარჩაკეტილობა, ახალგაზრდობისაგან გაქცევა იყო ძველების დამახასიათებელი თვისება. აბა, წარმოიდგინეთ, ახალგაზრდობას გაღვიძებია სურვილი ჩაებას საზოგადო მოქმედების ფერხულში. ის ეძებს ხელმძღვანელს, მასწავლებელს, სურს ყური დაუგდოს მისგან სათაყვანებელ მოღვაწეს, მიაჩნია იგი ავტორიტეტად და ამ დროს მოღვაწე გულდახურული ხვდება, მშრალ, აკადემიურ დარიგებებს იძლევა და არ ცდილობს ძაფი გააბას ახალგაზრდობასთან, რომელიც მისკენ ინტუიტურად ისწრაფის, არამედ გულზე ხელს კრავს და თავის დამდაბლებლად მიუჩნევია მასთან კავშირი. აქედან უნდა მოვიყვანოთ მეორე მაგალითიც: ქუთაისში მოსვლის შემდეგ ჩემი სატრფიალო იდეალი იყო (ყველა ამხანაგები ერთი აზრისა ვიყავით) გავცნობოდი ერთ ქუთათურ მოღვაწეს, რომლის პოლიტიკურ მოღვაწეობის პროცესი წაკითხული მქონდა და დღედაღამ მის თაყვანებაში ვიყავით. მართალია, ისეთი მიუკარებლობა არ შემხვედრია, როგორც პირველთან, მაგრამ გატეხილი სჯობს, ამ სათაყვანო პირსაც ნაკლებად ეინტერესებოდა ჩვენი, ახალგაზრდების ყოფა-მდგომარეობა და, რაც უფრო საყურადღებოა, სული ალბათ მისი დროს „დიდ-კანში” იწვა, როცა პარკის კეთებას მხურვალედ ემზადებოდა. და დღეს თუ ვინმე დარჩენილა ამ ძველთაგანი – კიდევ გვაყვედრიან მათ აღთქმათა შეგინებას! სასცილო არ არის? რა საბუთით ეძებენ ისინი ჩვენში პატივისცემას, როცა „ძიების” ხანაში სახლებიდან გვერეკებოდნენ, თუ სიტყვით არა, გამომეტყველებით მაინც. აი, ასეთმა კარჩაკეტილობამ ახალგაზრდა თაობას შეაძულა თავისი „მამები” და უჩინა საკუთარი გზა ცხოვრებაში. თავის ანაბარად მიგდებულმა ახალგაზრდობამ საკუთარი თვითმოქმედებით გაიკვლია და გაიკაფა გზა, თუმცა ნარ-ეკლით მოცული, მაგრამ მაინც განსხვავებული ძველისგან და განსაკუთრებული, რაც ასე საშიშრად ეჩვენებათ ძველის აღთქმების დღევანდელ მოვაჭრეებს.

მაგრამ დავუბრუნდეთ საგანს: პატარა ხანს შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენი ქვეყნის ავ-კარგზე, ახალგაზრდებზე და სხვა. ზაქარია ქებათა-ქებას ასხამდა ძველ მეთაურებს, ახლებს – კი, რომელნიც ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყვნენ, მაგრამ საიმედოდ სჩანდნენ, მიწასთან ასწორებდა. ზაქარიას ჩვეულებად ჰქონდა შეეკურთხებია მაგრად ბათლომე მოსეშვილისათვის, რომელიც სემინარიის თვალისჩინად ითვლებოდა სასწავლებელში ყოფნის დროს, ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძისათვის, რომელნიც მისი სიტყვით სემინარიაში ფანფარონობდნენ, მაგრამ დღემდი (იმ დროს) არაფერი გაუკეთებიათო. არ ვიცი დანამდვილებით ეგნატე იმ დროს იცნობდა ნოეს და ფილიპეს თუ არა (ასე 5-6 თვის შემდეგ კი ხვდებოდნენ ესენი ერთმანეთს), მაგრამ იგი მთელი თავისი ძალ-ღონით გამოესარჩლა ახალგაზრდობას. მან სასტიკი კრიტიკის ცეცხლში გაატარა ძველი თაობა; იგი ამბობდა, რომ უკანასკნელი ხალხს ვერ იცნობს, რომ იგი ცარიელი „სიტყვის” ხალხისაგან შედგება, რომ ხალხი საკუთარი ძალით იკვლევს გზას, რომ აქ ძველები ხალხს არა თუ რამეში ეხმარებიან, ხშირად ხალხსაც უკარგავენ და რომ საჭიროა ახალგაზრდობამ სხვა გზა და მიზანი დასახოს, რომ იგი უნდა იყოს „ხორცი ხორცთაგანი და სისხლი – სისხლთაგანი”

ხალხისა და მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი ჭეშმარიტს ხელმძღვანელობას, როცა იგი ეზიარება გაყვლეფილი და წელში გაწყვეტილი ხალხის ჭირ-ვარამით. სიკვდილის დღემდის მიმყვება ის შთაბეჭდილება, რომელიც განვიცადე ეგნატეს გატაცებული ლაპარაკით ამ საგანზე, რაშიც ამოვიკითხე ის, რასაც ეძებდა ჩემი სული. ლაპარაკი გაგრძელდა შუადამემდის და ისეთი ცხარე ხასიათი მიიღო, რომ ზაქარიამ, რომელსაც ჩვეულებად ქონდა დაუზოგველი გინება, მაგარ-მაგარი და სრულებით შეუფერებელი სიტყვები შესთავაზა სტუმარს და დასასრულ კარიც – კი უჩვენა. ეგნატემ გაკიცხა მისი სტუმართმოყვარეობა, ადგა, მოძებნა თავისი ქუდი, ჯოხი, შეკრული ქვეშაგები და მითხრა: „თუ კაცი ხარ, გამყევი ცოტაზე. მე აქ უცხო ვარ და სადმე სასტუმრო მიჩვენეო". თუმცა გვიან, ზაქარია გონს მოვიდა, კილო გამოიცვალა და სთხოვა დარჩენილიყო და ეს ღამე მაინც გაეთია, მაგრამ გულმოსული ეგნატე არაფრისთვის არ დათანხმდა. იმ ღამეს მე წავიყვანე ჩემ ბინაზე და მეორე დღეს ვაქირავებინე ერთი პაწაწა – სამ აბაზიანი ნომერი სასტუმროში – ჭავჭავაძის ქუჩის გასათევში (თუ არ ვცდები, ეხლა იქ არამიანცის სახლი უნდა იყოს). ამის შემდეგ მე ხშირად ვნახულობდი ეგნატეს, რომელიც დიდის ინტერესით მეკითხებოდა სემინარიის მოწაფეების მდგომარეობაზე და განწყობილებებზე, მათ გონებრივ ავლა-დიდებაზე და ავსა და კარგზე და გამოთქვამდა გულწრფელ სურვილს მათთან დაახლოებისას. მალე გავაცანი ჩემი სიყრმის ამხანაგი ი[სიდორე] კ[ვიცარი]ძე, რომელიც იმ დროს მ[იხა] ც[ხაკაია]-სთან ცხოვრობდა მიხაილოვის ქუჩაზე ერთ მიწურ სარდაფში. ნომერში ცხოვრებას კერძო ბინაზე ცხოვრება ამჯობინა ეგნატემ და ამიტომ იმავე ჭავჭავაძის ქუჩაზე, წყალსადენის მახლობლად, ვუქირავეთ ერთო ოთახი ძირა სართულში. რადგან ურიგო სადილობა დიდად მავნებელი ხდებოდა მისი შერყეული ჯანმრთელობისათვის, ამიტომ მალე მოვარიგეთ ჩვენს დიასახლისთან, რომელიც სულ ოთხ მანეთ ნახევრად თვეში გვაძლევდა ორკერძიან სადილს და გვარიან კარგსაც. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ შეშა არ ქონდა და ოთახი ამის გამო არ უთბებოდა. მაგარი ზამთარი იყო იმ წელიწადს. ხშირად, როცა სანახავად მივიდოდი, ეგნატე საბანწამოსხმული უჯდა მაგიდას და სწერდა. აი, ამ ოთახში მან დაწერა მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი". ეს დანამდვილებით ვიცი, რადგან ერთ დილას – სასწავლებელში მიმავალმა – შევუარე და ეგნატე პატარა ლამპის შუქზე (ოთახში ძალიან ბნელოდა. ასე რომ, დღისითაც კი ხშირად საჭირო იყო სანთელი) რაღაცას სწერდა და კარებში შესვლისთანავე მითხრა: ს[პირიდონ], შენი სახელი დავარქვი ერთ ჩემ სიმპატია გმირს და ხომ არ გეწყინებაო. მე ვუპასუხე: „შენი ნებაა, მე რა საწყენი უნდა მქონდეს მეთქი". ეგნატემ ტკბილი ღიმილით მითხრა: შენთან მეგობრობა იმდენად დაუვიწყარია ჩემთვის, რომ შენმა სახემ სახალხო მოღვაწის ცხოვრება დამიყენა წინ და აი, წუხელ მთელი ღამე ერთი მოთხრობის სქემა უკვე შევადგინე და გამომიწოდა რვეული, რომელშიც ჩამოთვლილი იყო სახელები მოთხრობისა და უმთავრესი აზრები. ეტყობოდა იმ ღამეს დიდი შრომა გაეწია ეგნატეს და საშინლად დაქანცული გამოიყურებოდა. მალე მან ბინა იცვალა. ზემოდასახელებული ჩემი ამხანაგების ბინაზე გადაბარგდა – მიხაილოვის ქუჩაზე, მაგრამ აქედანაც მოუხდა გადასვლა ერთი პირადი უსიამოვნობის გამო. უნდა ვსთქვა, ეგნატე იყო დიდად გულწრფელი, მშვენიერი საამხანაგო კაცი, მაგრამ საშინლად ფიცხი; სხვისი აზრი ხშირად ჯიუტობად, ჟინიანობად ეჩვენებოდა და ამ ნიადაგზე საშინლად ფიცხდებოდა. ის გადავიდა ახალ ბინაზე კუკიაში და ცხოვრობდა განმარტოებით. ამ დროს მან განიზრახა ახალგაზრდათაგან თვითგანვითარების წრის დაარსება და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას,

კიდევაც განახორციელა. წრე იკრიბებოდა მიხაილოვის ქუჩაზე კ-ძის და ც-იას ბინაზე; მასში შედიოდნენ საუკეთესო ახალგაზრდები სემინარიიდან და სამასწავლებლო ინსტიტუტიდან. ეხლაც ბევრია ცოცხალი ამ წრის შვილები და არ ვეჭვობ, დიდის მადლობით იხსენებენ ამ სანეტარო თვითგანვითარების დროს. აქ თავს ვიყრიდით: ეგნატე, მ[იხაკო] ც[ხაკა]ია, ი[სიდორე] კ[ვიცარი]ძე, სტ. [ისიდოროვი], ი. ე[ლია]ვა, ს. რ[ობაქი]ძე, ზ. უ[რუშა]ძე, ორი რუსი, რომელთაგან ერთი, მგონი, მაქსიმ გორკიც უნდა ყოფილიყო და თუ ეს დაბეჯითებით არ ვიცი, ეს იმიტომ, რომ ხშირი სტუმარი არ იყო იგი კრებებისა. კრებები კონსპირატიული იყო. ეს გარემოება, ალბათ, იმით აიხსნება, რომ საშინელი და აუტანელი დრო იყო ხსენებული დრო. პოლიციელთა საშინელ დევნას და თვალ-ყურის დევნებას ძნელად თუ ვინმე გაექცეოდა. პოლიციელებს მხარს უჭედნენ და უარესად გვექცეოდნენ ჩვენ ჩვენი სასწავლებლის აღზრდილები, რომელნიც ყოველ ჩვენს ნაბიჯს თვალყურს ადევნებდნენ და ზომავდნენ. აუტანელი იყო ცხოვრება ახალგაზრდობისა, რომელიც ცხოვრებაში გამოსასვლელ გზას ეძებდა და სწყუროდა თვითგანვითარება და პრაქტიკული მოქმედება. წრეში ვკითხულობდით ლავროვის შესანიშნავ „Исторические письма”, რომლის (წიგნის) შოვნის ისტორია შეკავშირებულია ერთ ვაი-უბედურებასთან. ეს წიგნი იმ დროს [ბიბლიოგრაფიულ] იშვიათობას წარმოადგენდა და მხოლოდ ერთ კაცს ქონდა და ისიც დიდი სასყიდელით იძლეოდა სანათხოვროდ. მეცინება, რომ დღეს ვხედავ, არა თუ ამ წიგნს, ამაზე ბევრად საინტერესოთ, წიგნის მაღაზიების ვიტრინებში გამოფენილთ, მაგრამ ხელის მომკიდელი არავინ ყავს; დღევანდელი ახალგაზრდობა, სულ სხვანაირ გარემოებებში მყოფი – უფრო პრაქტიკულ გზას ადგია და გონების განვითარებაზე ნაკლებად ზრუნავს. ამ წერილების გამო იმართებოდა ცხარე დებატები, რომელნიც ხშირად გრძელდებოდა ღამის 2-3 საათამდის. ამ წრის სული და გული ეგნატე იყო. არც ერთი რომელიმე საყურადღებო კითხვა მას არ გამოეპარებოდა, რომ არ დაესვა კრების განსახილველად. ამავე დროს უნდა აღვნიშნო, რომ კითხვების გადაჭრაში ეგნატეს ემჩნეოდა დიდი მომზადება და ლიტერატურის ცოდნა. სად შეიძინა ეგნატემ ასეთი ცოდნა? – ხშირად შევკითხებივარ ჩემ თავს და ასე გადამიჭრია: იგი დაუღალავად შრომობდა თავის განვითარებაზე, დასრულებულად არ მიაჩნდა ეს განვითარება და აუარებელ წიგნებს კითხულობდა. მთელი დღე ან კითხულობდა, ან სწერდა, გარეშე ამისა მისთვის საქმე არ არსებობდა; „სეირნობას” იგი არ სწყალობდა, თუმცა კი ესაჭიროებოდა მის დაცემულ ჯანმრთელობას. წრემ დაგვავალა ყოველ მის მონაწილეს შეგვედგინა დამოუკიდებლად წრეები – ჩვენ ნაცნობ მოწაფე ახალგაზრდობიდან და გაგვეწია ხელმძღვანელობა. მალე მთელ ქალაქში გაჩაღდა მუშაობა. ყოველი სასწავლებელი შორეულად შეიქნა მონაწილე ახალი მუშაობისა. საქმე სდუღდა და ნაპირებიდან გადმოდიოდა. მახსოვს, ეგნატემ მირჩია მეცადა წერა და, თუ საკუთარს ვერაფერს შევქმნიდი, მეთარგმნა მაინც რაიმე; ეს დავალება იმდენად ძლიერი იყო (ასეთი ზნეობრივი გავლენა ქონდა ეგნატეს ამხანაგებზე), რომ იმ დღესვე შევუდექი თარგმნას პირველ-შეხვედრილ წიგნის, რომელიც შევიძინე ჩემი ცარიელი ჯიბით. ეს წიგნი, როგორც მაგონდება, იყო „В защиту пернатых”; ორ დღეში დავასრულე თარგმნა და ეგნატეს მივუტანე. მან გადაიკითხა და მითხრა: კაცო, ფრინველების მცველობას კი არ გავალებ, ადამიანების მცველობაა საჭირო! რას [და]ეძებ ფრინველებს, როცა ადამიანები იტანჯებიან და შეუფერებელ პირობებში იღრჩვებიან; თავი დაანებე ამისთანა საგნებს და ეძიე ადამიანთა ცხოვრების გამაშუქებელი ნაწერებიო”. მეწყინა, რომ შრომამ

უქმად ჩამიარა, მაგრამ ეს დარიგება იმდენად თბილი იყო, რომ სამუდამო სახსოვარი და სახელმძღვანელო შიქმნა. ახლა ამას მოყვა „სამოწაფეო ბიბლიოთეკის" დაარსება. მახსოვს ერთი ამხანაგის ბინაზე გაიმართა სალიტერატურო საღამო, რომლის მონაწილენი და დამსწრენიც სხვა და სხვა სასწავლებლების მოწაფენი იყვნენ და შემოსავალი, რასაკვირველია, მცირედი გადაიდვა ბიბლიოკეთისათვის. ამგვარი მოქმედების არე თანდათან ფართოვდებოდა და, თუ პირდაპირ არა, არაპირდაპირ მაინც ყველა სასწავლებლის შეგირდები ებმებოდნენ ერთ ფერხულში.

ერთ დღეს სემინარიიდან მოგვაწვევინეს ყველა ახალგაზრდა, რომელნიც ჩვენ მიგვაჩნდა საიმედო პირებად. აქ იყვნენ: ფილიპე გ[ოგიჩაი]შვილი, სერაპიონ დ[ადუნაი]შვილი, ქრისტეფორე ც[იცქი]შვილი, გიორგი ნ[ამორა]ძე, ალ. მ[ათიკა]შვილი და სხვ. კრება მრავალრიცხოვანი გამოდგა, მაგრამ სტუმრები, დაშლის შემდეგ, არ ვიცი შიშით, არ ვიცი სხვა მოსაზრებით, განზე გადგენ და აღარ ისურვეს წრეში მონაწილეობა. დიდი იყო ეგნატეს გავლენა ახალგაზრდობაზე და დაუფასებელია მისი ღვაწლი ამათი განვითარების საქმეში! ამასობაში სემინარიაც დავასრულე და ქუთაისში მოვხვდი. ეგნატე თვალყურს ადევნებდა თბილისიდან ჩემს ცხოვრებას. ის ხედავდა ჩემს უღონობას სიღარიბის წრე გამერღვია და უნივერსიტეტში წავსულიყავ. ხშირად მაძლევდა რჩევა-დარიგებას – როგორ უნდა მიმეღწია დასახული მიზნისთვის, მაგრამ ბედი არ მიღიმოდა. სახლში არაფერი მეგულებოდა, გარეთ კი ოცმანეთიანი ადგილის მეტი ვერა ვიშოვნე რა. 1894 წელს, გაზაფხულზე, ეგნატე უკიდურესად დაავადმყოფებული გურიისაკენ მიყავდათ ამხანაგებს. ქუთათურებმა გავიგეთ და გავსწიეთ რიონის სადგურზე შესახვედრად. ეგნატეს აჩრდილი-ღა ვნახე და მივესალმე. დიდხანს ეჭირა თავის ცხელ ხელებში ჩემი ხელი და მეკითხებოდა ჩემს ამბავს. მომაკვდავი ეგნატე ისე ალერსიანი, ისეთი მშვიდი, ისეთი ტკბილი იყო იმ წამში, რომ მის ყურებას არა სჯობდა-რა, მაგრამ ზარის წკარუნმა დაგვაშორა. გამოვემშვიდობე და სადგურის პლატფორმაზე გადმოვედი.

შემდეგ ამხანაგებმა მიამბეს, რომ ეგნატე თურმე მათ ეხვეწებოდა: ს[პირიდონ]ს გაუფრთხილდით, მღვდლობაში არ გაგეპაროთ, რაღაც ქარტეხილს ვხედავ მასში და ვაი თუ ჩვენს ახალგაზრდობას გაშორდესო. ეს იყო უკანასკნელი მისი ნახვა. აპრილის ბოლო რიცხვებში ეგნატემ სამუდამოდ თვალები დახუჭა და მოგვაკლდა მოჭირნახულე და გულმტკივნეული მამა, რომელსაც ჩვენზე უთენდებოდა დღე და ჩვენითვე სულდგმულობდა და ხარობდა. აი, როგორი ნათესაობა იყო ეგნატესა და ახალგაზრდობას შორის, რომელშიც იგი ხედავდა მომავლის ქვაკუთხედს და გულწრფელის სიყვარულით ელოლიავებოდა და შეფოფინებდა. თავის თავზე არ ლაპარაკობენ, საზოგადოდ კი ნამდვილად უნდა ვსთქვათ, რომ ეგნატემ შვა „მომქმედი ახალგაზრდობა", რომელიც შემდეგ გარს შემოერტყა მის კუბოს და ხმამაღალი ყიჟინა დასცა ჩვენს დამყაყებულ და შმორებულ ცხოვრებას და სასიკვდილო ლახვარი ჩასცა გულში ძველს აზროვნებას და ცხოვრებას, თავისი შეუდრეკელი და გაბედული მოქმედებით.

ცხადია, ეგნატეს ვერ ირწმუნებს დღევანდელი ქართველი თავად-აზნაურული ინტელიგენცია, რომელსაც მან დაუპირისპირა გლეხური ახალგაზრდობა, გლეხურად მომქმედი და მოაზროვნე და ამით იგი შეიქნა მოსისხლე მტერი გაბატონებული ინტელიგენციისა, რომელიც თავის უნებურად იძულებულია შეურიგდეს მის ბელეტრისტულ მოღვაწეობას, მაგრამ ეჯავრება და ვერ ურიგდება მის პრაქტიკულ შემოქმედებას.

According to a manuscript

Ivane Jagodnishvili

There is publishing the manuscript of contemporary distinguished Georgian writer Egnatia Ninoshvili of Spiridon Lekveishvili, which describes unknown facts of life and activity of the writer. The material is quite important for the history of Georgian literature of late XIX and early XX century.

По следам одной рукописи

Иване Джагоднишвили

Публикуется рукопись современника известного грузинского писателя Эгнате Ниношвили Спиридона Леквеишвили, в которой рассказываются неизвестые факти жизни и деятельности этого писателя. Материал имеет значение для истории грузинслой литературы конца XIX-начала XX столетия.

ჟურნალისტიკა – Журналистика – Journalizm

გერმანელი ძმების წარმატების საიდუმლო

ქ. გიორგობიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

გერმანიაში და მის ფარგლებს გარეთაც საყოველთაოდ ცნობილია ბურდების დინასტია. ფრანც, ფრიდერ და ჰუბერტ ბურდებმა საგამომცემლო ბიზნესის სფეროში დიდ წარმატებას მიაღწიეს და ღირსეულად გააგრძელეს ოჯახური ტრადიცია. სწორედ ამ ოჯახს უკავშირდება საერთაშორისო საგამომცემლო კონცერნის "ჰუბერტ ბურდა მედია" დაარსება, რომელსაც გერმანიის გარდა თავისი წარმომადგენლები ჰყავს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, აზიასა და რუსეთში. კონცერნის შტაბ-ბინა მდებარეობს ქალაქ ოფენბურგში, ბიუროები კი მიუნხენში, ბერლინსა და ჰამბურგში. დღეისათვის "ჰუბერტ ბურდა მედია" გამოსცემს 262 ჟურნალს, ფლობს მნიშვნელოვან წილებს მრავალრიცხოვან ინტერნეტ პროექტებში, რადიოსადგურებში, ტელეპროდუქციასა და დირექტმარკეტინგში. უშუალოდ გერმანიაში გამოდის 75 ჟურნალი, რომელთა შორის აღსანიშნავია "Freundin", "Frau in Trend", "Lisa", "Focus","Bunte". ამას გარდა, კონცერნი გამოსცემს ისეთ ცნობილ საერთაშორისო ბრენდებს, როგორიცაა "Elle", "Playboy", "Men's Health". ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გერმანიის საზღვრებს გარეთ გამომავალი ჟურნალების ტირაჟი ორჯერ გაიზარდა. 188 ჟურნალს გამოსცემს "ჰუბერტ ბურდა მედიას" შვილობილი კომპანიები: "Burda Easter Europe", "Burda Holding International", "Medien Park International" და "Vogel Burda Holding". კონცერნის კუთვნილ ტიპოგრაფიებში ოფენბურგში, ფრანგულ ქალაქ ვიე-ტანსა და ბრატისლავაში დასაქმებულია 7900 ადამიანი.

"ჰუბერტ ბურდა მედიას" ასწლოვანი ისტორია აქვს. იგი ერთმანეთს უთანხმებს ტრადიციებს და ინოვაციებს და დღეისათვის წარმოადგენს გერმანიის ერთ-ერთ უმსხვილეს გამომცემლობასა და მსოფლიოში აღიარებულ მედიაკონცერნს, რომელსაც გერმანიის სამხრეთ-დასავლეთში, ბავარიაში მდებარე ქალაქ ოფენბურგში ჩაეყარა საფუძველი.

ბევრმა თანამედროვე წარმატებულმა კომპანიამ თავისი საქმიანობა ოდესღაც მცირე ოჯახური წარმოებიდან დაიწყო. ასე იყო ბურდების შემთხვევაშიც. 1898 წელს ახალგაზრდა ფრანც ბურდამ საგამომცემლო საქმიანობას მიჰყო ხელი. 25 წლის ფრანცმა მუშაობა დაიწყო ოტო პროტელის კომპანიაში, 4 წლის შემდეგ კი მისი მფლობელი გახდა. გავიდა კიდევ ხანი და ბურდამ გადაწყვიტა გაეფართოებინა და სისტემაში მოეყვანა თავისი საქმიანობა, თუმცა მაშინ იმის წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ ეს საქმე მომავალში ასეთ გრანდიოზულ წარმატებას მოუტანდა. 1908 წელს მან გახსნა საკუთარი დაწესებულება ოფენბურგში, სადაც ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, და ბევრი ევროპელი მეწარმის მსგავსად თავისი სახელი დაარქვა. მაშინ ამ საქმეში მხოლოდ სამი კაცი იყო ჩაბმული. ფრანც ბურდა თავის პირველ ჟურნალებს ჯერ კიდევ იმპერატორ ვილჰელმ II-ის დროს გამოსცემდა.

შემდეგ მამის საქმიანობა გააგრძელა მისმა ვაჟმა, ფრანც ბურდა უმცროსმა, ეს მოხდა 1925 წელს. სპეციალობით ეკონომისტს, უმცროს ბურდას შესაშური საგამომცემლო ტალანტი აღმოაჩნდა, თეორიული ცოდნა პრაქტიკაშიც გამოიყენა, დაიწყო წარმოების გაფართოება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. 1927 წელს გამოსცა პირველი საკუთარი ჟურნალი, რომლის ტირაჟი სულ რაღაც 3000 ეგზემპლარი იყო. 1929 წელს უფროსი ფრანცი გარდაიცვალა და ოჯახურ ბიზნესს უმცროსი ფრანცი ჩაუდგა სათავეში. 1933 წელს მისი ჟურნალის ტირაჟმა უკვე 60 000-ს მიაღწია. ბურდების ტიპოგრაფია იმ პერიოდისთვის უაღრესად თანამედროვე და საუკეთესოდ აღჭურვილი იყო. მასში დაახლოებით 250 კაცი მუშაობდა. ცოტა ხნის შემდეგ ფრანცმა მანჰეიმშიც შეიძინა ტიპოგრაფია და 350 ადამიანი დაასაქმა. ფრანც ბურდას მიერ გამოშვებული ჟურნალებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ "Das Ufer" და "Das Haus" და შემდეგ სამხედრო გაზეთი "Revue information". მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა ყველაფერი შეცვალა. შემოიღეს სასტიკი ცენზურა. ამან, ბუნებრივია, ბურდების ბიზნესიც დიდად დააზარალა, საათივით აწყობილ საქმეს საფრთხე დაემუქრა. ომის დასრულებამდე ტიპოგრაფიაში იბეჭდებოდა მხოლოდ რუქები გერმანელთა გენერალური შტაბისათვის. კომპანია ნელ-ნელა გამოცოცხლდა და ფეხზე წამოდგა 1949 წლის დასაწყისისთვის. 1950 წელს ფრანცი გახდა კარლსრუეს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო სენატორი. ეს ფაქტი სათანადოდ აისახა ბეჭდვითი გამოცემების ხასიათსა და ტიპოგრაფიის განვითარების ტემპზე. ფრანცის ბიზნესის წარმატებაში დიდი როლი ითამაშა მისმა მეუღლემ, ანა მაგდალენა ლემონგერმა, რომელიც შემდეგში ცნობილი გახდა ენ ბურდას სახელით. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გამოსცემდა მოდისადმი მიძღვნილ ჟურნალებს, რომლებიც უდიდესი წარმატებით სარგებლობდა, განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენელთა შორის. 1950 წელს გამოვიდა პირველი ნომერი ჟურნალისა "Burda Moden", სადაც საუბარი იყო მოდის ტენდენციებზე, პრობლემებზე სამოდელო სფეროში, შუქდებოდა ის საკითხები, რაც დააინტერესებდა საზოგადოებას. 1953 წელს უკვე ამ ჟურნალის ყოველთვიურმა საერთაშორისო გამოცემამაც იხილა დღის სინათლე. დაარსებიდან 12 წლის შემდეგ ტირაჟმა მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა. დღეისათვის "Burda Moden" გამოდის მსოფლიოს 90 ქვეყანაში 16 ენაზე. 1954 წელს კომპანიამ გამოუშვა გერმანიაში პირველი ილუსტრირებული ფერადი ჟურნალი, ეს აშკარა ნოვაცია იყო, რამაც მიზანდასახულ ფრანც ბურდას გრანდიოზული პოპულარობა მოუტანა.

ბურდების ოჯახმა გერმანელ ხალხს და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოს საინტერესო და წარმატებული ადამიანები შესძინა. ჰუბერტ ბურდა, ხელოვნების ისტორიკოსი, მეცნიერი და გამომცემელი დაიბადა 1940 წლის თებერვალში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მიუნხენში, რომში, პარიზსა და ლონდონში ხელოვნების ისტორიას, არქეოლოგიას და სოციოლოგიას. შემდეგ ნიუ-იორკში გააგრძელა განათლების მიღება, ჟურნალ-გაზეთების გამოშვების საიდუმლოებას ეუფლებოდა "ტაიმს მეგეზინში". გერმანიაში დაბრუნების შემდეგ გახდა ჟურნალის "Bild und Funk" რედაქტორი. ადრე ჰუბერტს ეს საქმიანობა დიდად არ აინტერესებდა, ამიერიდან კი ცხოვრების აზრი საგამომცემლო ბიზნესში ჰპოვა. ჰუბერტი საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა. არის დამაარსებელი რამდენიმე ლიტერატურული და სხვა სახის პრემიებისა, მათ შორის "Coldere Henne", "Herman Lenz Preis", "Bambi". ჰუბერტ ბურდას წარმატებად ითვლება მოდების ჟურნალის სსრკ-ში გამოშ-

ვება 1987 წელს, რაც მნიშვნელოვან მოვლენად აღიქვეს მთელ მსოფლიოში. ეს იყო პირველი დასავლური გამოცემა რკინის ფარდით ჩაკეტილ სახელმწიფოში. რუსეთში ჟურნალი სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა, მაგ. "კლასიკური ბურდა", "ბურდა მინი".

ბურდების ოჯახის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ფრიდერი, მიუხედავად იმისა, რომ საგამომცემლო საქმიანობას კარგად იცნობდა და 1986 წელს ბურდების იმპერიაში საპატიო ადგილი ერგო და დაეკისრა პასუხისმგებლობა ფინანსებსა და მოგების განაწილება-დაბანდებაზე, ხელოვნებამ გაიტაცა. 1968 წელს შეისყიდა თანამედროვე მხატვრის ლუჩიო ფონტანას ნამუშევარი 3500 მარკად და ამით საფუძველი ჩაუყარა ხელოვნების ნიმუშების შესანიშნავ კოლექციას. იგი აგროვებდა ექსპრესიონისტი მხატვრების: მაქს ბეკმანის, ერნსტ ლუდვიგ კირხნერის, ვილჰელმ ლემბრუკისა და აუგუსტ მაკეს ნაწარმოებებს, ამასთანავე ცდილობდა არც თანამედროვე მხატვრები დარჩენოდა ყურადღების მიღმა. თავდაპირველად ფრიდერი იმპულსურად და სპონტანურად ყიდულობდა ნახატებს. 1980 წლიდან კი მისმა გატაცებამ ინტენსიური და სერიოზული ხასიათი მიიღო. ამ პერიოდში შეივსო მისი კოლექცია ერჰარდ რიხტეს და ზიგმარ პოლკეს ნამუშევრებით. 2004 წლის 22 ოქტომბერს ბადენ-ბადენში დაარსებულ მუზეუმში, ზემოთ დასახელებული მხატვრების შედევრების გარდა, არის პიკასოს გვიანდელი პერიოდის ფერწერული ტილოები და ასევე თანამედროვე მოდური ხელოვნების ნიმუშები.

"ჰუბერტ ბურდა მედია" დღეისათვის გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამომცემლობაა, რომელიც გამოსცემს ჟურნალებს მოდის შესახებ, მას მე-2 ადგილი უჭირავს ქვეყანაში რეკლამის შემოსავლის მიხედვით. მისი ბეჭდვითი პროდუქციის მკითხველთა რიცხვი ძალზე დიდია, 25 მილიონი ადამიანი წელიწადში. კონცერნი გერმანიის მთელი მოსახლეობის 80%-ს (14 წლიდან და ზევით) ემსახურება. ცოტა ხნის წინ კომპანიამ დაიწყო საკუთარი ონლაინ პროექტების დანერგვა და განვითარება, რაც გათვლილია ახალგაზრდა აუდიტორიაზე. პოპულარობა და ფინანსური სიმყარე იოლად არ მოსულა. ბურდების დინასტიის წარმატების საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ამ დინასტიის თითოეული წარმომადგენელი საოცრად მიზანსწრაფული, წინდახედული, გონიერი და შეუდრეკელი პიროვნება იყო, რომელიც დაბრკოლებას არასდროს უშინდებოდა, პირიქით, წინააღმდეგობის დაძლევა მოქმედების მეტ სტიმულს აძლევდა და მზად იყო ახალ სიძნელეებს შესჭიდებოდა. ბურდების საჟურნალო იმპერიის აყვავების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ყოველთვის ისწრაფვოდნენ სიახლის დანერგვას და ნებისმიერი საინტერესო და მათთვის მისაღებ ნოვაციას ითვალისწინებდნენ. ადვილი როდი იყო გერმანიაში, აქსელ შპრინგერის მსოფლიოში ცნობილი უდიდესი კონცერნის გვერდით კუთვნილი ადგილის დაკავება ქვეყნის საგამომცემლო სექტორში. ბურდებმა უდიდესი ძალისხმევის შედეგად ეს მოახერხეს.

კონცერმა შეძლო გაეძლო მძაფრი კონკურენციისთვის და თავისი სიტყვა ეთქვა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ შესაძლებლობების ზღვრამდე, კომპანიის მესვეურებს ჯერ კიდევ ბევრი პროექტი აქვთ დაგეგმილი და განსახორციელებელი.

German Brothers' Secret of Success

K. Giorgobiani
Georgian Technical University
77 Kostava street, Tbilisi, Georgi

In the article there is talking about the greatest German publishing concern "Hubert Burda Media"; attention is attracted to the dynasty of Burda-Franz, Frieder and Hubert Burda, who have achieved the eminent success in the field of publishing business. As well as in the article the most important place is taken by fashion magazine "Burda Moden".

Тайна успеха немецких братьев

К. Гиоргобиани
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, Костава 77

Статья посвещена деятельности большого немецкого издательского концерна «Хуберт Бурда медия». В работе описывается успех братьев-издателей-Франца, Фридера и Хуберта Бурда, и их издательского концерна. Статья содержит также сообщения о работе всемирноизвестного журнала мод "Burda Moden".

რევოლუციამდელი ქართული პრესა უცხოეთში

ასოცირებული პროფესორი მანანა დათუკიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

რევოლუციამდელ (1917წ.) საქართველოში ქართული პრესა ეროვნული მიმართულებისა და მასში გატარებული ხელისუფლებისათვის მიუღებელი იდეების გამო სასტიკად იდევნებოდა ცენზურის მიერ. ქართველ მამულიშვილებს უჭირდათ აზრის თავისუფლად, შეუნიღბავად გადმოცემა, ეროვნულგანმათავისუფლებელ იდეებზე სიღრმისეული საუბარი. ამიტომაც იყო, რომ ისინი ცდილობდნენ საზღვარგარეთ დაეარსებინათ ქართული ჟურნალგაზეთები, რომელთა დახმარებითაც შეუზღუდავად ისაუბრებდნენ ქვეყნის ავკარგზე, მის მომავალზე. ევროპას გააცნობდნენ საქართველოს, ქართველ ხალხს, მის მოწოდებას, რომ ყოფილიყო თავისუფალი და მზად იყო ებრძოლა მიზნის მისაღწევად.

უცხოეთში პირველი ქართული გაზეთის დაარსება ნ. ნიკოლაძის სახელს უკავშირდება. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 70-იან წლებში მას ხშირად უწევდა საზღვარგარეთ გამგზავრება, მაგრამ იქ ყოფნის დროს იგი არ წყდებოდა თავის ქვეყანას, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობას და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა კიდეც მას. 1873 წელს მას ბევრი უზრუნია ქართული შრიფტის გამარტივებისათვის და ქართული სტამბის მოწყობაზე. როგორც პროფ. ს. ხუნდაძისადმი მის მიერ მიწერილი ბარათიდან ირკვევა, მას მეტად ხელსაყრელად და საჭიროდ მიუჩნევია ჰექტოგრაფიული ბეჭდვის დანერგვა საქართველოში, საამისოდ გამოცდილებაც მიუღია და 1873 წლის პირველ აპრილს თავის ორ ამხანაგთან – დათა მიქელაძესთან და

პავლე იზმაილოვთან ერთად პარიზში ჰექტოგრა-ფიულად ნაბეჭდი ქართული გაზეთი, „დროშა", გამოუცია. წერილში ვკით-ხულობთ: „პატივცემულო ამხ. სიმონ! თქვენ მეკითხებით, თუ რა გარემოებაში ვბეჭდავდით ჩვენ, პარიზში, 1873-ის გაზაფხულზე ქართულ სოციალურ გაზეთ „დროშას", რომლის პირველი სამი ფურცელი სრულიად უცაბედად აღმოვაჩინე დეკემბერში (ლონდონში), ბრიტიშ მუზეუმის საწყობში. შიამოვ-ნებით გაცნობებთ, რომ იმ (1873 წ.) გაზაფხულზე მოვხვდით პარიზს დათა მიქელაძე, ქართულ მწერლობაში უფრო უფრო ცნობილი „მეველის" სახელით, პავლე იზმაილოვი, შემდეგ მყოფი ტფილისის თავად, და მე. იმ დროს ვმუშაობდი ქართული შრიფტის გამარტივებაზე და ქართული სტამბის მოწყობაზე. ამ ძიების დროს გავეცანი ახალ აღმოჩენას, რომელიც ერთობ აადვილებდა ლიტოგრაფიების მოწყობას და ხმარებას, რაც კავკასიის ხალხების არეულ და მოუწყობელ ანაბანებს საშუალებას მისცემდა მოეწყოთ გაადვილებული პროპაგანდა ახალი ევროპელი აზრების ადგილობრივ ენებზე. ამ მიზნით განვიზრახეთ და კიდევაც ავასრულეთ ათი სამაგალითო ფურცელი დაგვებეჭდა „დროშასი". გაზეთს ვბეჭდავდით ას-ას ცალს და მუქთად ვუგზავნიდით ქართველებს, კავკასიელებს, ვინც გვეგულებოდა ციურიხს, ჟენევაში და სხვაგან" [1, გვ. 49-50].

როგორც ვხედავთ, გაზეთის სულ 10 ნომერი გამოსულა, რომელიც უფასოდ დაურიგებიათ მკითხველისათვის. ჩვენამდე კი სამწუხაროდ, სამმა ნომერმა მოაღწია. გაზეთ „დროშას" 11 აპრილს შეუწყვეტია არსებობა.

პირველსავე ნომერში ნ. ნიკოლაძე რედაქციის სახელით აცხადებდა: „დროშა" ქართული სოციალური გაზეთი, გამოიცემა პარიჟში 10 დღის გან-მავლობაში, ყოველდღე, საღამოობით. ამ გაზეთზე არც ხელის მოწერა მიიღება, არც ცალ-ცალკე ფურცლების გამოწერა. ის მარტო რედაქციისათვის იბეჭდება, 10 დღის შემდეგ, ე. ი. 11 (23) აპრილს 1873 წ. „დროშის" ბეჭდვა მოისპობა".

გაზეთი მცირე ზომისაა და შედგება ოთხი გვერდისაგან. პირველ გვერ-დზე გამოხატულია გაშლილი დროშა, რომელსაც ილია ჭავჭავაძის სიტყვები ამშვენებს: „თუმცა აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია".

„დროშაში" დაბეჭდილი წერილების ავტორები გაზეთის დამაარსებლები – ნ. ნიკოლაძე, პ. იზმაილოვი და დ. მიქელაძე – არიან. მართალია, პუბლიც-კაციები ხელმოუწერელია, მაგრამ მათი გარჩევა სხვადასხვა კალიგრაფიით შეიძლება.

ჩვენამდე მოღწეულ ნომრებში საუბარია საგარეო პოლიტიკაზე, ნაციონალურ საკითხებზე, მუშათა მოძრაობაზე, სოციალიზმის პრობლემასა და სხვა სოციალური თუ ისტორიული ხასიათის საკითხებზე. „დროშის" მიზანი იყო გარკვეული მიმართულება მიეცა ევროპაში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდების სოციალურ-პოლიტიკური მრწამსისათვის, მასში გატარებული აზრები მსჯელობის საგნად გაეხადათ 1873 წლის მარტში ციურიხში დაარ-სებულ საზოგადოება „უღელში" გაერთიანებულ მამულიშვილებს.

რაც შეეხება „დროშის" პოლიტიკურ მიმართულებას, შეიძლება ითქვას, რომ ის არის პირველი ქართული არალეგალური სოციალისტური გაზეთი, რომელიც ცდილობდა საქართველოში ევროპის პროგრესული აზროვნების გადმონერგვას. მისი სოციალისტური იდეები ევროპულია. სოციალიზმის განხორციელების მთავარ მამოძრავებელ ძალად მუშათა კლასს მოიაზრებს.

მეორე ქართული პერიოდული ორგანო, რომელიც რევოლუციამდე უცხოეთში გამოიცა, არის გაზეთი „საქართველო". მისი დამაარსებლები არიან სოციალისტ-ფედერალისტები, რომელთა მრწამსი იყო: საქართველოს

ავტონომია, კავკასიის ერთა და შემდეგ მთელი რუსეთის ფედერაცია, სოციალიზმის მინიმუმი და მაქსიმუმი პროგრამები" [2, გვ. 122].

ვიდრე სოციალისტ-ფედერალისტები პარტიად ჩამოყალიბდებოდნენ, საჭირო იყო პროგრამის საბოლოო შემუშავება, რაშიც, უდავოდ, დიდი როლი პერიოდულ ორგანოს ეკისრებოდა, მაგრამ ლეგალურ პრესაში იმ იდეებზე წერა, რასაც პარტია ისახავდა მიზნად, შეუძლებელი იყო. ერთ-ერთ კრებაზე არჩილ ჯორჯაძე წამოაყენებს არალეგალური გაზეთის დაარსების იდეას. საქართველოში ასეთი ორგანოს არსებობისათვის პირობები არახელსაყრელია და სამართლიანად გადაწყდება მისი დაარსება საზღვარგარეთ, კერძოდ საფრანგეთში. შეგროვდება ფული და 1902 წლის ზაფხულში არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი და მუშა ასოთამწყობი, მიხეილ კიკნაძე უკვე პარიზში არიან. პარიზში იმყოფებიან თედო სახოკია, ექიმი ალექსანდრე დიასამიძე, ზურაბ ავალიშვილი, ნოე ჟორდანია და სხვები. ისინი აქტიურად ეხმარებიან გაზეთის დამაარსებლებს. თედო სახოკია სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი და გაზეთის მუდმივი თანამშრომელი ხდება.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ დგება ნანატრი დღეც. 1903 წლის პირველ მაისს არჩილ ჯორჯაძის იდეური ხელმძღვანელობით პარიზში გამოდის პირველი თავისუფალი გაზეთი „საქართველო". გაზეთი თავის დანიშნულებად თავისუფლებისათვის ბრძოლას აცხადებს და ქართველ ხალხს ამ ბრძოლისაკენ მოუწოდებს: „მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს. ასი წელიწადი მონურის და შეურაცხყოფილის სიცოცხლისა ძნელი და მძიმე განსაცდელი ყოფილა. გვეყო, რაც გადაგვხდენია და მოგვითმენია. მწუხარებამ და დაჩაგვრამ ერთი რამ კარგი გვასწავლა. შევიგენით, რომ ვისაც სიცოცხლე ჰსურს, თავის თავს თვითონვე უნდა მოუაროს და რომ თავისუფლება ხელგაუნძრევლად არავის ენიჭება" [3, 1903, №1].

გაზეთი ქართველ ხალხს თანამშრომლობისაკენ მოუხმობს და მკითხველს ჰპირდება ყველა იმ ძალმომრეობისა და უსამართლობის გამოაშკარავებას, რომელსაც რუსეთის მთავრობა სჩადის ჩვენი ქვეყნის მიმართ. რედაქცია თვლის, რომ „დროა ქართველ პოლიტიკურ აზრს თავისუფალი გასავალი მიეცეს, როგორმე მოხერხდეს შეთანხმება რუსეთის ოპოზიციასთან, რათა რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა პროგრამებში ქართული ეროვნების კითხვაც იყოს შეტანილი" [3, №1]. ამავე დროს, მისი სურვილია, რომ ჩვენმა ხალხმა ევროპაში თანამგრძნობი გაიჩინოს. სწორედ ამ მიზნით რედაქცია გადაწყვეტს, გამოსცეს დამატება ფრანგულ ენაზე. სოციალისტ-ფედერალისტებმა კარგად იციან, რომ ევროპა რუსეთის შინაურ საქმეებში არ ჩაერევა და მისგან დახმარებასაც ვერ მიიღებენ, მაგრამ დიდი სურვილი აქვთ და იმედიც მისი თანაგრძნობის, რაც ჩაგრულ ერს გაამხნევებს და წაახალისებს.

სულ მალე „საქართველოს" დამატებად გამოდის ფრანგული „ლა ჟეორჟი". მასში ქვეყნდება არა მხოლოდ ქართული პერიოდული ორგანოდან თარგმნილი მასალები, არამედ ფრანგი და სხვა პოლიტიკური მოღვაწეების წერილები. ფრანგული დამატების რედაქტორად ინიშნება ქ-ნი რენო, ხოლო სარედაქციო საქმიანობაში მონაწილეობს გ. დეკანოზიშვილის მეუღლე, ჰანრიეტა ფრენუა.

გაზეთი „საქართველო" აწყობილია „პარიზული" შრიფტით, რომელიც გამოირჩევა გრაფიკული სრულყოფითა და ადვილწასაკითხაობით. გაზეთის სახელწოდების მარჯვნივ ყველა ნომერს აქვს მინაწერი: „თუმცა პირადად არ გიცნობ და „საქართველოც" არ დაგიკვეთნიათ, მაგრამ ადრესი გავიგეთ და გიგზავნით". წარწერა იმის მაუწყებელია, რომ გაზეთი არალეგალურად შემო-

დიოდა საქართველოში და ხელმოუწერლად ვრცელდებოდა. რედაქცია მკითხველს სთხოვს, გაზეთის ყოველი ნომერი წაკითხვის შემდეგ სხვებსაც გადასცეს და ხელი შეუწყოს მის გავრცელებას. ასევე სთხოვს მკითხველებს მასალების გამოგზავნას როგორც ქართული, ასევე ფრანგული დამატებისათვის. რედაქციას განზრახული აქვს, დაბეჭდოს სხვადასხვა ხასიათის წერილები, რომლებიც ხალხის ინტერესების გამომხატველი იქნება. ამასთანავე უფლებას იტოვებს სათანადო შენიშვნებისათვის. მართლაც, „საქართველოში", გარდა სოციალისტ-ფედერალისტთა იდეების გამომხატველი წერილებისა, გვხვდება სხვა ჟღერადობის მასალებიც. მაგალითად, მენშევიკთა ლიდერი ნოე ჟორდანია ბეჭდავს წერილებს კავკასიაში მუშათა მოძრაობის შესახებ.

გაზეთი ძირითადად რვაგვერდიანია. გვხვდება 12-14-გვერდიანი ნომრებიც. წლიური ფასი ხუთი მანეთია, თითოეული ნომერი 25 კაპიკი ღირს. მასალათა უმეტესობა ხელმოუწერელია. არ არის მინიშნებული რედაქტორის გვარი, გამომცემლობის მისამართი. ყველა ნომერი იხსნება მოწინავე სტატიით, რომელთა უმეტესობის ავტორია არჩილ ჯორჯაძე. აქვს რუბრიკები. „ჩვენი ცხოვრების მატიანეში" თავსდება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მირებული კორესპონდენციები, რუსეთის ამბებს გვაცნობს სპეციალური რუბრიკა „რუსეთის ქრონიკა".

რედაქცია ცდილობს მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას მკითხველებთან, სურს მათი აქტიური ჩაბმა თავის საქმიანობაში. ამ მიზანს ემსახურება რუბრიკა „საქართველოს ფოსტა". რედაქცია მადლობას უხდის პუბლიკაციათა ავტორებს, გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხის შესახებ, იწონებს ან უწუნებს წერილებში დასმული პრობლემების გადაწყვეტას.

როგორც ცნობილია და აღვნიშნეთ კიდეც, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამის მთავარი საფუძველი საქართველოს ავტონომიაა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ გაზეთი პირველსავე ნომერში ეროვნულ ავტონომიას მოითხოვს.

მეთაურ წერილში პუბლიცისტი აცხადებს ქართველი ხალხის მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს და ხელი შეუწყოს როგორც რუსეთის თავისუფლებას, ასევე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენასა და განმტკიცებას. იგი მსჯელობს „ეროვნული ვინაობის აღდგენის" გზებზე და ჩვენი ქვეყნისათვის მისაღებ ერთადერთ სწორ ფორმად ეროვნულ ავტონომიას მიიჩნევს, ავტონომიას, როდესაც „ხალხი თვითონ დაიცავს თავს მეფეთა დაუხმარებლად წარმომადგენლობითი დაწესებულებათა საშუალებით". ამავე დროს ხაზს უსვამს, რომ ის და მისი მეგობრები წინააღმდეგნი არიან სეპარატიზმისა და ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ავტონომიის მოთხოვნით შემოიფარგლებიან. „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის, – წერს გაზეთი – ნათლად და აშკარად ვამბობთ, ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ, ჩვენი წადილი და მისწრაფება განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყოთ სრულიად დამოუკიდებელნი: ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ" [3, №1].

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთში ქვეყნდება სეპარატისტული ხასიათის წერილებიც შენიშვნების დართვით (1903 №2, №7; 1904 №8). როგორც ჩანს, გაზეთის დამაარსებლები სრულ დამოუკიდებლობაზე ოცნებობენ, მაგრამ ამ ეტაპზე ეს განუხორციელებლად ეჩვენებათ.

რედაქცია ქვეყნის ფედერაციულ მოწყობას ანიჭებს უპირატესობას და რუსეთის თავისუფალ პრესას ამ საკითხის ირგვლივ აზრის გამოთქმას სთხოვს: „საგანი მძიმეა და აქ ჩვენი შეთანხმებაა საჭირო, რადგან, ვიმეორებთ, ჩვენ ძმობა და ერთობა გვსურს და არა განკერძოება და გაყრა. ხოლოდ ჩვენ გვწადის მომავალი ეროვნულ და ადგილობრივ სხვადასხვაობაზედ დავამყაროთ. ჩვენ გვსურს თავისუფალი და არა ძალდატანებითი ერთობა [3, №2}.

ეროვნული ავტონომიის შექმნისა და რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საფუძველზე გარდაქმნის იდეა XIX საუკუნის 80-იან წლებში უკვე არსებობს. ამ საკითხს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები აყენებენ, მაგრამ მძიმე საცენზურო პირობების გამო ისინი ვერ ახერხებენ თავიანთი შეხედულებების აშკარად გამოთქმას, თანაც, როგორც აკაკი ბაქრაძე შენიშნავს, „ილიას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანა და უფრო ხელსაყრელ დროს ელოდა. 1905 წლის 6 მარტს კი თავადაზნაურობის კერძო თათბირზე საჯაროდ მოითხოვა: „ჩვენი ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგანო”.

სოციალისტ-ფედერალისტთა და „საქართველოს” დამსახურება კი ის არის, რომ ქართულ პრესაში პირველად მათ დაიწყეს ამ თემაზე ხმამაღალი საუბარი და საქართველოს ეროვნული ბრძოლის ერთადერთ გზად ეროვნული ავტონომია აღიარეს.

გაზეთმა ორ წელს იარსება. ამ ხნის განმავლობაში იგი მკაფიოდ აყალიბებს სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნულ და სოციალურ შეხედულებებს: არკვევს მომავალი ავტონომიური საქართველოს საზღვრების საკითხს, მსჯელობს ქვეყნის მოწყობის გზებსა და პრინციპებზე, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქართული ენის დაცვისა და მისი უპირატესობის საკითხს. დასაყრდენ ძალად კი მიიჩნევს ყველას, ვინც კი მომხრეა ეროვნული ავტონომიის. ამავე დროს აღიარებს კლასთა ბრძოლის არსებობას და ხალხს რევოლუციისაკენ მოუწოდებს. იგი კატეგორიულად უარყოფს ისეთ ავტონომიას, სადაც ერთი კლასი მეორეს დაჩაგრავს.

სოციალისტ-ფედერალისტთა პერიოდული ორგანო 1905 წლის მაისში დაიხურა. ამ მეტად რთულ პერიოდში მისი უცხოეთში შენახვა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამასთანავე არჩილ ჯორჯაძეს, „საქართველოს” იდეურ ხელმძღვანელს, ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს, რათა კვლავინდებურად გაძღოლოდა მას. ჯერ კიდევ 1904 წლის შემოდგომაზე გაზეთის რედაქტორმა, გ. ლასხიშვილმა, საჭიროდ აღარ მიიჩნია გაზეთის გამოცემა, რადგან ჩათვალა, რომ „საქართველომ” თავისი მისია შეასრულა. მან „ქართულ პოლიტიკურ აზრს თავისუფალი გასავალი მისცა, სააშკარაოზე გაიტანა სოციალისტ-ფედერალისტთა იდეები, მოთხოვნები, ხელი შეუწყო მათი ეროვნული თვალსაზრისის შემუშავებას, პარტიის პროგრამის საბოლოო ჩამოყალიბებას. ამასთან ევროპას აგრძნობინა, რომ ქართველი ხალხი ვერ შეურიგდებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვას და მზად იყო ებრძოლა სანატრელი მიზნის მისაღწევად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამეზარდაშვილი დ., ნიკოლაძე ნ., 1983;
2. ლასხიშვილი გ.„ „მემუარები”, 1992;
3. გაზ. „საქართველო”, 1903-1905.

Prerevolutionary Georgian Press in Foreign Countries

Manana Datukishvili
Georgian Technical Universiti, Kostava Str., 77, Tbilisi, Georgia

In the article first Georgian newspapers published in foreign countries such as: "Drosha" (established by N. Nikoladze, Data Mikeladze and Pavle Izmaliov) and "Sakartvelo" (established by socialists-federalists) are discussed. Here are talking about aims and tasks of newspapers; its belief, role and meaning in the history of our country and Georgian journalism have been cleared up.

Дореволюционная грузинская пресса за границей

ассоц. проф. М. Датукишвили
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, ул. Костава 77

В статье рассмотренны первые грузинские газеты издаваемые за границей: «Дроша», которую издавали 1873 г. в Париже Нико Николадзе, Дата Микеладзе и Павел Измаилов, и газета партии социалист-федералистов «Сакартвело», которая выходила 1903-1905 г.гю в Париже; Речь идёт о целях и задачах стоящих перед ними, определены их убеждения, их роль и значение в истории нашей страны и грузинской журналистики.

Особенности перевода информационных текстов прессы на русском языке

Козлова Е, Гудушаури М.
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси,ул.Костава 77

Проблема перевода возникла на самых ранних этапах культурных взаимоотношений между разными народами. Она решалась не только при выполнении простейших переводов, но и в некоторых рассуждениях о способах и стиле перевода, связанных с этой практикой.

Развитие средств информации и коммуникации, повышение культурного и образовательного уровней, осознание необходимости взаимопонимания и сотрудничества, поиски путей и средств решения глобальных проблем современности требуют объединения усилий представителей разных народов. Эти факторы являются мощным стимулом для изучения иностранных языков, во-первых, и для развития переводческой деятельности, во-вторых. Для удовлетворения потребности в переводчиках во многих странах (Грузия не исключение) существуют переводческие школы, факультеты в университетах, отдельные институты. Специалисты совер-шенствуют необходимую теоретическую базу для создания эффективного курса подготовки высококвалифицированных переводчиков. Однако всё это мало касается подготовки специалистов, которые могут эффективно заниматься переводом текстов периодической печати, газетно-публицистического стиля речи, обладающего определённой спецификой, и необходимостью их учёта при переводе. Зачастую переводчикам не хватает специальных знаний в области теории массовых коммуникаций, коими обладают специалисты, работающие в медиа. Сегодня мы должны говорить о необходимости формирования определённых переводческих

навыков при обучении будущих журналистов. Для тогочтобы сделать качественный перевод, недостаточно владение двумя языками, необходимоглубокое знание и предмета речи, это совершенно очевидно.

Перевод является отражением оригинала. Чем вернее, чем целостнее это отражение, тем выше качество перевода. «Перевод должен не только отразить, но и пересоздать оригинал, не «скопировать» его содержание и форму, а воссоздать их средствами другого языка для другого читателя, находящегося в условиях другой культуры, эпохи, общества»(1, с.29).

Перевод – сложный процесс, в нём участвуют все духовные силы человека: интеллект, интуиция, воображение, воля, память. Следует обратить внимание и напонятие переводческой нормы. На её основе строится стратегия перевода, проводится краткий или подробный предпереводный анализ текста, оценивается, в конечном итоге, качество сделанного перевода. Для сознательного и правильного выполнения своих функций переводчик должен ясно представлять себе цель своей деятельности и пути её достижения. Такое понимание основывается на глубоком знакомстве с основами теории перевода, как общей, так и специальной и частной (в нашем случае с правилами перевода и передачи стилистических особенностей информационных материалов газет и журналов), применительно к той комбинации языков, с которыми переводчик имеет дело. Оно предполагает знание системы соответствий между русским и грузинским языками, умение выбрать необходимое соответствие и применить наиболее эффективный приём перевода в соответствии с условиями конкретного контекста, учёт прагматических факторов, влияющих на ход и результат процесса перевода печатного материала.

Журналист-переводчик в качестве объекта имеет особую знаковую и содержательную систему текста и заданную коммуникативную (прагматическую) направленность его перевода. Материалы информационного жанра составляют основное содержание печатных текстов СМИ. Переводчику приходится переводить материалы информационного характера из российских газет полностью или в виде рефератов.Его деятельность при этомпредполагает тесную привязку к переводимому тексту(иногда её считают близкой тиражированию, что представляется мнением преувеличенным и предвзятым), к стилистике печатного произведения.

Газета – средство информации и убеждения. Она рассчитана на массовую, при этом очень неоднородную, аудиторию.Реципиентамигазетно-журнальных текстов являются широкие слои населения. Прессу обычно читают в условиях, когда сосредоточиться довольно трудно: в метро, в поезде, за завтраком, отдыхая после работы, в обеденный перерыв, заполняя почему-либо освободившийся короткий промежуток времени и т.п. Отсюда необходимость так организовать газетную информацию, чтобы передать ее быстро, сжато, сообщить основное, даже если текст не будет дочитан до конца, и оказать на читателя определенное эмоциональное воздействие. Изложение не должно требовать от читателя предварительной подготовки, зависимость от контекста должна быть минимальной. Вместе с тем, наряду с обычной, постоянно повторяющейся тематикой в газете может появиться любая другая, почему-либо оказавшаяся актуальной в данный момент. Затем уже эти новые ситуации и аргументы тоже начинают повторяться. Эта повторяемость, а также и то, что журналист обычно не имеет времени на тщательную обработку материала, ведут к частому использованию штампов, определённую недоговорённость. Всё это вместе взятое и создает своеобразие стилеобразующих факторов газетного текста, которые переводчик должен учитывать в своей работе. [3,с. 34]. Естественно, журналисту-практику, обладающему

специальными теоретическими и практическими навыками в области перевода, сделать это качественно, гораздо легче и проще.

Основной целью, которую преследует публицистический стиль, является передача конкретных сведений с определенных позиций длянеобходимого воздействия на аудиторию, получающую информацию. По своей коммуникативной сущности этот стиль близок официально-деловому. Он принципиально ориентирован на группового, а не индивидуального адресата. Основным отличием газетно-информационного стиля от научно-технического, например, следует считать специфическое содержание, которое должно быть доступно для понимания многими людьми, не обладающими специализированными знаниями. Впрочем, ввиду того, что и в газетно-информационном стиле присутствует передача определённых фактов, то и здесь необходимы точные термины и обозначения, определяющие обширный ряд понятий и явлений. Для газетно-информационного стиля характерно наличие политической терминологии, которой свойственны те же основные структурные черты, что и терминологии научно-технических текстов. Тем не менее, существует и целый ряд отличий, базирующихся на меньшей строгости и порядке систем общественно-политических терминов. В газетно-информационном стиле значения некоторых терминов во многом зависят от тех или иных идеологических теорий и доктрин.

Особую конкретику и определенность сообщению в информационных текстах придает использование имен и названий. Все это предполагает у индивида, воспринимающего текст, наличие фоновых знаний. Названия и имена нередко используются в сокращенной форме, которая нуждается в сопутствующей расшифровке.

Современному русскому языку, а особенно его газетно-информационному стилю, присущастилистическая разноплановость лексики с частым включением разговорных слов и словосочетаний, широкое использование готовых клише. В данном случае в термин «клише» не вкладывается никакой негативной оценки, так как имеются в виду конструкции, которые имеют устойчивую сочетаемость, актуальную лишь в рамках публицистического стиля. Примерами таких сочетаний могут быть выражения «демографический взрыв» или «мрачные прогнозы». Такие клише, как правило, метафоричны, но их метафоричность стерлась, хотя они продолжают служить для читателя определенным сигналом, создавать эмоциональный фон, который не мешает восприятию когнитивной информации. Через клише передается оценка автора, позиция издания. Несмотря на то, что целью является сообщение информации, чаще всего она передается не беспристрастно. Чтобы понять разницу в подаче информации, достаточно почитать наши и российские СМИ, освещающие один и тот же вопрос.

Газетному-публицистическому стилю свойственны все языковые функции за исключением эстетической и контакто-устанавливающей. Следует, однако, оговориться, что это справедливо по отношению не ко всем газетным материалам. Газетные материалы могут в большей или меньшей степени приближаться то к научному, то к художественному тексту и выполнять в этой связи соответствующий набор функций. Впрочем, правильнее сказать, что эстетическая и контакто- устанавливающая функции не отсутствуют, а имеют особый характер и выполняются главным образом графическими средствами: шрифтами, заголовками, которые должны бросаться в глаза и привлекать к себе внимание даже издали, делением на полосы, распределением одной статьи по разным страницам, что увеличивает шанс хоть какой-то из них попасться читателю на глаза, особыми заголовками к параграфам.

Для языка российских газетных материалов характерно использование разговорных оборотов в самых серьезных по содержанию текстах. Авторы стремятся приукрасить

сухое сообщение использованием отдельных жаргонизмов, перифраз и т. д. Обычно эти «включения» при переводе не передаются, что не только обедняет перевод, делая его менее метким и выразительным, но порой просто искажает его смысл.

Большое значение для переводчика при работе с информационными материалами приобретает умение понимать и быстро переводить газетные заголовки.Оно особенно необходимо при переводе газетных материалов устно, с листа, и при реферировании. Если переводчик, фиксирующий результаты своего труда на письме, в тех случаях, когда заголовок труден для понимания, может вернуться к проблеме его передачи, то при устном переводе такой возможности, как правило, не имеется. Устный перевод газетного материала обычно начинается с перевода заголовка, а при реферировании газетного материала положение осложняется еще и тем, что именно по заголовкам переводчик должен определить, относится ли тот или иной материал к необходимой ему теме или нет. Между тем, в силу ряда специфических особенностей газетных заголовков, их понимание и перевод представляют значительную трудность и требуют большого мастерства.

Итак, перевод информационных текстов печатистал сегодня одним из самых востребованных.К данному виду перевода предъявляются очень высокие требования: он должен быть сверхоперативным, максимально точным и политкорректным. Всё вышесказанное требует подготовки специалистов новой формации, журналистов-переводчиков, знающих своё дело, во-первых, и хорошо разбирающихся в тонкостях теории и практики перевода, во-вторых.

Литература:

1. *Алимов В.В.* Общественно-политический перевод. - М., 2007.
2. *Алексеева И.С.* Профессиональное обучение переводчика / Институт иностранных языков. - СПб., 2000.
3. *Брандес М.П., Провоторов* В.И. Предпереводческий анализ текста. - Курск: РОСИ, 1999.
4. *ЗражевскаяТ. А., Гускова*Т. И. Трудностипереводаобщественно-политическоготекста. - М., 1986.

Translation aspects of information texts in Russian press.

Kozlova E., Gudushauri M.

Translation of printing texts has now become one of the most essential. For this type of translationvery high requirements are produced: it must be the scratch padded, the most accurate and politically correct. All this requires training of new formationspecialists, journalist-translatorswho know their business, firstly, and well versed in the intricacies of the theory of practice of translation, secondly.

პრესის საინფორმაციო ტქსტების რუსულ ენაზე თარგმნის თავისებურება

ე. კოზლოვა, მ. ღუდუშაური

პრესის საინფორმაციო ტქესტების რუსულ ენაზე თარგმნის თავისებურება დღეისათვის მეტად მომთხოვნადი გახდა. ამ სფეროს თარგმნისადმი დღეს მეტად სერიოზული მოთხოვნებას წაყენებული: იგი უნდა იყოს მაქსიმალურად ზუსტი და პოლიტკორექტული.

ზემოთაღნიშნული მოითხოვს ახალი ფორმაციის სპეციალისთა გამზადება.

საზოგადოებრივი მეცნიერებანი – Общественные дисциплины – Social sciences

მიხეილ თამარაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა

ზურაბ გამეზარდაშვილი
სტუ სრული პროფესორი

მიხეილ თამარაშვილი ქართველ მეცნიერთა და პატრიოტთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელსაც ქართულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის პირველი ქართველი მკვლევარია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა და მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დაამკვიდრა საქართველოს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის მრავალფეროვანი და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კვლევა-შესწავლა.

გაუკვალავ გზაზე უხდებოდა მიხეილ თამარაშვილს ვატიკანის არქივებსა და წიგნსაცავებში მუშაობა. არა მარტო მაშინ, არამედ დღესაც, როცა ასე თუ ისე მოწესრიგებულია აღნიშნული არქივი და წიგნსაცავები, ძალზე ძნელია საბუთების მიკვლევა. ჩემი გამოცდილება ამ საქმეში ადვილად მარწმუნებს, რომ თამარაშვილმა დაუჯერებელი და ტიტანური შრომა გასწია მანამდე უცნობი, უნიკალური მასალების მოძიებაში.

ცნობილია, რომ დოკუმენტური მასალის დამუშავება მოითხოვს საგანგებო მეთოდიკას, სპეციალისტის უნარს, დაისტალებას, რაც შეიძლება სრულად ამოიღოს ინფორმაცია მასალიდან ისე, რომ არ დაიკარგოს არცერთი მნიშვნელოვანი ცნობა, ნიუანსი. ამ თვალსაზრისით, მიხეილ თამარაშვილი გამორჩეული წყაროთმცოდნეა, რადგან მან წყაროებს გამოყენებითი ფუნქცია მიანიჭა და ამიტომ მთლიანად მოჰქონდა მის მიერ მიკვლეული ახალ-ახალი საბუთები. მკვლევარმა სრულიად მართებულად მასალების წყაროთმცოდნეობით შესწავლას ნაკლები ადგილი დაუთმო და მთელი ყურადღება მის წარმომავლობასა და შინაარსზე გადაიტანა. ეს მეთოდი სავსებით მიზანშეწონილი იყო, რადგან მკვლევრის ამოცანას უცნობი წყაროების ცნობათა მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა წარმოადგენდა. კიდევ მეტი, ამ ახალ მასალებს პარალელი არ მოეპოვებოდა ქართულ ან რომელიმე სხვა ენაზე დაწერილ წყაროებში. ეს გარემოება, ეჭვგარეშეა, ასეთი ცნობების მნიშვნელობას ძალიან ზრდიდა.

მ. თამარაშვილმა თავდაუზოგავი შრომით მასალათა ის რაოდენობა დააგროვა, რომ ადგილი არ რჩებოდა დოკუმენტის, როგორც საისტორიო წყაროს, დახასიათებისათვის. მიუხედავად ამისა, მან შედარებითი მეთოდის გამოყენებით პირველხარისხოვანი მასალები შეარჩია და მოვლენები თანმიმდევრობით დაალაგა. ამაში ჩვენ დავრწმუნდით მ. თამარაშვილის ნაკვალევზე ვატიკანის არქივებში მუშაობისას. კერძოდ, ის დოკუმენტები, რომლებსაც მაშინ მან ვერ მიაგნო თუ ვერ იპოვა, ბევრად არ ცვლის ამა თუ იმ საკითხზე მკვლევრის მიერ გაკეთებული ფუნდამენტური დასკვნების არგუმენტებს. აღნიშნული მეთოდით ხშირ შემთხვევაში ავტორი უპირატესობას ანიჭებს იმ მასალებს, რომელიც თანამედროვის მიერ არის შედგენილი და ამით მან სავსებით სწორად ასეთი საბუთების განსაკუთრებული

მნიშვნელობა აჩვენა. ამგვარ საკითხებთან ერთად მ. თამარაშვილი გვერდს არ უვლის საბუთის შემდგენის ვინაობის დადგენას, მის დათარიღებას. კვლევის პროცესში იშველიებს მხოლოდ პირველწყაროებს და შესაბამის ლიტერატურას.

ამავე დროს მიზნად დაისახა, რომ მონუმენტურად წარმოედგინა საქართველოს წარსული ისტორიის შესახებ ევროპული წყაროების ღირებულება. ასე რომ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში მ. თამარაშვილმა პირველმა აჩვენა ევროპული წყაროების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მთავარი ღირსება ამ წყაროებისა ის გახლავთ, რომ იგი დღევანდელი ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. უფრო მეტიც, პირველწყაროების სიუხვის თვალსაზრისით მის ამ შრომაში მოტანილი მასალები დღემდე ინარჩუნებენ ფასდაუდებელ ღირებულებას.

ფართო მეცნიერული ინტერესების მკვლევარმა მ. თამარაშვილმა ხუთი წლის თავდაუზოგავი შრომის შედეგად 1900 წლისათვის უკვე გაამზადა დასაბეჭდად ხელნაწერი ფუნდამენტური შრომისა – „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. ეს ფუძემდებლური ნაშრომი ბრწყინვალედ ავლენს მ. თამარაშვილის მიერ ჩატარებული მეცნიერული მუშაობის ორ სახეს: მანამდე სრულიად უცნობი ახალი პრობლემის დასმა და ძველთა ახლებური გადაწყვეტა. ეს ყველაფერი შესრულებულია ახალი მასალების გენეტიკური კავშირის ფორმების დაცვით, ტექსტოლოგიური კვლევის ღრმა ცოდნით, დიდი ტაქტითა და სათანადო დამაჯერებლობით.

ამ ნაშრომმა ნათლად გამოაჩინა, რომ თამარაშვილის სახით ჩვენს ქვეყანას უკვე ჰყავდა ისეთი მეცნიერი, რომელიც დაიცავდა არა მარტო ქართველ კათოლიკეთა ეროვნულ ინტერესებს, არამედ მთელი საქართველოს ისტორიულ წარსულს – გამყალბებლებისაგან. ზემოაღნიშნულ წიგნში მოყვანილი დიდძალი დოკუმენტები და მკვლევრის მიერ წამოჭრილი საკითხები სცილდება მის ვიწრო ფარგლებს და გვიშლის საქართველოს ისტორიის მრავალ ახალ სურათს. აქ ქართველ კათოლიკეთა ისტორია ორგანულად უკავშირდება საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებს. ამ თვალსაზრისით, მ. თამარაშვილის მიერ გამოვლენილ, შესწავლილ და დადგენილ მასალებს თანაბარი ღირებულება აქვს კათოლიკობისა და ევროპასთან საქართველოს მრავალსაუნოვანი ურთიერთობის ისტორიისათვის.

მკვლევრის მიზანია XIII-XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სხვადასხვა ორდენის კათოლიკე მამების მოღვაწეობის შესწავლა. იგი არკვევს და აანალიზებს საქართველოში კათოლიკე პატრების პირველ ნაბიჯებს, მათ მიზნებს, ამოცანებსა და ეკლესიათა უნიისათვის ბრძოლის შედეგებს. მ. თამარაშვილმა, როგორც მანამდე არავინ, საქართველო-ევროპის ურთიერთობის სამხედრო, პოლიტიკურ, დიპლომატიურ, რელიგიურ და კულტურული ურთიერთობების კონტექსტში ორიგინალურად აჩვენა ამ კავშირების ურთიერთგანპირობებელი პროცესი. მან გახსნა ამ პროცესის მამოძრავებელი ფაქტორები და გვიჩვენა, თუ როგორ მიისწრაფვოდა XIII-XVIII საუკუნეების საქართველო ევროპული ცივილიზაციასთან ზიარებისკენ.

აღნიშნული საკითხების გაშუქებით თამარაშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე უცნობი, მეტად საინტერესო ეპოქა გადაგვიშალა. ამას იმ დროისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის მარწუხებში

იყო მოქცეული და საქართველო მხოლოდ სათავგადასავლო ისტორიის ანაბარა იყო დარჩენილი, ამ წიგნით გამოჩნდა ის მემკვიდრეობა, რომელიც ძველ ისტორიას ახალ სულსა და ჟღერადობას ანიჭებდა.

საგანგებოდ აღსანიშნავია თამარაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიას რომის ეკლესიასთან ქრისტიანული სამყაროს გათიშვისთანავე (1054 წელს) არ გაუწყვეტია ურთიერთობა; რომ საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთებით პაპები განსაკუთრებით XIV საუკუნის დასაწყისში დაინტერესდნენ და ამის შესახებ გიორგი V ბრწყინვალესთან ენერგიული მიმოწერა გამართეს. ახლად აღმოჩენილი დოკუმენტების საფუძველზე მკვლევარი მსჯელობს ქართულ-მართლმადიდებლური და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის „დოგმატობრივ ერთგვაროვნებაზე“, რაც საქართველოს სამეფოს აძლევდა საშუალებას, რომ უფრო ახლოს მდგარიყო რომთან, ვიდრე იმ დროის სხვა მართლმადიდებლურ სახელმწიფოებთან.

დიდი ერუდიცია თეოლოგიაში, საისტორიო წყაროებში ღრმა წვდომის უნარი, თამარაშვილს საშუალებას აძლევდა, მოეცა ისეთი დებულებები, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იყო საქართველოს ევროპაზე ორიენტაციის გაგება. ამასთანავე მკვლევარმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ჩვენთვის მანამდე უცნობი პირველწყარო: პაოლო მარია ჩიტადინი და ფანეცას, გრეგორიო ორსინის, პიეტრო დელა ვალეს, დონ არქანჯელო ლამბერტის, დონ კრისტოფორო დე კასტელის, დონ კლემენტე გალანოს, დონ ფრანჩესკო მარია მაჯოს, დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს, დონ ჯუსტო პრატოს, დონ პიეტრო ავიტაბილეს, დონ ჯუზეპე ძამპის, ანდრეა ბორომეოს, ლეონეს, ანდრეა პალერმოელის და სხვათა მოხსენებები, რელაციები და წიგნები. ამ წყაროებში მრავალი უეჭველი და უნიკალური ფაქტია ასახული ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან, რომელსაც დღესაც ფასდაუდებელი ღირებულება გააჩნია. თამარაშვილის ნატიფი კვლევა-ძიებით წარმოჩინდა დასახელებულ ავტორთა თხზულებების საერთო კულტურული მნიშვნელობა. ავტორმა დიდი ოსტატობით აჩვენა, თუ რა დადებითი როლი შეასრულეს საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთგაგებაში, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტაქტების დამყარებაში კათოლიკე მამების შრომებმა. სწორედ, კათოლიკე პატრების ნაშრომებით წარსდგა საქართველო დასავლეთ ევროპის წინაშე.

მ. თამარაშვილმა დიდი სიყვარულითა და საკვლევი თემის ღრმა ცოდნით დაამუშავა რა მის მიერვე აღმოჩენილი მასალები, ქართული ეროვნული დიპლომატიის არაერთი საკითხი დასვა და გადაწყვიტა. ფასდაუდებელია მისი დამსახურება ამ პრობლემაზე წყაროების მოპოვების თვალსაზრისით. მან მტკიცე საფუძველი შეუქმნა ვატიკანთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, გერმანია, ავსტრია, ტრანსილვანია) საქართველოს სამხედრო, დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლას.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მ. თამარაშვილის ძირითადი დასკვნები პაპობასთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ. მან არგუმენტირებულად აჩვენა, რომ XIII-XVII საუკუნეებში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა იყო. ანტიოსმალური კოალიციის ევოლუციის ფონზე მკვლევარმა ორგანულ კავშირში აჩვენა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ქართველი მეფე-მთავრების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის მიზნები, ამოცანები და შედეგები. ამ

პრობლემის შესახებ გამოთქმული თეზისები განმტკიცებულია ვრცელი ფაქტობრივი მასალებით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მ. თამარაშვილმა პირველად აჩვენა XV-XVII სს. საქართველოს მეფე-მთავართა მიერ დასავლეთში დიპლომატიური მისიით გაგზავნილი ელჩობების (კირ ნილოს, ნიკოლოზ თბილელისა და ფარსადან ახალციხელის, ალექსანდრე ქართველის, ტერ იაკობის, ნიკიფორე ირბახის, სულხან-საბა ორბელიანის) მიზნები და შედეგები. მან ამ საკითხებზე ჩამოაყალიბა სახელმძღვანელო დებულებები. კერძოდ, მკვლევარმა უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ ქართველები რეალურ ანტიოსმალურ კოალიციას უყურებდნენ, როგორც ფიზიკური გადარჩენის საშუალებას, ხოლო ევროპის სახელმწიფოები კი ანტიოსმალურ ბრძოლას იყენებდნენ თავიანთი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად.

წიგნში „ისტორია კათოლიკობისა“ ავტორმა დიდი ადგილი დაუთმო გვიანფეოდალური, დაქუცმაცებული საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის ატეხილი ფეოდალური ომების გაშუქებას. ვრცლად შეჩერდა იმ სოციალური სენის დახასიათებაზე, რომელიც უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ღრღნიდა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს და რომელსაც „ტყვის სყიდვა“ ერქვა. თამარაშვილმა ამ პროცესს, სავსებით სამართლიანად, „ერის სულიერი და ხორციელი უბედურება“ უწოდა.

ახალი წყაროების ყოველმხრივი ინტერპრეტაციით მ. თამარაშვილმა წარმოადგინა საქართველოსა და ქართველების შესახებ კათოლიკე პატრების მიერ შექმნილი თხზულებების დიდი კულტურული მნიშვნელობა. საფუძვლიანად გვიჩვენა, რომ მან დადებითი როლი შეასრულა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხების ურთიერთგაგებაში, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტაქტების დამყარებაში.

შეუძლებელია წინამდებარე ნაშრომის ფორმატში საფუძვლიანად შეაფასო მიხეილ თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა“ მეცნიერული ღირებულება. მკვლევარმა ისტორიულ კონტექსტში სისტემური მიდგომით დასახული ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა.

1910 წელს ფრანგულ ენაზე გამოვიდა კაპიტალური ნაშრომი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ (710 გვ.). ამ წიგნის გამოსვლა ფრანგულ ენაზე მოასწავებდა ევროპის ისტორიოგრაფიაში (ქართველოლოგიის კვლევის საკითხებში) ნამდვილ აღმოჩენას და წინ გადადგმულ ნაბიჯს. პრობლემის ღრმა მეცნიერული გააზრების საფუძველზე ამ წიგნში ქართული ეკლესიის ისტორია მსოფლიო ქრისტიანიზმის საერთო ფონზეა შესწავლილი. ის ეფუძნება იმ დებულებას, რომ ქართული ეკლესია იყო ქრისტიანული აღმოსავლეთის ავანგარდი და იბრძოდა საკაცობრიო ცივილიზაციის გადასარჩენად.

პროფესიონალი მეცნიერ-მკვლევარის მიზანმა, რომ ცივილიზებული ევროპისათვის გაეცნო ფაქტობრივად საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ისტორია, თავისებურად მოითხოვა წიგნის არქიტექტონიკის აგება. მასში ქართველი ერის წარმოშობა, მის მიერ გავლენის ისტორიული ეტაპები ქრისტიანობის ისტორიასთან, საქართველოში კათოლიკობის გავრცელებასთან და საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მრავალფეროვანი ურთიერთობის კონტექსტშია მოქცეული.

ეს უნივერსალური ნაშრომი ეფუძნება სხვადასხვა სახის ურიცხვ წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურას, ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ,

ესპანურ და ქართულ ენებზე. დაახლოებით 500-მდე წყარო და 300-ზე მეტი სპეციალური ლიტერატურაა მოხმობილი. აქედან ჩანს ნაშრომის უმდიდრესი წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

ამ წიგნის გამოსვლამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ამას ისიც მოწმობს, რომ რაღაც „ხუთიოდე თვის განმავლობაში 50-ზე მეტი რეცენზია დაიწერა ევროპის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ, გერმანულ, პოლონურ და სხვა ენებზე. წიგნს უმაღლესი შეფასება მისცა რომის პაპმა და კარდინალებმა“ (შოთა ლომსაძე). მანამდე ანალოგიური ხასიათის ნაშრომი სამამულო ისტორიოგრაფიაში არ მოიპოვებოდა. იგი დიდ სამსახურს უწევდა „ევროპელ მეცნიერებს, რომელთაც საშუალება მიეცათ უკეთესად გასცნობოდნენ საერთოდ აღმოსავლეთისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ არსებულ ორიგინალურ წყაროებს“ (დევიდ ლენგი). ის ფაქტი, რომ ამ წიგნზე დიდი მოთხოვნა და მისი რეცენზირების სურვილი იყო, უეჭველად მოწმობს, თუ რა დიდი იყო მისადმი ინტერესი მთელს ევროპაში.

პირველწყაროებზე დაყრდნობით ავტორმა აჩვენა, რომ შუა საუკუნეების მანძილზე საქართველო პოლიტიკურად და სულიერად ევროპას მიეკუთვნებოდა. მისი საეკლესიო, კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთზე ამის უტყუარი დასტურია. მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად დასავლეთთან რეალურ პოლიტიკურ მოკავშირეობამდე საქმე არასოდეს მისულა, მაგრამ აგრესორ სახელმწიფოებთან მარტო დარჩენილი ჩვენი ქვეყანა მუდამ იყო დასავლეთის ყურადღების საგანი. ამაში უდიდესი როლი ეკუთვნოდა რომსა და მის მესვეურებს. ამასთან კავშირში თამარაშვილმა პროფესიონალურად აჩვენა, რომ რელიგია ცივილიზაციის ცენტრალური ელემენტია. ამიტომ დასავლეთისაგან იზოლირებული საქართველო (XIII-XVIII სს.) მასთან კავშირს საქართველოში მოღვაწე კათოლიკეების მეშვეობით ამყარებდა.

მ. თამარაშვილმა წყაროების ოსტატური მომარჯვებით წარმოადგინა ქართულ მართლმადიდებელი და საქართველოში არსებული კათოლიკე ეკლესიათა ურთიერთობის უწყვეტი პროცესი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტრადიციულად ანტიკათოლიკურად განწყობილი რუსეთის იმპერიის უღელქვეშ, ამ ორ ეკლესიას შორის არ ყოფილა რაიმე უთანხმოება ან წინააღმდეგობა. პირიქით, რუსულ იმპერიალიზმთან ბრძოლაში განმტკიცდა მათი დაუმორჩილებელი ნება. კათოლიკური ეკლესია და პაპობა ეხმარებოდა ქართველობას და მათზე დაყრდნობით იცავდა ქართული ეკლესია საკუთარ სახეს. ეს კი მეტად ნიშანდობლივია ჩვენი ეპოქისათვის.

დაბოლოს, შემოქმედების ზენიტში მყოფ, 53 წლის ერისკაცსა და მეცნიერს მიხეილ თამარაშვილს დიდი გეგმები ჰქონდა დასახული. „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ გამოცემის შემდეგ მკვლევარი საქართველოს მოკლე პოლიტიკური ისტორიის შედგენაზე ფიქრობდა, სადაც მის მიერ მოძიებული ისტორიული საბუთებიც მრავლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამ ისტორიის ერთი ნაწილი მან დაწერა კიდეც. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გამოქვეყნების შემდეგ, მისი მიზანი იყო სამშობლოში ამოსვლა და შეგროვილი დიდძალი დოკუმენტური მასალის დალაგება და დამუშავება. მაგრამ ამ მიზნებს განხორციელება არ ეწერა. 1911 წლის 16 სექტემბერს, თავისი დაბადების თვეს, მიხეილ თამარაშვილმა იტალიაში სოფელ სანტა-მარინელასთან უცხოელი მოყვასისათვის თავი გაწირა. მან

ევროპას ქართველი ხალხი და საქართველო გააცნო არა მარტო ნაშრომებით, არამედ თავისი თავგანწირვითაც ასახელა ის.

მიხეილ თამარაშვილის სასულიერო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა იმდენად მრავალმხრივია, რომ მისი სრულად შეფასება წინამდებარე ფორმატში შეუძლებელი ხდება. ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ ერთ ადამიანს გაუკვალავ გზაზე ასეთი ტიტანური სამუშაოს შესრულება შეძლებოდა. უდიდესი ნიჭიერება, უაღრესი პროფესიული დახვეწილობა, პრინციპული ობიექტურობა, ჭეშმარიტი მამულიშვილობა, ერისა და ქვეყნის უდიდესი სიყვარული, უანგარო სამსახური – აი, ის თვისებები, რომლებიც მიხეილ თამარაშვილს ახასიათებდა, მარად მოსაგონარი დარჩება თაობებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902;
2. მ. თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბ., 1995;
3. მ. თამარაშვილი. პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას. თბ., 1904;
4. ზ. ჭიჭინაძე. ქართველ კათოლიკეთ პატრი მიხეილ თამარაშვილი. თფი-ლისი. 1904;
5. დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ., 1977;
6. Г. Жордания, З. Гамезардашвили. Римско-Католическая миссия и Грузия, Часть I, Тбилиси, 1994.

Scientific Heritage and Public work of Michael Tamarashvili

Zurab Gamezardashvili

Michael Tamarashvili belongs to the generation of outstanding Georgian scientist who has significantly developed Georgian historiography.

He is the first Georgian researcher who laid foundation and studied the centuries-old and many-sidled history of Georgian-European relations.

Michael Tamarashvili, as a historian, directed all his knowledge, based on primary-historical-sources, to prove the existence of Georgian Catholics. He turned this issue into a national area of research, the main objective of which was to introduce Georgian Catholics.

He turned this issue into a national area of research, the main objective of which was to introduce Georgian rite in Georgian Catholic Cathedrals.

It needed tremendous effort to embody this task on the then untrodden way. First of all it required hours of work in the libraries and book-stacks of Vatican.

Brilliant knowledge of many languages (Latin, Italian, French, Spanish, German, Russian and Armenian) enabled him to find a lot of historical records and documents which constituted the basis of his fundamental investigations: ,,The History of Catholicism among Georgians'' (1902); ,,Georgian Church from the Beginning until present'' (1910); ,,In Reply to Armenian Authors'' (1904).

His monumental work - ,,The History of Catholicism'', in fact reveals his aspects of scientific research, as a pioneer of study of the abovementioned issue. By Applying definite scientific methods, on the basis of various data, he gave appropriate order to the history of Catholicism in Georgia, from the XIII to the XIX centuries A.D.

In the result of a complex investigation, he proved the reliability of different sources, and due to step by step application of the historic principles, determined on a solid scientific ground the objectives, tasks and results of religious relationship between Georgia and Vatican.

This work significantly exceeds the frames of the history of Catholicism in Georgia and reflects the multi-faceted history of Georgian-European relationship that was absolutely unknown to Georgian historiography before that.

Thus, this work became a scientific foundation for the history of religious political, military, diplomatic and cultural relations between Georgia and Europe in the XIII-XVIII centuries, and the author himself, due to his research - ,,The history of Catholicism'' became unprecedented historian and expert of historical sources.

He was quite convincing to show that the main trend of the foreign policy in Georgia in the XIII-XVIII centuries was relationship between Georgia and Vatican .Georgian Kings and nobles used this trend to find allies among Western European States.

The same appreciation desires his another work: ,,Georgian church from the Beginning until present'', as one of the precious part of his. Scientific heritage, published in Rome in 1910 in French. It was a considerable contribution to Georgian Studies, as before that, research of this kind by a Georgian author didn't exist in Europe. The history of Georgian church in the work, based on deep knowledge of multiple themes, is considered against the backdrop of Christianity. The main concept of it is that Georgian Church was an avant-garde of Christian East fighting to save global civilization.

In his book ,,In Reply to Armenian Authors'' Michael Tamarashvili with strict scientific logic, supported by reliable primary sources answered those Armenian authors, who denied the existence of Catholics in Georgia. This book had such a great practical significance, that the contribution of Michael Tamarashvili to this issue considered equal to those accomplished by Ilia Chavchavadze. It's not easy to give thorough and comprehensive evaluation to the scientific activity of Michael Tamarashvili.

It's diversity makes this task impossible to be performed by a specialist of a single field.

He appears as an expert of all embracing historical sources, historian, researcher of the history of church, philologist, theologist and polemicist. He left his everlasting trance in all these areas of research.

Научное наследие и общественная деятельность Михаила Тамарашвили

Зураб Гамезардашвили

Михаил Тамарашвили принадлежит к поколению выдающихся грузинских ученых. Он первый грузинский исследователь, который положил начало и изучал многовековую историю грузино-европейских отношений.

Майкл Тамарашвили, как историк, направили все свои знания для доказательства существования грузинских католиков. Он приложил огромные усилия, чтобы воплотить эту задачу в реальность. В первую очередь это требовало много часов работы в библиотеках Ватикана.

Блестящее знание иностранных языков (латинский, итальянский, французский, испанский, немецкий, русский и армянский) позволило ему найти множество исторических документов и документов, которые составляют основу его фундаментальных исследований:,, История католицизма среди грузин" (1902);,, Грузинская Церковь с начала года по настоящее время"(1910);,, Он был достаточно убедительным, чтобы показать, что основное направление внешней политики Грузии в XIII-XVIII веков - это отношения между Грузией и Ватиканом.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი

ნ. კოტეტიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტი

ადამიანური რესურსების მართვა გულისხმობს ორგანიზაციაში ფორმალური სისტემების დამუშავებასა და გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანური შესაძლებლობების მწარმოებლურად გამოყე-ნებას ორგანიზაციული მიზნების განხორციელებისათვის.

არსებობს მენეჯერის პროფესიის აღწერის მიმართ სამი ძირითადი მიდგომა:

- **ფუნქციური** (''კლასიკური''), როდესაც მენეჯერის საქმიანობა სხვადასხვა ფუნქციის გაერთიანების გზით აღიწერება;
- **ქცევითი**, როდესაც მენეჯერის საქმიანობა წარმოდგენილია, როგორც განსხვავებული როლების შესრულების აუცილებლობა და უნარი;
- **დომინანტური**, როდესაც ორგანიზაციის ეფექტიანობის და მენეჯერის პიროვნული თვისებების ანალიზის საფუძველზე, ხელმძღვანელობის სხვადასხვა ტიპი (მართვის სტილი) გამოიყოფა.

აღსანიშნავია, რომ მენეჯერის პროფესიის აღწერისას ნებისმიერი მიდგომა ეყრდნობა მენეჯერის უნარს, ააწყოს ადამიანური ურთიერთობები ორგანიზაციაში.

ადამიანური რესურსების მართვა გულისხმობს ორგანიზაციაში ფორმალური სისტემების დამუშავებასა და გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყობს ადამიანური შესაძლებლობების მწარმოებლურად გამოყენებას ორგანიზაციული მიზნების განხორციელებისათვის.

თანამედროვე ადამიანური რესურსების მენეჯმენტი მოიცავს კადრების დაგეგმას, შერჩევას, დაქირავებას, განვითარებას, შეფასებას, კომპენსაციას, შრომითი საქმიანობისა და ურთიერთობების მართვას.

პერსონალის მართვის სისტემა მოწოდებულია უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რეალიზების პროცესი ადამიანური რესურსებით და განახორციელოს ამ რესურსების ეფექტიანი გამოყენება. ამისთვის ყალიბდება ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკა.

სამუშაო ძალის შენარჩუნებისთვის, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერები იყენებენ შრომის ანაზრაურებისა და სტიმულირების სისტემებს. შრომის ანაზღაურება თანამედროვე პირობებში მოიცავს როგორც უშუალოდ მომუშავის ფულადი ფორმით ხელფასს, ასევე დამატებით შეღავათებსა და ბონუსებს.


განასხვავებენ **ხელფასის ორგანიზაციის ფორმებსა და სისტემებს**:

- შრომის რაოდენობის გაზომვის წესის მიხედვით (სანარდო, დროითი, აკორდული);
- შრომის შედეგის შეფასების ფორმის მიხედვით (კოლექტიური და ინდივიდუალური);
- ანაზღაურების განსაზღვრის წესის მიხედვით (სტარიფო და უტარიფო); და ასევე
- ერთ და მრავალფაქტორულ სისტემებს (მარტივი დროითი, დროით - პრემიალური, პირდაპირი – სანარდო, სანარდო – პრემიული, სანარდო – პროგრესული და ა.შ.).

შრომის დამატებითი ანაზღაურება ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ორგანიზაციაში მოზიდვა-დაკავებას და მათ მაღალნაყოფიერ შრომას.

მენეჯერები განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ დანამატების განსაზღვრისადმი შემოქმედებით მიდგომას და ორგანიზაციებში ამისთვის მტკიცდება სპეციალური გეგმები. მათი ყველაზე გავრცელებული ფორმებია: დამატებით მოგებასა და შემოსავლებში მონაწილეობა (''Scanlon Plan'', ''Rucker Plan'', ''Improshare''), აგრეთვე ორგანიზაციის მუშაკთა მიერ **აქციების მიღების გეგმები** (Employee Stock Ownership Plans). ამ სისტემებში იყენებენ შრომის ნორმების ტრადიციულ მეთოდიკას (შრომატევადობას განსაზღვრავენ ნორმა-საათებში) და კოეფიციენტების ოთხ ჯგუფს: მრავლობითი დანახარჯების კოეფიციენტი, დასაშვები შრომითი დანახარჯების ფორმულა, საერთო კოეფიციენტი და განაწილებითი კოეფიციენტი.

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა მოიცავს სისტემური მოქმედებების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია საკადრო პროცედურების, საკადრო პოლიტიკისა და ორგანიზაციული კულტურის ურთიერთდაკავშირებული განვითარებისკენ. (ნახ. 1)



ნახ. 1. ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა

80-იან წლებში გავრცელებულ მენეჯმენტის სისტემურ კონცეფციათა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია „მაკ კინზის'' საკონსულტაციო კომპანიის ე.წ. „7-შ''-ის სქემა. გამოკვლევებმა ორგანიზაციის მართვის სფეროში ისინი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ეფექტიანი ორგანიზაციული სისტემა უნდა ეყრდნობოდეს შვიდ ურთიერთდაკავშირებულ შემადგენელს, რომელთაგან ერთ-ერთის ცვლილება აუცილებლად მოითხოვს დანარჩენი ექვსის შესაბამის ცვლილებასაც. ესენია: სტრატეგია (strategy), სტრუქტურა (structure), სისტემები (systems), სტილი (style), კადრები (staff), პერსონალის უნარ-ჩვევები (skills), გაზიარებული ფასეულობები (shared values). აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, მენეჯერები ყოველნაირად უნდა ცდილობდნენ სისტემის ქმედუნარიანობის შენარჩუნებას, შემადგენელი კომპონენტების ჰარმონიზაციის გზით. იგი ნათლად გვიჩვენებს სტრუქტურის, კულტურისა და ქცევის ურთიერთკავშირს და აერთიანებს მენეჯმენტის როგორც „ხისტ'' ელე-

მენტებს (ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრატეგია, მენეჯმენტის სისტემა), ასევე „რბილ" ფაქტორებს (მართვის სტილი, კადრების შემადგენლობა, კვალიფიკაციური შესაძლებლობები, გაზიარებული ფასეულობები).

მართვის მეცნიერების სკოლა წარმოადგენდა სისტემური მიდგომის წანამძღვარს და განაპირობებდა რთული სამმართველო პრობლემების სიღრმისეულ შესწავლას, მოდელებისა და მათემატიკური მეთოდების დამუშავებისა და გამოყენების საშუალებით.

სისტემათა თეორია მმართველებს ეხმარება უკეთ განსაზღვრონ ძირითადი ურთიერთ დამოკიდებულებები და ურთიერთმიმართებები: ორგანიზაციასა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის. ორგანიზაციასა და გარემოს შორის.

თანამედროვე მენეჯმენტის დებულებებით: მენეჯმენტის მთავარი ფიგურა ადამიანია, ამიტომაც, სისტემის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს ამ ადამიანთა ძალისხმევის ეფექტიანობაზე დამყარებული ერთობლივი საქმიანობა და შეძლებისდაგვარად აღმოფხვრას მათთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები. რადგან მენეჯმენტი დამყარებულია ორგანიზაციაში გაერთიანებულ ადამიანთა ინტეგრაციაზე, იგი მყარად ეფუძნება მათ კულტურას. მენეჯერები რასაც აკეთებენ ევროპაში, ამერიკასა და აზიაში, არსით ერთნაირია, მაგრამ თუ როგორ აკეთებენ ამას – შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს. ამიტომაც განვითარებადი ქვეყნების მენეჯერებისათვის უმთავრესია საკუთარ ტრადიციებში, ისტორიასა და კულტურაში მოიძიონ და გააცნობიერონ ის ელემენტები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მართვის მოდერნიზებული სისტემის ასაგებად.

მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური ამოცანაა მართვის მეცნიერული მიდგომების, პრინციპებისა და მეთოდების დამუშავება, ექსპერიმენტული შემოწმება და პრაქტიკული გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციათა საქმიანობის მოქნილად, საიმედოდ, პერსპექტიულად და ეფექტიანად წარმართვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Банковское дело; стратегическое руководство под. ред. В. Платонова, М. Хиггинса, М. 2001.
2. Никитина Т.В. Банковский менеджмент. "Питер" 2001.
3. თემურ ხომერიკი. მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი 2008.
4. Boye MR Managerial economics and business strategy.Inc. 1997
5. Thompson A.A., Jr., Formby J.P., Economics of the Firm, Prentice Hall, Inc.1993

Human Resource Management

N. Kotetishvili
Technical University of Georgia
PhD student

The theoretical-methodological goal of the management is to process scientific approaches, principles and methods of the management, its experimental verification and practical use, that should contribute to more flexible, reliable, long-term and effective management of the work of the organizations.

Менеджмент Человеческих Ресурсов

Н. Котетишвили
Грузинский Технический Университет

Задачей теоретически - методологического менеджмента является разработка научного подхода управления, принципов и методов, экспериментальная проверка и практическое использование, которая способствует направлению деятельности организаций гибко, надежно, перспективно и эффективно.

სურსათის უვნებლობის მართვის (HACCP) სისტემის ძირითადი პრინციპები

მზია წულუკიძე
სტუ, თბილისი, კოსტავას ქ. 77

სწრაფად ცვალებადი გარემო და მზარდი კონკურენცია კომპანიებსა და ევროკავშირში ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებს დიდი გამოწვევის წინაშე აყენებენ. კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას და შენარჩუნებას გარე ფაქტორებით გამოწვეული მოულოდნელობების მართვის ხელოვნება განაპირობებს.

საქართველომ საბჭოთა კავშირისაგან მემკვიდრეობით მიიღო საკვების უვნებლობის სისტემა ГОСТ-ი, რომელიც ძირითადად საბოლოო პროდუქტის შემოწმებას ეყრდნობოდა. იგი კორუფციისადმი მიდრეკილი, მოუქნელი და შეუთავსებელი იყო ახალ საბაზრო ეკონომიკასთან, აბრკოლებდა ინოვაციას, მისი ადაპტირება ვერ ხერხდებოდა მრეწველობის სიახლეებისა და პროდუქციის უვნებლობის სფეროში წამოჭრილი ახალი საკითხების შესაბამისად. ნაკლოვანებების მიუხედავად ГОСТ-ის, სისტემა მაინც უზრუნველყოფდა უსაფრთხოების გარკვეულ დონეს ქართველი მომხმარებლისათვის, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად მთლიანად მოიშალა. სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი, რომელსაც ფიზიკური ინფრასტრუქტურის ორგანიზება, წარმოების მონიტორინგისათვის მონაცემების გამოყენება და სანიტარული ნორმების დაწესება შეუძლია თითქმის მთლიანად გაქრა სურსათის სექტორიდან, მომხმარებელი თავის თავის იმედად დარჩა.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციების წესები მოითხოვს, რომ იმპორტირებულ და ადგილობრივ საკვებ პროდუქტებზე ხარისხისა და უვნებლობის ერთიდაიგივე ნორმები მოქმედებდეს.

სწორედ სურსათისა და უვნებლობის სფეროში ევროპული ტიპის სტანდარტების, სურსათის რეგულაციებთან სტრატეგიებთან, პერსპექტივებთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარების მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ აშშ - ის ქ. ბალტიმორში კომპანია „INTRALYTIX- Safety by natur” - თან, რომელიც

წარმატებით საქმიანობს აშშ - სა და ევროპაში ხარისხისა და უვნებლობის პრობლემის გადასაჭრელად.

მთელს მსოფლიოში ბიზნესის წარმატების, მუდმივი გაუმჯობესებისა და განვითარების, ახალი მომხმარებლის, ბაზრის მოძიების, კომპანიებში არსებული პროცესების გაუმჯობესების, საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდის უზრუნველყოფა, მომხმარებლის მოთხოვნები და საქართველოს სურსათის ხარისხისა და უვნებლობის შესახებ კანონპროექტში ცვლილებების შეტანა (2011 წ. 5 იანვარი) გახდა **HACCP - ის სისტემის დანერგვის მოტივაცია,** რომელიც დღეისათვის ფართოდაა აღიარებული აშშ - სა და ევროპაში, მოითხოვება ადგილობრივი და საექსპორტო კანონმდებლობით, ვინაიდან სახელმწიფოს მოვალეობაა მისი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

HACCP (Hasard Analysis Critical Control points, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილები), არის სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა, პროცესზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს უვნებელი სურსათის მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისათვის. მისი მიზანია თავიდან აიცილოს, აღმოფხვრას ან მინიმუმამდე დაიყვანოს სასურსათო პროდუქტებთან დაკავშირებული რისკი, უზრუნველყოს უვნებელი სურსათის წარმოება და დაადასტუროს, რომ წარმოებული სურსათი უვნებელია.

სურსათის უვნებლობა ეყრდნობა კონცეპციას, რომ სურსათი მისი მიზნობრივად მომზადების შემთხვევაში არ ავნებს მომხმარებელს (ISO 220002005), განსაზღვროს არსებული რისკის ის მისაღები დონე, რომელიც არ მიაყენებს ზიანს ადამიანის ჯანმრთელობას, მის სიცოცხლეს. **HACCP - ის ჩამოყალიბების აუცილებლობა, როგორც პროცესზე ორიენტირებული სისტემა პროდუქტზე ორიენტირებული სისტემის ნაცვლად,** შემდეგნაირად ვითარდებოდა: ისტორიულად ხდებოდა საბოლოო პროდუქტის ტესტირება „დეფექტების“ აღმოჩენის მიზნით, სჭირდებოდა დრო, მეტი გარანტია იმისა, რომ სურსათი ყოფილიყო უვნებელი. შემუშავდა **კონცეპცია „პრევენციის და არა მათი კორექტირებისათვის.** პრევენცია და მისი აღმოფხვრა შესაძლებელია, თუ ცნობილია თუ სად და რა პრობლემა შეიძლება წარმოიშვას კრიტიკული საკონ-ტროლო წერტილების დადგენით. პროცესში ბევრი საკონტროლო წერტილია, მაგრამ **სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად მხოლოდ კრიტიკული საკონტროლო წერტილებია არსებითი,** რომელიც სისტემის 7 პრინციპიდან უმნიშვნელოვანესია.

საკონტროლო წერტილებია: წარმოების ნებისმიერი ეტაპი, რომელზეც შესაძლებელია ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური საფრთხეების გაკონ-ტროლება.

კრიტიკული საკონტროლო წერტილებია: ეტაპები, რომელზეც შესაძლებელია საკონტროლო ზომის დაწესება და რომელზეც საფრთხის კონტროლი მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის საფრთხის თავიდან აცილების, აღმოფხვრის ან დასაშვებ დონეზე მიყვანის მიზნით, კრიტიკული ზღვარი - კრიტერიუმი რომელიც მიჯნავს დასაშვებ და დაუშვებელ დონეებს. კრიტიკული საკონტროლო წერტილების რაოდენობა დამოკიდებულია პროდუქ-

ტის სახეობაზე, გადამუშავების მეთოდებზე და სხვა. არასაკმარისი რაოდენობით კრიტიკულმა საკონტროლო წერტილებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას სურსათის უვნებლობას, მაშინ, როცა ბევრმა კრიტიკულმა საკონტროლო წერტილმა კონტროლის თვალსაზრისით შეიძლება სირთულე წარმოშვას.

HACCP - ის სისტემის უპირატესობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ დამყარებულია მეცნიერულ საფუძვლებზე, იგი არის მართვის ხერხი, რომელიც მიმართულია უვნებელი სურსათის წარმოების მიზნით პროდუქტთან ან სისტემასთან დაკავშირებული პრობლემის დადგენასა და მათ პრევენციაზე, ფოკუსირებულია, „უვნებლობაზე“ და არა ხარისხზე, ლოგიკურია, ეფექტური (ზოგავს ფულად სახსრებს), მსოფლიოში აღიარებული სისტემა, წარმოადგენს კომპანიის რეპუტაციის დაცვის მექანიზმს, HACCP - მთელი სასურსათო ქსელისათვის, „ფერმიდან - სუფრამდე“ - მიდგომა (ფერმერები, გადამამუშავებლები, მომსახურების სექტორი).

HACCP - ის კატეგორიზაცია იყოფა 3 ჯგუფად: ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხეები. უვნებლობის საფრთხეების ტიპებია: ბიოლოგიური დაბინძურების წყაროები, პათოგენური მიკროორგანიზმები, სპოროვანი ბაქტერიები, სალმონელა, ეშერიხია, ლისტერია (არასპოროვანი ინფექციები და სხვა) ვირუსები, პარაზიტები, ალერგენები და სხვა.

სურსათის უვნებლობის სისტემის წარმოების სანიმუშო პრაქტიკის განხორციელებისათვის (დანერგვისათვის) საჭიროა მოსამზადებელი ეტაპებისა და წინასწარი აუცილებელი პროგრამების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მოსამზადებელი ეტაპებია: HACCP - ის ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლის შემადგენლობაში უნდა იყოს კომპეტენტური, სურსათის სფეროს მრავალდარგობრივი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალები, საჭიროების შემთხვევაში გარეშე ექსპერტები, პროდუქციის წარმოების ბლოკ - სქემების მომზადება და სხვა.

წინასწარი აუცილებელი პროგრამები: დაცული უნდა იყოს სურსათისა და მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ჰიგიენის ზოგადი პრინციპები, წესრიგში მოყვანილი საწარმოო შენობები, მიმდებარე ტერიტორია (განათება, გამწვანება, პროდუქტთან შეხებაში მყოფი ზედაპირების მოპირკეთება, საამქროს ინტერიერი და სხვა); ნედლეულისა და პროდუქტის ნიმუშის აღების წესი, კონტროლი, იდენტიფიკაცია, ჩანაწერები, მიკვლევადობა, ბაზრიდან პროდუქტის გამოწვევის წესი და სხვა.

მიკვლევადობა არის შესაძლებლობა დავადგინოთ წარმოების ყველა ეტაპზე სურსათში გამოყენებული ნებისმიერი ნედლეულის, ნივთიერების შესახებ ინფორმაცია (პარტიის ნომერი, მიღების თარიღი, მიმწოდებელი, წარმოების მთელ პროცესში ჩანაწერების წარმოება). ზოგადად სასურსათო ქსელის მიკვლევადობის სისტემით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციის მიწოდება წარმოების ნებისმიერი ეტაპის შესახებ საბოლოო მიმწოდებლამდე და პირიქით.

მონიტორინგი არის დაკვირვების განხორციელება ან გასაზომი პარამეტრების შემოწმება დაგეგმილი პერიოდულობით, რომლის მიზანია დავრწმუნდეთ, რომ პროცესი, ეტაპი ან პროცედურა კონტროლს ექვემდებარება,

ფიქსირდება შესაბამისი ზუსტი ჩანაწერით, რაც შემდგომში გადამოწმებისას გამოიყენება. მონიტორინგის ჩატარებისათვის საჭიროა კონტროლის განხორციელება პარამეტრების გაზომვით.

HACCP-ის პრინციპი საერთაშორისო მასშტაბით გამოიყენება ევროკავშირში, აშშ - ში, კანადაში, იაპონიაში და ა. შ. **აშშ - ში სავალდებულოა 1997 წლიდან ზოგიერთი სექტორისათვის:** USDA - ხორცი, მეფრინველეობა, კვერცხის წარმოება; FDA - ზღვის პროდუქტები, წვენების წარმოება, რძის სექტორი - კონტროლდება სპეციალური რეგულაციით. ნებაყოფლობითია ყველა სხვა სექტორისათვის.

ევროპაში სავალდებულოა ყველა სექტორისათვის 2006 წლიდან გარდა პირველადი წარმოებისა.

საქართველოში სურსათის ხარისხისა და უვნებლობის შესახებ კანონპროექტის შესაბამისად მიკვლევადობის, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული წერტილების დანერგვა სავალდებულო იქნება ყველა სექტორისათვის (გარდა პირველადი, აგრეთვე მცირე გლეხური, ფერმერული, კუსტარული წარმოებისა).

ამ თვალსაზრისით კერძო სექტორის ცნობიერება 2004 - დან 2011 წლამდე საგრძნობლად გაიზარდა. დანერგვის დამაბრკოლებელი ფაქტორებია: ლაბორატორიებსა და ზოგადად ამ სფეროში დასაქმებული პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია.

მეცნიერულ დასაბუთებას, რომ განხორციელებული ქმედებების შედეგად ნამდვილად უვნებელი პროდუქტი იწარმოება (ვალიდაცია) ახორციელებს სათანადო ცოდნისა და გამოცდილების პროფესიონალი HACCP ჯგუფი, კომპეტენტური მესამე მხარე, რომლის დადგენისას გამოსაყენებელი წყაროებია: სამეცნიერო და ტექნიკური პუბლიკაციები, სექტორთან დაკავშირებული რეკომენდაციები საკანონმდებლო მოთხოვნები, ექსპერტები, ექსპერიმენტული კვლევები.

საფრთხის ანალიზს საფუძვლად უნდა ჰქონდეს მეცნიერული დასკვნები. იგი მოითხოვს სურსათის მეცნიერების, სურსათთან დაკავშირებული ყველა პრობლემის, საწარმოო პროცესის, ექსპერტიზის, მეცნიერულ ცოდნას და შესაბამის კვალიფიკაციას, რაც სურსათის ხარისხისა და უვნებლობის მართვის სპეციალისტის პრეროგატივაა, **რომლის დეფიციტი ქვეყანაში ნამდვილად არსებობს. აღნიშნული გარემოების გამო ევროექსპერტები დიდ უკმაყოფილებას და შეშფოთებას გამოთქვამენ თავიანთ ანგარიშებში.**

მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა სურსათის წარმოების ჯაჭვში ყველა მონაწილე მხარის ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი.

HACCP - ის სისტემის ფუძემდებელი და კოორდინატორი საქართველოში სწორედ სურსათის მეცნიერების სპეციალისტი - ნინა პარკინსონია.

სურსათის მეცნიერება შეისწავლის პროდუქტის ფუძემდებლურ მახასიათებლებს (მათ შორის უსაფრთხოებისა და უვნებლობის) და ამ მახასიათებლების უზრუნველყოფის ფაქტორებს წარმოების ყველა ეტაპზე დისტრიბუციის ჩათვლით.

HACCP - ის სისტემაში ხარისხობრივი ასპექტები უვნებლობის მართვის ფარგლებში არ განიხილება. ბევრი დეფექტი ხარისხობრივ ასპექტს წარმოადგენს:

მწერი, თმა, მტვერი, გაფუჭება, **ფალსიფიკაცია** (ხარისხობრივი პარამეტრები). **სურსათის გაფუჭების გამომწვევი ორგანიზმები არ წარმოადგენენ საფრთხეს ჯანმრთელობისათვის, შეიძლება ჰქონდეთ გავლენა ხარისხზე და არა ჯანმრთელობაზე.**

უნდა აღინიშნოს, რომ **დღეისათვის როდესაც საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია გაურკვეველი წარმომავლობის, ფალსიფიცირებული სასურსათო პროდუქტებით, მათ მოხმარებას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის. საქმე გვაქვს არა მარტო უხარისხობასთან, არამედ მავნებლობასთან, რაც ხშირად ფატალური შედეგითაც სრულდება.**

ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია!

თუ გავითვალისწინებთ წარსულის გამოცდილებას (რაც HACCP - ის სისტემაში განსაზღვრულია) **სურსათის უსაფრთხოება და უვნებლობა ყოველთვის განიხილებოდა პროდუქციის ხარისხის კრიტერიუმებში და არა განყენებულად.** (კანონპროექტშიც სწორედ ასეთი ფორმულირებაა: „კანონპროექტი სურსათის ხარისხისა და უვნებლობის“ შესახებ).

შესაბამის სპეციალურ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით: - **პროდუქციის ხარისხი ეწოდება პროდუქციის თვისებათა ერთობლიობას, რომლებიც განაპირობებენ მის გამოყენებას** - დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნილებანი დანიშნულების შესაბამისად. **ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური ღირსება, შეთვისებადობა, ენერგეტიკული უნარი, უვნებლობა, უსაფრთხოება, ფალსიფიკაცია პროდუქტის უზოგადესი თვისებებია, რომლებიც განაპირობებენ პროდუქტის კვებით ღირებულებას.** თუ პროდუქტი არ შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის ისეთ მავნე, მომწამლავ ნივთიერებებს როგორიცაა მძიმე მეტალები, ორგანული დაშლის შედეგად მიღებული ნივთიერებები, მიკროორგანიზმები, რომლებიც ტოქსიკურ ნივთიერებებს წარმოქმნიან ან რაიმე დაავადებებს იწვევენ - ასეთი პროდუქტი უვნებელია.

თუმცა, HACCP-ის სისტემის მიხედვითაც სურსათის უვნებლობა და სურსათის ხარისხი ურთიერკავშირია: სურსათის უვნებლობას+დამატებითი ფაქტორები = სურსათის ხარისხს, რაც სისტემაში ხარისხობრივი ასპექტების, მათ შორის ფალსიფიკაციის უარყოფის მიუხედავად იმას მოწმობს, რომ სურსათის ხარისხში მოაზრებულია სურსათის უვნებლობა. ამიტომ, მხოლოდ სურსათის უვნებლბის კრიტერიუმების განხილვა ცალკეულად, ხარისხობრივი ასპექტებისა და ფალსიფიკაციის დადგენის გარეშე, ვფიქრობთ, სასურველ შედეგს ვერ მოიტანს.

სურსათის ხარისხი არის უვნებელი სურსათის იმ მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია საბოლოო მომხმარებლის ეკონომიკურ ინტერესებთან (საქართველოს კანონი სურსათის ხარისხისა და უვნებლობის შესახებ, 2005) მაგ. წონა, ფერი, სუნი, გემო დიზაინი, მიწოდების ვადები და ა.შ.

ევროექსპერტების შეხედულებით - „ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზრებზე შეღწევის უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორია კონკურენტუნარიანობა და არა ფიტოსანიტარული პრობლემები“

სურსათის უვნებლობის აქტუალურობის გამომწვევი მიზეზებია: ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO) ჩამოყალიბება და ვაჭრობის ლიბერალიზაცია; საერთაშორისო ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარება; ინდუსტრიალიზაციის განვითარება და სურსათის მასობრივი წარმოება; გარემოს დაბინძურება; მომხმარებლის მგრძნობელობის გაზრდა (დაავადებები); ცხოვრების სტილის შეცვლა (საკვებად მზა პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნა); მეცნიერების, ტექნოლოგიების განთვითარება; ახალი პათოგენების წარმოშობა, რომლებით სურსათით დაავადებებს იწვევენ; კონკურენციის გამძაფრება კომპანიების, ქვეყნის დონეზე და სხვა.

საქართველოში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონცეფციის პოპულარიზაციის, განხორციელებისა და შემდგომი განვითარების მიზნით, მუშაობს მაღალკვალიფიციური კონსულტანტებით დაკომპლექტებული ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიის GPCI-ის გუნდი, რომელთა ამოცანაა დაეხმარონ ქართულ კომპანიებს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის სისტემების დანერგვასა და განხორციელებაში, მუდმივი გაუმჯობესების გზით გააფართოონ და წარმატებით **განავითაროონ თავიანთი ბიზნესი, რისი მიღწევაც სურსათის ხარისხისა და უვნებლობის მართვის პრინციპების ცოდნის გარეშე შეუძლებელია.**

ლიტერატურა

1. Данченко Л. В., Надыкта В.Д. Безопасность пищевой продукции – м.: Пищепромыздат, 2001.
2. Родина Т. Г., Николаева М. А. Идр. Справочник по товароведению продовольственных товаров М.: Колос 2003.
3. Чоговадзе Ш. К. Теоретические основы товароведения продовольственных товаров. М.: Экономива 1971.
4. Грудке Г. Основы общего товароведения. Перевод с немецкого М.: Экономива, 1967.
5. Food Science and Technology. Edited by Campbellplatt Willey Beackwell, September, 2009.
6. Regional Policy Research on food Safety and Standards and the European Neighborhood policy, March 2008. p. 68
7. GDCI-ის ჯგუფის სურსათის უვნებლობის მართვის ტრეინინგის მასალები. 20.03.2011.
8. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. „სურსათის უვნებლობა საქართველოში“ 2009 წ, ანგარიში. (http:/www/transparency. Ge/post/report/sursatis-uvneblobasaqarveloshi).

Basic principles of food safety management system

Tsulukidze M. L

By World Trade Organization rules on import and local foods should act the same standards of quality and safety. The HACCP system is widely distributed and implemented in the U.S. and Europe, as required by law. The article describes: the nature, motivation, relevance, the concept and benefits of quality management and food safety (HACCP); Under the bill, and Georgia on the quality and food safety (January 5, 2011.), The introduction of HACCP systems and ways of their implementation for improvement and further development of Georgian food business and approval by the EU markets.

Основные принципы системы управления безопасности продовольствия (HACCP)

Цулукидзе М.Л.

По правилам Всемирных торговых организаций, на импортные и местные пищевые продукты должны действовать одни и те же нормы качества и безопасности.

Система HACCP широко распространена и внедрена в США и Европе, что и требуется законодательством.


В статье изложены: сущность, мотивация, актуальность, концепция и преимущества системы управления качества и безопасности пищевых продуктов (HACCP); В соответствии и законопроектом Грузии о качестве и безопасности пищевых продуктов (5 января, 2011г.), внедрение HACCP систем, пути их осуществления, для усовершенствования, дальнейшего развития Грузинского бизнеса продовольствия и утверждения на рынках Евросоюза.

კუპელჰალედ შერაცხული ვაჩნაძიანის ყველაწმინდა

ქეთევან ქევანიშვილი
სტუ-ს მაგისტრატურის სტუდენტი, II კურსი

ქართულ ხელოვნებაზე შექმნილი საზღვარგარეთის მეცნიერთა მცდარი მოსაზრებები მტკივნეულად აღიქმებოდა ქართველ მეცნიერთა მიერ. ისინი მუდამ რეაგირებდნენ ცუდის მოლოდინში. სწორედ საპოლემიკო კუთხით ერთ-ერთი საკამათო და ბუნდოვანი თემა აღმოჩნდა არქიტექტურული ტიპი კუპელჰალე.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა მეცნიერმა ი. სტრიგოვსკიმ დაწვრილებით შეისწავლა სომხური არქიტექტურის ძეგლები და მოახდინა მათი კლასიფიკაცია. კვლევის შედეგად ცალკე გამოჰყო ჯგუფი, რომელსაც უწოდა "კუპელჰალე" ტიპი (Kuppelhalle – გუმბათიანი დარბაზი). ეს ტიპი ასე განიმარტება სტრიგოვსკის ნაშრომში: "გუმბათიანი დარბაზი წარმოადგენს მთლიან წაგრძელებულ სივრცეს, რომელიც შედგება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ განლაგებულ სამი კომპარტიმენტისაგან, რომელთაგან შუას გუმბათი ადგია. დარბაზი წარმოადგენს ერთნავიან ნაგებობას, რადგან ოთხი გუმბათის საყრდენები გვერდითი კედლების შვერილებია და არა – თავისუფალი სვეტები (გ. ჩუბინაშვილს მოყვანილი აქვს გერმანული დედანი თავის ნაშრომში "Архитектура Кахетий"). სტრიგოვსკი ვარაუდობდა, რომ ეს ტიპი წარმოიშვა VI საუკუნეში და რომ მის წარმოშობაზე გავლენა იქონია ირანულმა არქიტექტურამ. პირველ სომხურ კუპელჰალედ მიჩნეულია პტღნის ეკლესია, მეორე ძეგლი არის არუჭი, რომელიც თარიღდება VII საუკუნით. სომხურ ძეგლებში ორი ტიპის კუპელჰალეა: მარტივი და რთული. მარტივი გულისხმობს საერთო გეგმის შემცირებას, გუმბათქვეშა სივრცის მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად. XIII-XIV საუკუნეებიდან კუპელჰალეები სომხეთში აღარ გვხვდება. ქართველმა მეცნიერებმა იმთავითვე მიაქციეს ყურადღება სტრი-გოვსკის გამოკვლევებს,



ხელახლა შეისწავლეს სომხური და ქართული არქი-ტექტურა და გამოავლინეს რომ საქართველოშიც ყოფილა ადრე შუა საუკუნეების სომხური ძეგლების ნაწილისათვის დამახასიათებელი არქიტექ-ტურული ტიპი – კუპელჰალე. პირველი მეცნიერი, რომელმაც ქართულ კუპელ-ჰალეს მიაკვლია, იყო გ. ჩუბინაშვილი. მან კრიტიკულად შეაფასა სტრი-გოვსკის შრომა, დაუწუნა თეორიული მოსაზრებებები და განაცხადა, რომ სტრიგოვსკი შეცდა ზოგიერთი სომხური ძეგლის დათარიღებისას, ასევე ხელოვნებათმცოდნე ვ. ბერიძემ ნაშრომში "Против искажении истории Грузин-ского искусства", სპეციალურად მიუძღვნა გვერდები სტრიგოვსკის თვალსაზ-რისს. ქართველი მეცნიერი პოულობს რიგ ხარვეზებს, ასევე უმართებულო და უსამართლო დამოკიდებულებას ქართული ძეგლების მიმართ.

გ. ჩუბინაშვილის მიერ პირველ ქართულ კუპელჰალედ მიჩნეულია ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, დათარიღებული VIII-IX ს.ს.-ით. ამაზე ის ვრცლად საუბრობს თავის ნაშრომში "Архитектура Кахетий", სადაც წერს: ვაჩნაძიანთ ყველაწმინდა წარმოადგენს მხატვრულად ნათლად გამოხატული ფორმის ნაწარმოებს ამ, ჯერ კიდევ შედარებით ადრეულ, ეპოქაში. ძირითადი საეკლესიო სივრცე წარმოადგენს დიდ წაგრძელებულ დარბაზს, რომლის ცენტრალურ ნაწილს ადგას გუმბათი. თუ ამ სივრცეს ზოგადად განვიხილავთ, მაშინ ჩვენ მივიღებთ ე.წ. "კუპელჰალეს" ტიპის ეკლესიას (გუმბათიანი დარბაზი) როგორც მას უწოდა ი. სტრიგოვსკიმ"

ვაჩნაძიანი წარმოდგენს სამეკლესიანი ბაზილიკისა და გუმბათიანი ეკლესიის რთულ შერწყმას, ძირითადი, შუა ეკლესია, არის დარბაზული სივრცის მქონე სამ კომპარტიმენტად გაყოფილი. შუა ნაწილს გუმბათი ადგას. აფსიდალური საკურთხევლის გვერდით მოთავსებულია სამკვეთლო და სადი-აკვნე. ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს გვერდითი ეკლესიებია განლაგებული, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან დასავლეთის გარშემოსავ-ლელით. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს. ეკლესია ორსართულიანია. ნაშრომში გ. ჩუბინაშვილმა დეტალურად განიხილა ვაჩნაძიანის გეგმა, მთლიანი ნაგებობა, საშენი მასალაც კი. მისი თქმით, შესაძლებელია სომხებმა კუპელჰალეს მაგალითი ვაჩნაძიანიდან აიღეს. ვაჩნაძიანის ყველაწმინდაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის კომპარტიმენტები თანაბარია. არუჭისა და შირაქავანის კომპარტიმენტებში კი დარღვეულია თანაფარდობა. მეცნიერიც ფიქრობს, რომ სწორედ არუჭიდან და შირაქავანიდან დაიწყო აღმოსავლეთ კომპარტიმენტის შერწყმა საკურთხევლთან. მათთან შედარებით ვაჩნაძიანი "კლასიკური" კუპელჰალეა. ამ ტიპის წარმოქმნა კი ჩუბინაშვილის ვარაუდით, მოხდა "საეკლესიო არქიტექტურის ორი ელემენტის – ბაზილიკისა და გუმბათიანი ეკლესიის თემების საფუძველზე. სწორედ ამ ძირითად ელემენტთა შერწყმამ მოგვცა იმ ეკლესიის ტიპის წარმოშობა, რომელსაც სტრიგოვსკიმ კუპელჰალე უწოდა".


ჩუბინაშვილის თქმითვე, ვაჩნაძიანის ხუროთმოძღვრმა ჩაიფიქრა ორგანულად შერწყმულ ერთიან განუყოფელ შენობად. "თორემ ამისგან განსხავებით შესანიშნავად შენდება სომხური გუმბათიანი დარბაზები – ეს გამოყოფილი, იზოლირებული შენობებია და არა განსაზღვრული სისტემა, ნაგებობანი, რომელიც წარმოადგენს სულ სხვა სივრცით აღქმას და გარეგნულ სახეს. თუმცა კონსტრუქციული მეთოდი ერთი და იგივეა მათში – ეს სტრიგოვსკის მიერ დასახელებული ერთნავიანი, წაგრძელებული შენობაა, რომლის შუა კვადრატს გუმბათი ადგას." (ჩუბინაშვილი გ. "Архитектура Кахетии"


გვ. 319). რაც შეეხება ტიპის წარმოქმნის ადგილს, აქ ჩუბინაშვილი პირდაპირ ვარაუდის გამოთქმას ერიდება. მხოლოდ აღნიშნავს, რომ "სრულიად უეჭველია, რომ გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში, ერთდროულად სხვადასხვა ოლქში ვლინდება საერთო ტენდენციები, შეინიშნება კულტურულ ამოცანათა საერთო მიდგომა და გადაწყვეტა; მეორე მხრივ, არ შეიძლება გამოვრიცხოთ შესაძლებლობა, რომ არქიტექტურული გადაწყვეტანი მთლად ინდენტურებიც არ იქნება". ამით მეცნიერი ირიბად აცხადებს, რომ: 1) ქართული და სომხური კუპელჰალეები დამოუკიდებლად ჩამოყალიბდნენ და 2) არ არის აუცილებელი სომხური კუპელჰალე იდენტური იყოს ქართული კუპელჰალესი, საკმარისია ისიც, რომ მათ აღნაგობაში საერთო ტენდენციები გააჩნიათ.

გ. ჩუბინაშვილი სხვა ქართულ კუპელჰალეებს ვერ პოულობს და წერს, რომ "ასეთმა კომპოზიციამ, როგორც ერთიანმა სისიტემამ, ვერ იპოვა მომავალი. ის განწირული იყო დარჩენილიყო ცალად."

მომდევნო პერიოდში ქართველმა მეცნიერებმა უფრო განავრცეს ჩუბინაშვილის კვლევები და ჩუბინაშვილისვე საწინააღმდეგოდ, სხვა ქართული კუპელჰალეები აღმოაჩინეს. დღეის მონაცემებით, მათ მიგნებული აქვთ 17 კუპელჰალე, რომლიდან ზოგიერთი ეკლესია ადრე ცნობილი იყო როგორც ჯვარ-გუმბათიანი ტაძარი. ესენია: დვანის წმ. გიორგის ეკლესია, ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, ფარნაკის ეკლესია, სოლომონ-ყანა, კლარჯეთის წყაროსთავი, ნაჯახოვის საყდარი, ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესია, ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძარი. თბილისის „ჯვარის მამა", ღოუბნის „ორმოცნი", გრემის წმ. ნიკოლოზი, ბოდორნის ღვთისმშობელის ეკლესია, კულბითის ღვთისმშობელი, ხელთუბნის სამება (მათ შესახებ შეგიძლიათ იხილოთ გამოცემა: ნ. გენგიური "კუპელჰალე")

დღესდღეობით სტრიგოვსკის ნაშრომები და კვლევები ევროპულ და ამერიკულ სამეცნიერო წრეებშიც გაკრიტიკებულია, თუმცა, ერთხმად აღიარებენ სტრიგოვსკის დამსახურებას: მან პირველმა დაანახა მკვლევარებს კავკასიისა და ნაწილობრივ ახლო აღმოსავლეთის ხელოვნების მნიშვნელობა.






სურ. 73, 74 და 75. ვაჩნაძიანის „ყველაწმინდა". VIII—IX სს. გეგმა, სოგრძ განაკვეთი ხეღით სამხრეთისკენ და აღმოსავლეთის ფასადი. ანაზომი მ. კილაშნაოვისა.

რაც შეეხება საკუთრივ, ჩუბინაშვილის მიერ კუპელჰალედ შერაცხულ **ვაჩნაძიანის ყველაწმინდას**, იგი რთული არქიტექტურული კომპლექსია, შედგება სამი ეკლესიისაგან (რადგან ძირი სამეკლესიანი ბაზილიკის აქვს), რომელთაგან შუა ეკლესიას გუმბათი ამშვენებს (რადგან გუმბათიანი ეკლესიის ელემენტი აქვს). აგებულია VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე რიყის ქვებითა და აგურით. შეინიშნება ახალი კონსტრუქციული დეტალი: პანდატივები (აფრები). სამივე ეკლესია ერთმანეთს უკავშირდება დასავლეთის გარშემოსავლელით.


როგორც ვახტანგ ბერიძე შენიშნავს, გარდა შუა ტაძრის კუპელჰალეობისა, "ტაძრის საერთო კომპოზიცია ნებას გვაძლევს, რომ ვაჩნაძიანის ყველაწმინდა მივიჩნიოთ ჩვენთვის უკვე ცნობილი ტიპის – სამეკლესიანი ბაზილიკის თავისებურ გადამუშავებად"

ვაჩნაძიანის ყველაწმინდა მხატვრული ღირსებითა და ისტორიული მნიშვნელობით გარდამავალი ხანის ბრწყინვალე ძეგლია. მას ქართულ არქიტექტურაში ანალოგი არ მოეპოვება, თუმცა იგი შეიძლება შევადაროთ XI-XIII საუკუნეების ბიზანტიურ არიქტექტურულ ძეგლებს: ფეტიე ჯამეს (Fethiye Cami) და კარიე ჯამეს (Kariye Cami).



ფეტიე ჯამე, ადრე ცნობილი როგორც St. Mary Pammakaristos-ად, აგებულია დაახლოებით XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე, ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით მიქაელ VII დუკას პერიოდში. მოგვიანებით ტაძარი გადაკეთდა მეჩეთად და განიცადა სერიოზული გადაკეთება. თავდაპირველი ეკლესის ჰქონდა ბერძნული ჯვრის გეგმა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ბიზანტიაში. საქართველოში მსგავსი არქიტექტურული თემის მქონედ შეიძლება დასახელდეს იყალთოს მონასტრის მთავარი ტაძარი: **ფერისცვალების სახელობის ღვთაების ეკლესია**, სადაც გუმბათი ოთხ საყრდენზეა დაყრდნობილი და კვეთში ჯვრის ფორმა აქვს. იყალთოს ღვთაების ეკლესია თარიღდება VIII-IX ს.ს. მიჯნით.

საინტერესოა, რომ ფეტიე ჯამის კონსტრუქციაში შეინიშნება პენდანტივების სისტემა. ფეტიე ჯამე 5 გუმბათიანია და წარმოადგენს გუმბათიანი ტაძრისა და სამნავიანი ბაზილიკის საინტერესო შერწყმას.



კარიე ჯამი, ადრე ცნობილი როგორც "Church of St. Savior in Chora", ასევე მრავალჯერ გადაკეთებული ტაძარია. თავდაპირველი ეკლესია აიგო კონსტანტინოპოლის კედლებს გარეთ V საუკუნის დასაწყისში. ამჟამინდელი შენობის ძირითადი სტრუქტურა თარიღდება 1077-1081 წლებით, როცა მარია დუკა, ალექსი I კომნენოსის სიდედრმა, ხელახლა აღაშენა ეკლესია მაშინდელი პერიდის გავრცელებული ტიპის მიხედვით. XII საუკუნეში ეკლესია ნაწილობრივ დაზიანდა მიწისძვრის გამო და ხელახლა აშენდა ისააკ კომნენის მიერ და მხოლოდ XIV საუკუნეში, მესამეჯერ აღდგენილმა მიიღო დღევანდელი არქიტექტურული სახე. ოტომანების დაპყრობის შემდეგ, ქრისტიანული ტაძარი გახდა მეჩეთი.

როგორც ეკლესიების ისტორიიდან და გეგმიდან ჩანს, ფეტიე ჯამისა და კარიე ჯამის მსგავსება ვაჩნაძიანის ყველაწმინდასთან შეიძლება მხოლოდ იმ მრავალჯერადი გადაკეთების მიზეზით იყოს დაკავშირებული, რაც ამ ტაძრებმა განიცადეს. ისინი ვაჩნაძიანის არქიტექტურული ტიპიდან პირდაპირ არ გამომდინარეობენ. მათ ასეთი სახე მიიღეს თანდათანობით.

ზემოხსენებული ბიზანტიური ძეგლების ვაჩნაძიანის ყველაწმინდასთან მსგავსება აღნიშნული აქვს სტატიის ავტორთან პირად მიმოწერისას აშშ. მიჩიგანის შტატის, ქ. ვისკონსირის უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ **კრისტინა მარანჩის,** რომლის ინტერესების სფეროა შუა საუკუნეების ბიზანტიური და სომხური არქიტექტურა.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ სტრიგოვსკის კვლევების შემდგომ პერიოდიდან მოყოლებული საკუთრივ კუპელჰალეს ტერმინი არაერთხელ იქნა მცდარად აღქმული და გაგებული. სომხური ძეგლების სტრიგოვსკისეულ კლასიფიკაციაში, საკუთრივ კუპელჰალეს ტიპი (და არა სხვა), წარმოდგენილია როგორც ძალიან მარტივი არიქტექტურული ტიპი, შექმნილი ერთნავიანი (დარბაზული) სივრცის გუმბათიან კვადრატთან შერწყმით. ეს ვარაუდი აგრეთვე დასტურდება სომხური ძეგლების მაგალითით. არცერთ სომხურ კუპელჰალეს არ აქვს გარშემოსასავლელები, ნართექსები თუ რთული კომპოზიციური დეტალები (მათ შორის არც გვიანდელ ქართულ კუპელჰალეებს). ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა აეღოთ გარდამავალი ხანაში მოღვაწე ქართველ ხუროთმოძღვრებს კუპელჰალეს თემა სომხური არქიტექტურიდან, როცა ამ პერიოდში გვხვდება შესანიშნავი, მაღალმხატვრული და რთული კონსტრუქციის ეკლესიები, ან რატომ უნდა გადაეღოთ და გაემარტივებინათ სომეხ არქიტექტორებს ქართველი არქიტექტორების მიერ აგებული რთული არქიტექტურული კომპლექსი – VIII-IX საუკუნეებში სომხური კულტურული ვითარება შედარებით მაღალი იყო, ვიდრე მოგვიანო პერიოდში. აღსანიშნავია, რომ თავიდან სომხური კუპელჰალეს რთული ვარიანტი იყო გავრცელებული, ხოლო შემდეგ – მარტივი. ეს უკანასკნელი ბუნებრივი ტენდენციაა, რომელიც გამოხატულია პერიოდის მსოფლ-მხედველობიდან და ისტორიიდან გამომდინარე: ნელ-ნელა კლებულობს მონუმენტურობის მოთხოვნილება.

აქედან გამომდინარე, მე არ მაქვს საფუძველი, რომ სომხური კუპელჰალეს განვითარება დავუკავშირო ქართულ კუპელჰალეს, რომელიც ნამდვილად ჩნდება ქართულ არიქტექტურაში – აღმოსავლეთ საქართველოში გვიან ფეოდალურ ხანაში. ამის შესანიშნავი მაგალითია კახეთში მდებარე მანავის ეკლესია, რომელიც შეუმჩნეველი დარჩა გ. ჩუბინაშვილს, მაგრამ შენიშნა ვ. ბერიძემ.

არც იმის საფუძველი მაქვს, რომ **ვაჩნაძიანის ყველაწმინდა** კუპელჰალეს ტიპად მივიჩნიო, გამომდინარე მისი გეგმიდან, აშენების ისტორიიდან და მხატვრული გადაწყვეტიდან (ვაჩნაძიანში გამოყენებულია პენდანტივები, ხოლო სომხური კპელჰალეებში – ტრომპები, რაც მიანიშნებს იმას, რომ ვაჩნაძიანის ყველაწმინდა სომხურ კუპელჰალეებზე უადრესი ვერ იქნებოდა) თუმცა დღეს, სამეცნიერო წრეში ჩნდება ახალი ვარაუდები ტაძრის ტიპის განსაზღვრის შესახებ. ერთერთია ჰიპოთეზა მისი ტრიკონქობის შესახებ.

ასეთუ ისე, ვაჩნაძიანის ტაძარი წარმოადგენს უნიკალურ არქიტექტურულ ძეგლს და შეიძლება ითქვას, რომ მისმა ავტორმა დროს გადაუსწრო.

Kuppelhalle monastryrya "Kvelatsminda" village Vachnadziani

K. Kevanishvili.

This article relates about **Vachnadziani Kvelatsminda** (All Saints) Church, the artistic monument of Georgian Art of middle centuries and hypothesis of it being an architectural type - domed hall. Author discusses the suggestions of Georgian scholars together with J. Strzygowski's research and concludes that Vachnadziani does not pertain to Kuppelhalle, as Georgian scholars have considered before. Vachnadziani represents the complicated architectural complex, composing of three churches (because it has the root of three-church basilica), central church has the dome (because it has the elements of domed church). All this churches are built at one time, at one period and being organically indivisible, unite building, as it was planned by architect. The parallels may be seen in Byzantine Architecture - **Fethiye Cami** and **Kariye Cami**. But this similarity stipulates from the history of building and from results of alteration. Whereas Vachnadziani was built as a whole and did not altered fundamentally.

Купольный зал монастрыря «Квелацминда» села Вачнадзиани.

К. Кеванишвили

Это статья о монастыре Квелацминда (Всех святых) в селе Вачнадзиани, самом высокохудожественном памятнике грузинского искусства средних веков и о гипотезе Квелацминда, как грузинского примера архитектурного типа «Купольный зал». Автор обсуждает и рассматривает все научные предположения и заключает, что Квелацминда не может представлять собой «купольный зал», так как Вачнадзианский Квелацминда был построен как единый комплекс на рубеже 8-9 веков, на основе двух архитектурных элементов: трехцерковной базилики и кресто-купольной церкви.

Параллель можно найти в Византийской архитектуре – Фетие джами и Кахрие-джами.

სამარაგო ელემენტების ოპტიმალური განაწილება ეკონომიკური კრიტერიუმის მიხედვით

გ.ჭყოიძე გ.მაკასარაშვილი

რეზიუმე

განხილულია რთულ სისტემაში, მის ქვესისტემებს შორის სამარაგო ნაწილების ოპტიმალური განაწილების საკითხი დინამიური დაპროგრამების მეთოდის გამოყენებით, გადაწყვეტილია ამოცანა ისე რომ სისტემის სრული ეკონომიკური ეფექტურობა იქნება მაქსიმალური.

1. შესავალი

ტექნიკური სისტემების სტრუქტურული მართვის ღონისძიებათა შორის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესია სამარაგო ელემენტების (მარაგნაწილები) კომპლექტის ფორმირება [1,2].

სამარაგო ნაწილების არსებობა უშუალო გავლენას ახდენს სისტემის რემონტვარგისობაზე: ძირითადი მახასიათებლები - აღდგენის საშუალო დრო - უშუალოდ

განისაზღვრება სამარაგო ნაწილების ნომეკლატურით, რაოდენობით, განლაგების ადგილით და ა. შ. რამდენადაც დარეზერვებული სისტემის საიმედოობა არსებითად არის დამოკიდებული აღდგენის დროზე, იმდენად მასზე სათადარიგო ნაწილების გავლენა ნათელია. აქედან გამომდინარე, ამ გავლენის ანალიზი, სახელდობრ, მისი ეკონომიკური ასპექტების გამოკვლევა აქტუალური სამეცნიერო - ტექნიკური ამოცანაა.

მარაგნაწილები ეს არის სათადარიგო ელემენტები, ინსტრუმენტები, ნივთები და მასალები, რაც საჭიროა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის. ამათგან უმთავრესია სათადარიგო ელემენტები, რამდენადაც მარაგნაწილების კომპლექტის დანარჩენი კომპონენტები გაცილებით ნაკლებ სირთულეებთან (სიძნელეებთან) არის დაკავშირებული [1,2].

მარაგების მართვის პირველი სისტემები შემუშავებული იქნა დიდი საწარმოებისათვის და ისინი აღმოჩნდნენ ეფექტურები. სისტემების შემუშავებისას იგულისხმებოდა, რომ პროდუქციაზე მოთხოვნა განისაზღვრება მომხმარებელთა დიდი რაოდენობით და ძირითადად – დეფიციტით (და არა მოთხოვნის ზრდით), ხოლო შეკვეთის შესრულების ხარჯები და დრო ცნობილია საკმარისი სიზუსტით.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნაშრომები მარაგების მართვის სისტემების სფეროში ატარებდნენ ძირითადად თეორიულ ხასიათს, პრაქტიკული დანერგვისათვის შემუშავებული მეთოდები ჩამოყალიბდა ზუსტი ევრისტიკული წესების სახით, ენაზე, რომელიც მომხარებელისათვის იყო გასაგები. მარაგების მართვის სისტემების თეორიის განვითარებას ხელს უწყობდა ძირითადად ორი მიმართულებით გაწეული კვლევითი საქმიანობა. ერთ-ერთი მათგანი მდგომარეობს მარაგის ფორმირების პროცესის აბსტრაქტულ მოდელირებაში, რომელიც განიხილებოდა სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით, ანუ, მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ხარჯების მინიმიზაცია, როდესაც მარაგის ოდენობა შეზღუდულია. მეორე მიმართულება ატარებდა პრაგმატულ ხასიათს და ითვალისწინებდა მარაგის დონის განსაზღვრის მეთოდის შემუშავებას და არა მხოლოდ რაიმე ფუნქციონალური დამოკიდებულების უბრალო შემოღებას. ყველაზე ნაყოფიერია ის მიდგომა, რომელიც შეეცადა გაეერთიანებინა ეს ორი მიმართულება.

1. ძირითადი ნაწილი

მარაგნაწილების კომპლექტი უშუალოდ არის დაკავშირებული სტრუქტურულ დარეზერვებასთან. ამავე დროს მათ შორის არის პრინციპული განსხვავება. მთავარი თავისებურება დარეზერვების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით ის არის, რომ სარეზერვო ნაკეთობანი ძირითადთან ერთად ქმნიან ერთიან სისტემას (ან კონსტრუქციას), ისინი „ჩადგმულია“ (ჩაშენებულია) სისტემაში, აღინიშნებიან მის სქემაზე, სპეციფიკაციებში. მარაგნაწილების კომპლექტი არ ქმნის ძირითად ნაკეთობათა ერთიან კონსტრუქციას, ის არ არის „ჩაშენებული“ სისტემაში, არ აღინიშნება მის სქემაზე და მოყვანილია მხოლოდ ცალკე სპეციფიკაციაში.

მარაგნაწილები გავლენას ახდენს დროით დარეზერვებაზეც - მისი არსებობა სრული მოცულობით ამცირებს სისტემის აღდგენის დროს - ეს კი დროითი რეზერვის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

სამარაგო ნაწილების კლასიფიკაციის ერთ - ერთი შესაძლებლობა ასეთია: ტექნიკურ საშუალებათა და მათი ელემენტების იერარქიის შესაბამისად განასხვავებენ სამარაგო მოწყობილობებს (მაგ., მარაგულირებელი ხელსაწყოები, ოპერატიული დამახსოვრების მოწყობილობანი) სამარაგო ბლოკები (მახსოვრობის ბლოკები,

გამაძლიერებლები), სამარაგო უჯრედები (პლატები, კასეტები, სუბბლოკები) და ელემენტები (ინტეგრალური სქემები, რეზისტრორები) [2].

იმის მიხედვით, თუ რომელი იერარქიის სამარაგო ნაწილებთან გვაქვს საქმე, მათი ფორმირებისა და მოხმარების სისტემის ორგანიზაცია მეტ - ნაკლებად განსხვავებულია. იმასთან ერთად, არსებობს ზოგადი საერთო პრინციპებიც. ასეთი ზოგადობა უფრო მეტად ვლინდება სამარაგო ნაწილების სისტემის ეკონომიკური ასპექტების განხილვის დროს. წარმოდგენილ ნაშრომში ამ სახის ერთ - ერთ საკითხს შევეხებით.

განვიხილოთ ტექნიკური სისტემა, რომელიც შედგება n ქვესისტემისაგან. თითოეული ქვესისტემა ასრულებს გარკვეულ ტექნოლოგიურ დავალებას და ქმნის გამომავალ პროდუქციას. i - ური ქვე სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობა წარმოადგენს მისი საიმედოობის ფუნქციას და ცალსახად არის განსაზღვრული. თვით საიმედოობის რიცხვითი მნიშვნელობა დამოკიდებულია სამარაგო ელემენტების რაოდენობაზე, რაც არის განკუთვნილი გარკვეული კალენდარული დროის განმავლობაში, ე. ი. საიმედოობის მაჩვენებელი არის სამარაგო ელემენტების ფუნქცია. აღვნიშნოთ ის $p_i(x_i)$, სადაც x_i არის სამარაგო ელემენტების რაოდენობა. ქვესისტემის ეკონომიკური ეფექტიანობა, გამოხატული რაიმე ფულად ერთეულებში (მაგ., ლარებში) აღვნიშნოთ $\Phi_i[P(x_i)]$. მთელი სისტემის ეფექტიანობა ცალკეული ქვესისტემების ეფექტიანობათა ჯამს წარმოადგენს.

$$\Phi[p_1(x_1),\ldots,p_n(x_n)] = \sum_{i=1}^{n} \Phi_i[p_i(x_1)] \qquad (1)$$

სისტემას მოცემული კალენდარული დროისათვის ეძლევა m რაოდენობის სამარაგო მოწყობილობა. საჭიროა ისე განაწილდეს ეს მოწყობილობები ქვესისტემებს შორის, რომ სისტემის სრული ეფექტიანობა იყოს მაქსიმალური.

$$\Phi^* = \max_{\sum_{i=1}^{n} x_i = m} \Phi[p_1(x_1),\ldots,p_n(x_n)] \qquad (2)$$

მოცემულ ამოცანას ჩვენ ჩამოვაყალიბებთ, როგორც დინამიკური დაპროგრამების ამოცანას - გადაწყვეტილებათა მიღების n - ეტაპიან მართვის ამოცანას [3]. პირველ ეტაპად ჩავთვალოთ გადაწყვეტილება პირველი ქვესისტემისათვის მოწყობილობათა გამოყოფის თაობაზე, მეორე ეტაპად - მეორე ქვესისტემისათვის და ა. შ.

დავიწყოთ ოპტიმიზაცია ბოლო n - ური ეტაპიდან. ვთქვათ, ამ ეტაპზე დარჩენილი სამარაგო მოწყობილობათა რაოდენობა კ. ცხადია, რომ თითოეულ ეტაპზე მისაღები გადაწყვეტილება არის ამ ეტაპისათვის დარჩენილ მოწყობილობათა რაოდენობის ფუნქცია. მისაღები გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში ერთადერთია და $x_n = x_n^{(k)} = k$ (ყველა დარჩენილი მოწყობილობა მიეკუთვნოს n- ურ ქვესისტემას).

აღვნიშნოთ პირობითი ოპტიმალური ეფექტიანობა i - ური ეტაპიდან დაწყებული n-ურ ეტაპამდე $F_i(k)$ - თი.

$$F_n(k) = \Phi_n[p_n(k)] \qquad (3)$$

ბოლოს წინა, (n–1) - ეტაპის პირობითი ოპტიმიზაცია ასე ხდება. ვთქვათ, ამ ეტაპზე დარჩენილი მოწყობილობათა რაოდენობაა k. თუ (n–1)-ე ეტაპზე გამოვყოფთ x_{n-1} რაოდენობის მოწყობილობას, მაშინ ბოლო n ეტაპისათვის დარჩება $k-x_{n-1}$ ეკონომიკური ეფექტიანობა ბოლო ორი ეტაპისათვის იქნება

$$\Phi[p_{n-1}(x_{n-1})] + F_n(k - x_{n-1}) \qquad (4)$$

აქ საჭიროა x_{n-1} ცვლადის ისეთი მნიშვნელობის შერჩევა, რომ ეს ჯამი იყოს მაქსიმადური.

$$F_{m-1}(k)=\max_{x_n\le k}\{\Phi[p_{n-1}(x_{n-1})+F_n(k-x_{n-1})]\} \quad (5)$$

შედეგ ხდება (n–2)-ე, (n–3)-ე და ა. შ. ეტაპების პირობითი ოპტიმიზაცია. საერთოდ ნებისმიერი i - ური ეტაპისათვის შესაბამისი $F_i(k)$ ფუნქცია მოიძებნება ასე

$$F_i(k)=\max_{x_i\le k}\{\Phi[p_i(x_i)+F_{i+1}(k-x_i)]\} \quad (6)$$

ეს არის ბელმანის ცნობილი განტოლება დინამიური დაპროგრამების თეორიაში [3].
აქ i - ური ეტაპის შესაბამისი პირობითი ოპტიმალური მართვაა x_i მოწყობილობათა ის რაოდენობა, რომელზეც მიიღწევა (6)-ის მაქსიმუმი.

აღწერილი პროცესის გაგრძელებით მიიღწევა პირველი ეტაპის ოპტიმიზაცია. აქ არ იქნება საჭირო k პარამეტრის ცვლილება. ცნობილია, რომ პირველ ეტაპზე მოწყობილობათა რაოდენობა არის m. მაშასადამე,

$$\Phi^*=F_1(m)=\max_{x_1\le m}\{\Phi_1[p_1(x_1)+F_2(m-x_1)]\}$$

ამრიგად სისტემის მაქსიმალური ეფექტიანობა ნაპოვნია. ის მიიღწევა $(x_1^*,x_2^*,\ldots,x_n^*)$ მართვის დროს, სადაც x_i^* არის i - ური ეტაპზე ოპტიმალური მართვა, ანუ მოწყობილობათა ის რაოდენობა, რაც უნდა მიეკუთვნოს i - ურ ქვესისტემას.

2. დასკვნა

სამარაგო ნაწილების ოპტიმალური განაწილების ამოცანა ჩამოყალიბებულია როგორც დინამიური დაპროგრამების ამოცანა–გადაწყვეტილებათა მიღების n-ეტაპიან მართვის ამოცანას. მოძებნილია პირობითი ოპტიმალური მართვა თითოეულ ეტაპზე რაც უზრუნველყოფს მიზნის ფუნქციის მაქსიმალურ მნიშვნელობის მიღებას.

ლიტერატურა:

1. Надежность технических систем. Под ред. И.А. Ушакова, М. Радио и Связь, 608 с.
2. М.А. Ястребенецкий, П. М. Иванова, Надежность АСУ ТП. М.: Энергоатомиздат, 1989, 264 с.
3. Исследование операции в экономике. Под ред. Н.Ш. Кремера. М.: ЮНИТИ, 1997. 408 с.

The optimal distribution of supplay whith economic criteriums

The question of the optimal distribution of supplay details between pasts of complex system is discussed. It is used the method of dynamic programming.

The task is decided so that the system will be with the maximum economic efficiency.

Оптималъное распределение запасных елементов при экономических критерий

Обсужден, вопрос оптималноы распределения запасных частей в сложной системе среди её подсистем исползованием метода динамического програмирования.

Эта задача решена, таким образом чтобы полная экономическая эфективностъ системы была максималъной.

მარკეტინგი და ფსიქოლოგიური ასპექტი

ელისაბედ ხახუტაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ. №77

მარკეტინგის როგორც ეკონომიკური სტრატეგიის (მართვის) თანამედროვე მდგომარეობის ღრმა გაგებისთვის საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტი არის ცოცხალი ადამიანი ორიენტირებული თავის პროფესიაში და დამოკიდებულია გარემოს მოთხოვნებზე. სუბიექტში იგულისხმება ასევე მომხმარებელთა ჯგუფი, სოციუმი, საზოგადოება. ასეთი სუბიექტის ფსიქოლოგიური მზადყოფნა აკეთოს ის, რაც საჭირია „აქ და ამჟამად“ წარმოადგენს სტრატეგიის მართვის არა ერთერთ ტიპს, რომელიც იძლევა საშუალებას რეალურად შეაფასოს და გაიაზროს საზოგადოების განვითრაების დონე. ამასთან არ უარყოფს, მაგრამ უპირისპირებს ერთმანეთს ღირსებას და ნაკლოვანებებს წინა პერიოდის სხვა პროფესიული საქმიანობის კლასების სტრატეგიას (სოციალურს, სულიერს) დასაბუთებულად და კონსტრუქციულად იმასთან, რომ პოზიტიურად შეგვეძლოს უპირველესად საკუთარი საქმიანობის გარდაქმნა, და მეორეს მხრივ, გავივოთ სრულიად განსხვავებული პროფესიული საქმიანობის სახეები, რომლებიც მიმართულია მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პროფესიული საქმიანობის თავისუფალი არჩევა-ეკონომიურის, სოციალურის ან სულიერის – უსაზღვროდ დიდხანს არ რჩება შეზღუდული კარდინალური განსხვავებით ხელფასის გადახდის დონეზე.

თანამედროვე განათლებულმა ადამიანმა უნდა გაიგოს და ისწავლოს ეკონომიური საქმიანობის არსი და მისი სუბიექტური შეზღუდულობა ადამიანური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. „ეკონომიური ადამიანის“ სტაბილური საქმიანობის მდგრადობა მდგომარეობს უწყვეტად საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის არჩევა-ძიებაში „ყველასათვის და თითოეულისათვის“. ყველაფერი აიხსნება ფსიქოლოგიის ცნობილი სინამდვილით: ჩვენ ყველანი სხვადასხვანაირები ვართ, მაგრამ ჩვენი ფსიქიკა ვითარდება საერთო ფსიქოლოგიური კანონებით და კანონზომიერებით, რაოდენობრივი და ხარისხობრივი სხვადასხვა მოთხოვნების და მოტივების დემონსტრირებით შეუზღუდავათ მხოლოდ იმით, რომ რაც საჭიროა „აქ და ამჟამად“.

მარკეტინგის ფსიქოლოგიური ღრმა გაგებისთვის საჭიროა ზოგიერთი ძირითადი ცნებების ახსნა. როგორიც არის **შეუცნობადი** – 1. ეს ფსიქიკური

პროცესების, აქტების და მდგომარეობის ერთობლიობაა, განპირობებული სინამდვილის მოვლენებით, რომლის ზემოქმედებით სუბიექტი თავის თავს ანგარიშს არ უწევს; 2. ფსიქიკური ასახვის ფორმა, რომელშიც სუბიექტის არსებობა და მისი დამოკიდებულება არ განიხილება როგორც სპეციალური რეფლექსის საგანი და შეადგენს ერთ მთლიანს. **არჩევა** – 1. ეკონომიკური გადაწყვეტის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტადია, არჩეული სხვადასხვა ვარიანტებიდან (ალტერნატივებიდან); 2. გადაწყვეტის პროცესის მიღების მთავარი ეტაპი, რომელიც შედგება ერთისგან რამოდენიმე შესაძლო ვარიანტიდან; 3. ეს არის ის, საიდანაც შეიძლება, შეირჩეს ასორტიმენტი. **კონფორმულობა** (ლათინ. ცონფორმის – ამდაგვარი) – ადამიანის რეალობასთან ან ჯგუფის წარმოსახვითი დაწოლა, რომელიც წარმოიქმნება მისი საქციელის შეცვლაში როცა თავდაპირველად არ იზიარებს უმრავლესობის პოზიციას. ანსხვავებენ გარეთა (საჯარო) და შინაგან (პირად) საქციელს. პირველს მიეკუთვნება ჯგუფის აზრს დემონსტრაციულად დამორჩილება; მეორეს – ინდივიდუალურად, შინაგანად გარეთა პოზიციის მიღება, რომელიც ფასდება საფუძვლიანად და ობიექტურად, ვიდრე საკუთარი ხედვა. **მოტივი** (ლათინ. მოვერე – მოძრაობაში მოყვანა) – 1. სუბიექტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აღძრული საქმიანობა; გარეთა და შიდა პირობების ერთობლიობა, რომლებიც იწვევენ სუბიექტის აქტივობას განსაზღვრული მიმართულებით; 2. საგნის საქმიანობის აღმძვრელი და მიმართულების არჩევა (მატერიალური ან იდეალური), რის გამოც ხორციელდება; 3. შეგნებული მიზეზი. **მოტივაცია** – ორგანიზმის აქტიურობის აღმძვრელი და მისი მიმართულების განმსაზღვრელი. **ნორმა-წესების** და მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს მოცემული ჯგუფის წევრების საქციელს, ხასიათას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთმოქმედებას და ურთიერთობას. ნორმა წარმოადგენს სოციალური ნორმების გარდასახვის სპეციფიკურ სახეს, რომელიც არეგულირებს დიდი ჯგუფების სიცოცხლისუნარიანობას. **რეფლექსაცია-მიმართვა** უკან, სუბიექტის შიდა ფსიქიკური აქტების და მდგომარეობის თვითგამორკვევის პროცესი. **გადაწყვეტა** (ფსიქოლოგიაში) აზროვნებითი ოპერაციების ფორმირება, რომელიც პრობლემის გაურკვეველ სიტუაციას არეგულირებს. გადაწყვეტის პროცესში გამოიყოფა შემდეგი სტადიები: გადაწყვეტა, ძიება, მიღება და რეალიზაცია. **„ეკონომიკური ადამიანი“** – ეს ტერმინი მიეკუთვნება ეკონომიკას. თუმცა არსებობს მეცნიერული ცოდნის სფერო, შედარებით ფსიქოლოგიის ახალი ნაწილი – ეკონომიური, რომელიც თავის საგნად მიიჩნევს „ფსიქიკური ასახვის სამეურნეო ურთიერთობის კანონმდებლობას“.

ეკონომიკური ქცევის ფსიქოლოგიური მიზანი, როგორც მეცნიერების, აღორძინდა ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის მიჯნაზე. ადამიანური ქცევის შესწავლა ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, ასახულია ადამიანის ფსიქიკაში, ადამიანის ქცევაში. გათვალისწინებული უნდა იყოს კომპლექსური მიდგომა ეკონომიკური შეგნების, მოტივების, აზროვნების, ინტერესების, ცალკეული ინდივიდების ფილოსოფიური მიდგომით ეკონომიკური ფაქტორებისადმი. თუ წინათ ეკონომისტებს აინტერესებდათ ხალხთა დიდი ჯგუფის ქცევა, ამჟამად მიმართულება აღებულია მიკროდამოკიდებულების შესწავლით ეკონომიკაში. აქტუალურია ცალკეული ინდივიდის ქცევა, რომელიც შეისწავლება როგორც კომპლექსური პროდუქტი.

ადამიანის ეკონომიკურ ქცევას საფუძვლად უდევს **მიზანმიმართული ქცევა**, რომელიც მკაფიოდ სტრუქტურიზებულია მიზანზე, სახსრებზე და შედეგებზე. უპირველესად ეკონომიკურ ადამიანს აქვს კონკრეტული მიზანი, რომლის კონკრეტულობით განისაზღვრება მოქმედების წარმატება. ეკონომიკური ქცევა ხასიათდება მიზნის შეგნებულობით, რომლის გარეშე ძნელია ლაპარაკი მის სუბიექტურ სარგებლობაზე.

ადამიანის ეკონომიკურ ქცევას წარმოადგენს მიზნებზე დამორჩილება. დამორჩილების საშუალებების შერჩევა ხდება მიზნების ეფექტურად შეფასების საფუძველზე. ეკონომიკურ ადამიანს აქვს ზოგიერთი მოწესრიგებული მიზნების სტრუქტურა გამოსახული „მიზნების ასეთი“. [1]. ადამიანის ეკონომიკური ქცევის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს შედეგების ანგარიში, რის შემდეგ ვლინდება ქცევის ეფექტურობა. გადაწყვეტის შედეგად ხდება ალტერნატივის შეფასება, ანგარიში, მოსალოდნელი შედეგის შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ მიღწეული მიზანი მოითხოვს ძალიან დიდ რისკს და ხარჯებს, როგორც ვარაუდობენ ეკონომისტები, „ეკონომიკური ადამიანი“ უარს აცხადებს მიზნის მიღწევაზე. ამიტომ ეკონომიკური ქცევის რაციონალურობა გულისხმობს ანგარიშს (მიზნების, საშუალებების, შედეგების) და დასახელებული ნაბიჯების თანმიმდევრობას. ასეთი წარმოდგენა რაციონალურ და მიზანმიმართულ ადამიანის ქცევას აქვს საკმაოდ საფუძველი მმართველობითი საქმიანობის სპეციფიკისადმი. გარდა ამისა, ქცევის ასეთი ტიპი უფრო ადვილი შესამოწმებელია, აღქმადია, გამოთვლადია და პროგნოზირებადია. ადვილად მართვადია რადგან მისი ძირითადი კომპონენტები – მიზნების, დაჯილდოვებისათვის სახსრები ერთდროულად წარმოადგენენ როგორც მოქმედების სტიმულირების სისტემებს აღზრდისა და მართვისათვის.

ამ მოდელს, როგორც ზოგიერთი მკვლევარები აღნიშნავენ, აქვს ნაკლოვანებები. პრაქტიკულად ყველა არამიზნობრივი და არარაციონალური ქცევა ადამიანისა ეკონომიკის სფეროში არ ჯდება „მიზანრაციონალურ“ მოდელში. ეს იმპულსური და ემოციური ქცევა, დეტერმინდება შეუგნებელ არაცნობიერ სფეროში. მიზანრაციონალური ქცევა აერთიანებს საქმიანობას, რადგან ზოგი მათაგნი კარგავს ელემენტებს და პერიოდებს. ყველაფერი, რაც განიხილება როგორც საშუალება, ავტომატურად კარგავს დამოუკიდებლობის აზრს, რაც უფრო ადამიანი მიზანმიმართულია, აქვს ძალა, მოტივები, დრო, სასიცოცხლო სფერო და ის ემორჩილება მიზნებს – გარდაქმნის მათ საშუალებებად, რითაც უფრო აზრი აქვს მის გადაწყვეტილებას. ადამიანის-სუბიექტის ეკონომიკური ქცევის განხილვის დროს შემოვიდა ტერმინი „გაცვლის კონცეფცია“. მისი ცალმხრივი ეკონომიზირებული განმარტება იწვევს სერიოზულ წინააარმდეგობას ეკონომიკურ და სოციალურ განმარტებებში. **გაცვლის სქემა** ნამდვილად ჩართულია რეალური აღძრის რიცხვში არა მარტო ფულთან, ნივთებთან და სხვა მატერიალურ პირობებთან, არამედ ასევე არამატერიალურ პირობებთან პრესტიჟის, ძალაუფლების და სულიერი აღძრისათვის. თეორიულად ნებისმიერი გაცვლა შეიძლება მოხდეს მიზნების ანდა ინდივიდის მოცდისას (მაგალითად, ა. მასლოუს მოთხოვნის იერარქიის მიხედვით). ინდივიდების საქმიანობის ეფექტურობა განისაზღვრება იმით, რამდენად მომგებიანია მისთვის წარმოდგენილი შეფარდება ანაბრისა და დაჯილდოებისა. განვიხილოთ რამოდენიმე გაცვლის კონცეფციების მაგალითები.

ჯ. ჰომანსის გაცვლის კონცეფცია. ეს კონცეფცია აგებულია ვარაუდზე, რომ უშუალო ურთიერთ სარგებლობა ხალხისა – დაჯილდოების გაცვლა

წარმოადგენს წყაროს საზოგადოების სოციალური მოწესრიგების გარანტი. გაცვლის მექანიზმი ჯ. ჰომანსის მიხედვით ასე გამოიყურება. რაც უფრო მეტად აქტუალური სიტუაცია ჰგავს წარსულს, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ადამიანი მოიქცევა ისევე ან მიმსგავსებულად. ანდა: მოცემული პერიოდის განმავლობაში ერთი ადამიანის საქციელი ჯილდოვდება მეორის საქციელით, მით ხშირად ეს სხვაც მოიქცევა ისევე. მთლიანობაში ნებაყოფლობითი ურთიერთმოქმედება არსებობს მანამდე, სანამ პარტნიორები თვლიან, რომ მათი ანაბარი მასში ნაკლებია, ვიდრე მისი დაჯილდოების პროცესში მიღებული.

ამ სქემის შეზღუდულობა მდგომარეობს იმაში, რომ აქ არ გაითვალისწინება პრაქტიკულად არცერთი ქცევის რეგულირების სოციალური მექანიზმი.

ტ. პარსონსის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თეორია. სხვა კონცეფცია გაცვლის-ნორმატიულობა აღწერილია ტ. პარსონის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ თეორიაში, რომელიც იყენებს ურთიერთდაჯილდოების ცნებას სოციალური სისტემის სტაბილურობის გარანტიისათვის და ეწოდება მას ნორმატიული. ჯ. ჰომანსის კონცეფციის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ნორმატიულ სქემაში ჯილდოვდება არა „სარგებლობა“, არამედ ნორმისადმი თანმიმდევრობა, კონფორმისადმი შესაბამისობა, სოციალური მოცდით. ამიტომ ჯ. ჰომანსის მიერ შემოთავაზებული იყო გაცვლის სხვა წესები:

1. ნორმის შესრულება ჯილდოვდება;

2. რაც უფრო მეტად უახლოვდება ნორმას, მით უფრო მეტად ჯილდოვდება; ამასთან რაც უფრო დიდხანს მიმდინარეობს კონფორმული მოქმედებები, მით უფრო ნაკლებად ფასდება და ნაკლებად ჯილდოვდება. თავის მხრივ, მას აქვს ორი შედეგი: ა) ადამიანი ამცირებს თავის კონფორმულობას და არ იღებს დაჯილდოებას, გაცვლა დარღვეულია; ბ) ადამიანი იმაღლებს თავის კონფორმულობას, რათა დაჯილდოება არ შემცირდეს ინფლაციის კონფორმულობისაგან;

3. დაჯილდოების დონე არ მოქმედებს სოციალური სისტემის სტაბილურობაზე მანამდე, სანამ მონაწილეები იღებენ შესაბამის ნორმებს. ამასთან საერთო ნორმების არსებობა ზრდის ალბათობას იმისა, რომ კონფორმულობა იქნება დაჯილდოვებული, მაგრამ ამცირებს დაჯილდოების სიდიდეს;

4. რაც უფრო მეტად ცალმხრივია გაცვლა, მით ნაკლებად მდგრადია ურთიერთობა.

გაცვლის კონცეფციის შემოწმების მცდელობა მუდმივად ეჯახება იმას, რომ ადამიანებს „უნარი აქვთ უხელმძღვანელონ ორიენტაციას თავისი ინტერესებისათვის, ასევე სხვა მისწრაფებასაც – ალტრუიზმს, სამართლიანობის გრძნობას, სტატუსის შესაბამისობას, შეჯიბრს, შურს.

ამჟამად, მიღებულია ეკონომიკური ქცევის შემდეგი განსაზღვრება: ეკონომიკური ქცევა – ეს ადამიანური გადაწყვეტა და შეზღუდული რესურსების ალტერნატიული გამოყენებაა, რომელსაც მიეკუთვნება ფული, დრო, სივრცე, ძალა, ენერგია და სხვა მატერიალური რესურსები პირადი მოხმარების დასაკმაყოფილებლად“.

ეკონომიკურ ქცევაზე მოქმედებენ შემდეგი სამი ჯგუფის ფაქტორები:

I. გარემოს ფაქტორები და საერთო სოციალური სიტუაციური ფაქტორები;

II. სუბიექტური ფაქტორები;

III. ეკონომიკური მოქცევა.

ფაქტორების პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ფაქტორების სამი ქვეჯგუფი, რომლებიც ასევე დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან. ესენია: 1. სიტუაციური ფაქტორები, რომელსაც მიეკუთვნება გადასახადის დაბეგვრა, ეკონომიკური კანონები, მასობრივ ინფორმაციის საშუალებანი, ინფლაციის დონე, შემოსავლების საერთო დონე; 2. გარემოს ფაქტორები, სუბიექტური პირობები და შეზღუდვები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან სუბიექტებთან: ეს არის შემოსავალი, შემოსავლის შეფასება, ვალები, სტატუსი. სუბიექტის სტატუსში შედის დემოგრაფიული მახასიათებლები, რომლებიც ასევე დაკავშირებულნი არიან სხვა ეკონომიკურ კატეგორიებთან – ასაკთან, სქესთან/გენდერთან, განათლებასთან, სამოქალაქო სტატუსთან, საცხოვრებელ ადგილთან, ბავშვების რაოდენობასთან, მატრიმონიალურ სტატუსთან. 3. ფაქტორები, დაკავშირებული სხვა სუბიექტების სოციალურ მოქმედებასთან.

ფაქტორების მეორე ჯგუფი შედგება სამი ქვეჯგუფის ფაქტორებისგან:

1. აღქმის ქვეჯგუფი, როგორც ფუნქცია, დაკავშირებული გარემოსთან, ხოლო სიტუაციური ფაქტორი და მოქცევა როგორც ფაქტორი, რომლის საშუალებით გამომჟღავნდება ყველა ეკონომიკური კატეგორიები;
2. სომატური ფაქტორები ეს სუბიექტის ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური თავისებურებებია, რომლებიც ზღუდავენ ან ხელს უწყობენ სუბიექტის რაიმე გადაწყვეტას.
3. ფსიქოლოგიური ფაქტორები – განწყობა. ცოდნა, მოტივები, ემოციები, ლოდინი, პირადი თავისებურებები, უანრი.

განხილული სქემა ითვალისწინებს სუბიექტების ეკონომიკური ქცევის ინდივიდუალურ თავისებურებას. ეკონომიკური ფაქტორების აღქმის პროცესის გამოყოფა ამახვილებს გარემოს მოქმედების სუბიექტურობას, ახდენს ადამიანური ქცევის ან მცირე ჯგუფის ქცევის პროგნოზირებას. ადამიანს შეუძლია გამოავლინოს სხვადასხვა ქცევა პირველი ჯგუფის ფაქტორების მიმართ, მაგალითად, საგადასახადო სისტემის მიმართ შეგუება სხვადასხვა ხერხებით ანდა შეცვალოს თვით საგადასახადო კანონმდებლობა როგორც ერთ-ერთი სიტუაციური ფაქტორი.

ასეთია მარკეტინგისა და ფსიქოლოგიური ასპექტის ახლებური ხედვა, ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად.

ლიტერატურა

1. Попова Г. В. Маркетинг (краткий курс). М., 2010.
2. ფ. კოტლერი. მარკეტინგის საფუძვლები. თბ. 2006.
3. Дуйнека О. С. Экономическая психология: социально-политический аспект Изд-во СПБ ГУ, М., 1995.

Marketing and Psychological aspect

E. Khakhutashvili
Georgian Technical University
77 str. Kostava, Tbilisi

In order to understand the Managment of Marketing economic strategy, one should discuss it's psychological aspect, which desets out the economic activity of a living person is the subject of it's behavior to meed their professional neads. There is discussed the unknown imderstanding of economic behavior of individual.

Маркетинг и психологический аспект

Е. Хахуташвили
Грузинский Технический университет
Грузия, Тбилиси, ул. Костава 77

Для того чтобы глубже понять маркетинг как стратегию современного состояния экономического управления надо рассмотреть его психологический аспект единственный тип стратегии управления. Субъект экономической деятельности живой человек психологически должен готов для профессиональной деятельности в маркетинговой службе экономической, социальной и духовной сфере.

არქიტექტურა – Архитектура - Architectura

კონტეინერების არქიტექტურა

მ. დავითაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, კოსტავას ქ. 77

XX ს-ის 50-იანი წლები მსოფლიო არქიტექტურაში ცვლილებებისა და გარდაქმნების, ძიებებისა და ახალი აზროვნების ჩამოყალიბების დროა. ომისშემდგომ წლებში, არა ერთი ქვეყანა და არა ერთი არქიტექტორი ეძებდა ინდუსტრიული მშენებლობის მეთოდებს, არქიტექტურულ მიდგომებს, რათა სწრაფი და ეკონომიური ბინათმშენებლობის საკითხი გადაეწყვიტათ. ამ პრობლემის მოგვარებას ქარხანაში დამზადებული ინდუსტრიული სამშენებლო ელემენტების (გადახურვა, წინა და გვერდითი კედლები, ტიხარი, კიბე, სან-კვანძი, აივანი და სხვ.) გამოყენებით ცდილობდნენ. ინდუსტრიული ელემენტებით – ბლოკ-პანელებით შექმნილი სახლის არქიტექტურული გამომხატველობა ეფუძნებოდა ნაგებობის სივრცულ ფორმას, რომელიც მიიღებოდა ბლოკების სხვადასხვანაირ განთავსებაში. მშენებლობაში ასეთმა მიდგომამ იმ წლებში შეძლებისდაგვარად გადაწყვიტა მოსახლეობის კეთილდღეობის საკითხი.

თუმცა სწრაფი, ეკონომიური მშენებლობის საკითხებს განიხილავდნენ ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში ფრენკ ლოიდ რაიტი, ლე კორბუზიე, ვალტერ გროპიუსი და სხვები.

რაიტმა 1911-17 წწ. ე.წ. სისტემური სახლების 900-მდე ნახაზი შექმნა. ასაწყობი ნაწილები ქარხანაში უნდა დამზადებულიყო, რაც შეამცირებდა მშენებლობის დროს და მუშახელისთვის გადასახდელ თანხას. პროექტის მიხედვით სისტემა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მორგებული იქნებოდა დამკვეთზე, არც ერთი სახლი არ იქნებოდა იდენტური. წინასწარ მზადდებოდა ელემენტები და არა მთლიანი ფორმები. ეს სახლები განკუთვნილი იყო საშუალო ფენისთვის. მათ უწოდეს "ჩრდილოამერიკული" ან, "იუსონური" U.S.O.N.A. კომპაქტური, ტექნოლოგიური, ეკონომიური, რასაც სახლების კარკასული კონსტრუქცია განსაზღვრავდა. ისინი იყო ერთსართულიანი, L-ფორმის და მორგებული ნებისმიერ ნაკვეთს. რაიტის ამ პროექტით 13 სახლი აშენდა.

„Maison dom-ino" (1914-1915 წწ.) ორი სიტყვის, დომუსისა (Domus) და ინდუსტრიის (Industry) შეერთებით მიღებული სახელწოდებაა და ასახავს კორბუზიეს ხედვას სახლზე, როგორც დაპატენტებულ სტანდარტიზირებულ ობიექტზე. დო-მინო-ს არქიტექტურაში რეინტერპრეტირებული იყო ჰენებიკის ჩარჩო – საერთო საცხოვრისის კარკასული სისტემა, რომელშიც შეიდგმებოდა ბლოკ-ბინები. პროექტი განუხორციელებელი დარჩა.

1922-23 წლებში, ვალტერ გროპიუსმა და ადოლფ მეიერმა განავითარეს სისტემა, რომელსაც Baukasten (შენობა-ბლოკი) დაარქვეს. მასალათა პალიტრა შედგებოდა ხის, ლითონისა და მინისაგან. თვით სისტემა კი - სტანდარტული, ინდუსტრიულად დამზადებული შენობის ელემენტების ჯგუფისაგან. მიუხედავად იმისა, რომ შენობა-ბლოკების შემადგენელი ნაწილები არ აწყობილა, ეს პროტოტიპული დიზაინი რამდენიმე, ინდუსტრიულად დამზადე-

ბული ბეტონის პანელებიანი სახოვრებელი ბლოკების შექმნისათვის საწყის ეტაპად იქცა. ეს საცხოვრებელი ბლოკები დესაუში აშენდა.

1960 წელს იაპონელი "მეტაბოლისტები" მცირე ტერიტორიების ათვისების საკითხს კაფსულური არქიტექტურის შექმნით წყვეტენ და ნაგებობის სივრცულ კომპოზიციას ვერტიკალური მიმართულებით ავითარებენ. კაფსულა ქარხნული წესით დამზადებული სამრეწველო, ან საცხოვრებელი ელემენტია, რომელიც ნებისმიერი სახით შეიძლება დამონტაჟდეს ძირითად უცვლელ ღერძზე და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს. "მეტაბოლიზმის" ძირითადი პრინციპები ხომ სიცოცხლის უწყვეტობას, შეცვლას, განახლებას, აღდგენას ქადაგებს. კაფსულური არქიტექტურის კარდინალური განსხვავება ინდუსტრიული მშენებლობისაგან მრავალფეროვნებისა და ვარიანტულობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რადგან კაფსულის შეცვლა ახალი ფორმის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ამ მხრივ საინტერესო მაგალითია "ნაკაგინის სახლი" ტოკიოში. ქარხანაში დამზადებული კაფსულები, შიგა მოწყობის ყველა ელემენტით, მუდმივ საკომუნიკაციო მოცულობაზე 5 დღეში დამონტაჟდა.

ასეთი მაგალითები მრავლად შეიძლება დასახელდეს.

საცხოვრებლის მზა კარკასის პრივილეგირებულობა XX საუკუნის შუა წლებიდან წარმოჩნდა. მშენებლობაში ყველაზე პრაქტიკული და მობილური ქარხნული წესით დამზადებული მოცულობითი ელემენტი სატვირთო კონტეინერი აღმოჩნდა. ბლოკ-კონტეინერი მეტალის კონსტრუქციული პანელებისგან მზადდება. ტვირთის ტრანსპორტირებისათვის შექმნილი ეს "მეტალის ყუთები", რომლებიც ასობით კილომეტრზე არა ერთი მანქანის, მექანიზმის, ტექნიკის, პროდუქციის, ავეჯისა და ტანსაცმლის გადაზიდვას ემსახურებიან, თანამედროვე არქიტექტურაში ახალ სიცოცხლეს იძენენ. მის მთავარ ღირსებებს წარმოადგენს: 1. მობილური შენობის მრავალჯერადი და მარტივი ტრანსპორტირება, 2. მაქსიმალურად მოკლე ვადებში კონტეინერთა დამზადება, 3. მათი იმ ადგილებში დამონტაჟება, სადაც მშენებლობა აკრძალულია, 4. უნივერსალურობა და პრაქტიკულობა, 5. ეკოლოგიურობა, 6. ეკონომიურობა, 7. ხანგრძლივობა.

სწრაფად ასაწყობი იდეალური სახლი სოციალური საცხოვრისის ახალ ტიპად იქცია, რადგან სახსრები მხოლოდ მისი ინტერიერის მოწყობაზე იხარჯება. ის უფრო და უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში (ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, აშშ-ში, იაპონიასა და ახალ ზელანდიაში), პოპულარული იმ ადამიანებს შორის, რომლებიც უპირველესად ეკოლოგიაზე ზრუნავენ და კონტეინერის გამოყენებით არქიტექტურაში, არა მხოლოდ, ეკონომიას უკეთებენ ფინანსებს, არამედ ფეხდაფეხ მიჰყვებიან თანამედროვე არქიტექტურის ტენდენციებს. ის პასუხობს ადამიანის შესაძლებლობებს და ესთეტიკურ ტენდენციებს. მათი გამოყენება უკავშირდება არა იმდენად ბუნებრივ კატაკლიზმებს, რამდენადაც ფეთქებად სამყაროსთან დაკავშირებულ ომებსა და ნგრევას, რომლის მაგალითები XX ს-ში საკმაოდაა. გარდა ამისა, ასეთი მობილური ბლოკ-კონტეინერები მიზანშეწონილია სხვადასხვა დანიშნულების დროებით, ინდივიდუალურ და კოლექტიურ მშენებლობაში: სააგარაკო საცხოვრებელი სახლი, მაღაზია, ოლიმპიური სოფელი, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, სამშენებლო ოფისები, სასტუმრო, შენობები ოლიმპიადებისათვის, საცურაო აუზები, სავაჭრო პავილიონები, გასახდელები, სამედიცინო პუნქტები, ინსტალაციები, ავტობუსის გაჩერებები, შესაძლებელია მათი სახურავზე განთავსებაც კი და სხვ. კონტეინერების

თემას მიმართავენ ასევე ლანშაფტურ არქიტექტურაშიც. საინტერესოა კონტეინერული ავეჯი.

მართალია გარედან სახლი-კონტეინერი საკმაოდ ასკეტურად და არაპრეზენტაბელურად გამოიყურება მინის ცათამბრჯენების გვერდით, მაგრამ ეს შესაძლებელია გამოსწორდეს საღებავის, ინსტრუმენტებისა და დიზაინერული ფანტაზიის წყალობით. კონტეინერის არქიტექტურის საშუალებით დაგეგმარებისას მაქსიმალურად გამოიყენება სასარგებლო ფართი. კომპაქტური საცხოვრებლის პოპულარობას ხელს უწყობს მასალა და მარტივი მონტაჟი. მათი გამოყენება შესაძლებელია უდაბნოში, ტროპიკებსა და მკაცრი კლიმატის ქვეყნებში. სახლი-კონტეინერი მრავალწლიან მომსახურეობაზეა გათვლილი. არ იწვის, არ იფარება ობით და მისი შეღებვა 5-7 წელიწადში ერთხელ შეიძლება. კონტეინერებისაგან შექმნილი შენობა ტექნოლოგიურად უფრო მარტივია ტრადიციული ინდუსტრიული მშენებლობის მეთოდებზე, ხოლო მათი სიმყარე და გამძლეობა უძლებს ბუნებრივ კატაკლიზმებს – ქარბუქებსა და ტორნადოებსაც კი. სახლი-კონტეინერის დამონტაჟება რამდენიმე საათში შეიძლება. 5-6 ან მეტი კონტეინერის გაერთიენებით კი იქმნება მობილური კომპოზიციები, შემდეგ მიმინარეობს ინტერიერის მორთვა და ბოლოს ავეჯის, აბაზანისა და სამზარეულოს დამონტაჟებით სახლი მთავრდება. ასეთი სახით ქარხანაში დამზადებული სახლი დამკვეთთან გადააქვთ. ერთი 3-ოთახიანი სახლის ღირებულება დაახლოებით 200 000 დოლარია, რაც 2-ჯერ ნაკლებია აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში ანალოგიური ზომის სტანდარტული სახლის ღირებულებაზე. ერთი კონტეინერის ფასი კი 6000 დოლარია.

ექსტრავაგანტული საცხოვრისის - ერთ-ერთ პირველ აღმომჩენსა და აქტიურ პოპულიზატორს ამერიკელი მხატვარი და არქიტექტორი ნიუ ჯერსიდან ადამ კალკინი წარმოადგენს, რომელმაც "მეტალის ყუთების" გამოყენება ათეული წლის წინ დაიწყო. პირველად კალკინს ეს იდეა დაებადა მაშინ, როდესაც მანქანით გადაადგილდებოდა პორტში და უამრავი გამოუსადეგარი კონტეინერი იხილა.

ადამ კალკინმა თავისი პირველი ცნობილი პროექტისათვის "Colectors hausi"-სთვის 3 სატვირთო კონტეინერი გამოიყენა, რომელთა გარეთა გარსი Utler Uilding-ის მიერ იყო შესრულებული. სახლის იერი საწყობს გვაგონებს, თუმცა ის სამსართულიანია. ტრადიციული ელემენტებისა და სამრეწველო დიზაინის შერწყმა ქმნის ორიგინალურ გარემოს.

ადამ კალკინის ცნობილი "ადრიენსის" სახლი შეიქმნა 12 სტაფილოსფერი T-ის ფორმის კონტეინერისაგან, რომლებიც სტრუქტურულ ელემენტებს ქმნიან და მინის კედლის პანელების დამჭერებად გამოიყენებიან. ამ სახლის ძირითად მორთულობად უზარმაზარი "გარაჟის" ჭიშკარი იქცა, რომლის საშუალებითაც სახლი მთლიანად იხსნება. გვერდითი კედლები შემოსაზღვრულია კონტეინერებით, ღია სამზარეულო და მისაღები I სართულზეა. ორი მეტალის კიბე I-ელ სართულს II-ე სართულთან აკავშირებს, იატაკი აგურისაა. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი კონტეინერი ერთადერთი ღილაკის საშუალებით ზუსტად 90 წამში 5-ოთახიან "ტრანსფორმირებად სახლ-კონტეინერად" გადაიქცევა თავისი სამზარეულოთი, სასადილოთი, მისაღებით, საძინებლებითა და ბიბლიოთეკით.

დღეს კალკინი თანამშრომლობს კომპანია Fast Company-სთან, რომელიც აწარმოებს სახლ-კონტეინერებს. კალკინის დიზაინით 12 სახლი-კონტეინერი შეიქმნა და აშენდა. მათგან საინტერესოა კალიფორნიაში რედონდო ბიჩზე აშენებული სახლი და "Push Button House"-ი. მასში დამალულია მთლიანად

უტილიზებული მასალისაგან შექმნილი ბრწყინვალე სახლი, რომლის გამოყენება სრულიად განსხვავებულ სიტუაციებშია შესაძლებელი. მაგალითად, იმ ადამიანების დასახმარებლად, რომელთა სახლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო დაზიანდა. კალკინი მრავალბინიან ქალაქურ სახლებსაც ქმნის.

მშენებლობა კონტეინერთა გამოყენებით თავდაპირველად დაიწყო, როგორც შემოქმედებითი ექსპერიმენტი. დღეს კონტეინერის არქიტექტურით მთელი მსოფლიოს არქიტექტორები და დიზაინერები დაინტერესდნენ და იმ არქიტექტორთა რაოდენობა, რომლებიც აღიარებენ მის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ უპირატესობას დღითიდღე იზრდება, ამიტომ მათი შექმნა თანდათან ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სახლი-კონტეინერის პოპულარობის ზრდამ არქიტექტორ ნოვატორთა იდეების განხორციელებას შეუწყო ხელი. მათ ეკოლოგიური მასალების გამოყენებით ფოლადის "არქიტექტურაში" შეჰყავთ მცენარეები და ეთნიკური მოტივები. საინტერესოა ამ ძიებების განვითარების ტენდენცია-გენეზისი სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, სახლი კონტეინერი Port a Bach – ახალზელანდიური ჯგუფის Atelie Worshop-ისაგანაა. წინა კედელი იხსნება და ის გადაიქცევა ტერასად. სახლი მთლიანად კეთილმოწყობილია. ყოველი $მ^2$ ათვისებულია. სამზარეულო, აბაზანა, საწოლები დამონტაჟებულია.

შიგერუ ბანმა 2005 წელს შექმნა დროებითი მუზეუმი-კონტეინერი Nomadic museum-ი ნიუ-იორკში. მან სხვადასხვა ფერის კონტეინერები (156 ცალი) ერთმანეთზე შედგა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დიზაინერის მაიკლ ჰაირის თქმით "მისი ნოვატორობა არქიტექტურასა და არტ-პერფომანსს შორისაა, რომელიც გამდიდრებულია დეკორაციებით "კიტჩის" სტილში. მომავალში საჭიროების შემთხვევაში სახლის დემონტაჟი ადვილადაა შესაძლებელი.

Boxman Studi-ომ ასეთი კონტეინერი გამოიყენა სუფთა ჰაერზე კაფეს მოსაწყობად (აშშ, ტეხასი).

კონტეინერებით სამხრეთ კორეაში ობსერვატორია ააგეს, ნორმანდიაში საერთო საცხოვრებელი, გერმანიაში სტუდენტური ქალაქი, მრავალბინიანი სახლი, და სხვა. ციურიხში აშენდა რეიტაგ-ის ახალი მაღაზია ("რეიტაგ ინდივიდუალ Recycled Freeway Shop"), რომელიც მთლიანად 26 მეტრის სიმაღლისაა. არქიტექტორმა ანეტ სპილმანმა და ჰაროლდ ეშლიმ ამ პროექტისათვის ჟანგიანი, გადამუშავებული სატვირთო კონტეინერები გამოიყენეს, რომლებიც გაამაგრეს და ერთმანეთზე მარტივად დააწყვეს.

იაპონური მეტაბოლიზმის თეორიის არსი გარკვეულია, მაგრამ ნაკლებადაა ცნობილი ის ფაქტი, რომ დღეს მათ ინგლისში მიმდევრები გამოუჩნდნენ. ინგლისელი არქიტექტორები არ მალავენ, რომ ამ საქმეში "იაპონელებს დაემსგავსნენ". მათი მიბაძვის ობიექტი გახდა იაპონელ არქიტექტორთა გამოცდილება, კერძოდ კაფსულური არქიტექტურა. 2008 წელს ლონდონში დასრულდა კონტეინერებისგან შექმნილი სასტუმრო 86 ერთეულით. ეს იაფფასიანი სასტუმროა, სადაც ღამე 19 ფუნტი ღირს. კონტეინერები ჩამოიტანეს ჩინეთიდან გამზადებულ მდგომარეობაში მათში დამონტაჟებული სანკვანძებით, გაყვანილი ელექტროობით, ტიხრებით. მართალია, ამ ერთეულის აღქმა ოთახად წარმოუდგენელი იყო, მაგრამ დამონტაჟებისთანავე ის ვერ განასხვავეს ჩვეულებრივი სასტუმროს ოთახისაგან. ეს სახლები ცნობილია Tempo Housing-ის სახელით.

ლონდონის მახლობლად ინგლისელებმა კონტეინერების ქალაქიც ააშენეს (ავტორი ერიკ რეინოლდრი). ამ შემთხვევაში გემების ვადაგასული კონტეინერების უტილიზაცია მოხდა, რამაც იაფი საცხოვრებელი და საოფისე ფართი შესძინა ამ ადგილს და პროგრესული ინგლისელების ადგილსამყოფ-

ლად აქცია. მშენებლობა დასრულდა 2001 წ. კონტეინერებისგან ერთმანეთზე დადგმული 4 რიგი შეიქმნა. აქვე აშენდა რეკრეაციული ზონა, ოფისები და უფასო პარკინგი. ერთი წლის შემდეგ მას დაემატა მე-5-ე სართული. ცენტრში ორი მეტალის კოშკი აღიმართა. მასთზე გადაატარეს ხიდი-ქუჩები, რამაც ქალაქის ნაწილები ერთმანეთს დაუკავშირა. ქალაქის ურბანული სივრცე გაკეთილშობილდა კონტეინერების სხვადასხვა ფერში შეღებვის შემდეგ. შიდა კედლები სპეციალური მასალით მოპირკეთდა. ეს მასალა ნესტისა და კოროზიის მიმართ მდგრადი აღმოჩნდა. ჭერზე ჰალოგენური განათება დამონტაჟდა. კედელში გაიჭრა მრგვალი ფანჯრები. ყველა ბინას აქვს სამზარეულო, მაცივარი, სარეცხი მანქანა და სან-კვანძი. ასევე ფართო აივნები. სახლის განვრცობა შესაძლებელია კონტეინერების დამატებით. ასეთ სახლებში ერთი ბინის ქირაობა 5-ჯერ ნაკლები ღირს, ვიდრე სამვარსკვლავიანი სასტუმროს ერთი ნომერი. ამ ტრანსფორმირებადი ეკო-ქალაქის დაშლა და ახალ ადგილზე გადატანა ან გადამუშავება შესაძლებელია გარემოს დაბინძურების გარეშე.

ჰაიტიზე ქალაქ პორტო პრენსის მიწისძვრით დანგრევამ და უსახლკაროდ დარჩენილი დაზარალებულების საცხოვრებელი პირობებით სწრაფი უზრუნველყოფის აუცილებლობამ გამოიწვია ამერიკელი არქიტექტორების მიერ ორიგინალური დასახლების პროექტის შექმნა. ავტორებმა გამოიყენეს მსოფლიო პრაქტიკა და საცხოვრებელი სახლები ააგეს კონტეინერებისაგან. რა თქმა უნდა ჰაიტელებისთვის ასეთი საცხოვრებელი უფრო კომფორტული აღმოჩნდა, ვიდრე სახლები, რომლებშიც მანამადე ცხოვრობდნენ. მკაფიო ფერების გამოყენებით ამ პატარა ქალაქმა მათთვის კეთილმოწყობილი დროებითი ურბანული გარემო შექმნა.

ყველასთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ლტოლვილებად ქცეული მოსახლეობისთვის აშენებული დასახლებები ტიპური "ექსტრემალური არქიტექტურის" ნიმუშებია. "ექსტრემალური არქიტექტურა" უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დაზარალებულთა უმოკლეს დროში საცხოვრებლით დასაკმაყოფილებლად. მასში არქიტექტურის ესთეტიკური პრობლემები მეორე პლანზე გადადის და როგორც წესი შეზღუდული კომფორტი ახასიათებს. ლტოლვილთა დასახლებებიც ამის ნიმუშია. ანალოგიური ურბანული წარმონაქმნები ძლიერი იდეოლოგიური მუხტის მატარებელია და ისინი ბუნებრივი კატაკლიზმებისა თუ ომის შედეგების ხილული მაგალითებია.

განხილული მიდგომებისა და ტექნოლოგიური სიახლეების გათვალისწინებით, მრავალნაირი ვარიანტების შემუშავებითა და წარმოების აწყობით შესაძლებელი იქნებოდა სახლი-კონტეინერით ან სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი ერთეულების კომბინაციით ქართველი ლტოლვილებისთვისაც მოკლე დროში შესაფერისი საცხოვრებელი გარემოს შექმნა. ამ შემთხვევაში აღარ მივიღებდით იმ სავალალო შედეგს, კერძოდ მოსაწყენ, ერთფეროვან, ასე დამრთგუნველ, უემოციო, ფსიქიკაზე მძიმედ მოქმედ ურბანულ დასახლებას, რომელიც დღეს სახეზე გვაქვს. გარდა ამისა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შემდეგ დევნილ ოჯახებს სახლი-კონტეინერის ტრანსპორტირების და ძირითადი სახლის აღდგენამდე დროებით საცხოვრებლად მისი გამოყენების საშუალებაც ექნებოდათ.

საქართველოში არიტექტორს მიშა ბალიაშვილს ჰქონდა მცდელობა, 2009 წელს შეექმნა კონტეინერი-სახლი, რომელმაც წლის საუკეთესო არქიტექტურული პროექტის ნომინაციაში გაიმარჯვა. იგი ლითონისაა და ხით არის მოპირკეთებული. საქართველოში ეს ექსპერიმენტული წამოწყებაა და რო-

გორც კი ამის საშუალება და შესაძლებლობა გაჩნდება ალბათ არქიტექტურას იდეებისა და დაკვეთების განხორციელებაც ელის.

ლიტერატურა:
1. Charles Jencks, The New Paradigm in Architecture: The Language of Postmodernism, Yale University Press, 2002

The Container Architecture

Maia Davitaia
The Georgian Technical University, 77 Kostava st, Tbilisi, Georgia

In this article is considered one of the many examples of industrial constructions, which can help to decide how to build quickly, economically and ecologically. For this in the last few years is used industrial containers. With their help it's possible to build houses, temporary hotels, student hostels, department stores and places for food, cultural and industrial buildings. "extreme architecture" is main factor for accommodating for the short period of time. In the article, there are offered different methods and means for using container architecture in other countries.

Контеинерная архитектура

Майя Давитая
Грузинский технический университет, Грузия, Тбилиси, ул. Костава 77

В статье рассмотрен один из многих примеров индустриального строительства, с помощью которого возможно решить вопрос быстрого, экономичного, экологического домостроения. Для этого в последние годы активно используются промышленные контеинеры. С их помощью возможно строить жилые дома, временные гостиницы, студенческие общежития, торговые обьекты и обьекты питания, культурные и производственные сооружения. «Экстремальная архитектура" значительный фактор для обеспечения жильем в короткое время. В статье представлены разные методы и способы использования контеинерной архитектуры в разных странах.

Сохранение исторического облика дворов старого Тбилиси

Автандил Дигмелашвили
Грузинский политехнический университет

По мере своего развития Тбилиси проходил определенные этапы планировки, архитектурного стиля, образа жизни. Каждый последующий этап наследовал от предыдущего времени результаты материальной и культурной деятельности, свидетельствующие о духе, вкусах, быте, образе жизни, экономических и технических возможностях, наконец, потребностях эпохи. Каждый исторический период вносил в облик города что-то новое.

В настоящее время идёт активное проникновение - застройка новыми зданиями без единой программы сохранения исторической среды старых районов города. К сожалению из-за этого часто происходит физическое уничтожение традиционного

облика города, что является реальной угрозой утраты архитектурного исторического наследия.

Деградирующие фонды старой застройки может в наше время вскрыть только генетически точная реконструкция внутриквартального пространства, фиксирующая специфику образа жизни, что обеспечит ему соответствие объекта среде обитания.

Самым ярким выразителем застройки является сегодня внутриквартальное пространство, т.е. жилой двор, отображающий образ жизни обитателей квартала. Эту проблему в разное время изучали Е.Тевзадзе, К.Амиреджиби, Л.Туманишвили и др., но и сейчас она остаётся актуальной. Новая застройка должна служить не только соединительным звеном между памятниками архитектуры, но и отражать художественно- исторический облик зданий и квартала в целом. А для этого надо хорошо изучить сохранившееся ещё наследие старого Тбилиси, и главную его достопримечательность - жилой двор.

В совершенствовании пространственной структуры застройки, в первую очередь, может быть принято взаимосвязанное обновление жилищного фонда и жилого двора, обеспечивающее удобную для посемейного заселения планировку квартир, их санитарно-гигиенический комфорт, с одновременным благоустройством двора, как ограниченного, но не изолированного пространства.

Конкретные приёмы взаимосвязанного обновления зависят от сложившейся структуры застройки в каждом из её типов. В результате исследований проведенных консультационным центром «Географик» под руководством профессора К. Амиреджиби выявились основные морфотипы тбилисских домов : 1) линейный – двор открыт с трех сторон, 2) угловой – двор открыт с двух сторон, 3) двор открыт с одной стороны, 4) закрытый двор, 5) двор с отдельно стоящим домом (особняк).

При изучении жилой застройки вырисовывается общий фон, на котором определяются возможные способы совершенствования традиционного жилого двора. Это теперь не место совместной хозяйственной деятельности, а совместное, комфортное в психологическом отношении, пространство жилой среды, способствующее общению.

Не менее важным компонентом традиционного тбилисского жилища, всегда был балкон галерейного типа, служивший не только средством защиты от солнца, но и бывший важным коммуникационным элементом.

Современные попытки реконструкции, являют собой пример поверхностного отношения к восстановлению самобытности тбилисской архитектуры.

Возьмём, к примеру, дом на ул.Лермонтова 15, который описывал В. Беридзе в своей книге «Архитектура Тбилиси 1801-1917», как яркий образец тбилисского анфиладного жилого здания. Являясь памятником архитектуры, сегодня он находится в плачевном состоянии, происходит его деградация, так как жильцы, для улучшения своих жилищных условий, самостоятельно производят пристройки, надстройки, нарушая структуру здания. Эту проблему ещё в 1985 году поднимала профессор Е. Тевзадзе, в своей диссертации «Обновление жилой среды в исторически сложившихся районах города (на примере застройки Тбилиси рубежа 19-20 веков)», которая остаётся актуальной по сей день.

Целью реконструкции старых тбилисских дворов должно стать обеспечение жизнеспособности, сохранение структуры, композиции и сложившихся социальных связей. Только таким образом мы сможем сохранить самобытность нашего города.

Очевидно назрела острая необходимость возродить специальную научно-проектную структуру, которая вплотную занялась бы изучением данного вопроса и готовила рекомендации для генеральной реконструкции районов старого города. Обновление старого центра, его приспособление к требованиям современной жизни

должно осуществляться так, чтобы это не вело к его разрушению, к физическому уничтожению памятников архитектуры, сложившейся застройки и традиционного облика города.

К сожалению, современная интенсивность жизни приводит к утрате межсоциальных связей, что было так характерно для всех кавказских народов, семейный фактор играл огромную роль в воспитани подрастающего поколения. Тесно общаясь между собой в едином пространстве общего двора, семьи разных национальностей впитывали культуру друг друга, что позволяло воспитывать будущие поколения в уважении к старшим, к традициям разных народов.

Делая выводы из всех рассмотренных факторов, мы приходим к следующему: развитие структурной единицы дом-двор вполне возможно в условиях современного градостроительства, а тем более при реконструкции. Примером этому может служить новая застройка жилого квартала в центральном районе Берлина, где в современном виде осуществлено малоэтажное строительство жилых зданий, открытых во внутренний благоустроенный общий двор, имеющий сквозной проход, при общей замкнутости пространства, с индивидуальным входом в каждую квартиру, с оборудованной детской площадкой, декоративным бассейном, озеленением, продуманной вертикальной планировкой с ливневыми стоками.

Что же касается наших проблем, то сохранение замкнутого дворового пространства связано с созданием в них комфортного, отвечающего современным требованиям жилья. Эффективная модернизация внутренних дворов возможна при совместной перепланировке смежно расположенных зданий, что ведёт к возникновению функциональных связей между соседними дворами, к сохранению пространственных качеств жилого двора, к раскрытию высокоценимой функциональной организации жилой среды и её оздоровлению.

Один из ключевых вопросов – динамика функционального развития квартала. Архитекторы А.Джапаридзе, Ш.Татишвили и созданная ими комплексная группа специалистов (архитекторы, дизайнеры, художники, социологи, инженеры), проектируя микрорайон «Дигоми-7» в Тбилиси, в начале восьмидесятых годов прошлого столетия увидели стратегию борьбы за пространственное многообразие городской среды в непрерывной жизни сооружений, в изменении их облика вместе с эволюцией функционального использования. При проектировани они учитывали соразмерность человеку всех планировочных элементов, традиционные структуры элементов городской ткани, естественные и антропогенные особенности ландшафта, национальные и местные особенности на всех уровнях городской среды. К сожалению этот проект не был осуществлён по некоторым субъективным причинам, хотя и сегодня он является современным.

Двор был не только эксплуатационно-хозяйственной единицей городской застройки, он составлял своего рода элементарную ячейку городского пространства, отнесенного к определенному дому или группе домов. Четко фиксированное, замкнутое пространство городского двора было соразмерно человеку. Замкнутость ни в коем случае не означала изоляции.

Однако именно пространственная обособленность двора, являясь мерой человеческого масштаба, чем-то вроде естественного модуля застройки, одновременно выполняла важнейшую социальную функцию. Двор был простейшим, самым элементарным и поэтому особенно важным типом универсального пространства общественного назначения. Двор был местом общения, это было отгороженное от внешнего мира, интимное, наполненное конкретным социальным содержанием и поэтому индивидуализированное, «своё» пространство. Оно имело свою историю, свои мифы и легенды, а в чем-то и диктовало свои правила поведения. Здесь больше, чем где-либо,

ощущалось чувство безопасности, уюта – своего рода «чувство дома». Двор, таким образом, становился для горожанина первой ступенью перехода от «я» к «мы», от собственной квартиры к необъятному пространству города, от семьи как элементарной социальной ячейки к гигантской и сложноорганизованной человеческой общности.

Понятно, что когда жильё дорожает малоэтажная застройка становится слишком дорогим удовольствием, но ведь и при пректировании многоэтажного строительства можно учитывать национальные традиции. И, конечно, уж никак нельзя игнорировать их во время реконструкции старых районов города. Сохраняя пространственную среду, при постановке многоэтажных домов следует следить за тем, чтобы не была нарушена историческая градостроительная ситуация, силуэтность, пропорциональность, масштабность застройки и т.д. и т.п.

Проведение реконструктивных мероприятий в условиях частного землепользования связано со значительными организационными трудностями. Осуществление проектов реконструкции становится возможным благодаря совместным усилиям муниципалитетов, правительства и различных частных объединений.

В Тбилиси статус памятников архитектуры имеют около 1800 зданий, из них большинство – жилые. Памятники должны быть восстановлены в их первозданном виде, в том числе и дворовое пространство. Это очень важная и сложная задача, без решения которой невозможно сохранение богатейшего культурного наследия и архитектурного облика старого Тбилиси.

Список литературы:

1. Т. Квирквелия. Архитектура Тбилиси. 1982. Тб.“Сабчота Сакартвело”
2. Т. Квирквелия. Архитектура Тбилиси. 1985. М. Стройиздат.
3. Е. Тевзадзе. Обновление жилой среды в исторически сложившихся районах города (на примере застройки Тбилиси рубежа XIX-XX в.в.). Дис.канд.арх. 1985.
4. Т. Чичуа. Чему учит градостроительное наследие Тбилиси. Арх. СССР,№ 3, 1987.
5. А. Гутнов. Эволюция градостроительства. М. Стройиздат. 1984.
6. “ქ.თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა”, გის და საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“, თბილისი, 2008.

ძველი თბილისის ეზოების ისტორიული სახის შენარჩუნება

ა. დიდმელაშვილი, არქიტექტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისმა თავისი განვითარების პროცესში ქალაქის დაგეგმარების, არქიტექტურული სტილის და ზოგადად ცხოვრების გარკვეული ეტაპები გაიარა. ყოველმა მომდევნო ეტაპმა წინა პერიოდისგან შეითვისა მატერიალური და კულტურული შემოქმედების რეზულტატები, რომლებიც მოწმობს სულის, გემოვნების, ყოფითი ცხოვრების სტილის, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების, და, ბოლოს ეპოქის მოთხოვნებზე. ყოველ ისტორიულ პერიოდს რაღაც ახალი შეაქვს ქალაქის სახეში.

დღესდღეობით მიმდინარეობს ახალი შენობების აქტიური შეღწევა-გაშენება ქალაქის ძველი რაიონების ისტორიული გარემოს შენარჩუნების პროგრამის გარეშე. სამწუხაროდ, ამის გამო, ხშირად ხდება ქალაქის ტრადიციული სახის ფიზიკური განადგურება, რაც არქიტექტურის ისტორიული მემკვიდრეობის დაკარგვის რეალური საშიშროებაა.

PRESERVATION OF THE HISTORIC FORM OF YARDS IN OLD TBILISI

ARCH. A. DIGHMELASHVILI
Georgian Technical University

During the process of its development, Tbilisi has passed certain stages of city planning, architectural style, and life, in general. Each successive stage has assimilated from the previous period the results of material and cultural creative work, which point to the demands of spiritual character, taste, style of everyday life, economical and technical means, and, lastly, demands of the epoch itself. Each historic period adds something new to the sight of the city.

Nowadays the new buildings actively penetrate and spread while there run no programs for preservation of the historic environment of the old regions of the city. Unfortunately, due to this, often the traditional sights of the city get physically destroyed, which makes the real danger of losing the historic architectural heritage.

საცხოვრებელი სახლების ტიპები გარემოსთან მიმართებაში

ნანული თევზაძე, *არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
მედეა მელქაძე, *არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი*
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, კოსტავას ქ., 77

შესავალი

საქართველოში და, კერძოდ, თბილისში მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საცხოვრებელი განაშენიანება იქმნება სწორი რელიეფისათვის განკუთვნილი ტიპობრივი პროექტების გამოყენებით. ასე გაშენდა საბურთალო, მუხიანი, გლდანი, ფონიჭალა და სხვა მასივები. ამასთან, დროის შესაბამისად, მატულობს სახლების სართულიანობა 4 და 5-დან 8, 9 და 16-სართულამდე, სართულის სიმაღლე – 2,50-დან 2,70-მეტრამდე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, 90-იანი წლებიდან სრულიად იცვლება საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის მეთოდოლოგია, მშენებლობა გარეუბნიდან ინაცვლებს საკუთრივ ქალაქში, ტიპობრივი დაპროექტება იცვლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობით, მრავალფეროვნდება საცხოვრებელი სახლები და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

სახლის ტიპების სიმრავლე გარკვეულწილად ართულებს თითოეული მათგანის მახასიათებლების გამოვლენას, ანალიზსა და განზოგადებას. ჩვენი ამოცანაა გამოვავლინოთ საცხოვრებელი სახლების ძირითადი სქემები, დავადგინოთ მათი ვარგისიანობა ქალაქის სხვადასხვა ქალაქგეგმარებითი სიტუაციისა და სხვადასხვა ორიენტაციის ფერდობებისათვის, მეტი ყურადღება მივაქციოთ მათი არქიტერქტურულ-მხატვრული სახის სრულყოფას.

ძირითადი ნაწილი

მოსახლეობა შედგება სხვადასხვა შემადგენლობის ოჯახებისაგან და საჭიროა ყველა კატეგორიის ოჯახისთვის გათვალისწინებული იყოს საცხოვრებლის შესაბამისი ტიპი. ბინის ტიპები და ზომები იცვლება ოჯახის წევრების

რაოდენობისა და ხარისხობრივი შემადგენლობის მიხედვით, ხოლო ამა თუ იმ ტიპის ბინების რაოდენობა განისაზღვრება მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემების საფუძველზე. ამასთან, არასტაბილურია საცხოვრებელი სახლების ფორმები, რომლებიც საზოგადოების ცხოვრების წესის ცვლასთან ერთად იცვლება.

ამ შემთხვევაში ვხელმძღვანელობთ სახლისა და ბინის ორიენტაციისა და ინსოლაციისადმი წაყენებული მოთხოვნებით: ბინის სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ორმხრივ განიავებას. ყურადღებას იმსახურებს ინსოლაცია – ოთახების განათება მზის პირდაპირი სხივებით. ინსოლაციის უზრუნველყოფა მოითხოვს სახლის სათანადოდ დასმას ქვეყნის მხარეების მიმართ. საცხოვრებელი ოთახების ერთი ორიენტაციის დროს უნდა გამოირიცხოს სამხრეთ–დასავლეთის მხარე 200-დან 290-გრადუსამდე. საცხოვრებელი ოთახების ორმხრივი ორიენტაციისას ჰოროზონტის აღნიშნულ სექტორზე დასაშვებია ორიენტირებული იყოს არა უმეტეს ერთი საცხოვრებელი ოთახისა 2-ოთახიან ბინებში, 2 ოთახისა 3 და 4-ოთახიან ბინებში, 3 ოთახისა 5-ოთახიან ბინებში.

ნორმების მოთხოვნები – მერიდიანული ორიენტაცია დაუშვებელია IV კლიმატური რაიონისათვის, რადგან მზის დაბალი, ცხელი სხივები დღის მეორე ნახევარში აღწევს სათავსის მთელ სიღრმეს და იწვევს ჰაერისა და და გარე კედლის ძლიერ გადახურებას; განედური ორიენტაციისას სახლის მხოლოდ სამხრეთი მხარის ინსოლაცია ხდება, რამდენადაც მზის მაღლივი მდებარეობის დროს შუადღის საათებში ადვილია მზის სხივებისაგან სათავსების დაცვა; ინსოლაციის საუკეთესო პირობა ოთახების ერთმხრივი განლაგებისას მიიღწევა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, რადგან მზის დაბალი მზის სხივები მართალია აღწევს სათავსების სიღრმეში, მაგრამ ვერ ასწრებს გადახურებას ღამის გრილი საათების შემდეგ [1], არასრული და არასრულყოფილია. სახლის ყველა, მათ შორის დიაგონალური მდებარეობა შეიძლება წარმატებით გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი კლიმატური პირობებისათვის სახლის შესაბამისი ტიპის შერჩევის შემთხვევაში. ამასთან, როგორც წესი, კლიმატური პირობების უზრუნველყოფა ხდება რელიეფთან მიმართებაში, რომელსაც დაგეგმარებაში თავისი წვლილი და გარკვეული კორექტივი შეაქვს. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შენობათა ადგილზე მიბმას და შესატყვისი სახლის ტიპის შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეკონომიკურობის თვალსაზრისით ოპტიმალური გადაწყვეტა შეიძლება განისაზღვროს კომპიუტერისა და ჩვენ მიერ შედგენილი ფორმულების გამოყენებით [2].

წარმოვადგენთ საცხოვრებელი სახლების ტიპოლოგიას: ერთბინიანი; შეწყვილებული; ფრონტალური – ბლოკირებული, სექციური, გალერეული, კორიდორული, სექციურ-გალერეული, სექციურ-დერეფნული; წერტილოვანი; კასკადური; ტერასული; ტერასულ-წერტილოვანი; ბადისებრი და აღვნიშნავთ მათ ვარგისიანობას ქვეყნის სხვადასხვა მხარისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ნაკვეთზე შენობები იკავებს სამ მდებარეობას: მერიდიანულს, განედურს და დიაგონალურს, როდესაც შენობის გრძივი ღერძი კუთხით დახრილია ჩრდილოეთ-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების მიმართ.

ერთბინიანი სახლის შემთხვევაში მისი ყველა მხარე მოშენებისგან თავისუფალია და დაგეგმარების დიდ თავისუფლებას იძლევა. ამ დროს

ძირითადად მხედველობაში მისაღებია ნაკვეთზე მეზობლად არსებული შენობების მდებარეობა და გაბარიტები, რის გამოც სახლი შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად ჩრდილში მოექცეს. სართულიანობა – მაქიმუმ სამი;

შეწყვილებული სახლი უახლოვდება ერთბინიანი სახლის მდგომარეობას გარკვეული შეზღუდით. ერთი საერთო კედლის გამო სახლები სამ მხარეს გადის და ამ შეზღუდვის თავიდან აცილება შეიძლება სახლების ნაწილობრივი აცდენით ჰორიზონტალური მიმართულებით. სართულიანობა – მაქიმუმ სამი;

ფრონტალურს ვუწოდებთ სახლებს, რომელთაც გრძივი მიმართულება უკავია. მის ნაირსახეობას შეიძლება მივაკუთვნოთ ბლოკირებული სახლები, ერთმანეთთან მიჯრით განთავსებული ბინებით, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია ადგილზე, კონსტრუქციულ შესაძლებლობებსა და გადაწყვეტის თავისებურებებზე. ბლოკირებულ სახლებში განაპირა ბინებს სამი ორიენტაცია, ხოლო შუა ბინებს ორი ორიენტაცია აქვს. შეწყვილებული სახლების მსგავსად შეზღუდვის თავიდან აცილება შესაძლებელია ბლოკების ნაწილობრივი აცდენით ჰორიზონტალური მიმართულებით. აქაც სართულიანობა მაქსიმუმ სამია მიზანშეწონილი;

სექციური სახლი არის რამდენიმე სექციისაგან შედგენილი სახლი, რომელიც ვარგისია ჩრდილოეთის, ჩრდილოეთ–დასავლეთის, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდობებისათვის.

გალერეულ სახლში ბინებში მოხვედრა გალერეიდან ხდება და ბინები ერთ მხარესაა განლაგებული. ის ვარგისია ჩრდილოეთის, ჩრდილო-დასავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ორიენტაციისთვის, შეზღუდვით ვარგისია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ორიენტაციისათვის, როდესაც გალერეა ჰორიზონტის სამხრეთ-დასავლეთის მხარესაა და აღმოსავლეთ და დასავლეთის ორიენტაციებისათვის, როდესაც გალერეა დასავლეთის მხარესაა.

დერეფნული სქემის გამოყენება ჩვენი პირობებისათვის შეიძლება მხოლოდ ბინის ორ დონეზე განთავსებისას.

სექციურ-გალერეული სახლი და სექციურ-დერეფნული სახლი ორივე სახლის ნიშან–თვისებას აერთიანებს და საშუალებას იძლევა ერთი კიბის უჯრედზე სექციურ სახლთან შედარებით განთავსდეს მეტი ბინა.

ფრონტალური სახლები შეიძლება ვაკე ზედაპირზე და მცირე, 20-30 პროცენტიანი დახრის ფერდობზე განთავსდეს. სართულიანობა ხუთი და მეტი;

წერტილოვან სახლებს აქვს დიდი ქალაქთგეგმარებითი მანევრირების უნარი და თითქმის განუსაზღვრელი ორიენტაცია ქვეყნის მხარეების მიმართ. ისინი შეიძლება 50 პროცენტამდე დახრის ფერდობზე განთავსდეს. სართულიანობა – ნებისმიერი;

კასკადური ეწოდება სახლებს, რომლებიც განკუთვნილია ფარდობებისათვის და მერიდიანული ან კუთხური მიმართულება აქვს. შეიძლება იყოს მრავალსართულიანი და რენტაბელური 40 პროცენტზე მეტი ქანობისთვის. კონსტრუქციული თვალსაზრისით ადგილზე მიბმა შეიძლება როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად ქანობისდა შესაბამისად. კასკადური სახლის სტრუქრურა შეიძლება იყოს სექციური, გალერეული, დერეფნული, სექციურ-გალერეული და სექციურ-დერეფნული;

ტერასულია სახლი, როდესაც ერთი ბინის გადახურვა ზედა ბინისათვის ბანს წარმოადგენს და ვარგისია დიდქანობიანი, 40 პროცენტზე მეტქანობიანი ფერდობების გასაშენებლად. ტერასული სახლი ორიენტირებულია ქვეყნის სამ და გეგმის რთული კონფიგურაციის შემთხვევაში ოთხ მხარეს. მათი საშუალებით შეიძლება ყველა ორიენტაციის ქანობების, გარკვეული შეზღუდვით კი სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ორიენტაციის ფერდობების მოშენება. სახლი შეწყვილებული ბინებით ჰორიზონტალური გადანაცვლების გარეშე, ვარგისია ყველა ფერდობის გასაშენებლად, გარდა დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფერდობებისა. სახლები შეწყვილებული და აცდენილი ბინებით ვარგისია სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის, აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის და უვარგისია დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფერდობებისათვის. ბინების ჰორიზონტალური მიმართულებით გადანაცვლებისას, ისინი თითქმის ზემოგანხილული ბლოკირებული სახლის პირობებში აღმოჩნდება;

ტერასულ-წერტილოვანი სახლები ტერასულისა და წერტილოვანის გაერთიანება არის, როცა მათ განივი გაბარიტები დაახლოებით ერთნაირია და აქვს ორივე ტიპის სახლისთვის დამახასიათებელი ნიშნები;

ბადისებრი განაშენიანება სახლებისა და შიგა ეზოების ურთიერთმონაცვლე სტრუქტურაა და შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული დაბალსართულიანი, მაქსიმუმ სამსართულიანი განაშენიანებისას როგორც ვაკეზე, ასევე მცირექანობიან რელიეფზე. სართულიანობის გაზრდა, შესაბამისად გამოიწვევს ეზოების გაზრდას.

დასკვნა

შემუშავებული რეკომენდაციები შეიცავს დამეტებით შტრიხებს, რომლებიც განაპირობებს საცხოვრებელი სახლების სტრუქტურულ მრავალფეროვნებას:

დიდი სიღრმის მრავალსართულიანი სახლების დაგეგმარებისას, (სექციური, სექციურ-დერეფნული, წერტილოვანი), შეიძლება დღის წესრიგში დადგეს ეზო-ჭების გამოყენების აუცილებლობა, თუ წარმოიშობა გარკვეული სიძნელეები ბინის ძირითადი სათავსებისაგან სანიტარული კვანძებისა და სამზარეულოების დამოუკიდებელი განიავებისა და იზოლაციის თვალსაზრისით. შექმნილი სივრცე უზრუნველყოფს ვერტიკალური ვენტილაციის განხორციელებას, რაც გარე და შიგა ტემპერატურების სხვაობას ემყარება;

წარმოდგენილი სახლების საფუძველზე და მათი სტრუქტურის შენარჩუნებისას, დღეს უკვე რეალური მსჯელობა შეიძლება ეკოლოგიური სახლის შექმნაზე, რომლის სტრუქტურაში ჩართულია გამწვანება, რაც განსხვავებულ გამომსახველობას შესძენს შენობას;

ცნობილია, რომ სახლების კოლონებზე დასმა ზრდის მათ სეისმომდგრადობას, ადვილდება შენობათა ადგილზე მიბმა და ხდება მიწის სამუშაოების შემცირება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისა და ეკონომიკურობის თვალსაზრისით. ამასთან, კოლონებზე შენობების დასმა უზრუნველყოფს ტერიტორიისა და შენობის განიავებას, რაც დიდ მნიშვნელობას იძენს ჩრდილოეთის ორიენტაციის ვაკე ადგილებისა და ფერდობების ათვისებისას.

მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ნებისმიერი ორიენტაციის ფერდობის პროექციის გათვალისწინება, რაც გამოიწვევს ვერტიკალზე შენობის ცვალებადობას კომპოზიციური ღერძის მოძრაობით ქვეყნის მხარეების მიმართ. ამ პრინციპის

გამოყენება კი აუცილებლად მიგვაჩნია ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფერდობებისათვის.

ლიტერატურა

1. СНиП II-Л. 2-62; СНиП II-К. 2-62; СНиП II-А. 7-62. – М.: Госстройиздат, 1982.
2. ნ. თევზაძე. საცხოვრებლის ფორმირების არქიტექტურულ–გეგმარებითი პრინციპები საქართველოს პირობებში. სადოქტორო დისერტაცია. 1994.
3. მ. მელქაძე. კლდის უბნის ბეთლემის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების პრობლემები. ჟურნალი „კავკასიის მაცნე“ (სპეციალური გამოცემა 3). თბილისი, 2004.

Типы жилых домов в контексте окружающей среды

Н. Тевзадзе, М. Мелкадзе
Грузинский Технический университет, Костава, 77, Тбилиси, Грузия

В статье дается многообразие и характеристика возможностей градостроительной маневрированности жилых домов в Грузии, в связи их целесообразной привязки к местности и странам света.

Отмечается усредненность и несовешенность старых норм и, исходя из типологии домов необходимость их конкретизации и обогащения.

Предлагается ориоентировочная структура новых жилых домов и их пригодность для разных ориентации и сложности рельефов, что может стать основой для создания новых норм.

Types of Residential Buildings in Relation to Environment

N.Tevzadze, M. Melkadze
Georgian Technical University, Kostava Str.,77, Tbilisi, Georgia

The article describes the diversity of residential buildings and their maneuverability for urban planning in Georgia. This is accomplished by taking in consideration local environment as well as the environment of the other parts of the country.

The homogeneousness and incompleteness of old standards is pointed out and the necessity of specificity and enrichment based on the typology of the buildings is determined.

Orientative structures for new residential buildings and their suitability for different types of reliefis proposed. This may serve as a basis for creating new standards.

არქიტექტურული ობიექტის შეფასების სრულყოფისთვის

ნანული თევზაძე, *საქართველოს მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
ვანდა მუჯირი, *დოქტორანტი*
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. 77,
თბილისი,საქართველო

შესავალი

სტატია გაგრძელებაა მსჯელობისა არქიტექტურის, მუდმივად დღის წესრიგში მდგომი საქმიანობის შესახებ. ურთულესია არქიტექტურული მოღვა-

წეობა და, ამასთან, პასუხისმგებლობის მახასიათებლის თავისებურებით გამო-ირჩევა. სულ სხვაა, მაგალითად, მშენებელ-კონსტრუქტორის ან ექიმის პასუხის-მგებლობა. მშენებელ–კონსტრუქტორის შეცდომა შეიძლება შენობის ნგრევით და, შესაბამისად, ადამიანის მსხვერპლით დასრულდეს. ასევე ადამიანის მსხვერპლით შეიძლება დამთავრდეს ექიმის შეცდომა არასწორად შერჩეული პრეპარატის ან ჩატარებული ოპერაციის გამო. მართალია. მსხვერპლი არ სდევს არქიტექტორის მიერ არასწორად დაპროექტებულ და რეალიზებულ ობიექტს, მაგრამ უდავოა, რომ იგი თავისი დაგეგმარებითა და გამომსახველობით, მასშტაბურობით, პროპორ-ციებით, ფაქტურითა და ფერით, განათებითა თუ სხვა თვალსაზრისით, ქვეცნო-ბიერადაც მოქმედებს ადამიანზე, მის ჩამოყალიბებაზე, განწყობასა და ფსიქიკაზე. ამასთან, არქიტექტურა ხანგრძლივად ემსახურება ადამიანს. ამიტომ სწორი ვიქნებით, თუ აღვნიშნავთ, რომ არქიტექტორის პასუხისმგებლობა ნაკლებ პასუ-ხისმგებლობად არ შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე მშენებელ-კონსტრუქტორის ან ექიმის პასუხისმგებლობაა.

როგორც წესი, ადამიანები ცხოვრობენ სხვადასხვა ტიპის დასახლებებში, სახლებსა და ბინებში. ბევრი დაიბადა და მთელი ცხოვრება თბილისში გაატარა. ბევრისთვის თბილისი იწყება მათი ბავშვობის თბილისური ეზოდან, სადაც დაბალსართულიანი სახლების შემოფარგლულ სივრცეში ყველა ოჯახი ერთიანი ცხოვრების წესით ცხოვრობს, სადაც ერთი სადარბაზო და ერთი ალაყაფის კარი საერთო ეზოს ქუჩასთან აკავშირებს, სადაც ეტლების სავალად გათვლილ ქუჩებს უფრო ხმაურიანი და ხალხმრავალი გამზირებისაკენ მიყავხართ, სადაც ერთმანეთს ცვლის მჭიდროდ მიჯრილი საცხოვრებელი სახლები, ბაღებში შესასვლელები, კინოთეატრები, სკვერები, ადამიანების სეირნობის, თავშეყრისა და დასვენების ადგილები. მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის ამ უბნების მნიშვნელობა და ადგილი ქალაქის სტრუქტურაში, რომელიც თავის თავში უკვე ატარებს ცოცხალ ისტორიას და პერიმეტრული განაშენიანების სიკეთის კვალს.

მოგვიანებით ბევრი მათგანი იცვლის საცხოვრებელ გარემოს და ხვდება 5, 8, 9 ან 16–სართულიან ტიპობრივ საცხოვრებელ სახლებში, რომლებიც უფრო კომფორტულია, მაგრამ იგრძნობა ინდივიდუალური სივრცის სიმცირე. დღეს მოსახლეობის უმეტესობა საცხოვრებლად ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს ირჩევს, რომლებიც, რასაკვირველია, კიდევ უფრო კომფორტულია და ინდივიდუალური სივრცეც მოზრდილი, მაგრამ ორივე შემთხვევაში იგრძნობა თავისუფალი განაშენიანებით შექმნილი ეზოს განსხვავებული, ნაკლებად მყუდრო ხასიათი, ადამიანთა გაუცხოების წინაპირობა, რაც სართულიანობის ზრდასთან ერთად მატულობს.

იქნებ სწორედ ამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ საცხოვრებელ სივრცეებში ცხოვრებამ განსაზღვრა ჩვენი გარკვეული დამოკიდებულება არქიტექტურული სივრცისადმი სხვადასხვა დონეზე, რომელიც ამჯერად გამოიხატა არქიტექტურული ობიექტის, კერძოდ, საცხოვრისის შეფასების სრულყოფის ცდაში, რადგან დღეს არქიტექტურის შესახებ ყველაზე ურთიერთგამომრიცხავ კრიტიკულ მსჯელობას აერთიანებს მისი ემოციური ზემოქმედების უგულებელყოფა.

ძირითადი ნაწილი

ადამიანები აგებენ შენობა-ნაგებობებს საუკუნეების მანძილზე და თაობიდან თაობას გადაეცემა მათი აგების ხელოვნება. დაგროვილია დიდი გამოცდილება და უამრავი მასალა პროექტებისა და ობიექტების სახით. ხშირ შემთხვევაში დაპროექტებისა და მშენებლობის მეთოდები ემპირიული ხასიათისაა და შედეგი ყოველთვის სასურველი არ არის. ამ ხნის მანძილზე არის შეცდომები და უკან სვლა, საცხოვრისის ორგანიზაციის პროგრესული ტრადიციების დავიწყება. ამ მოვლენას ადგილი მაშინ აქვს, როდესაც მას თეორიული დასაბუთება არა აქვს. თბილისის ზონალურ ინსტიტუტში მიმდინარე კვლევები საშუალებას იძლეოდა თავიდან აგვეცილებინა არა მარტო შეცდომები, არამედ შექმნილიყო „ახალი მეცნიერებები არქიტექტურის სხვადასხვა სფეროს შესახებ“. დღეს ამ პრობლემებზე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ნაკლები წარმატებით მუშაობენ სპეციალისტები, რამეთუ საზოგადოების განვითარების ყოველი ეტაპი მოითხოვს დროის შესატყვის დამოკიდებულებას. მაგალითად, ჩვენი მიზანია ძირითადი ყურადღება გადავიტანოთ ადამიანის ფსიქო-ემოციურ ფაქტორებზე და კვლევაში ადამიანი შემოვიყვანოთ არა როგორც მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი არსება, მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობით. ამასთან, არქიტექტურული სივრცე განვიხილოთ, როგორც ადამიანის პიროვნების მიზანდასახული ფორმირების განმსაზღვრელი. საცხოვრისი ფართო ცნებაა და ერთდროულად მოიცავს ბინას, საცხოვრებელ სახლსა და საცხოვრებელ გარემოს. ბინა არის საცხოვრისის ყველაზე მცირე ერთეული, საცხოვრებელი სახლი – ბინებისაგან შედგენილი მოცულობა, საცხოვრებელი გარემო – საცხოვრებელი სახლების ჯგუფისაგან შედგენილი სივრცე, რაც თავის მხრივ, არის ქალაქის დასახლებული ზონის ძირითადი სოციალურ-კულტურული და გეგმარებითი ელემენტი, სადაც ჰარმონიულად არის შერწყმული მოსახლეობის ოჯახური ცხოვრებისა და საზოგადოების ყოფის ელემენტები.

ჩვენს მიერ შესწავლილ ნორმებსა და წესებში, რომელთა შედგენისას გამოყენებული იყო მანამდე არსებულ ნორმებსა და წესებში მოცემული ძირითადი პრინციპები, პირველადაა მოცემული ჩვენი ქვეყნის კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო ინვისტიციების ექსპერტიზისა და დამტკიცების წესები. ასევე პირველადაა დადგენილი ვადები საპროექტო დოკუმენტაციის გაცემიდან დამტკიცებამდე და დამტკიცებიდან მშენებლობის დაწყებამდე. გაფართოებულია იმ ძირითადი სარეკომენდაციო საკითხების ჩამონათვალი, რომელთა შემოწმება, გაანალიზება და განხილვა უნდა მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციის ექსპერტიზის ჩატარებისას {1}. მაგრამ, არც ერთი საკითხი არ ითვალისწინებს არქიტექტურისა და ადამიანის ურთიერთმიმართებებს.

ინჟინერ-მშენებელი მიხეილ ქოჩაკიძე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს წერდა, რომ „დღემდე არ არის ისეთი გამომსახველი საზომი, რის საფუძველზეც შიძლება ითქვას, საცხოვრებელი უჯრედის ან სექციის ესა თუ ის გეგმა დაპროექტებულია კარგად, ხოლო სხვა – ცუდად... შეფასებაში ჯერჯეროზით ძირითადად მოქმედებს ეკონომიკური და მოცულობითი მაჩვენებლები, რომლებიც პროექტის ხარისხზე არასრულ, ძალზე შეფარდებით წარმოდგენას იძლევა. ამა თუ იმ არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის ფუნქციურ შინაარსს, როგორიცაა, მაგალითად, ერთეულში საცხოვრებელი ოთახების

მოხერხებული განთავსება, მათი განთავსების მიზანშეწონილობა, ჩაშენებული ავეჯის მოწყობა, მოძრაობის გრაფიკი და საყოფაცხოვრებო პროცესების სისტემა საცხოვრებელ ბინაში და ა. შ., არა აქვს საერთოდ მიღებული მახასიათებლები. ვერ ხერხდება არქიტექტურულ-მხატვრული გამომსახველობის ხარისხის განსაზღვრა და მათი შეფასება დამოკიდებულია სპეციალისტის ინდივიდუალურ გამოცდილებაზე“ {2}.

დღესაც ობიექტის შეფასება შემოფარგლულია ძირითადად რაოდენობრივი მაჩვენებლებით და ნაკლებად ითვალისწინებს მოთხოვნებს ადამიანის სულიერი და ემოციური სამყაროს შესატყვისი გარემოს შექმნის შესახებ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „უმთავრესი საშუალება, რომლის დახმარებითაც ერთ სუბიექტს მეორისათვის თავის დაკვირვებათა გაზიარება შეუძლია, ეს ადამიანის მეტყველებაა. მაგრამ რამდენად საიმედოა იგი აღნიშნული მიზნისათვის, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ერთი მხრივ, რამდენად სრულად ახერხებს სუბიექტი თავისი დაკვირვებისათვის სიტყვიერი გამოხატულების პოვნას, მეორე მხრივ, თუ რამდენად შესწევს მსმენელს ან მკითხველს ამ უკანასკნელის ადეკვატური გაგების ძალა. ერთგვარი გადაჭარბებაა, რა თქმა უნდა, როდესაც ამბობენ: „გამოთქმული აზრი უკვე სიცრუეს წარმოადგენსო“. მაგრამ ერთი რამ ყოველ შემთხვევაში უეჭველია. სახელდობრ ის, რომ ადამიანის აზრები, გრძნობები და საზოგადოდ მისი განცდები იმდენ თავისებურ იერს შეიცავენ, რომ სიტყვის საშუალებით მათი გამოხატვა, თუ სულ შეუძლებელი არა, ძალიან ძნელია მაინც... და სრულიად შეუძლებელია ყველას მეტყველებაში სულიერ განცდათა თანაბრად ადეკვატური გამოხატულება განჭვრიტო.

კიდევ უფრო ძნელია იმის წვდომა, თუ რას გულისხმობს თავის ნალაპარაკებში ესა თუ ის სუბიექტი. ყოველი სიტყვა მრავალ ასოციაციას აღძრავს. ამიტომ ხდება, რომ მისი მნიშვნელობა არა თუ სხვადასხვაა ობიექტისთვის, არამედ თვით ერთი და იგივე პირი ხშირად ერთსა და იმავე სიტყვას მნიშვნელობის სხვადასხვა ნიუანსს აძლევს.

თუ ყველაფერს ამას მხედველობაში მივიღებთ, ჩვენთვის ცხადი შეიქმნება, რომ სხვისი თვითდავირვების მონაპოვართა ადეკვატურ წვდომას სიტყვის საშუალებით თვალსაჩინო დაბრკოლება ეღობება წინ. მაგრამ იმას როდი ნიშნავს, თითქოს მეტყველება სრულიად შეუფერებელი საშუალება იყოს სხვის განცდათა გასათვალისწინებლად“ [3}.

ამგვარად, აზრის წარმოდგენა მეტყველების, იგივე წერილობითი ფორმით განსაზღვრულ ფარგლებში მაინც, შესაძლებლობას იძლევა სხვათა თვითდაკვირვების შედეგები გავითვალისწინოთ, ჩვენსას დავუმატოთ და სუბიექტური ცნობიერების ფარგლებში გადავიტანოთ. ამ მოსაზრების გათვალისწინებით კი შეიძლება აღინიშნოს, რომ არქიტექტურული ობიექტის შეფასება შეიძლება საკმარისი ინფორმაციის მომწოდებელი აღმოჩნდეს კიდეც. არ არის გამორიცხული ასევე შეფასების გამდიდრება და სრულყოფა შესაბამისი გრაფიკული მასალით.

ჩვენს შემთხვევაში არქიტექტურული ობიექტის შეფასებისას გვინდა ხაზი გაესვას მისი აღქმისა და ემოციური ზემოქმედების მნიშვნელობას, არქიტექტურის როლს ადამიანის ემოციურ სამყაროში, განსხვავებული ობიექტების ემოციური ზემოქმედების სპეციფიკას, ასევე ესთეტიკური ემოციების წარმოშობის პროცესს

არქიტექტურის აღქმისას, ესთეტიკური ემოციების ურთიერთკავშირს ობიექტების შინაარსობრივ და ფორმალურ-კომპოზიციურ მხარეებთან. ამასთან, მხეევე-ლობაშია მისაღები, რომ არქიტექტურის შეფასების კრიტერიუმები და მასთან ერთად ემოციური რეაქციებიც მუდმივად იცვლება.

ამ მიმართებით ჩვენი დაინტერესება დიდად განაპირობა მონოგრაფიამ, სადაც მთავარი ყურადღება ეთმობა არქიტექტურისა და ადამიანის ემოციური სამყაროს ურთიერთმიმართებებს [4]. ამასთან, სხვა მასალების გაანალიზებამ და რეალურმა ცხოვრებამ სარწმუნო გახადა არქიტექტურული ობიექტის შეფასების გამდიდრება განსხვავებული მოთხოვნებით, საკითხის დაფიქსირების აუცი-ლებლობა და მომავალში ექსპერიმენტების დაგეგმვა ფსიქოლოგებთან ერთად, რაც არქიტექტორისაგან მოითხოვს ზოგადი ფსიქოლოგიის გარკვეულ ცოდნასა და გააზრებას, სასურველ შედეგებზე გასვლის მიზნით.

დასკვნა

მომავალი კვლევა გულისხმობს არქიტექტურის განმსაზღვრელ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე შეჩერებას, რომელთა ახსნაც გაძნელებულია და საჭიროებს ადამიანის ფსიქოლოგიური სამყაროს გათვალისწინებას.

ნაშრომის სიახლე იქნება ის, რომ არქიტექტურული გარემოს ადამიანზე ნებისმიერი გავლენის ფაქტი გაგებული და ახსნილი იქნება განწყობის ზოგად-ფსიქოლოგიური თეორიის საშუალებით, რამეთუ იგი არქიტექტურული რეალო-ბის ნათლად ამსახველ საშუალებად გვესახება, აერთიანებს რა „ერთ მთელ სისტემაში ადამიანის სენსორული, სენსომოტორული და სოციალური სფეროების ზემოქმედების კანონზომიერებებს“ [5].

ლიტერატურა

1. ტექნიკური დოკუმენტაციის კომპლექსური ექსპერტიზა, განხილვა და დამტკიცება. სამშენებლო ნორმები და წესები. „საქართველოს ხუროთმოძღვრება და მშენებლობა“. თბილისი, 1992.
2. მ. ქოჩაკიძე. საქართველოს ქალაქების საცხოვრებელი სახლების არქიტექტურა (1920–1950). თბილისი, 2006. გვ. 16.
3. დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია. „საქართველოს მაცნე“. თბილისი, 1940. გვ.27.
4. Б. Забельшанский, Г. Б. Минервин, А. Г. Раппапорт, Г. Ю. Сомов. Архитектура и эмоциональный мир человека. Стройиздат. ЦНИИ теории и истории архитектуры. – М.: 1985.
5. დ. ნადირაშვილი. ფსიქოლოგიური გავლენა. „დიოგენე“. თბილისი, 2006. გვ. 16 .

არქიტექტურული ობიექტის შეფასების სრულყოფისთვის

ნ. თევზაძე, ვ. მუჯირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შესწავლილია ტექნიკური დოკუმენტაციის ექსპერტიზის შინაარსი და მოთხოვ-ნები. დასაბუთებულია არქიტექტურული ობიექტის ანალიზის მიზანშეწონილობა, გამომდინარე ადამიანის ემოციური სამყაროდან. რეკომენდებულია ზოგადი

ფსიქოლოგიის ძირითადი პოსტულატების გათვალისწინების საჭიროება არქიტექტურული დაპროექტების პროცესში, არქიტექტურული პროექტის თუ ობიექტის შეფასების დროს.

Perfecting Assesment Process of Architectural Site

N. Tevzadze, V. Mujiri
Georgian Technican University

The article examines the contents and requirements of technical documentation for complex examination. The expediency of the analysis of architectural site is acknowledged proceeding from person's emotional state. It is recommended that basic postulates of general psychology are taken into consideration when designing and evaluating architectural projects or sites.

К усовершенствованию оценки архитектурного объекта

Н. Тевзадзе, В. Муджири
Грузинский техничекий университет


Изучены содержание и требования технической документации комплексной экспертизы. Обоснована целесообразность анализа архитектурного объекта, исходя из эмоционального мира человека. Рекомендована необходимость учета основных постулатов общей психологии в процессе архитектурного проектирования, оценки архитектурного проекта или объекта.

სამრეწველო არქიტექტურა - "ტრანსფორმაცია"

სტუ, ასოც. პროფესორი ***ნინო იმნაძე***

XXI საუკუნის დასაწყისში იქმნება პრინციპულად ახალი გარემო, რაც თავისთავად ასახავს ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს, მის იდეებს, ემოციებს და ცვლის ცხოვრების პირობებს, კულტურას, სტერეოტიპებს. არქიტექტურა ცხოვრების მსგავსად განწირულია მეტამორფოზისთვის, თუმცა ხშირად ეწინააღმდეგება ცვლილებებს. ხელოვნების სხვა ნაწარმოებებიდან განსხვავებით შენობები ინარჩუნებენ იდენტურობას დროში და სივრცეში. იმდენად რამდენადაც შენობები უფრო დიდხანს ცხოვრობენ ვიდრე მათი საწყისი ფუნქცია, მათი ტრანსფორმაცია იყო და ყოველთვის იქნება პრობლემა. XXI საუკუნის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის ტენდენციას განეკუთვნება XIX-XX ს-ის სამრეწველო ბუმის შედეგების დაძლევა. სამრეწველო დაწესებულებები და ზონები, რომლებიც აღმოცენდნენ ქალაქების მახლობლად ქალაქების ზრდასთან ერთად, განაშენიანების გაფართოების და სიმჭიდროვის გამო აღმოჩნდნენ ქალაქების ცენტრში, ქალაქის პრიორიტეტულ ტერიტორიებზე. დღეს ძველი მწყობრიდან გამოსული სამრეწველო ზონების ტრანსფორმაცია ერთ-ერთი ალტერნატივაა თანამედროვე ქალაქის სტრუქტურაში მათი ინტეგრაციის და ადაპტაციისთვი. სამრეწველო ტერიტორიები ხასიათდებიან მთელი რიგი თავისებურებებით, რაც განსაზღვრავს მათი განვითარების პოტენციალს. უპირველეს ყოვლისა კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა, ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირები (ექსკალატორები, კონვეირები, ამწეები). კონტრასტულობა საქალაქო ქსელთან, აქტიური სილუეტი შექმნილი მსხვილმაშტაბიანი ტექნოლოგიური მოწყობილობებით, ორიგინ-



ნალური იერი. სამრეწველო არქიტექტურა ადვილად ადაპტირდება. მათი გადაკეთებით და ტრანსფორმაციით შენობები ინარჩუნებენ თავიანთ პირვენდელ სახეს. ტრადიციულად ძველ მიტოვებულ ფაბრიკებში აწყობენ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებს, დისკოტეკებს, ოფისებს. საკმარისია გავიხსენოთ XX საუკუნის ჯაილსა გილბერტ სკოტის უზარმაზარი ელექტრო სადგურები ლონდონში, რომელშიც დღეს მოთავსებულია "ტეიტ" მოდერნის გალერეა. საინტერესო და კონცეპტუალური მიდგომაა ინდუსტრიული ტურიზმის განვითარება. მწყობრიდან გამოსული ქარხნული შენობების გადაქცევა ტურისტულ ობიექტებად, რომელიც განსაკუთრებულ ემოციებს ახდენს მნახველზე. ასე მაგ: ტრანსფორმაცია განიცადა ნიუ იორკში, მანჰეტენის დასავლეთით მწყობრიდან გამოსულმა და მიტოვებულმა 2,5 კილომეტრიანმა მიწისზედა მეტროს ხაზმა ე.წ. "High Line"(პირველად გაიხსნა 1934 წელს და იფუნქციონერა 1980 წლამდე.) იგი მდებარეობს საკმაოდ მჭიდრო განაშენიანებაში და გამჭოლად კვეთს მას. მაგ. გადის ჩელსის სავაჭრო შენობაში. არქიტექტორმა ჯეიმს ქორნერმა 2009 წელს ინდუსტრიული არქიტექტურის და კონსტრუქციის შენარჩუნებით მასზე შექმნა საზოგადოებრივი მწვანე სივრცე. ამსტერდამი ე.წ. "ამწისქვეშა გზა".




ტრანსფორმაციის საინტერესო მაგალითია ამსტერდამში ე.წ. "ამწისქვეშა გზა". იგი შეჭროლია პირდაპირ წყალში და აწეულია 13.5 მეტრის სიმარლეზე. ეს ინდუსტრიული მონუმენტი აშენდა 1952 წელს, 270 მეტრის სიგრძისაა და 8,7 მეტრის სიგანის. მაგრამ 1999 წლიდან აღარ ფუნქციონირებდა. 2007 წელს არქ. თრუდე ჰოოკაასის პროექტით ამ მიტოვებულ ინდუსტრიულ ძეგლზე აღიმართა სამ სართულიანი საოფისე შენობა. ახალი კონსტრუქცია მინის მინიმალისტურ ყუთს წარმოადგენს, რომელიც მაქსიმალურად განვითარებულია რკინის კონსტრუქციაზე. შთამბეჭდავი სიმბიოზია ძველ ფორმასა და თანამედროვე სტრუქტურას შორის.

ვენეციის ბიენალესთვის სერგეი ჩობანმა, გიორგი რევზინმა და პავლე ხორაშილოვმა წარმოადგონეს ექსპერიმენტული პროექტი "ფაბრიკა რასია". პროექტის ამოცანაა "ძველი სამრეწველო ზონების აღქმა ისტორიულ ლანდშაფტად, რომელიც გახსნილია უნივერსალური ტრანსფორმაციებისთვის". მიტოვებული ფაბრიკები ივსებიან ახალი შინაარსით. ბიენალეს

კურატორი კადზუო სეიჯიმა ტრანსფორმაციაზე არქიტექტურაში ამბობს, რომ "ჩვენ ამას უნდა ვუყუროთ, როგორც გაშლილ სისტემას, რომელიც რეაგირებს ცხოვრებაზე." გუშინდელი ფაბრიკა გადაიქცა შეხვედრების ადგილად, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ქალაქის ცხოვრება და ადაპტირებული იყოს ნებისმიერ სამრეწველო ნაგებობასთან. ექსპერიმენტისთვის არჩეული იყო ქალაქი ვოლოჩიკი, რომელიც სიმბოლურად მდებარეობს მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგს შორის. ეს ქალაქი ცნობილი იყო ტექსტილის მრეწველობით. ტრანსფორმაციისთვის დამუშავებული იყო 5 ზონა: ოთხი ფაბრიკა და ისტორიული ცენტრი


პროექტი ვენეციის ბიენალესთვის "ფაბრიკა როსია"- "პარიზის კომუნა"



ფაბრიკა "პარიზის კომუნის" რეგენერაცია კონგრეს ცენტრის, სასტუმრო-კონფერენციის, ხელოვნების სკოლის საგამოფენო და საკონცერტო დარბაზების განტავსებით.

"პარიზის კომუნა" მდებარეობს მდინარე ცნას სანაპიროზე ღვთიშმშობლის მიძინების ტაძრიის მახლობლად. ფაბრიკაში განთავსებულია კონგრეს ცენტრი, სასტუმრო, საცხოვრებელი და ხელოვნების სკოლა საგამოფენო დარბაზით. ესთეტიური პროგრამის რეალიზაციის მიზნით ავტორებმა მიმართეს კონტრასტის მეთოდს. არსებულ განაშენიანებაში განათავსეს ახალი ნაგებობები, რომელთა არქიტექტურა 21-ე საუკუნის ტენდენციებს ასახავს. ამ მიზნით ავტორები ქმნიან ახალი ღერძების სისტემას პარადული მოედნით. მოედანი ერთმანეთს აკავშირებს წარსულს (ტექსტილის ფაბრიკა) და მომავალს. თვითონ არქიტექტურაში ახალი და ძველის თემა თამაშდება რამდენჯერმე. კერძოდ ფასადებზე ერთმანეტს ენაცვლება სხვადასხვა სამსენებლი მასალა: მინა, წითელი აგური, ბეტონის აჟურული ბადე.




პროექტის "ფაბრიკა რასიას" ფარგლებში დამუშავებული იყო "პროლეტარული ავანგარდის" ბამბეულის კომბინატის ტრანსფორმაციის კონცეფცია. ავტორებმა წყლების სისტემით მთელი ტეროტორია ახალი არხის საშუალებით დააკავშირეს ერთმანეთთან ისე რომ ყოფილი წარმოება გადააქციეს ვენეციად. პროექტის ავტორი იძლევა პოეტურ განმარტებას: "წყალი ავსებს ცარიელ სივრცეებს აზრით და ენერგიით. იქმნება ერთიანი ანსამბლი და არქიტექტურა გადადის სხვა რეგისტრში. ყოფილ ფაბრიკა ტრანს-

ფორმირდა სასტუმროდ განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით. თანამედროვე ნაგებობები შექმნილია ჰიდროტექნიკური და საპორტო ნაგებობების არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ესთეტიკით რაც ამ ადგილს ტურისტებისთვის მიმზიდველს ხდის.

მაგ: მოსკოვში "დანილოვსკის მანუფაქტურა" (ყოფილი ტექსტილის ფაბრიკა) არის XIX-XX ს-ის სამრეწველო კონპლექსი, რომელშიც შედის 14 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი ტრანსფორმირდა ბიზნეს ცენტრად, კომერციული ფართებით და აპარტამენტებით. მიზანი იყო სამრეწველო ობიექტის ისტორიული სახის შენარჩუნება ქარხნული კოლორიტის წითელი აგურის ბრუტალური ესთეტიკით. მიღწეულია საინტერესო სინთეზი ძველ და ახალ არქიტექტურას შორის.


"დანილოვსკის მანუფაქტურა"






"ვან-ნელ" ეს არის თანამედროვე დიზაინის ქარხანა. ყავის ჩაის და თუთუნის წარმოებელმა ქარხანამ 1998 წლიდან ახალი ცხოვრება დაიწყო. ჩერნიხოვის ნახატებით შთაგონებული არქიტექტორები ჯ. ბრიკმანი და ვან დერ გლოტმა 1931 წელს აპროექტებენ მონუმენტურ თავისი დროის თანამედროვე და ინოვაციურ საქარხნო კომპლექს. დღეს ტრანსფორმაციის შედეგად იგი გადაიქცა შთამბეჭდავ ადგილად შეხვედრებისთვის, კონფერენციებისთვის, სემინარებისთვის, ფილმების ჩვენებისთვის, თეატრალური წარმოდგენებისთვის, ფოტოგამოფენებისთვის.











მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური პროექტი იყო საერთაშორისო სამშენებლო გამოფენა "ემშერპარკი" რურის ოლქში (გერმანია) გამოფენა 1999 წელს დასრულდა. 2001 ეწლს კომპანია "ომა"-მ დაამუშავა ტერიტორიის განვითარების გენ-გეგმა რომელსაც უწოდებდნენ "კედლის მიღმა" ქალაქს. ტერიტორიის ლანდშაფტური კონცეფციაა დაბრუნება ბუნებისკენ. პარკში შენარჩუნებულია რკინიგზის ხაზები, როგორც ადგილის ნიშანი. "ბრძმედის ღუმელების პარკი", "ბუნკერების პარკი" და "რკინის მოედანი", როგორც სიმბოლო არსებული სამრეწველო კულტურის ტრანსფორმაციისა საზოგადოებრივ სივრცედ.


სამრეწველო დიზაინის მუზეუმი "RED DOT"-



თანამედროვე სამრეწველო დიზაინის მუზეუმი “RED DOT”-წითელი წერტილი ქ.ესსენში (რურის რაიონი, გერმანია). 2001 წელს იუნესკომ ეს კომპლექსი აღიარა მე-XX საუკუნის ერთერთ ყველაზე შთამბეჭდავ ობიექტად და ჩართო მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში. “ესსენი ეს არის ხელოვნება, როგორც ალტერნატივა წარმოებას”. ინდუსტრიული კომპლექსი “ცოლფრეინი” XX საუკუნის ინდუსტრიალიზაციის სიმბოლოა და სამრეწველო არქიტექტურის ეტალონი. (მისი დამფუძნებელი იყო ინდუსტრიალიზაციის პიონერი ფრანც ჰანელი 1779-1868) პირველი შახტა ექსპლოტაციაში შევიდა 1847 წელა. აქ არის მთელი ქსელი ქვანახშირის მოპოვების შახტებით, რომლებიც მიწისქვეშა გვირაბებით უკავშირდებიან ერთმანეთს. სამრეწველო კომპლექსი წლების განმავლობაში ვითარდებოდა და გასული საუკუნის 30-იან წლებში ერთიან კომპლექსად ჩამოყალიბდა. დამფუძნებლებს აინტერესებდათ არა მარტო ეკონომიური მხარე არამედ ესთეტიკაც. რაციონალობა და ტექნიკური პროგრესი გავლენას ახდენდნენ შინაარსზე ხოლო თანამედროვე არქიტექტურა-ფორმაზე. დღეს ეს კომპლექსი ინდუსტრიული არქიტექტურის შედევრია და კონსტრუქტივიზმის ბრწყინვალე მაგალითი. კომპლექსის არქიტექტურულ ცენტრს წარმოადგენს სახტის თავზე აღმართული ლათინური “A”-ს ფორმის კოშკი-ლიფტი უზარმაზარი ბორბალით. არქიტექტორები ფრიც შუპი და მარტინ კრემერი პროექტირებისას ფუნქციონალიზმის და რაციონალიზმის გარდა ხელმძღვანელობდნენ ესთეტიური კატეგორიებით. ამ მიზნით მიმართეს სიმეტრიას, პერსპექტივის კანონებს და ოპტიკურ ტყუილს, რაც შეიგრძნობა სამრეწველო ზონასთან მიახლოებისთანავე. მთავარი შესასვლელი მდებარეობს ხელოვნურ შემაღლებაზე, რომელსაც ესთეტიური დატვირთვა ჰქონდა. აქედან იშლება ხედი მთელ კომპლექსზე. მას შემდეგ რაც ქარხანა შეტანილი იყო მსოფლიო კუტურული მემკვიდრეობის სიაში გადაწყდა მისი რეკონსტრუქცია არქ. ნორმან ფოსტერის ხელმძღვანელობით. რეკონსტრუქცია განიცადეს საქვაბემ, ნახშირის გამწმენდნი და ნახშირის გადამამუშავებელმა ცეხებმა. ერთადერთი ახალი ნაგებობაა “ბეტონის კუბი”, რომელიც დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას სტოვებს, თუმცა სწორედ ამაში მდგომარეობს მისი უნიკალურობა. თავისი არქიტექტურით იგი არ არის ამოვარდნილი განაშენიანების არქიტექტურული ხასიათიდან. აქ მთავარია ის ხედები, რომელიც იშლება ამ შენობიდან ქაოტურად განლაგებული ფანჯრების ღიობებიდან – როგორც კინოფილმის კადრები ისე ენაცვლება ერთმანეთს ინდუსტრიული პეიზაჟები. გარდა ამ ახალი შენობისა ტერიტორიაზე მოწყობილია თანამედროვე მოძრავი ექსკალატორი რომელსაც მივყევართ ნახშირის გადამამუშავებელ ცეხამდა. ცეხს სართულები არ გააჩნია, მხილოდ დონეებია და ერთიან ორგანიზმს წარმოადგენს. თავისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე აქ მოწყობილია არც ისე ღრმა წყლის აუზები, რომლებიც ზამთარში ყინულის მოედნად ტრანსფორმირდებიან. სამრეწველო ზონაში დღემდე ფუნქციონირებს სამთო მრეწველობის ქარხანა ხოლო კოქსის ფაბრიკა არქიტექტორ რემ კუალჰაასის მიერ გადაკეთებულია “RED DOT” მუზეუმად.

“RED DOT” მუზეუმი





არქიტექტურული კომპანია “OMA” ლატვიაში აპროექტებს ხელოვნების მუზეუმს რიგის პორტში მდებარე ძველ მწყობრიდან გამოსულ ელექტრო სადგურში. ელექტრო სადგური აშენებული იყო 1905 წელს. აგებობას მთელ პერიმეტრზე კვეთს უბრალო გეომეტრიული ფორმის მინიმალისტური საგამოფენო მოცულობა. რემ კუალჰაასის თქმით ძველი ქარხანა მოატავსა ახალ არქიტექტურაში ისე, რომ წარსული ყოველთვის აისახოს მასში, მაგრამ ხელოვნების ნიმუშები არ იყოს ტყვეობაში”.

არქიტექტორ ოდილ დეკკის მიერ ძველი ლუდსახარში ქარხანა ტრანსფორმირდა სამხატვრო გალერეად. ეს პროექტი კარგი მაგალითია მემკვიდრეობის კავშირისა თანამედროვე ხელოვნებასთან და არქიტექტურასთან. პროექტის მიხედვით მინით იხურება სამრეწველო შენობის შიგა ეზო, მინის გალერეებით გაერთიანებულია ქარხნის ცალკე მდგომი ბლოკები, ხოლო სახურავები გადაკეთდა ღია ტერასებად მრავალდონიანი ბაღებით, ამდენად არსებულ ფართს (4500 კვ. მეტრი) დაემატა ახალი ფართო საგამოფენო სივრცეები (10000 კვ. მეტრი). არქიტექტორის მიზანია დამთვალიერებელს შეუქმნას თანამედროვე ხელოვნებაში ყოფნის ეფექტი. ისტორიული შენობა გარდაიქმნა რეალურ თანამედროვე არქიტექტურულ-მხატვრულ ნაწარმოებად რომის ერთი კვარტალის ფარგლებში.

ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ არაერთი მაგალითი სადაც მიტოვებული სამრეწველო ზონები ტრანსფორმირდნენ და დაიწყეს ახალი ცხოვრება: ნაციონალური ისტორიული პარკი “ლოუელლი” ამერიკაში, “ორსეს” მუზეუმი პარიზში, “პირელის” რაიონი მილანში, ხელოვნების ცენტრი ციურიხში, “ტრუმენის ზველი ლუდსახარშის” კომპლექსი ლომდონში, მადიაცენრტი “ლუმე” ჰელსინკში, არტცენტრი “ფაბრიკა 798” პეკინში, თანამედროვე კულტურის ცენტრი “გარაჟი” მოსკოვში და სხვა.

ამრიგად, როგორც განხილულმა მასალამ გვიჩვენა დღეს სამრეწველო არქიტექტურა ტრანსფორმაციას განიცდის, რადგან ვერ ქმნის ისეთ კულტურულ გარემოს რის პოტენციალსაც ფლობს. ტრანსფორმაცია ხელს შეუწყობს მოძველებური ქარხნების და ფაბრიკების ინტეგრაციას და ადაპტაციას თანამედროვე ქალაქის სტრუქტურაში, არ იყოს იზოლირებული და აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ივსებიან რა ახალი შინაარსით გარდაიქმნებიან საქალაქო მნიშვნელობის ცენტრებად, რომელსაც შეუძლია მიიზიდოს არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობა არამედ ტურისტებიც.

ლიტერატურა: С.В Давидов Архитектурное проектирование промышленных предпршятий М 1984

Industriai Architecter

In thise material showed the industrial architecture was redesigned because it failed to create a cultural environment in which it holds the potential. Transformation of old factories promote the integration and adaptation in the structure of the modern city, not to be isolated and actively involved in social life. It is filled with new content is evolving urban centers that can attract not only for locals but tourists as well.

Промышленная архитектура

Тема данной статьи анализ развития Промышленной архитектуры. Сегодня старые заброшенные заводы и фабрики уже не создают ту культурную среду каким они обладают, поэтому трансформируются с целью интеграции и адаптации в структуру современого города.

XX საუკუნის დასაწყისის ავანგარდის იდეების რეალიზაცია არქიტექტორ-დეკონსტუქტივისტ ფრენქ გერის შემოქმედებაში

ვანდა მუჯირი, არქიტექტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XX საუკუნის პირველი ნახევრის ავანგარდი, წარმოადგენს არა მხოლოდ არქიტექტურულ სტილს, არამედ ახალ ხედვას, რომელსაც მთლიანობაში მივყავართ სხვადასხვა ინდივიდუალურ შემოქმედებით მიგნებებთან. დეკონსტრუქტივიზმის ობიექტების კომპოზიციური გადაწყვეტათა მრავალსახეობა მეტყველებს შემოქმედებითი მეთოდის წამყვან როლზე, რომელსაც ამ მიმართულების არქიტექტორები იყენებენ. ეს აძლევს საშუალებას მათ შექმნან ახალი სივრცული სტრუქტურები და არქიტექტურული ფორმები. დეკონსტრუქტივიზმმა დაანგრია პროექტირების ტრადიციული მეთოდები და გამოყო სივრცე, ფორმა და მოძრაობა, როგორც არქიტექტურის ახალი კატეგორიები.

დეკონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი არის ამერიკელი არქიტექტორი ფრენქ ოუენ გერი.

ფრენქ გერიმ მოიპოვა აღიარება, როგორც ავტორმა არქიტექტურული ფორმებისა, რომლებიც ხასიათდება მისი მჭიდრო კავშირებით ხელოვნების სამყაროსთან. ის სწავლობდა არქიტექტურას სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში და ჰარვარდში. საფრანგეთში მოგზაურობის შემდეგ გერი აყალიბებს საკუთარ არქიტექტურულ ბიუროს. თავიდან გერი ვერ პოულობდა მხარდაჭერას კოლეგებს შორის და დიდ ხანს იყო აუტსაიდერი პროფესიულ არქიტექტურულ სივრცეში. ის მეგობრობდა ბევრ დღეისათვის ცნობილ მხატვართან, რომლებმაც უზარმაზარი გავლენა იქონიეს მის შემოქმედებაზე (ბობ რაუშენბერგი, კლას ოლდენბურგი, ჯასპერ ჯონსი და სხვა).

აღიარება მოვიდა 1970-იან წლებში, როდესაც მისი ავეჯის Easy Edges ხაზი იქცა ბაზრის ჰიტად. ლამინირებული მუყაოსგან შესრულებულმა აბსოლუტურად ფუნქციურმა სკამებმა, მაგიდებმა და ტაბურეტებმა საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურეს.

არქიტექტორის თანამედროვე ხელოვნების კვლევები, პირველ რიგში კუბიზმისა და დადაიზმის, ასევე რუსული ავანგარდის სფეროში, გახდა მისი

ინტერესის საფუძველი მოცულობების ფრაგმენტაციისა და სივრცული ინსტალაციების შექმნისა, რაც მკვეთრად აისახება მის მომდევნო პროექტში, რომელმაც ავტორს მოუტანა დამსახურებული წარმატება. ეს იყო სახლის რეკონსტრუქცია სანტა-მონიკაში (1978 წ.). ნაკვეთი, რომელზეც განლაგებული იყო ვარდისფრად შეღებილი, ორსართულიანი ბუნგალო, გახდა საფუძველი რთული კუბისტურ-ფუტურისტული სივრცითი სტრუქტურისა, სადაც გახსნილი და დახურული სივრცე ინტეგრირებული იყო ერთ მთლიანობაში, მოცულობები კი, ტრანსფორმირებული სიცარიელეებში და პირიქით. ამ ნამუშევარში მან გამოიყენა ისეთი მასალები, როგორიცაა გოფრირებული ლითონი, აგური, რუბეროიდი, ფირფიცარი, ავტორისთვის საყვარელი ბადეები, და ხის გაშიშვლებული კონსტრუქციები. ეს ყველაფერი ქმნიდა კოლაჟის ან კუბისტური ქანდაკების შთაბეჭდილებას.

ითვლება, რომ გერის შემოქმედებაზე გავლენა იქონია მალევიჩის სუპრემატიზმმა. ამ სახლის წარმატებამ გერის უამრავი შეკვეთა და რეკორდული რაოდენობის პრიზი და პრემია მოუტანა.

ამ პერიოდში მან სახელი გაითქვა რუსული ავანგარდის გამოფენის "ავანგარდი რუსეთში 1910-30" გაფორმებით. მისი ინსტალაცია პასუხობდა რუსული ავანგარდის ცნობილი წარმომადგენლების მალევიჩის, პოპოვას და სტეპანოვას ნამუშევრებს.

დ. სტილი წერდა: "ფრენკ გერი იყო აქტიური მონაწილე აკადემიური მცდელობების არქიტექტურასა და ხელოვნებას შორის შესაბამისი დაახლოების წერტილის ძიებისა და მისი გულწრფელი აღფრთოვანება მხატვრებით უზრუნველყოფს საკუთარ თვითგამოხატულებას. გერი ხშირად აღნიშნავდა, რომ არქიტექტორები ორმხრივ დაინტერესებულნი არიან ფორმალური ხარისხით და ვიზუალური ფენომენით ფერის, ფაქტურის, ფორმისა და სივრცის ურთიერთმოქმედებით."

ცხადია, რომ საგნობრიობა, რომელიც დამახასიათებელი იყო არქიტექტორის შემოქმედებისთვის 70-80-იან წლებში იყო მალევიჩის ალოგიზმის გამოძახილი და პროვოცირებდა საგნობრივი და უსაგნო ფორმების ურთიერთომოქმედებას. ამის მაგალითია სარეკლამო კორპორაციის შენობა, განლაგებული მეინ სტრიტზე (1975-89წ.).

თავისი შემოქმედებით გერის შექონდა შფოთვა ტრადიციულ გარემოში და ანგრევდა "სერიოზული" პროფესიის საზღვრებს.

მისი "მონუმენტური თევზი" ბარსელონაში (1989-92წ.) იქცა პოსტმოდერნიზმის კომენტარად. გერის თქმით "თევზი" იყო ერთგვარი ხუმრობა ყველა ისტორიულ ცნობაზე, რომ არქიტექტურა ყოველთვის კავშირშია ისტორიასთან. ის აღიქვამდა ამ ქანდაკებას, ექსპერიმენტად არქიტექტურული კულტურის ფარგლებში. ცხადია, რომ ბადით დაფარული ლითონის კარკასისგან შესრულებული ეს ქანდაკება იყო შემდეგი ნაბიჯი უსაგნურობისკენ კობეში (იაპონია 1986წ.) დადგმულ ანალოგიურ ობიექტთან შედარებით. ამას გარდა, გერი განაგრძობდა ექსპერიმენტებს პროექტირების მეთოდებთან და ყოველ ჯერზე მიმართავდა ამა თუ იმ მიმართულებას.

ცხადია, რომ მხატვრებთან მუშაობა და მისი საკუთარი შემოქმედებითი ნატურა განსაზღვრავდა მის ძიებებს ფერწერულ და სკულპტურულ არქიტექტურაში. მისმა ცდებმა დამახინჯებულ კუბისტურ გეომეტრიაში ჰპოვეს განვითარება მხატვარ რონ დევისის სახლის პროექტში (1983წ.) რომლის ფერწერა დაკავშირებული იყო პერსპექტიულ კონსტრუქციებთან. არქიტექტორისთვის ეს გახდა საბაბი სასურათო სიბრტყის ტრანსფორმირებისა სამგანზომილებიან მოცულობაში. მავთულის გამოყენებით ის ათავსებდა

შეერთების წერტილებს სხვადასხვა ადგილას, აგებდა პერსპექტივას სივრცეში, გადააადგილებდა ხაზებს გარშემო, იქამდე, სანამ ფორმები არ გახდებოდა მთელი სტრუქტურის ნაწილი, სახურავები იღებდნენ დახრას გორაკების მოხაზულობის შესაბამისად და იძენდნენ მბრუნავ მოძრაობას, რომელიც გახდა საფუძველი არქიტექტურის მრავალი შემდგომი პროექტისათვის. სახლების სერია - სმიტ ჰაუსი (კალიფორნია 1981წ.), ნორტონ ჰაუსი (კალიფორნია 1984წ.), სახლი მინესოტაში (1986წ.) – ეს არის მოცულობითი ნატურმორტები, სადაც გერი კუბისტურ კომპოზიციაში სხვადასხვა სახის მოცულობების დაკავშირებით იკვლევს ფორმისა და ფუნქციის ურთიერთკავშირს. ლიუისის სახლი (ოჰაიო, 1989-95წ.) წარმოადგენს მრუდხაზოვანი ელემენტებისგან, სხვადასხვა მასალის კომბინირებით (ქვა, ლითონი, მინა) შექმნილ კუბისტურ-ფუტურისტულ კომპოზიციას. ამ პროექტში გერი ატარებს ექსპერიმენტებს კომპიუტერული მოდელირების შესაძლებლობებთან, რომლებიც აბსოლუტურ თავისუფლებას სთავაზობენ არქიტექტორს ობიექტის რთული პლასტიკის შექმნისას.

აიოვას უნივერსიტეტის ლაბორატორიების შენობა (1987-92წ.), ვიტრას დიზაინის მუზეუმი (გერმანია, 1989წ.), ასევე ამერიკული ცენტრი პარიზში (1988-94წ.) მიეკუთვნებიან სხვა ტიპის კომპოზიციებს, რომლებსაც გერი ამ პერიოდში იკვლევს. ამ შენობებში ნეიტრალური სწორხაზოვანი ფორმების და რთული პლასტიური ელემენტების აქტიური კონტრასტის გამოყენებით არქიტექტორი ანვითარებს გეომეტრიულად განსხვავებული ელემენტების შედარების თემას და ამით ქმნის დრამატულ, სივრცულ მოძრაობას. პარიზში ამერიკული ცენტრის პროექტში გერი კუბისტურ კომპოზიციას ქმნის შენობის კვადრატული კომპოზიციის გეგმის დარღვევით. ვიტრას ადმინისტრაციული შენობა ეს არის მართკუთხა საოფისე სივრცე და მოცულობითი სკულპტურული ინსტალაცია, რომელიც განსაზღვრავს შენობის მთავარ შესასვლელს. აიოვას უნივერსიტეტის ლაბორატორიების შენობის რთული დარღვეული ფორმა წარმოადგენს პასუხს სანაპირო ზონის დინამიკაზე, სადაც ვიბრაციის ეფექტს აძლიერებს მისი ანარეკლი წყალში.

ვეისმანის მუზეუმი წარმოადგენს უზარმაზარ კუბისტურ სკულპტურას. ფასადზე ფრაგმენტირებული მოცულობები ქმნიან ქალაქის მხატვრულ კრებით სახეს და გვახსენებენ ა. ეკსტერის ქალაქურ მოტივებზე შექმნილ კუბისტურ-ფუტურისტულ ნამუშევრებს.

რთული სკულპტურული ფორმებისგან შექმნილი კომპოზიცია, რომლის თემა ვითარდება დისნეის საკონცერტო დარბაზის პროექტში (კალიფორნია 1989წ.) და "ენერჯი ინოვეიშნ ფორუმი"-ს პროექტში (გერმანია 1992-95წ.) გახდა ნოვატორული ბევრ ასპექტში. ამ ძიებების დაგვირგვინება განხორციელდა გუგენჰაიმის მუზეუმში ბილბაოში (1991-97წ.). იგი იქცა გადამწყვეტ ეტაპად არქიტექტორის შემოქმედებაში, რომლითაც დაიწყო მსოფლიო არქიტექტურის განვითარების ახალი ერა. ამ პროექტში გერი მიმართავს ქალაქის გარემოს კონტექსტს, რომელიც არის მისთვის საკვანძო მომენტი, ქმნის ინდუსტრიული ქალაქის და მისი ბუნებრივი გარემოს დინამიური ენერგიის ვიზუალიზაციას. შენობის სკულპტურული ფორმა აშკარად ახდენს ფუტურისტული კომპოზიციური იდეების რეალიზაციას და აღმოცენდება ზევიდან



განათებული ცენტრალური ატრიუმიდან. შენობის იდეას აქვს აშკარა მსგავსება ბოჩონის ქანდაკებებთან. განსაკუთრებით მის ნამუშევართან, რომელიც წარმოადგენს სივრცეში მბრუნავ ბოთლს. ატრიუმის უპრეცედენტო მასშტაბი, რომელიც 50 მეტრს აღემატება, განსაზღვრავს ქალაქის ახალ დომინანტს. სვეტებისგან თავისუფალი შიდა სივრცე უზრუნველყოფს ნებისმიერი დონის თანამედროვე ინსტალაციების ჩატარებას, რაც შეუძლებელია ჩვეულებრივ მუზეუმებში. უნიკალური კომპიუტერული ტექნოლოგიები, გამოყენებული ამ პროექტის შექმნისას, ასევე გახდა ახალი ნაბიჯი სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარებაში, რაც უზრუნველყოფს პროექტირების თავისუფლებას. ამ შენობის ფორმა დამუშავებული იყო მოცულობით მოდელებში, რომლებიც სკანირებულ იქნა სპეციალური გამზომი ხელსაწყოებით, რომლებსაც იყენებენ ლაზერულ ქირურგიაში. შემდეგ ეს მოდელი ტრანსფორმირებულ იქნა კონსტრუქციულ კარკასში, პროგრამული პროდუქტის CATIA დახმარებით, რომელიც შექმნილი იყო კოსმოსური მრეწველობისთვის. ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით შენობის კონსტრუქცია და მასალის ხარჯვა აბსოლუტურად ზუსტად იყო გათვლილი და ასევე კლასიფიცირებული იყო ყველა მისი ელემენტი გეომეტრიული ფორმის მიხედვით.

1994-1996 წლებში პრაღის ისტორიულ ნაწილში, 1945 წელს დანგრეული სახლის ადგილზე ვაცლავ ჰაველის ინიციატივით აშენდა "მოცეკვავე სახლი", რომლის აქიტექტორები იყვნენ ფრენკ გერი და ვლადო მილუნოვიჩი. ამ სახლს ასევე უწოდებენ "ჯინჯერს და ფრედს". სახლის მოცულობა წარმოადგენს ბეტონის კონუსს – "ჯენტლმენი შლაპაში" და მასთან მიბჯენილ მინის მოცულობას – "ლედი აფრიალებული კაბით". ამ პროექტის რეალიზება ასევე მოხერხდა CATIA ტექნოლოგიის გამოყენებით.

ამავე პერიოდში განხორციელებული იდეებიდან აღსანიშნავია ექსპერიმენტული მუსიკალური პროექტი, რომლის იდეა ეკუთვნოდა პოლ ალენს, მაიკროსოფტის დამფუძნებელს და ჯიმი ჰენდრიქსის თაყვანისმცემელს, ეს არის ინტერაქტიული მუზეუმი - საგამოფენო ცენტრი შესრულებული უჟანგავი ფოლადითა და შეღებილი ალუმინით.

1994-2000 წლებში გერის მიერ არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა: "ენერგეტიკული ინოვაციების ფორუმი" (გერმანია 1994-2000წ.), DZ ბანკი ბერლინში - 2000წ., დისნეის საკონცერტო დარბაზი (ლოს-ანჯელესი 2003წ.), რისკალ ოტელი (ესპანეთი 2006 წ.), InterActiveCorp. სათაო ოფისი (ჩელსი, ნიუ იორკი 2007წ.), ცათამბჯენი "Beekman Tower" (ნიუ იორკი 2011წ.) და სხვა.



მიზანი, რომელიც არქიტექტორმა დაისახა თავისი კარიერის დასაწყისში - მხატვრული შემოქმედების თავისუფლების მიღწევა არქიტექტურაში - იყო მიღწეული, თავის მხრივ, ამან განაპირობა განვითარების ახალი ჰორიზონტები და აზროვნების ცვლილებები.

ამგვარად, მე-20 საუკუნის პირველი მესამედის ავანგარდის ყველაზე თამამი იდეები, რომელთა რეალიზაცია ადრე შეუძლებელი იყო მრავალი მიზეზის გამო, დღეს პოულობენ განვითარებას გერის შემოქმედებაში.

ფრენქ გერი ამბობდა: "ჩემმარიტების მომენტი - ეს არის ელემენტთა კომპოზიცია, ფორმების, მასშტაბის, მასალების, ფერის, საბოლოოდ ყველა იმ

ამოცანის არჩევა, რომელსაც ხვდება მხატვარი და მოქანდაკე. არქიტექტურა უდაოდ არის ხელოვნება და მხოლოდ ისინი, ვინც არქიტექტურის ხელოვნებით არიან დაკავებული, იწოდებიან არქიტექტორებად".

ცხადია, რომ გერის მიერ ფორმების არჩევა იყო განსაზღვრული მისი კვლევებით თანამედროვე ხელოვნებაში, რამაც უზრუნველყო ფორმაწარმოქმნის აუცილებელი საფუძვლები და მეთოდები. ამ მეთოდებმა საშუალება მისცეს არქიტექტორს მისი მრავალი იდეა, რომლებიც მე-20 საუკუნის დასაწყისის ავანგარდისტების მიერ იყო განვითარებული, რეალობად ექცია. დღეიდან სწორედ გერის ქმნილებები განსაზღვრავენ ჩვენი ეპოქის სტილისტიკას.

ლიტერატურა:

1. Данилова Э.В. Развитие формообразующих идей кубизма и футуризма в архитектуре деконструктивизма. Диссертация кандидата архитектуры. Москва, 2001.
2. http://arx.novosibdom.ru/node/1819
3. http://architect.architecture.sk/frank-owen-gehry-architect/frank-owen-gehry-architect.php
4. http://architecture.about.com/od/greatarchitects/p/gehry.htm
5. http://www.miller-mccune.com/culture-society/architect-frank-gehry-builds-on-virtues-of-play-30718/

XX საუკუნის დასაწყისის ავანგარდის იდეების რეალიზაცია არქიტექტორ-დეკონსტუქტივისტ ფრენქ გერის შემოქმედებაში

ვანდა მუჯირი, *არქიტექტორი,*
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია XX საუკუნის დასაწყისის ავანგარდის იდეების გავლენა არქიტექტორ-დეკონსტრუქტივისტ ფრენკ გერის შემოქმედებაზე. გერის მიერ ფორმების არჩევა იყო განსაზღვრული მისი კვლევებით თანამედროვე ხელოვნებაში, რამაც უზრუნველყო ფორმათწარმოქმნის აუცილებელი საფუძვლები და მეთოდები. ამ მეთოდებმა საშუალება მისცეს არქიტექტორს რეალობად ექცია მისი მრავალი იდეა, რომლებიც XX საუკუნის ავანგარდისტების ნაშრომებს ეფუძნებოდა.

Realization of ideas of Avant-guard of the beginning of XX century in the works of Architect-Deconstructivist Frank Gehry

Vanda Mujiri, Architect
Georgian Technical University

The influence of ideas of Avant-guard of the beginning of XX century on works of Architect-Deconstructivist Frank Gehry is discussed in the article. Choosing of forms by Gehry was determined by his researches in modern art, that provided the necessary basics and methods of form creation. These methods gave the architect possibility to implement his various ideas, based on works of Avant-guardists of the beginning of XX century.

Реализация идей Авангарда начала XX века в творчестве архитектора-деконструктивиста Фрэнка Герри

Ванда Муджири, Архитектор
Технический Университет Грузии

В статье рассмотрено влияние идей Авангарда начала XX века на творчество архитектора-деконструктивиста Фрэнка Герри. Исследования архитектора в области современного искусства определили выбор форм, что обеспечило необходимые основы и методы формообразования. Эти методы дали возможность Фрэнку Герри воплотить в жизнь многие свои идеи, которые были развиты на основе работ Авангардистов начала XX века.

თბილისის სატრანსპორტო პრობლემების გადაჭრის ქალაქგეგმარებითი წინადადებები

გივი შავდია
არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
შ.პ.ს "ქალაქპროექტის" ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი.
შ.პ.ს "ქალაქპროექტი", თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №89/24

თანამედროვე ურბანიზაციის ეტაპზე მსოფლიოს მსხვილი და უმსხვილესი ქალაქების პერსპექტიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სატრანსპორტო და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობების, როგორც ქალაქმშენებლობის ერთერთი მთავარი პრობლემის გააზრება. იქმნება ქალაქის დაგეგმარებისა და მისი სატრანსპორტო ქსელის განვითარების კომპლექსური გადაწყვეტის აუცილებლობა. არსებული ქალაქებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების კომპლექსური რეკონსტრუქციისას ქალაქის გარემოს გარდაქმნისა და გაჯანსაღების ამოცანა განუყოფელია სატრანსპორტო სისტემების განვითარება-გარდაქმნისაგან.

ისეთი ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქებისათვის, როგორიც თბილისია, სატრანსპორტო მომსახურების სრულყოფა აუცილებლად უნდა განიხილებოდეს საგარეუბნო რაიონებთან ურთიერთკავშირში.

სატრანსპორტო ქსელის განვითარება თბილისში მნიშვნელოვნად ჩამორჩება სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის ზრდას (განსაკუთრებით საავტომობილო ტრანსპორტის). სულ უფრო იცვლება დისპროპორცია მოძრაობის მოცულობასა და ქუჩების გამტარუნარიანობას შორის.

ამის მიზეზებია: მრავალდონიანი სატრანსპორტო კვანძების მცირე რაოდენობა; სატრანსპორტო მაგისტრალების კლასიფიკაციის არარსებობა; მოძრაობის ორგანიზაციის დაუხვეწაობა; სატრანსპორტო საშუალებათა ცუდი ტექნიკური მდგომარეობა და სატრანსპორტო მოძრაობის ინტენსივობის ზრდა. ეს კი მნიშვნელოვნად აუარესებს ჩვენი ქალაქის არც თუ ისე სახარბიელო ეკოლოგიურ მდგომარეობას (ხმაური, გამონაბოლქვი, და სხვა...)

ათწლეულების მანძილზე ეს პრობლემა დგას ქალაქის წინაშე და მოითხოვს მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას.

თბილისის ახალი გენგეგმის დასამუშავებლად წინამოსამზადებელი სამუშაოების პროცესში (2001წ) სსი "თბილქალაქპროექტი"-ს დაკვეთით გამოყენებითი ეკოლოგიისა და შრომის დაცვის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა შეასრულა სამუშაო "გარემოს დაცვა". ნაშრომში განსაზღვრულია თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო ნაკადების ხმაურის პარამეტრები, გამოკვლეულია ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ნამწვი აირებით ქუჩების დაბინძურების **მახასიათებლები**.

კვლევებმა აჩვენა, რომ ქალაქის თითქმის ყველა მთავარ მაგისტრალზე მნიშვნელოვნად იყო გადაჭარბებული სატრანსპორტო ნაკადების ხმაურის ნორმატიული მახასიათებელი (65 დბ). მტკვრის სანაპიროზე, რუსთაველის, დ. აღმაშენებლის, ვაჟა-ფშაველას, წერეთლის, გამსახურდიას გამზირებზე, კახეთის გზატკეცილზე, ვარაზისხევის, კოსტავას, ყაზბეგის, ლეონიძის, მელიქიშვილის ქუჩებზე ხმაურის მახასიათებლების ნორმატიული მაჩვენებელი 9-12 დეციბალით იყო გადაჭარბებული. ეს იმ დროს, როცა ამ მაგისტრალებზე ძირითადად საცხოვრებელი განაშენიანებაა განთავსებული.

რაც შეეხება ქუჩების ნამწვი აირებით დაბინძურებას, კვლევებით გამოჩნდა, რომ წლების განმავლობაში მონიქსიდისა და ტყვიის რაოდენობა იმ ქუჩებზე, სადაც ავტო-ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა მაღალია (ი. ჭავჭავაძის გამზირი, ვარაზისხევი, კოსტავას ქუჩა, მელიქიშვილის ქუჩა, რუსთაველის გამზირი, მტკვრის სანაპირო (კორტებთან), კახეთის გზატკეცილი, წერეთლის გამზირი, გაგარინის ქუჩა) აღემატება ზღვრულად დასაშვებ სიდიდეებს. ტრანსპორტისაგან გადაჭარბებული ხმაურისა და ატმოსფეროს დაბინძურების მავნე ზეგავლენის შესამცირებლად, უმნიშვნელოვანესია ქუჩებისა და მაგისტრალების კლასიფიკაციის დადგენა და ამის შესაბამისად, განაშენიანების განთავსება, ტრანსპორტის ნაკადებისა და სახეობების ოპტიმალური გადანაწილება, ქალაქში საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ტრანსპორტის საშუალებათა სწორი შეფარდების განსაზღვრა.

თბილისისათვის ადრე დამუშავებული ყველა ქალაქგეგმარებითი დოკუმენტის მიხედვით (ქალაქის გენგეგმა, კომპლექსური სატრანსპორტო სქემები) საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ტრანსპორტის საშუალებათა ოპტიმალური შეფარდების დადგენისას უპირატესობა ენიჭებოდა საზოგადოებრივ ტრანსპორტს.

თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაადგილების მთლიანი მოცულობიდან უდიდესი ნაწილი, როგორც დღეს, ისე პროგნოზების მიხედვით მომავლისათვისაც, მეტროპოლიტენზე მოდიოდა. ვინაიდან მისი მშენებლობა შეჩერებულია და უახლოეს მომავალში, საეჭვოა მეტროპოლიტენის ხაზების შემდგომი განვითარება, აუცილებელია სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (გზების, მაგისტრალების, სატრანსპორტო კვანძების და სხვა...) მშენებლობის და მოძრაობის ორგანიზაციის საკითხების დროულად და თანამედროვე დონეზე გადაწყვეტა.

ქალაქის სატრანსპორტო პრობლემებზე მრავალწლიანი მუშაობის შედეგად დაგროვდა ქალაქის ცალკეული სატრანსპორტო ობიექტების დაგეგმარების საპროექტო წინადადებები, რომლებიც ქალაქს დიდი ხნის წინ უნდა განეხორციელებინა. ამ წინადადებათა ნაწილი ადრე ასახული იყო ქალაქგეგმარებით დოკუმენტებში (ქალაქის გენგეგმების და ცალკეულ ტერიტორიათა დეტალური დაგეგმარების პროექტებში და სხვა...), რომელთა გან-

ხორციელების აუცილებლობა დღესაც კი ეჭვს არ იწვევს. ამავე დროს, არის ახალი წინადადებებიც, რომელთა საჭიროებაც წარმოიშვა ქალაქის დაგეგმარებაში შეტანილი ცვლილებების გამო.

როგორც ცნობილია, დიდი ქალაქების მაგისტრალების კლასიფიკაციით შემდეგი სახის მაგისტრალები არსებობს: ჩქაროსნული ან უწყვეტი მოძრაობის, საქალაქო, რაიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის.

მიგვაჩნია, რომ ქალაქის სატრანსპორტო ქსელის გაჯანსაღებისათვის კვლავ აქტუალურია გრძივი უწყვეტი მოძრაობის სატრანსპორტო მაგისტრალების ხარისხობრივი სრულყოფა და ახალი საქალაქო განივი მაგისტრალების შექმნა, მტკვრის სანაპირო მაგისტრალების ცალმხრივ მოძრაობაზე გადასვლა, კახეთის გზატკეცილის ქალაქის ცენტრისკენ გაგრძელება და სხვა...

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისათვის ყველაზე მაღალი კატეგორიის და მაღალი გამტარუნარიანობის არიან **<u>უწყვეტი მოძრაობის მაგისტრალები</u>** (მათზე მოძრაობის ინტენსივობა 4500-5000 მანქ/სთ აღწევს), რომლებიც იღებენ მთავარ დატვირთვას მიმდებარე ქუჩებიდან და გაჰყავთ ტრანსპორტი ქალაქიდან. თბილისისათვის ასეთ როლს უნდა ასრულებდეს 3 გრძივი უწყვეტი მოძრაობის მაგისტრალი: მდ. მტკვრის სანაპიროები მცხეთასა და რუსთავისაკენ გასვლით, კახეთის გზატკეცილი რკინიგზის ხაზის პარალელურად და მცხეთისაკენ გასვლით და კახეთის გზატკეცილის ჩრდილოეთით დანიშნული საპროექტო მაგისტრალი თიანეთის გზატკეცილზე გასვლით. ყველა ეს მაგისტრალი უნდა "შეკრას" თბილისის ზღვის ირგვლივ პერსპექტივისათვის დანიშნულმა უწყვეტი მოძრაობის მაგისტრალმა. ყველა ამ მაგისტრალის კატეგორია და გაბარიტები დადგენილია ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის 1970 წლის გენგეგმის პროექტით და მის საფუძველზე დამუშავებული კომპლექსური სატრანსპორტო სქემებით.

სამწუხაროდ, მას შემდეგ ასე დეტალურად არც ერთი ქალაქმშენებლობითი საპროექტო დოკუმენტაცია არ შეხებია ქალაქის არსებულ და პერსპექტიულ ერთიან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას.

ზემოთჩამოთვლილი უწყვეტი მოძრაობის **მაგისტრალებიდან** არც ერთი არ არის ბოლომდე განხორციელებული დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად და მათი სრულყოფა პირველი რიგის ამოცანად მიგვაჩნია.

უწყვეტი მაგისტრალებიდან ქალაქის დღევანდელი და მომავალი სატრანსპორტო სქემის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი გრძივი ხერხემალია <u>მტკვრის სანაპირო მაგისტრალები,</u> რომელთა დასაწყისი ჩრდილოეთით დავით აღმაშენებლის ხეივანია (ყოფ. საქ. სამხედრო გზა).

ათწლეულების განმავლობაში ქალაქი ინარჩუნებდა ამ ხერხემალს და მის მიმდებარე ტერიტორიებს ქალაქის უმთავრესი მაღალი კლასის სატრანსპორტო არტერიის ჩამოსაყალიბებლად, მომავალში ადგილობრივი გზებისა და ორდონიანი სატრანსპორტო კვანძების მოწყობის იმედით... დიდი თანხების დახარჯვით ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარა ქალაქმა, რათა ჩრდილოეთიდან შემოსასვლელი გზა 8-ზოლიან მაღალი კატეგორიის გზად გადაქცეულიყო. დღეს კი ამ მაგისტრალის უწყვეტი მოძრაობის ზოლები და სატრანსპორტო კვანძები გადაიქცა ბენზოგასამართ სადგურებთან, ავტოსამრეცხაოებთან, რესტორნებთან, ბაზრობებთან, უსახურ სავაჭრო ჯიხურებთან მისასვლელ გზებად, მაშინ, როდესაც ეს ობიექტები შეიძლება განთავსებულიყვნენ გენგეგმით დასახულ იმ ადგილობრივ გზებზე, რომელთა მშენებლობის დაფინანსებაც სწორედ ამ კერძო ობიექტებიდან მოზიდული თანხებით

იყო შესაძლებელი. ამით გათვალისწინებული იქნებოდა როგორც კერძო, ისე ქალაქის ინტერესები.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დიღმის ხიდთან, ხიდის კონსტრუქციაზე აშენდა ბენზოგასამართი სადგური, რომლის ქვეშ ინტენსიური მოძრაობის მაგისტრალი გადის. ამ ობიექტის მშენებლობით მსხვილი სატრანსპორტო და სტრატეგიული მნიშვნელობის კვანძი გადაიქცა ფეთქებადსაშიშ ობიექტად.

უშუალოდ, უწყვეტი მოძრაობის სანაპირო მაგისტრალებზე ობიექტების განთავსებით ქალაქის მთავარი სატრანსპორტო არტერიები დაბალი გამტარუნარიანობის გზებად გადაიქცა. სანაპირო მაგისტრალების გამტარუნარიანობის შემცირება კი იწვევს მის პარალელურ გზებზე – რუსთაველის, დ. აღმაშენებლისა და წერეთლის გამზირებზე ისედაც რთული სატრანსპორტო სიტუაციის გამძაფრებას.

მიუხედავად ყველა ზემოთჩამოთვლილი ხარვეზებისა, მტკვრის სანაპირო მაგისტრალები მაინც რჩება დედაქალაქის ერთერთ ძირითად სატრანსპორტო ხერხემლად და აუცილებელია მისი სრულყოფა – ჩრდილოეთით აღმაშენებლის ხეივნით მცხეთისკენ გასვლა, ხოლო სამხრეთით გულუას მოედნიდან განვითარება რუსთავსა და მარნეულისაკენ. ვფიქრობთ, როგორც 1970 წლის გენგეგმით იყო გათვალისწინებული, საჭიროა მტკვრის სანაპირო მაგისტრალების დღევანდელი ორმხრივი მოძრაობიდან ცალმხრივ მოძრაობაზე გადაყვანა. მტკვარი კი შეასრულებს გამყოფი ზოლის ფუნქციას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოძრაობის ორგანიზაციას.

2007 წელს თბილისის საკრებულომ დაამტკიცა სსი "თბილქალაქპროექტი"-ს მიერ დამუშავებული თბილისის აეროპორტიდან მცხეთამდე სატრანსპორტო უწყვეტი მოძრაობის მაგისტრალის მშენებლობის ქალაქგეგმარებითი კონცეფცია. ამ მიმართულებით სატრანსპორტო ნაკადები 4000-5000 მანქ/სთ მიაღწევს და მისი გადაკვეთა სხვა მაგისტრალებთან მხოლოდ მრავალდონიანი კვანძებით მოხდება. ეს პროექტი შედგენილი იყო რკინიგზის ხაზის ქალაქის ტერიტორიაზე გასვლის პირობებში, მაგრამ დღეს, როდესაც რკინიგზა ქალაქიდან გადის და იგი თბილისის ზღვის გადაღმა შენდება, ამ სატრანსპორტო მაგისტრალის გაყვანის საკითხი გადახედვას თხოულობს. ჩვენის აზრით, ასეთი დიდი ინტენსივობის მაგისტრალი ისევ აქ, რკინიგზისგან გამონთავისუფლებულ ტერიტორიებზე უნდა გავიდეს, გაივლის რკინიგზის ვაგზლის შენობის ქვეშ და მაგნიტოგორსკის ქუჩის შემდეგ შეუერთდება მტკვრის მარცხენა სანაპიროს, ავჭალისა და ღრმაღელეს რაიონების გავლის შემდეგ კი შეუერთდება თბილისის ახალ გარსშემოსავლელ მაგისტრალს მცხეთის საზღვართან. სხვაგვარი გატარება ასეთი დიდი მაგისტრალისა განაშენიანების დიდ ნგრევასთან იქნება დაკავშირებული. უწყვეტი მოძრაობის მესამე გრძივი მაგისტრალია კახეთის გზატკეცილის ჩრდილოეთით გენგეგმით დანიშნული საპროექტო მაგისტრალი თიანეთის გზატკეცილზე გასვლით. ყველა ამ სამ გრძივ მაგისტრალს "შეკრავს" თბილისის ზღვის გაღმა დანიშნული უწყვეტი მოძრაობის მაგისტრალი.

არ უნდა დავუშვათ, რომ ტერიტორიათა გაცემისას (გასხვისებისას) ამ მნიშვნელოვანი საპროექტო მაგისტრალების გაყვანის შესაძლებლობა მოისპოს. ზღვის გაღმა ტერიტორიების დაგეგმარება-ათვისებისას უმნიშვნელოვანესი საკითხია ქალაქის გარსშემოსავლელი რკინიგზის ხაზის დაპროექტება-მშენებლობა.

ადრე შესრულებული ქალაქგეგმარებითი წინადადებების მიხედვით ამ გზის მშენებლობა უნდა მოხდეს ზღვის სანაპიროდან დაახლოებით 4,5 კმ-ში.

რკინიგზის ხაზის უფრო ახლოს გატარება აზარალებს როგორც მომავლისათვის გათვალისწინებულ ზღვისგაღმა განაშენიანებას, ისე თბილისის ზღვის დასვენების ზონას.

უწყვეტი მოძრაობის ზემოთაღნიშნული გრძივი მაგისტრალების გარდა, ქალაქის ინფრასტრუქტურისათვის მნიშვნელოვანია **განივი საქალაქო მნიშვნელობის მაგისტრალების დაპროექტება,** მათი მშენებლობის რიგითობის დადგენა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ქალაქის განივი 6-ზოლიანი სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობა ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩის გაგრძელებაზე.

ქალაქის 1970 წლის გენგეგმით და მის საფუძველზე დამუშავებული კომპლექსური სატრანსპორტო სქემით ეს მაგისტრალი ყოველთვის პირველი რიგის მშენებლობის ობიექტს წარმოადგენდა. დაიწყო კიდეც მშენებლობა (პროექტის ავტორები: არქიტექტორები შ. ყავლაშვილი, ს. კაციტაძე, ა. კერესელიძე; თანაავტორები: არქიტექტორები ი. ყანდარელი, ი. მიხაილოვი). პროექტი ითვალისწინებდა აკ. წერეთლის გამზირზე ორდონიანი სატრანსპორტო კვანძისა და რკინიგზის თავზე ესტაკადის მშენებლობას, ასევე ახალი 6-ზოლიანი მაგისტრალით აკ. წერეთლის გამზირისა და ც. დადიანის (ყოფ. ოქტომბრის) ქუჩის დაკავშირებას. ამით იქმნებოდა ქალაქისათვის უმნიშვნელოვანესი განივი სატრანსპორტო კავშირი (საბურთალო – დიდუბე – ნაძალადევი – ლოტკინის მთა – თბილისის ზღვის დასვენების ზონა).

დღეს წერეთლის გამზირის, რკინიგზის ვაგზლისა და ბაზრობათა მიმდებარე ტერიტორიებზე შექმნილი რთული სატრანსპორტო მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია სწორედ ამ სატრანსპორტო კავშირის არარსებობით.

აღსანიშნავია, რომ ასეთი დიდი მაგისტრალის მშენებლობა დედაქალაქის მჭიდროდ განაშენიანებულ ისტორიულ ქსოვილში დიდ კაპიტალდაბანდებებთანაა დაკავშირებული, დედაქალაქის დიდი მოცულობის საბინაო და საზოგადოებრივი ფონდის ნგრევას გამოიწვევს, რისი შესაძლებლობაც ქალაქს, უახლოეს წლებში, შესაძლოა არ ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, დამუშავდა საპროექტო წინადადება (ავტორი გ. შავდია), რომელიც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად მცირე ეკონომიური დანახარჯებით დავაკავშიროთ ერთმანეთთან რკინიგზის ორივე მხარეს არსებული ტერიტორიები, თუნდაც არც თუ ბოლომდე სრულყოფილი სახით, მაგრამ ეს იქნება უკვე პირველი ეტაპი ქალაქის გენგეგმით გათვალისწინებული და აუცილებლად განსახორციელებელი დიდი პროგრამისა.

საპროექტო წინადადება ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების ჩატარებას:

- დამთავრდეს რკინიგზის თავზე ესტაკადის ნაწილის მშენებლობა (ნაძალადევიდან დიდუბისკენ მიმავალი მიმართულებით), რომლის მნიშვნელოვანი მონაკვეთიც (100 გრ.მ-ზე მეტი) უკვე აშენებულია და მშენებლობის დასამთავრებლად საჭირო რკ/ბეტონის ანაკრები კონსტრუქციებიც არსებობს.
- წერეთლის გამზირისა და ც. დადიანის ქუჩის დაკავშირება ესტაკადასთან მოხდეს არსებული ქუჩების (ვ. ბაგრატიონის, ფოთის, მახინჯაურის და სხვა) გავლით და დამატებითი მცირე პანდუსის მშენებლობით. ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებებისათვის ძალიან მცირეა იმ რამდენიმე საცხოვრებელი სახლის საბინაო ფონდის მოცულობა, რომლის აღებაც საჭირო გახდება.

ამ საპროექტო წინადადების განხორციელებით გაიხსნება უახლოესი სატრანსპორტო კავშირი დიდუბესა და ნაძალადევს შორის. ეს კი უკვე ნიშ-

ნავს გენგეგმით გათვალისწინებული ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი განივი სატრანსპორტო კავშირის ამოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ პირველ ეტაპზე განხორციელებული სამუშაოები გააუმჯობესებს საბოლოო სატრანსპორტო სქემასაც და მომავალში მისი ორგანული ნაწილი გახდება.

ქალაქის 1970 წლის გენგეგმაში ამ განივი სატრანსპორტო კავშირის სამხრეთით, მომდევნო განივი კავშირია ვაგზლის მოედანი (დიდუბე) – გმირთა მოედანი (საბურთალო) – უნივერსიტეტის წინა მოედანი (ვაკე).

დღეს დამთავრებულია გმირთა მოედნის სატრანსპორტო კვანძის მშენებლობა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ხარვეზებით. ასეთი დიდი დანახარჯებით 3-დონიანი კვანძის მშენებლობისას, არ უნდა დაგვჭირვებოდა შუქნიშნების გამოყენება. საქალაქო მაგისტრალის გადაკვეთისას სრულყოფილი კვანძის მისაღებად არ იყო საჭირო ამდენი დონეებისა და ესტაკადების მშენებლობა. აშკარაა, რომ ვაგზლიდან ვაკისა და ვერახევისკენ მიმავალ სატრანსპორტო ნაკადს ერთი სამოძრაო ზოლი არ ეყოფოდა. ამავე დროს, კვანძი გადაწყვეტილია ფილარმონიის წინა მოედნის, გმირთა მოედნისა და უნივერსიტეტის წინა მოედნის შემაერთებელი "სამკუთხედის" შენარჩუნებით, რისი განხორციელებაც ყოველგვარი გაანგარიშების გარეშე თავიდანვე შეცდომა იყო. ცენტრიდან ფილარმონიის მოედანთან ვაკეში მიმავალი ნაკადი ჩადის გმირთა მოედნისკენ 32 მეტრით ქვევით და შემდგომ ადის 34 მეტრით ზევით.

ადრე თუ უნივერსიტეტის წინა მოედნიდან ვარაზისხევით 500 მეტრის გავლით ვხვდებოდით გმირთა მოედანზე, დღეს "სამკუთხედის" შემთხვევაში, საჭიროა 1400 მეტრის გავლა, რითაც ზედმეტად იტვირთება მელიქიშვილისა და კოსტავას ქუჩები, რომლებიც გამოყენებითი ეკოლოგიისა და შრომის დაცვის ინსტიტუტის კვლევებით ყველაზე მეტად გამოირჩევიან ხმაურისა და მავნე გამონაბოლქვი აირების ზღვრულად დასაშვები სიდიდეების გადამეტებით. ასეთი ზედმეტი გადარბენები და დონეთა სხვაობა იწვევს საწვავის ხარჯის და გამონაბოლქვის ზრდას, რაც მნიშვნელოვნად აუარესებს განაშენიანების ისედაც რთულ ეკოლოგიურ მდგომარეობას. დონეთა ასეთი დიდი სხვაობის შემთხვევაში, მსგავსი გადაწყვეტა მიუღებელია. მაგალითად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასეთი "სამკუთხედის" შექმნა და ცალმრივ მოძრაობაზე გადაყვანა 26 მაისის მოედნიდან კოსტავას, ბულაჩაურისა და გამსახურდიას ქუჩებისა, სადაც დონეთა სხვაობა მცირეა. სატრანსპორტო გაანგარიშებით ეს იდეა დასაბუთებულია ქალაქის 1970 წ. გენგეგმით და კომპლექსური სატრანსპორტო სქემით.

სახელმწიფო უნივერსიტეტის წინა მოედნის დაგეგმარება მოითხოვს ორდონიანი სატრანსპორტო კვანძის მშენებლობას.

ქალაქის 1970 წლის გენგეგმის დამუშავების შემდეგ, ამ სატრანსპორტო კვანძის გადაწყვეტის მრავალი ვარიანტი იქნა დამუშავებული (ესტაკადით, გვირაბით და სხვა..) სხვადასხვა საპროექტო კოლექტივების მიერ.

ყველა ამ ვარიანტის ხელახალი გაანალიზებით და დღევანდელ მოთხოვნათა გათვალისწინებით დამუშავდა სრულიად ახალი ვარიანტი, რომელსაც საფუძვლად დაედო მოედანსა და მიმდებარე ტერიტორიებზე სატრანსპორტო კვანძის გადაწყვეტის ახალი გაანგარიშებები. სატრანსპორტო კვანძის პროექტის ავტორები არიან არქიტ. გ. შავდია, ნ. მიქაძე, მონაწილეობდნენ არქიტ. ვ. მაისურაძე, ინჟინრები ი. მაჭავარიანი, ს. ჩეხერია და ლ. მაღლაბაშიანი (სსი "თბილქალაქპროექტი").

სსი "თბილქალაქპროექტი"-ს მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, კვანძის დატვირთვის დონემ პიკის

საათებში მნიშვნელოვნად გადააჭარბა მისი დღევანდელი გამტარუნარიანობის შესაძლებლობას.

პროექტი ითვალისწინებდა ჭავჭავაძის გამზირისა და კეკელიძე-ვარაზისხევიდან გმირთა მოედნისკენ მიმავალი ნაკადების გვირაბით გასვლას ჭავჭავაძის გამზირის ქვეშ. კვანძის სატრანსპორტო სქემა შეთანხმებული იქნა როგორც საქალაქო სამსახურებთან, ისე უბრანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსთან. მხოლოდ სახელმწიფოს ფინანსურმა მდგომარეობამ შეაფერხა ამ სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის დაწყება.

ე.წ. "სამკუთხედის" განხორციელებით ეჭვის ქვეშ დადგა კვანძის ზემოთაღ-ნიშნული პროექტის განხორციელების შესაძლებლობა. იმედს ვიტოვებთ, რომ მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, მომავალში მაინც გამოიძებნება ისეთი საპროექტო გადაწყვეტა, რომელიც "სამკუთხედის" მოხსნით გონება-მახვილურ პროფესიულ კორექტივებს შეიტანს როგორც სახ. უნივერსიტეტის წინა მოედნის, ისე გმირთა მოედნის კვანძის გეგმარებაში. ამისი შესაძლებლობა ნამდვილად არის.

ბოლო წლებში, ქალაქის ცალკეული ტერიტორიები განიცდიან ისეთ გეგმარებით ცვლილებებს, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ადრე დამუშავებულ ქალაქის გენგეგმის პროექტებში, ეს კი მოითხოვს შექმნილი ქალაქგეგმარებითი სიტუაციის ახლებურ გააზრებას (ეკონომიკური, არქიტექტურული, სატრანსპორტო, საინჟინრო, ეკოლოგიური და სხვა საკითხები...)

2007 წლიდან საფუძველი ჩაეყარა დიდი გამაჯანსაღებელი კომპლექსის, "მწვანე ქალაქი ლისის" მშენებლობას. ეს არის საქართველოში პირველი ეკოლოგიური ქალაქი, რომლის მშენებლობაშიც მონაწილეობენ როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიები. ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ქალაქი მოიცავს სასტუმრო და სამკურნალო კომპლექ-სებს, კვების ობიექტებს, ღია და დახურულ საცურაო აუზებს, სპორტულ მოედნებს, კონფერენც-დარბაზებს, საცხოვრებელ სახლებს (4 სართულამდე), ვილებს და სხვა. ეს იქნება საერთაშორისო მნიშვნელობის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი მწვანე ქალაქი. ასეთი დიდი ტევადობის დასვენების ზონა ქალაქის არც ერთ გენგეგმაში არ იყო გათვა-ლისწინებული. ამიტომ გაჩნდა ახალი საპროექტო წინადადება ლისის დასვენების ზონის ქალაქის ცენტრალური ნაწილთან მესამე სატრანსპორტო კავშირის მშენებლობისა.

საპროექტო წინადადება (ავტ. გ. შავდია) ითვალისწინებს ახალი, 4-ზოლიანი მაგისტრალის (1500 მან/სთ ერთი მიმართულებით) მშენებლობას ინტენსიფიკაციის გზიდან მარცხენა სანაპირომდე ("ვეფხისა და მოყმის" ძეგლთან), მტკვარზე საპროექტო ხიდით გადასვლას დიდუბეში სამტრედიის ქუჩასთან.

აღსანიშნავია, რომ მტკვარზე დიღმისა და ვახუშტის ხიდებს შორის მანძილი დღეს ყველაზე დიდია (3500 მ-მდე) სხვა ხიდებს შორის მანძილზე. სწორედ ამ მონაკვეთში აიგება ხიდი ორდონიანი სატრანსპორტო კვანძებით მარცხენა და მარჯვენა სანაპიროების უწყვეტი მოძრაობის მაგისტრალებთან. ამავე დროს ავღნიშნავთ, რომ ამ ადგილას მტკვარზე ხიდი დანიშნული იყო ქალაქის განვითარების პირველ 1934 წლის გენგეგმის პროექტში. ამ ხიდის მშენებლობა, გარდა მისი მთავარი დანიშნულებისა, შეამსუბუქებს რთულ სატრანსპორტო სიტუაციას ვახუშტისა და დიღმის ხიდებზე.

ყველა ზემოთჩამოთვლილი საპროექტო წინადადების ქალაქისათვის საჭიროება დასაბუთებულია, როგორც ადრე დამუშავებული მრავალი ქალაქგეგმარებითი პროექტით (ქალაქის გენგეგმა და კომპლექსური სატრანსპორტო სქემები, ცალკეული რაიონების დეტალური დაგეგმარების

პროექტები და სხვა..), ისე დღევანდელი სატრანსპორტო გაანგარიშებებით, თუმცა, რასაკვირველია, ყოველი წინადადება მოითხოვს უფრო დეტალურ დამუშავებას. ამ პროექტების განხორციელება კი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დედაქალაქში დღეს შექმნილ რთულ სატრანსპორტო მდგომარეობას.

ლიტერატურა:

1. ქ. თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის პროექტი. 1934 წ.
2. ქ. თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის პროექტი. სსი "თბილქალაქ-პროექტი" 1953 წ.
3. ქ. თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის პროექტი. სსი "თბილქალაქ-პროექტი" 1970 წ.
4. თბილისის სამრეწველო რაიონის რაიონული გეგმარებს პროექტი. ტ.III ტრანსპორტი, სსი "თბილქალაქმშენსახპროექტი" 1966 წ.
5. ქ. თბილისის ცენტრის რეკონსტრუქციისა და განვითარების დეტალური დაგეგმარების პროექტი – სსი "თბილქალაქპროექტი".
6. ქ. თბილისის ახალი (მე-4) გენერალური გეგმის დამუშავებისათვის წინასაპროეტო და მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება და გარდამავალი პერიოდისათვის ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის მოკლევადიანი (1998-2006 წწ) გენერალური სქემის დამუშავება. სსი "თბილქალაქპროექტი" 2001 წ
7. თბილისის ურბანული განვითარების კონცეფციაზე გამოცხადებული კონკურსის მასალები – 2002 წ.

Urban proposals for solving Tbilisi transportation problems.

Givi Shavdia

Considered are the modern Tbilisi transportation problems; Based on the analysis of previously created urban projects and accrued changes in urban planning within last years, urban suggestions are given for solving citi transportation problems.

Градостроителъные предложения решения транспортных проблем Тбилиси.

Г. Шавдия

Рассмотрены сегодняшные транспортные проблемы Тбилиси; Проанализировав ранее разработанные Градостроителъные проекты и возникшие за последные годы изменения в планировке города, даются некоторые Градостроителъные предложения решения транспортных проблем города.

ნეომოდერნიზმის იდეოლოგიური ბაზა, ევროპული არქიტექტურის ტრანსფორმაცია

ირინე წულაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, კოსტავას ქ. №77

ნეომოდერნიზმი არქიტექტურაში ენობრივად ახლოა კორბუზიეს, მის ვან დერ როეს და გროპიუსის მიერ შემოთავაზებულ ადრეულ მოდერნიზმთან. ამასთან, მისი შინაარსი ინფორმირებულია გარემოსა და ისტორიის მიერ. იგი კონტექსტზე ფიქრობს, მაგრამ არ ახდენს მის იმიტაციას. ნეომოდერნიზმის ძირითადი პროტაგონისტი როტერდამელი არქიტექტორი **რემ კულჰაასია** და მისი საპროექტო კომპანია - **OMA**. როტერდამის არქიტექტურული სკოლა ევროპაში დღეს წამყვანია. ამ წერილის მიზანია გამოავლინოს მისი იდეოლოგიური ბაზა და ამ პრიზმაში დაგვანახოს უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის ევროპის არქიტექტურის ტრანსფორმაცია.

კულჰაასმა განათლება ლონდონის არქიტექტურულ ასოციაციაში მიიღო და 1970-იანებში მხოლოდ დისტანციიდან შეეძლო ჰოლანდიის ურბანიზმის მდგომარეობის შეფასება. ჰოლანდიის არქიტექტურული საზოგადოება მაშინ „მოჯადოებული იყო აკვიატებული იმპულსით იდეალური სათვისტომო ცხოვრების ტრანსმუტაცია მოეხდინა. ამ იმპულსის ქვეშ, საზოგადოება საინტერესო კონტექსტების ძიებით გაერთო და ასე სჩანდა, რომ თითქოს უკვე სამუდამოდ შეიძულა მეტაფიზიკურად უზრუნველყოფილი ქალაქური ფორმა“ [1,6]. კულჰაასი სხვა გზას დაადგა: მან ს. დალის ნიუ იორკის აღწერა შეისწავლა და მისი კრიტიკულ პარანოიკული მეთოდის გამოყენებით - “ირაციონალურის დალაშქვრით, სისტემური, ასოციაციებზე დაყრდნობილი დაჟინებული განმეორებადობით” [2,237] - გავიდა დასკვნაზე, რომ „მოვლენა, ძალა, გამოკვლევა განსჯის ერთი სისტემით ერთიანდება და ამყარებს პარანოიის ობიექტის - ინდივიდუმის თეზისს, რომლის სასტარტო წერტილი მისივე ცდომილებაა“. ამიტომ, კულჰაასის შემჩნევით, „პარანოიკი მიზანს ყოველთვის ზუსტად აღწევს“ [2,238]. მთავარი კი მის დასკვნაში ის არის, რომ “რაც უფრო მაღალია ცივილიზაციის სიმჭიდროვე - რაც უფრო მეტროპოლიტანურია იგი - მით უფრო... სწრაფია ბუნებისა და არტეფაქტების რეალობის შთანთქვის სიჩქარე” [2,241].

ამავე პერიოდში, კულჰაასისგან დამოუკიდებლად ანალოგიურ დასკვნაზე გადის დელფტის უნივერსიტეტის ისტორიოგრაფთა **ი. დე გრააფის** ჯგუფი, რომელიც ურბანულ კვლევებში თავისივე მეცნიერების სისუსტეს ამჩნევს: „ისტორიოგრაფია იქცა რეგულაციის, კონტროლისა და რეპრესიის კიდევ ერთ ფორმად“ [3,107]. კულჰაასი და დე გრააფი ერთნაირად „აფასებენ ქალაქგეგმარებაში ტექნოლოგიის როლს“ [3,167] და ხელოვნურ კონსტრუქციას ქალაქების ყველა ბუნებრივ სქემას უპირისპირებენ. მათი თავდასხმის ობიექტია **ა. ვან ეიკის** ჰუმანისტური პათოსით ინსპირირებული პრე-მოდერნისტული ქალაქის მიმიკა, მისი სახურავების ფორმის და რითმის განმეორება კლასტერების სახით. დე გრააფი თვლის, რომ ქალაქის „ვიზუალური ფრაგმენტაცია ერთხელ და სამუდამოდ უნდა მორჩეს“ [3,96]. კულჰაასი არსებითად ეთანხმება მას, სცდება თეორიული დისკურსის საზღვრებს და საკუთარ ანტი-ისტორიოგრაფულ პოზიციას პროექტებით ამტკიცებს.

კულჰაასის პირველი პროექტი შესრულდა 1971 წელს და დაეთმო **ბერლინის კედლის** როგორც არქიტექტურის პარანოიდალურ ინტერპრეტაციას. ამ პროექტით კულჰაასმა, მოდერნიზმში პირველად, დაგვანახა, რომ "არქიტექტურას შეიძლება ვიზუალური, ფორმალური და ფიზიკური ატრიბუტებიც კი მოაცილო, და მას მაინც დარჩეს უნარი მოქალაქეთა გონებაზე და სხეულებზე ძლიერ იმოქმედოს"[1,5]. 165 კილომეტრი სიგრძის, ორნაწილიანი ხაზოვანი სტრუქტურა წაკითხულ იქნა როგორც ტექსტი, რომელმაც "ადვილად გადალახა განსხვავება ტრაგედიას, კომედიას, მელოდრამას შორის"[4,222]. ამ ინტერპრეტაციაში კედელი განიცდიდა "მუდმივ ტრანსფორმაციას ხაზიდან - ზონამდე", და იქცა "დანაშაულად, რათა ბოლო მოეღო ყველა სხვა დანაშაულებებისათვის"[4,225]. მისი არქიტექტურა კულჰაასს "მშვენიერი" მოეჩვენა, რადგან კედლის 10 წლისთავისთვის მისმა ძალამ მოახერხა "სასოწარკვეთა, ზიზღი, გულაცრუება არქიტექტურის დარგზე გადაეტანა". ზოგადად მოდერნიზმის ევოლუციისათვის ფუნდამენტა-ლურად მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ "ყველა ეს გამოხატულება... საბოლოო ჯამში, არქიტექტურისადმი მიყენებადი იყო. ბერლინის კედელი არქიტექტურის ძალის და ზოგიერთი მისი არასასიამოვნო შედეგის მეტად გრაფიკული დემონსტრაცია იყო. „არქიტექტურის მშვენიერება მის მიერ გამოწვეული შიშის პირდაპირ პროპორციული აღმოჩნდა, [რამაც] ყველა ამჟამად კვლავ ამოტივტივებული მცდელობა, ფორმა დააკავშირონ მნიშვნელობასთან სასაცილო გახადა"[4,227]. წმინდათ არქიტექტურულად კედელი არა ობიექტი, არამედ წაშლილი ადგილია, ახლახან შექმნილი სიცარიელე, "პირველი დემონსტრაციაა იმისა, რომ სიცარიელეს - ანუ არარაობას - უფრო ეფექტურად, დახვეწილად ფუნქციონირება შეუძლია, ვიდრე... ობიექტს" [4,228]. კულჰაასის ამ ნამუშევრის მნიშვნელობა იმაშია, რომ მან არქიტექტურაში შემოიყვანა შინაარსის გადმოცემის მანამდე არნახული მეთოდი, რომელსაც ფორმასთან კავშირი აღარ აქვს: უარის თქმა არქიტექტურის ჩვეულ გამოხატულებებზე. ბერლინის კედელი *არა-არქიტექტურის* პირველი მაგალითია.

ამის შემდეგ დელფტის უნივერსიტეტის და რემ კულჰაასის/OMA-ს გზები გაიყო: ისტორიოგრაფებმა გააგრძელეს ჰერმეტულად დალუქული სამეცნიერო სამყაროსაკენ დრეიფი, კულჰაასმა კი საბოლოოდ დაკარგა ჰოლანდიურ პრაქტიკებში დაბუდებული ჰუმანიზმის მიმართ ინტერესი და დაიწყო მჭიდრო არქიტექტურის რეალიზაცია. ფრაგმენტაცია, სამეზობლოებთან გაზავება, პატარა სივრცეები, კლასტერები და ის, "რომ ყველა მსხვილი ინსტიტუტი უფრო მცირე კომპონენტებად უნდა დაიყოს" [4,287], ჰუმანიზმით დაავადებული სხვა, ანტი-ურბანული ჰოლანდიის პრეროგატივად დარჩა. კულჰაასს ადრეული მოდერნიზმის ჰეროიკული მასშტაბი, ქალაქში მსხვილი ჩარევა და უკომპრომისოდ თანამედროვე ურბანიზმი ხიბლავს, ამიტომ საკუთარი არქიტექტურის თეორიულ საყრდენად იგი "გადატვირთულობის კულტურას" (Culture of Congestion) [2,125] იყენებს. მისთვის ცხადი ხდება გადატვირთულობის ურბანიზმის („მანჰეტენიზმის") თითქოსდა ერთმანეთთან დაუკავშირებელი ეპიზოდების დამაჯერებლობა და კოჰერენტულობა.

ამავე პერიოდში კულჰაასმა ჯერ კიდევ დისტანციიდან დაიწყო ჰოლანდიური ქალაქების რეკონსტრუქციის საკითხებთან გაცნობა, რაც მისი იმდროინდელი პროექტების უკომპრომისო ხასიათშიც გამოავლინა და საზოგადოებაში მიღებული ურბანული პარადიგმებიც ეჭვ ქვეშ დააყენა. **ჰააგის** შუასაკუნოვან ცენტრში **პარლამენტის ახალი შენობის** კულჰაასის 1978 წლის გამარჯვებული პროექტი სამ მიმდინარე დოქტრინას - კონტექსტუალიზმს

(“დაპროექტებული იდეალის კოლიზია ემპირიკულ საჭიროებასთან”), რაციონალიზმს (“წარმოსახვის უმანკო ეკონომია“), და ჰოლანდიურ სტრუქტურალიზმს დაუპირისპირდა. კულჰაასი ღიად აკრიტიკებს ვან ეიკის ჰუმანიზმს, რადგან “როცა ვან ეიკმა ობოლთა დიდი ჯგუფები მცირე “ოჯახებად” დაჰყო, მაშინ ამ ოჯახებსა და “სახლებს” შორის მეტაფორიკული კავშირი მაინც დამყარდა”, რაც, კულჰაასის აზრით, “ამ სქემის შემდგომ მანიფესტაციებში საერთოდ დაიკარგა; დანაყოფები მანიერიზმად იქცა”. კონკურსის ტიპიური ჰოლანდიელი მონაწილე მაინც ამ მოდელს გაჰყვებოდა, „...ასეთ გადაწყვეტაში *კასბა-პარლამენტს* შემოგვთავაზებდნენ: ბადე სამკუთხედ ნაკვეთს მომცრო კვადრატებად დაჰყოფდა... ფერები და მასალები არსებულ თარგებს აირეკლავდა”. კულჰაასი, ხედავს რა, რომ ჰააგის გული - **ბინენჰოფი** “განიცდის თანდათანობით და მუდმივად ტრანსფორმაციის პროცესს: ციხე-სიმაგრის ფეოდალურ ტიპოლოგიაში შეიჭრენ... დემოკრატიული ინსტიტუტები. მხოლოდ ისეთ არქიტექტურას, რომელიც საკუთარი მოდერნულობის გამო ბოდიშს არ მოიხდის, შეუძლია შეინარჩუნოს და მკაფიოდ ასახოს ეს ტრადიცია”. ამ შემთხვევაში, ახალი პარლამენტი “ციხე-სიმაგრის კედლებს თავისი მოდერნულობით გაანგრევს”[4,287].

ეს პროექტი არ განხორციელებულა, მაგრამ მან ფუნდამენტალური როლი ითამაშა სტრუქტურალიზმის ფილოსოფიის არქიტექტურისადმი მიყენების, კრიტიკული ანალიზის და აზროვნების ახალი წესით მისი ჩანაცვლების საქმეში. არსებითად, ეს პირველი პოსტ-სტრუქტურალისტური არქიტექტურული ცდა იყო. ამის შემდეგ, ახალი მოდერნიზმის არქიტექტურული პრინციპების ფორმულირება თეორიული დოქტრინით უნდა დასრულებულიყო. 1986 წლის **ბილმერმეერიის პროექტმა**, რომელიც არქიტექტორ-ისტორიკოს **გ. ორტჰიუსთან** ერთად რემ კულჰაასმა დელფტის უნივერსიტეტში შეასრულა, ნეო-მოდერნიზმის იდეოლოგიას საფუძველი ჩაუყარა. კულჰაასი წერდა: “რაც ლას ვეგასია გვიანდელი კაპიტალიზმისათვის, იგივეა ბიილმერმეერი ‘საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოსათვის (welfare state)’’. 1981-ში დასრულებული ამსტერდამის ზღვისპირა გარეუბანი ლას-ვეგასივით ხაზოვანია, მაგრამ თუ კი ამ უკანასკნელში მიღწეულია “მნიშვნელობისა და ინფორმაციის მგრძნობიარე გადაჭარბება - რა ტრივიალურიც არ უნდა იყოს იგი - ბილმერმეერი სოციალიზმის ნიშნებსა და ენას წარმოადგენს: მაღლა გამავალ ავტომაგისტრალების მიღმა ჩანს რუხი ბეტონის ერთნაირი საცხოვრებელი ბლოკები, რომლებიც კოლოსალურ ექვსკუთხედებს კრავენ”. ამგვარი “ახალი ეპოქის” თემები “თანასწორობა, პურიტანიზმი, ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობაა” [4,863]. “სოციალისტური ლას-ვეგასის” კრიტიკას, რომელიც, ალდო ვან ეიკის მეთაურობით, ჰოლანდიის ინტელიგენციამ წამოიწყო, კულჰაასი და ოორტჰიუსი “პანიკად” ნათლავენ, და ბილმერმეერს უწოდებენ “განსაკუთრებულ არქიტექტურულ დოქტრინას - რომლის კოდიფიცირება ყველაზე დასამახსოვრებლად CIAM-ის მიერ 1930-იანებში მოხდა - რომელიც რეალიზებულია რეტროსპექტივაში”. კულჰაასი სახელმწიფოს სოციალური პროგრამების პროდუქტს - “დაჩაგრულების რბილ ‘გულაგებს’” უტევს და ხაზს უსვამს, რომ “ფორმალურად, ეს არქიტექტურა..., თავისი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, ბუნებრიობისკენაა მიმართული,... თითქოს იგი მოულოდნელი შემთხვევითობისა და შთაგონების შედეგია,... თითქოს წინასწარგანძრახვის გარეშეა, და რომ საბოლოო ჯამში ვერნაკულარულის სტატუსამდე ამაღლდება - სინამდვილე კი სრულიად საპირისპიროს მეტყველებს”[4,867]. პოლიტიკური სისტემა, თუნდაც ლიბერალური და ქველმოქმედი, საჭიროების იდენტიფიცირებას,

პროგრამის შედგენას, ბიუჯეტის განსაზღვრას და კონტროლის სხვა ფორმებსაც უზრუნველყოფს. მასში მიღწეული მრავალფეროვნება "სიმულირებული მრავალფეროვნება იქნება - რომელიც შეეცდება გარემოს (Umwelt) სინთეთიკური რეპროდუქცია მოახდინოს, რითაც თავისუფლდება კონტროლის ყველა იმ ფორმებისგან, რომლებმაც იგი შექმნეს", წერს კულჰაასი. ამ აღმოჩენის შემდეგ, კულჰაასი იწყებს ბილმერმეერის უმოწყალო იდეალიზაციას; მის მიერ გამოწვეული "მოწყენილობაც კი ჰეროიკული მასშტაბისაა". მოწყენილობის თანმდევი "უფერულობით, სინედლით, და მოუქნელობით" იგი მაინც "არქიტექტურული სპექტაკლია", რადგან "წლების შემდეგაც კი მოდერნიზმის იდეოლოგია და ესთეთიკა მაინც უფრო ჯერადია და შეესატყვისება სახელმწიფოს მიერ ინსპირირებულ ტერიტორიების გამოყენების ფენომენს". ბილმერმეერი კულჰაასისთვის თეორიული ქალაქია, რომელიც საჭიროებს აქტუალიზაციას, რათა ურბანულ ანტიდოტად დაუპირისპირდეს იმ დროს კიბოსავით გავრცელებულ "წვრილი მასშტაბის ჰუმანიზმს". კულჰაასს, "პოსტ-მოდერნიზმის თემის - ვან ეიკიდან **კრიემდე** - ხელოვნურ რეანიმაციას, ბილმერმეერის ფერმკრთალი საზოგადოებრივი სივრცე უსაზღვროდ მეტად ურჩევნია" [4,871].

ამით, მოდერნიზმის ახლებური ხედვა – ნეო-მოდერნიზმი – პოსტმოდერნიზმს დაუპირისპირდა. 1960-70-იანების სენტიმენტალური გადახვევების შემდეგ, მან ძველი ქალაქის იდეალიზაცია უარყო. რემ კულჰაასი და OMA ურბანულ გარემოს მოდერნიზმის სამოქმედო ველად ხედავენ. იწყება ამ ახალი ხედვის იდეოლოგიის ჩამოყალიბება. იგი მსხვილმასშტაბურ ურბანულ ჩარევებს დასაშვებად მიიჩნევს.

საუკუნის მეოთხედის წინ ევროპის არქიტექტურის ტრანსფორმაცია ამ მნიშვნელოვანი სასტარტო პოზიციიდან დაიწყო. ქართულ ურბანიზმს დიდი გზა აქვს გასავლელი, წარსულის სინთეთიკური რეპროდუქციიდან თანამედროვე არქიტექტურისაკენ დაბრუნება თუ უნდა. ამის სურვილი მას ჯერ სუსტად აქვს გამოჩენილი. რემ კულჰაასის 1970-80-იანების მოღვაწეობა და მის მიერ ახალი მოდერნიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბება მაგალითად უნდა გამოდგეს, რათა ქართულმა არქიტექტურამ ევროპულისგან ჩამორჩენა დაძლიოს.

ლიტერატურა:

1. **Wouter Vanstiphout**, *Consensus Terrorism, The Dutch 70s: Recognizing Neglected Design*, Harvard
1. Design Magazine, Number 2, Summer 1997
2. **Rem Koolhaas,** *Delirious New York,* The Monacelli Press 1994 (second edition)
3. **Jan de Graaf, Wim Nijenhuis,** and **Ad Habets**, *Measuring and Regulating the City,* Sun, 1981
4. **O.M.A. Rem Koolhaas and Bruce Mau,** *S,M,L,XL, ,* The Monacelli Press 1998 (second edition)

Ideological Basis of Neo-Modernism, Transformation of European Architecture

Irine Tsuladze, Doctorant
Georgian Technical University, 77 Kostava str, Tbilisi, Georgia

The article discusses neo-modernist architecture and it's main protagonist, Rotterdam-based Rem Koolhaas and his OMA . It targets ideological basis of neo-mpodernism and atetmpts to look, through this prism, to the transformation of European architecture in the last quarter of past century.

The study reviews Rem Koolhaas' theoretical works, early projects, and his views. Georgian urbanism has a long way to go in order to return from a synthetic reproduction of the past to the ideals of modernism, and to it present, post-structuralist stage. OMA's work is a key to neo-modernism .

Идеологическая база неомодернизма, трансформация Европейской архитектуры

Ирине Цуладзе, докторант
Грузинский технический университет, Грузия, Тбилиси, ул. Костава, 77

В статье идёт речь о неомодернизме в архитектуре и о его основном протагонисте, Роттердамском архитекторе Рэме Кулхаасе. Его проектная группа OMA - передовая на сегодняшний день в Европе. Цель статьи выявить идеологическую базу неомодернизма и показать в этой призме трансформацию Европейской архитектуры последней четверти прошлого века. Исследование основано на теоретических работах, ранних проектах и высказываниях Рэма Кулхааса. Грузинский урбанизм должен пройти немалый путь для того, чтобы отказаться от синтетической репродукции пришлого и принять идеологию модернизма, на его сегодняшнем, пост-структуралистском этапе. Работы OMA – ключ к пониманию неомодернизма.

Журнал издается по решению редакционно-издательского совета от 16 декабря 2010 года (протокол №6)

Редакционный совет:

Борис Имнадзе –ф. профессор, главный редактор
Теймураз Джагоднишвили –ф. профессор, заместитель редактора
Елизавета Козлова – ассоц. профессор, ответственный секретарь
Чингиз Бедалов, профессор
Жанетта Вардзелашвили, ТГУ, преподаватель, доктор филологических наук
Константин Рамишвили, профессор, вице-президент АНО Грузии
Гоча Микиашвили, профессор, декан факультета архитектуры ГТУ
Анзор Шавгулидзе, ф.профессор
Зураб Чачхиани, ф.профессор
Елизавета Хахуташвили, ассоц. профессор

Адрес редакции: Тбилиси, 0175, ул. Костава , 77

e-mail: *boris151132@rambler.ru*
адрес веб-страницы http://newsletters.gtu.ge

Georgian Technical University

Board of Editors:
Boris Imnadze *– PhD. – Chef-editor*
Teimuraz Jagodnishvili *– PhD. – Depuli editor*
Elizabed Kozlova *– Executive Secretary*
Board Members, Professors:
Chingiz Bedalov
Janetta Vardzelashvili
Konstantin Ramishvili
Gocha Mikiashvili
Anzor Shavgulidze
Zurab Chachkhiani
Elisabed Khakhutashvili

ISSN №1512-102X

Adress: 77, Kostava Str., 0175, Tbilisi, Georgia

e-mail: *boris151132@rambler.ru*
web-said's adress: http://newsletters.gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განათლება №3 (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე)

თბილისი 2011

გამომცემლობის რედაქტორი:

კორექტორები: ე. კოზლოვა
თ. მებუკე
თ. ბონდარენკო

კომპიუტერული დაკაბადონება:

რედაქცია: ბ. იმნაძე
თ. ჯაგოდნიშვილი

გადაეცა წარმოებას

ქაღალდის ზომა 1/8

ტირაჟი 500